

კვირის პალიტრა



N2(187) 8/1.-14/1.2004. ფასი 60 თ.

F

"დაუფიქრებლად
ნათქვამი
სიტყვის გამო
სიყვარული დავკარგე"



რატომ აქვთ აღაპიანებს
მწარე ენა

საკითხავი ქალებისთვის — ვარდის მუზენიერი ისტორია




რამ ჩააგდო
თაკო ჩხეიძე
სასონარკვეთილებაში



სანდრა
რულოვის
მოგზაურობა
საქართველოში


არუქვეთ თქვენს ბავშვს



თანამგზავნი
366 დღის მანძილზე

მინიატურები	
პრემიუმ-სეგმენტის კანდიდატთა „სექსტეტი“ ანუ 97-ით 0 – არჩევნები თუ რაბაი?! 3	
ერთი კითხვა	
საპარლამენტო არჩევნები – ზილილი ვალის გამო 4	
ღიალოგი	
მოსლა თუ არა გარიგება გურაბ ქვანისა და ასლან აბაშიძეს შორის? 5	
ექსპერტი	
არჩევის მომენტიდან, მიხეილ სააკაშვილის ტონი შერბილდა... 6	
აინონა-აინონა	
ახალი პრემიუმ-სეგმენტის პირველი ნაბიჯი – ჯილდო თითოეულ ახალშობილზე... 7	
კოლეგა	
გაგა შენგელიას იდეალი ტელევიზია და იმპოტენციის სინდრომისგან გათავისუფლების ისტორიული აუცილებლობა 8	
პერსონა	
სანდრა რულოვის მოგზაურობა საქართველოში 11	
სანიშორი	
შეფარებულ ირაკლი იმნაიშვილს ორი კვირით გადაკარგვა სრვევია 13	
კრიმინალი	
საახალწლო პერიოდის კრიმინალური ქრონიკა 16	
მარჩიული	
„სიყვარულში გამარჯვება განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას ანიჭებს“ 18	
აღაპიანი	
კასი, რომელმაც ყველაფერი იმის საათის შესახებ 20	
თემა	
მწარე ენა 22	
ქალი-თამაღები	
ნანული სარაქიშვილის რუსულ-გერმანული საღვებრეკელოები, ეთერ კაკულიას ბაქოელი საქმრო და სოფიკო ჭიანჭყაძის სურსული „თავმჯდომარე“ 25	
კოლორიტი	
უცნაურმა ქართლოს კასრაქემ მოგაგალი მუღლა ნიჭიერებით მოხიბლა 28	
გზავნილები	
„ერთხელ დაღვ და მთელი ცხოვრება იწელება...“ 30	
ქალი საქმეთან	
ახალი წელი საქართველოში ჯობს, მანქანით მოძრაობა – შვეიცარიაში 32	

მწარე ენა



რამდენიმე დღის შემდეგ კი, სიდერმა მკითხა: ლიას თვალი ხომ არ დაადგით?.. პასუხი რომ არ გავეცი, თავადვე დაამატა: თუმცა რა? კაცი რომ იყო, აქამდე შენს ცოლს დააფეხმძიმებდით!.. სიბრამისგან სახე ამეღეწა...

22


ახალი წელი საქართველოში ჯობს, მანქანით მოძრაობა – შვეიცარიაში

პოლიციელი ახალგაზრდა კაცი იყო. ვხედავ, საბუთებს უკან აძლევს ჩემს ქმარს და ეუბნება – ადრე აგენტოთ შუქი ან გეთქვათ, ვინ გეჯდათ მანქანაშიო: თურმე პოლიციელებიც დადიან ჩვენებებზე.



32

უცნაურმა ქართლოს კასრაქემ მოგაგალი მუღლა ნიჭიერებით მოხიბლა



ქართლოსს ეძინება, დაწვა მეორე ოთახში, მე ვაკაკუნებ საჭრელ დაფაზე დანას. რამდენჯერმე დამიძახა: მორჩი კაკუნს და დაწექიო! მე მაინც გავაგრძელე. ნახევარი უკვე დაჭრილი მქონდა, რომ წამოხტა, ხელიდან გამომგლიჯა საჭრელი დაფა და...

28

...ეთერ კაკულიას გაქოქებული საქმრო და...

ჩემი ყველა ინგერვიუდან ამოღებული ფრაზებით „ჭეღლიანებში“ „გულაობს“. ესეც არ იკმარა – „კა-ვე-ენზე“ სულ ჩემზე ილადავეს. ვა-ა, ორი დღე ვიყავი ლეიბორისტებთან, თან – ფხიზელი და რას მერჩის გოგირაიშვილი?!



25

დღასასწავლი	
„ეს იყო ღვთისური და ანგელოზებრივი კალა, როგორც პარსკვლავის სახით გამოჩნდა...“	34
საუკუნის ტოლი	
100 წლამდე რომ იმცხლო, შრომა, კაი ჭამა-სმა და სხანი ყოფილა საჭირო	35
ანტიფაქრისანტი	
ინფორმაციულ-შეფხვნიებითი კოლაჟი გოგა ღვალის უბის წიგნაკიდან	36
ფაქორიტაჟი	
ღვინის გზა მანჩესტერიდან – მაღრიღამდე	38
სპორტული მოზაიკა	41
რომანი	
რუსულან ბარიკა. თავისუფალი თემა (გაბრკელება)	42
ტესტი	
ერთგული მკითხველი	45
ბომონდი	46
ავტო	48
ჭრელი მსოფლიო	49
მომზაურის დღიურები	
არაროდინარული სიტუაციები ჩიკაგოში	50
პარსკვლავი	
ღაბაღებით ჯაშუში	
ჩენიფერ ბარნერი	52
საკითხავი ქალბატონთის	54
იუმორი	56
მუხმეოვლი	
ციფრი 13 – სტრუქტურა თუ რეალობა	57
ჯანმრთელობა	
● წითელი მარბალიტაბი	58
● საგამთროდ ღამგაღაბული კონსერვაბი	59
ჰოროსკოპი	
კვირის (12-18 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
სკანეროდი	61
ბახსი	
„ნახვამს რამდენჯერმე ავარიბა მოუსდა და გვარიანად ღამგვრა“	62
ტესტი	
როგორ მღგომარეობაში ბაჟმთ ნერვაბი	63
კალიდოსკოპი	
ჰრელ-ჰრელი აბაბი	64

ბარეკანვა: გიორგი შორშოლიანის კოლაჟი


საზომგალომბრიმ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გამოდის კვირაში პრთხელ, სუთშაბათობით ბაჟმთ „კვირის პალიტრის“ ღამატმბა

შურნალი ხელმღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჟერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორი“

„ერთხელ დაღებ და პთელი ნსოგრაბა ინეღებ...“



„უკან მიბრუნებულს, ცოლი შინ აღარ მიშვებდა. ვერ დავაჯერე, რომ ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც თქვენ გიამბებთ... იქნებ, ახლა მაინც დაიჯეროს და შემირიგდეს?! ნუცა, პირობას ვდებ – ტუალეტში აღარასოდეს დავიძინებ...“

30


ღაბაღებით ჯაშუში ჰენიფერ ბარნერი

ამ კავშირის გამომგეურების შემდეგ, ჟურნალისგებმა უმაღ გაბისენეს ვარგანის მიერ ადრე ნათქვამი: „როცა ჯენისთან ერთად გადაღებაში მონაწილეობ, მისთვის თვალის მოწყვეტა გიჭირს, ის იმდენად ლამაზი და ისეთი ნაზია, რომ შეუძლებელია, არ შეგიყვარდეს...“



52

მსგებ უენი ოკეანისგაღმელი ქაღები!..



– კაკო, მაპაგიე, სულ დამავეიწყდა, მეთქვა, რომ მონიკა და ქეთრინი... იცი, ესენი ლესბოსელები არიან... – მათ მაგივრად გომი მიხდიდა ბოღმის.

ვიდექი გამგერებული და არ ვიცოდი, რა მექნა...

50

თავისუფალი თემა

ირაკლის თავხედობით გაოგნებულმა გვანცამ ის იყო, პირი მართლაც საკივლეღად დაადო, რომ უცბად, ვიღაც ფრთხილად შეეხბო მხარმე და მაშინვე ლუკას ხმაგ გაიგონა:

– გვანცა!



42

პრეზიდენტობის უანტიდაცობა „სექსცეცია“, ანუ 97-ით 0 – არჩევნები თუ რაგბი?!



ნათქვამია – ახალი წლის დღეებში ყველანაირი სასწაული ხდება, – მაგრამ ისიც თუ მოხდებოდა, რაც 4 იანვარს მოხდა, ნამდვილად არავის ეგონა. დიახ, არავის – ჩემ ვარდა...

ვიცი, არ დამიჯერებთ, ნამდვილი პროვოკატორი ხარო, – მეტყვით... მაგრამ გეფიცებით „პროფესიულ სისპეტაკეს“, მართლა ვიცოდით: ცხონებულ ბებიაჩემს ბებიაძისის ნამზითვი რაღაც წინასწარმეტყველების წიგნი მოჰყვა მზითვში და ზღაპრების ნაცვლად გვიკითხავდა ხოლმე ძილის წინ. ჰოდა, გუშინდელი იმით მახსოვს ის ღამე, რომ ამოიკითხა: 2004 წლის 4 იანვარს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება და ვინმე მიხეილ სააკაშვილი გაიმარჯვებსო...

გამეცინა – როგორ გაიმარჯვებს, როცა ლიპარტი-ლიანი და შაშიაშვილიც იყრიან კენჭს-შეთქი?! – მაგრამ ბებიაჩემმა სულ „აბდალი და პოლიტიკურად ბეცი“ მიწოდა და ისიც მიწინასწარმეტყველა – იმფერი ღვთის პირიდან გადავარდნილი ბაღანე ხარ, აუცილებლად პროვოკატორი გამოხვალ... როგორც ხედავთ, სულ ბებიაჩემის დამსახურებაა, მე რომ პროვოკატორი გავხდი და სააკაშვილი – პრეზიდენტი.

არადა, მართლაც უპრეცედენტო არჩევნები გეჭონდა 4 იანვარს: გადართა გერო და ევროსაბჭო – ისე სამართლიანად მოხდა ყველაფერი, რომ ჩვენი დასაკვირვებელი რა სჭირდა ამ ხალხსო?!. ჯერ იყო და, ამომრჩეველთა აქტიურობამ მოხსნა ყველა რეკორდი: ძველმა ცესკომ 2 ნომბრის არჩევნებზე მთელი საიქიო დააყენა ფეხზე, მაგრამ 2 მილიონ ამომრჩეველს იმან ვერ მოუყარა თავი; მერე იყო და, ექვსივე საუკეთესო კანდიდატი გვყავდა და ბოლო წუთებამდე „ქულა-ქულაზე“ მიდიოდა ჭიდილი. თითოეულ ხელმოწერას გადაწყვეტი რომლის თამაში შეეძლო და გადაწყდა კიდევ, როცა აჭარის ლიდერი მივიდა უბნის დახურვამდე 15 წუთით ადრე და მე-5 ნომრის შემოხაზვით უკან დასახვევი ყველა გზა მოიჭრა მუდამ წინდახედულმა კაცმა... მანამდე კი, ხალხს არჩევანის გაკეთება უჭირდა, რომელი ერთი შემოეხაზა საუკეთესო ექვსეულიდან (ანუ „შესტიორკიდან“ ანუ „სექსტეტიდან“).

გენტავთ, ყოფილი პრეზიდენტის რწმუნებული ავილოთ, რომელმაც „ვარდების რევოლუციის“ დღესვე მიატოვა „სავარდო და სამაისო“ თანამდებობა და განაცხადა – პრეზიდენტობა მინდაო... მთელმა რეგიონმა დაულოცა გზა – ოღონდაც აქედან წადი და ხმას კი არა, სულს მოგცემით, მაგრამ მოატყუეს და „გადაადგეს“ (ნეტავ, ვისგან ისწავლეს?) და „ტიტანიკ-პოლიტიკოსმა“ საკუთარ ქალაქში ხმების მთელი 3 პროცენტი მოხვეტა...

ახლა მეორე კანდიდატი ავილოთ – „ლიპარტიანთა შტოს შთამომავალი“, მეცნიერი, აკადემიკოსი, რომელსაც აქამდე ჩატარებული არც ერთი საპრეზიდენტო არჩევნები არ „გაუმახავს“, საკუთარი კანდიდატურა რომ არ წამოეყენებინოს... დათქმულიც ჰქონია – თუ პრეზიდენტი გავხდები, ცხვარს დავკლავო, – მაგრამ ამჯერად, ბედმა ამ უკანასკნელს (ანუ ცხვარს) გაუმართლა და

როგორც ჩანს, მის პრეზიდენტობას შესაწირი ცხვარი კიდევ კარგა ხანს იკუნტრუშებს დამოუკიდებელი საქართველოს იალალებზე...

კარგი, ბატონო! ეს ორი კაცი დაეწივნეთ, მაგრამ იმას მაინც რას ვერჩოდით, გვართ რომ ღარიბია და პოლიტიკური ამბიციებით – მდიდარი?! ბოლოს და ბოლოს, ისეთი ძლიერი ადვოკატია, რომ თვით სადამ ჰუსეინიც თავს იკლავს თურმე – სანამ ის „იელოვლების რისხვა“ არ დამიდგება „ადვოკანტად“, ხმის ამომღები არა ვარო... მოკლედ, ამ ადვოკატს სხვისი საქმე ჯერ არ წაუგია და საკუთარი ჯერ არ მოუგია...

როგორც ჩანს, ქართველმა ამომრჩეველმა გვარების მიხედვით დაიწყო სიმპათიების გამოხატვა და ამ ადვოკატთან ერთად ქელესსაშვილიც დაიწუნა – აქაოდა, მისი გვარი გარდაცვალების აღმნიშვნელ რიტუალთანაა დაკავშირებული და ვინძლო, რაიმე უბედურებას არ გადაგვყაროსო, – მაგრამ ამ ლოგიკას თუ მივყვებით, პრეზიდენტი, სიხარულით უნდა გამხდარიყო, გვართოვე რომ გვპირდება სიხარულს, თუმცა, არც ასე მოხდა...

მაშ, რა გახდა ასეთი ერთსულოვანი არჩევანის მიზეზი? ნუთუ მართლა ბებიაჩემის წიგნმა „ჰქმნა“ ყველაფერი?! მაინც რა ვაკეთა ასეთი ახალმა პრეზიდენტმა, „გარდა იმისა“, რომ პოლიტიკური აღზრდა ოკეანის გაღმა მიიღო, სხვადასხვა თანამდებობაზე საჭირო პრაქტიკაც შეიძინა, მოსახლეობის ნდობა და სიყვარული მოიპოვა და ბოლოს, ერთი გაპუტული ვარდი შეატყუა ყოფილ პრეზიდენტს, თითქმის სავესტო ჩაის სანაცვლოდ, რომელსაც, აბდულშაჰილისა არ იყოს, ჯერ მისაღმებაც არ ჰქონდა დამთავრებული პარლამენტში, რომ ეს წყურვილდაუოკებელი ახალგაზრდა ბაში-ანუკივით შეუხტა და ქვიშის საათივით ამოატრიალა „თხუთმეტწუთიანი“ ხელისუფლება.

მოკლედ, საქმე გადაწყვეტილია და აწი „წუწუნი“ რაღას შეცვლის?!. თუ საპრეზიდენტო დაპირებები აასრულა, მერე ნახეთ თქვენ: აქამდე კი ვიყავით „მშვიდად“, სამსახური-სათვის უთენია გაღვიძება ჩვენ არ გვაწუხებდა და ხელფას-პენსიის იმედი; შუქის მოსვლა გვიხაროდა და პირსაც წყლის გრაფიკის მიხედვით, ორ დღეში ერთხელ ვიბანდით; აფხაზეთი ჩვენი საპატრონო არ იყო და სამაჩაბლო... ახლა ისე დამაჯერებლად გაიძახის – ყველაფერს დაგიბრუნებთო, – ვითომ მისი წადებული იყოს. ჰოდა, თუ მართლა დაგიბრუნა, „მალაღებუ ბებიაჩემს“!


P.S. – არჩევნების შედეგები ხომ არ გავივია?
– რა ვიცი, კაცო! იმდენი ხმა აუღია სააკაშვილს, რომ კარგა ხანს ვერ დათვლიან...

– მერე, ვისიც ადვილად ითვლება, ის გამოაცხადონ – დეიდალა ხალხი უპრეზიდენტობის მიმდევარია!



F9147

პროვოკატორი



საპარლამენტო არჩევნები – ჭიდილი ვადის გამო

საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარები- სთანავე, დღის წესრიგში დადგა ხელახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საკითხი. სავარაუდოდ, არჩევნები მარტის პირველ რიცხვებში უნდა ჩატარდეს. ნინო ბურჯანაძის მიერ გაკეთებულ ამ განცხადებას ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები უარყოფითად შეხვდნენ. მათი თქმით, ხე-

ლისუფლებას სურს, ეიფორიაში მყოფი მოსახლეობის კეთილგანწყობით ისარგებლოს, რათა პარლამენტში ერთპარტიული მონოპოლია შექმნას. რატომ ჩქარობს მთავრობა არჩევნების დანიშვნას და რა გზას დაადგება ოპოზიცია იმ შემთხვევაში, თუკი საპარლამენტო არჩევნები მისი მოთხოვნების შესაბამისად, მაისის ბოლოს არ დაინიშნა?



გიორგი თოფაძე, „მრეწველები“:

– ბოლო დროს თითქოს ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ყოველთვე, არჩევნები უნდა დაინიშნოს. ამას საკმაოდ სოლიდური ფინანსები და დიდი დრო მიაქვს. იმ ადამიანებისათვის, ვინც მხოლოდ პოლიტიკით არის დაკავებული, მუდმივად საარჩევნო რეჟიმში ცხოვრება შეიძლება, პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც პოლიტიკის გარდა, სხვა სფეროშიც მოღვაწეობენ. მათთვის სრულიად წარმოუდგენელია მუდმივად საარჩევნო ორომტრიალში ყოფნა. არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხიც: ავირჩიეთ პრეზიდენტი, რომელიც ამბობდა, რომ იბრძოლებს კონტრაბანდის, კორუფციის, გადასახადების ლიბერალიზაციისა და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისათვის. ეს ის საკითხებია, რომლის მოგვარებაც წინა ხელისუფლებამ ვერ შეძლო და ამის გამო, „მრეწველები“ ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. თუკი ახალი პრეზიდენტის დაპირებები მხოლოდ პოპულისტურ განცხადებებად არ დარჩება და რეალურ შედეგს დავინახავთ, მაშინ ოპოზიციაში აღარ ვიქნებით. თუმცა, ახალი ხელისუფლების მოღვაწეობა შეიძლება, სხვა კუთხით წარიმართოს, დასკვნების გამოსატანად კი, დროა საჭირო. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საპარლამენტო არჩევნების მარტში ჩატარება სრულიად გაუმართლებელია.

მიხეილ მაჭავარიანი, „ბურჯანაძე-დემოკრატები“:

– საბედნიეროდ საქართველოში შეიქმნა ისეთი პოლიტიკური ფონი, როცა ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენელზე არ არის დამოკიდებული, თუ როგორი იქნება მომავალი პარლამენტის შემადგენლობა. მარტამდე საკმარისი დროა იმისათვის, რომ ოპოზიციაში მყოფმა ძალებმა ამომრჩეველი დაარწმუნონ იმაში, თუ რა სიკეთეს მოიტანს პარლამენტში ამა თუ იმ პარტიის მოსვლა. თუ ოპოზიციურმა პარტიებმა მარტამდე ამის გაკეთება ვერ შეძლეს, მაშინ ოთხი ან



ექვსი თვის მანძილზეც გაუჭირდებათ ამომრჩეველის გადაბირება. 1999 წლის მოწვევის დეპუტატები საკანონმდებლო ორგანოში აღარ დადიან, მაშინ, როცა უამრავი საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას საჭიროებს. ჩვენი ხელისუფლება ჰგავს ნახევრად დაბადებულ ბავშვს, რომელიც ახალი პარლამენტის გარეშე ქმედუნარიანი ვერ იქნება.

ვალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:

– საპარლამენტო არჩევნების ასე ნაჩქარევად ჩატარებას, კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. თუ საქართველოს პარლამენტი არის ერთპალატიანი, მაშინ არჩევნები უნდა დაეკევილებაროს მაჟორიტარულ სისტემას. ეს არ არის ორპალატიანი

საკანონმდებლო ორგანო, სადაც მაჟორიტარული წესით, ცალკე ხდება არჩევა, პროპორციულით კი – ცალკე. საპრეზიდენტო არჩევნებიდან რ თვეზე ადრე, საპარლამენტო არჩევნების ჩატარება თავისთავად კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, რაც ქვეყანაში სამოქალაქო ომს გამოიწვევს. თუკი არჩევნები მაინც მარტში დაინიშნა, პოლიტიკური სპექტრი შეთანხმდება და ალტერნატიულ პარლამენტს ან ეროვნულ კომიტეტს აირჩევს. ჩვენთვის არჩევნების მაისში ჩატარება სრულიად ნორმალურია და მასში მონაწილეობის მიღების საკითხზე პარტია იმსჯელებს, მაგრამ ხელისუფლებაში აბობლებულ სააკაშვილს და მის გუნდს სხვა გეგმები აქვთ. თუ მათი მხრიდან იქნება მცდელობა, კანონიერების კიდევ ერთხელ დარღვევისა, ასეთ შემთხვევაში, პირობას ვდებ, მონატრებათ რუსთაველის გამზირზე პოლანდიიდან ჩამოტანილი ვარდების



თანხლებით მიმდინარე რევოლუცია. რა-დაც არ უნდა დამიჯდეს, მათ უხნეოდ პარპაშის უფლებას არ მივცემ!

დავით საგანელიძე ახალი დემარკვერეები“:

– საპრეზიდენტო არჩევნები დარღვევებით რომ ჩატარდა, ფაქტია, მაგრამ ჩვენ განზრახ არ ავტყეხთ ამაზე განგაში, რადგან საქართველოს სჭირდებოდა თუნდაც ერთი ლეგიტიმური ორგანო. თუმცა, სა-

პარლამენტო არჩევნების დროს, მსგავსი მიდგომა აღარ იქნება. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ არჩევნებს მხოლოდ და მხოლოდ სიების დასადგენად ვაჭარებთ. საპარლამენტო არჩევნების მარტში დანიშნა პოლიტიკური თვალსაზრისით, სრულიად გაუმართლებელია. ხელისუ-

ფლებას სურს, არაკეთილსინდისიერად გამოიყენოს ის იმპულსი, რომელიც რევოლუციის შემდეგ გაჩნდა ხალხში და აღმინანებს მოვლენების სწორად გაანალიზებისათვის დრო არ მისცეს. ორი თვის განმავლობაში ვერც ერთი ოპოზიციური პარტია ვერ მოასწრებს ამომრჩევლამდე

თავისი სამოქმედო პროგრამის მიტანას. ამის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლებიც აცხადებენ. ჩვენი პარტია არჩევნების მაისისთვის დანიშნვას მოითხოვს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ მოქმედების უფრო აქტიურ ფორმას მივმართავ.

მოსდა თუ არა გარეგნობა ზურაბ ჟვანიასა და ასლან აბაშიძის შორის?



ტყუილ-მართალი რეგიონთან ურთიერთობის შესახებ

— 4 იანვრის არჩევნებს წინ უსწრებდა დაძაბული ურთიერთობა ცენტრსა და რეგიონს შორის. სიტყვიერი შეხლა-შემოსლისა და დაპირისპირების ფონზე, აჭარაში წინააღმდეგობრივი გარემო შეიქმნა, რამაც თავისი ლოგიკური შედეგი გამოიღო. თუმცა, მე მაინც ვერ ვიტყვი, რომ მოსახლეობა პასიური იყო. მოგეხსენებათ, „აღორძინებაშ“ ბოიკოტი გამოუცხადა საპარლამენტო არჩევნებს, მიუხედავად ამისა, ბატონმა ასლანმა შეცვალა თავისი მიდგომა ცალკეული საკითხისადმი და როგორც ავტონომიის მეთაურმა, მონაწილეობა მიიღო არჩევნებში.

— ბატონო ასლანი ხმის მისაცემად საარჩევნო უბნის დახურვამდე ნახევარი საათით ადრე გამოცხადდა, რამაც ალბათ გავლენა მოახდინა მოსახლეობის აქტიურობის დონეზე.

— ვერ ვიტყვი, თუ რატომ მზიდა ასე დაგვიანებით. დილიდანვე ვრცელდებოდა ცნობები იმის თაობაზე, რომ იგი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა. ამის შესახებ რუსული საინფორმაციო წყაროებიც იტყობინებოდნენ. როგორც ჩანს, მისი დაგვიანება მოუცლელობით იყო განპირობებული. მას ძალიან მძიმე რუჟიში უწევს მუშაობა — დილის ცხრა საათიდან, ღამის ოთხ-ხუთ საათამდე. არჩევნების საწინააღმდეგო პროპაგანდას აჭარაში ადგილი არ ჰქონია.

— მაგრამ არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, ჯემალ გოგიტიძემ გააკეთა განცხადება, რომელშიც მოსახლეობამ მსგავსი მონაწილეობა დაინახა...

— გოგიტიძემ თქვა იმის თაობაზე,

მკვეთი განცხადებების მიუხედავად, ცენტრსა და რეგიონს შორის კომპრომისის მიღწევა მოხერხდა და აჭარამ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. თუმცა, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, აჭარის მოსახლეობა მაღალი აქტიურობით არ გამოირჩეოდა. ამ ფაქტს თბილისში აჭარის ავტონომიის წარმომადგენელი ჰამლეტ ჭიპაშვილი ობიექტური მიზეზებით ხსნის: მისი განცხადებით, მოსახლეობაზე ზეწოლასა და ანტისაარჩევნო პროპაგანდას ადგილი არ ჰქონია.

რომ თვითონ არ იღებდა მონაწილეობას და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ არჩევნებს. შემდგომში ეს არჩევნების წინააღმდეგ მიმართულ განცხადებად მონათლეს.

— ბატონო ჰამლეტ, ამბობენ, ზურაბ ჟვანიასა და ასლან აბაშიძეს შორის არსებობს გარიგება, რომ გიორგი აბაშიძე ბატონი ასლანის „მემკვიდრედ“ გამოცხადდება...

— არავითარ გარიგებაზე საუბარი არ შეიძლება იყოს. საქართველოში მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად, თუ გიორგი აბაშიძე არჩევნებში გაიმარჯვებს, მოსახლეობის ნებას წინ ვერავინ აღუდგება, მაგრამ სხვა სახით მისთვის ძალაუფლების გადაცემაზე საუბარი არ შეიძლება იყოს მართებული. რაც შეეხება აჭარის არჩევნებში მონაწილეობის საკითხს — ეს გადაწყვეტილება რეგიონის მეთაურმა 4 იან-

ვრამდე გაცილებით ადრე მიიღო, როცა შეხვედრები გაიმართა ლიმ პასკოსთან, მეთ პრისთან და რიჩარდ მაილზთან, ამას დაერთო აჭარაში ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ჟვანიას ვიზიტები, რომლის შემდგომაც, მე დამამიჯღებელი პროცნოზი გავაკეთე.

— თქვენ ბრძანეთ, რომ აჭარის მოსახლეობას არჩევნების დროს პასიურობა არ გამოუჩენია. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, რეგიონის ამომრჩევლის მხრიდან სააკაშვილის მხარდაჭერა გარკვეულწილად, ასლან აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული...

— მე ასე არ დავსვამდი საკითხს. მოსახლეობა მივიდა არჩევნებზე, რათა საკუთარი კონსტიტუციური უფლებამოვალეობა შეესრულებინა. ვერ ვიტყვი, რომ ამით ასლან აბაშიძის საწინააღმდეგო განწყობა დააფიქსირეს.

— თქვენ თუ მიხვედით არჩევნებზე და ვის დაუჭირეთ მხარი?

— აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის მსგავსად, მეც მივიღე არჩევნებში მონაწილეობა და მხარი დაუჭირე რეალურ კანდიდატს.


— ეი. მიხეილ სააკაშვილს?

— დიას.

— საგანგებო მდგომარეობა თუ გაგრძელდება აჭარაში?

— მე ამის შესახებ ინფორმაცია არა მაქვს, თუმცა რომც გაგრძელდეს, ეს მხოლოდ პოზიტიური შედეგის მომტანი იქნება, რადგან საგანგებო მდგომარეობა იქ პირველ რიგში, სამართალდამცავ ორგანოებში წესრიგის დამყარებას ნიშნავს.

არჩევნის მომენტშიდან მიხეილ სააკაშვილის ტონი შეცვლიდა...



ექვთისა და არაერთი ხელისშემშლელი ფაქტორის მიუხედავად, საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ბუნებრივია, რომ ოპოზიციაში უფრო გაძლიერდა ეჭვი იმისა, შეძლებენ თუ არა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული პარტიები ახალ პოლიტიკურ სივრცეში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, მიხეილ სააკაშვილს უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ყველაზე რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს.

გოგი სოფტარია, პოლიტოლოგი:

— საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახვა, რომ რევოლუცია მხოლოდ რამდენიმე ადამიანის მონაპოვარი არ არის — ეს მთელი ერისთვის დამანასიათებელი ღირსების გრძობის გამოხატვის შედეგია. ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში ხალხს უფრო მაღალი პოლიტიკური ღონის პარტიები და ლიდერები სჭირდება. ამიტომ თითოეული გაერთიანება უნდა ეცადოს, საზოგადოების ღონეზე ასვლას...

— თავად არჩევნების პროცესი რამდენად დემოკრატიული იყო?

— საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პირადად ვიცნობ და მის პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება. ახალი კომისიის წევრებიც ბევრად უფრო ზნეობრივები იყვნენ. თუმცა, ცალკეული დარღვევები მაინც დაფიქსირდა, მაგრამ ამის გარეშე არჩევნები არც ერთ ქვეყანაში არ ტარდება. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ძალზე ცოტა დრო ჰქონდა გაბერილი სიების მოსაწესრიგებლად.

— მაგრამ ამბობენ, რომ ამომრჩეველთა სიების ხელოვნურად შემცირება მოხდა, რათა ამომრჩეველთა 50%-იანი მონაწილეობის პრობლემა არ დამდგარიყო.

— გამორიცხვად არ არის, მაგრამ ჩემი აზრით, რეალურთან შედარებით, ცდომილება 5-10%-ის არ უნდა აღემატებოდეს, რაც საბოლოო შედეგზე არ იმოქმედებს. ისიც ხომ ფაქტია, რომ ახალ ხელისუფლებას გაყალბება არაფერში სჭირდებოდა?! ნებისმიერ შემთხვევაში, არჩევნებში სააკაშვილი გაიმარჯვებდა.

— მიხეილ სააკაშვილმა ხმათა 96% მიიღო. ეს ფაქტი თავად მისთვის მაინცდამაინც სასარბილო არ უნდა იყოს...

— კონსტიტუციული ოპოზიციის დეფიციტი არა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის, არამედ მთელი ქვეყნის პრობლემაა. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სააკაშვილმა რაღაც ტიპის კონკურენცია — ე.წ. პრაიმერის (ე.წ. პირველადი არჩევნები, რომელიც აშშ-ში ტარდება. — ავტ.) არჩევნების დანიშნავად გაიარა: როცა რევოლუციის შემდეგ დაისვა საკითხი, თუ ერთიანი ბლოკიდან ვის უნდა ეყარა კენჭი — ნინო ბურჯანაძეს თუ მიხეილ სააკაშვილს, — არჩევანი ამ უკანასკნელ-

ის სასარგებლოდ გაკეთდა, რადგან, ბურჯანაძეც აღიარებდა, რომ მოსახლეობა უფრო მეტად სააკაშვილს უჭერდა მხარს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დიდი პროცენტით გამარჯვება პრეზიდენტისათვის ამ ეტაპზე საჭიროც იყო, რადგან ახალ მთავრობას ისეთი რთული ამოცანები აქვს გადასაწყვეტი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში, რომ ეს კოეფიციენტი მათ ქმედებს ზურგს გაუშვარებს. როცა შენ უკან მთელი ერი დგას, მაშინ რუსეთისთვისაც კი ანგარიშგასაწვევი ფიგურა ხდები! ახლა კი, ოპოზიცია უნდა გამოლიანდეს და შეიქმნას ის ძალა, რომელიც პრეზიდენტს ფხიზლად ამყოფებს...

— ამგვარი მხარდაჭერის მიღმა დიდი მოლოდინი იკითხება. რა პერიოდში მოსთხოვს ახალ მთავრობას ხალხი დანაპირების შესრულებას?

— ახალ მთავრობას დაახლოებით ერთწლიანი ვადა აქვს იმისათვის, რომ რეალური შედეგი აჩვენოს საზოგადოებას. მისგან სასწაულს არავინ მოითხოვს. ცხადია, ხალხის მოთმინება უსაზღვრო არ არის. მოსახლეობამ ყოველკვირა, ყოველთვე უნდა იგრძნოს, რომ მისი კეთილდღეობისათვის კონკრეტული ნაბიჯები იღებენ, თუნდაც — მცირედი შედეგის მომტანი.

— ბატონო გოგი, სახელისუფლებო ბლოკის რეიტინგი იმდენად მაღალია, ალბათ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციურ ძალას გამარჯვების შანსი თითქმის აღარ რჩება. თქვენი აზრით, საჭირო ხომ არ არის, 7%-იანი ბარიერის 3-4%-მდე შემცირება?

— ოპოზიცია იმ შემთხვევაში შეძლებს პარლამენტში მოხვედრას, თუკი გაერთიანებას მოახერხებს. ვეთანხმებით — ოპტიმალური იქნება, საარჩევნო ბარიერის 4%-მდე დაყვანა. რევოლუციის შემდეგ, როგორც წესი, პოლარიზაციის პროცესი იწყება. ასე მოხდა საქართველოშიც. ისეთი პოპულარული გახდა სააკაშვილი და მის გარშემო შემოკრებილი ბირთვი, ახლა მათ საკუთარ კანდიდატად მანკეციც რომ დააყენონ, მოსახლეობა მასაც დაუჭერს მხარს. ბუნებრივია, „ნაციონალურსა და დემოკრატებს“ პარლამენტში უმრავლესობა ეკუთვნით. თუ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვლენ, არც ეს იქნება ურიგო, რადგან ახალ გუნდს მნიშ-

ვნელოვანი ცვლილებები აქვს გასატარებელი. მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში უნდა იყოს ძალა, რომელიც განსხვავებულ აზრს დააფიქსირებს. შემარჯვენე იდეოლოგიის პარტიები უნდა გაერთიანდნენ. მათ გამარჯვების შანსი აქვთ, ისევე, როგორც ლეიბორისტებს.

— როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, მიხეილ სააკაშვილი განსხვავებულ აზრსა და კრიტიკას ვერ აიტანს.


— დღესდღეობით, ამის წინაპირობას ვერ ვხედავ. თუმცა, საშიშროება არსებობს, რადგან არჩევნები მან ძალზე მაღალი პროცენტული მანქანებით მიიგო. თავის დროზე, ზვიად გამსახურდიამ სწორედ ამ გამოცდას ვერ გაუძლო. ეს სირთულე სააკაშვილმა უნდა გადალახოს, თორემ, მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდება...

— რამდენად მართებულია პარალელები, რომელსაც დროადადრო ზვიად გამსახურდიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის ავლებენ?

— ამ მსგავსებაზე ზოგი მტრულად ლაპარაკობს, ზოგი კი — კეთილგანწყობით. ცალკეულ ძალებს იქნებ, სურთ კიდევ, რომ სააკაშვილმა გამსახურდიას ბედი გაიზაროს... იმედი მაქვს, ასე არ მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მსგავსების ელემენტები ნამდვილად არსებობს: ორივესთვის დამანასიათებელია ქარიზმატულობა, მასების მოჯადოების უნარი, გამოსვლის ემოციური ტონი...

— თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს, სააკაშვილის ტონალობა შერბილდა, მის გამოსვლებში თითქოს ემოციებმა იკლო...

— თავიდანვე ვამბობდი: 'როცა სააკაშვილი პრეზიდენტი გახდება, მისი ემოციური ტონი მკვეთრად შეიცვლება-მეთქი... მიტინგს თავისი ენა აქვს, ქვეყნის პირველი პირი კი, იქ წარმოთქმულის მსგავს განცხადებებს აღარ გააკეთებს, რადგან ის არა ქუჩაში გამოსული ოპონენტი, არამედ ქვეყნის მიერ არჩეული სახელმწიფო მეთაურია. სააკაშვილს აქვს უდიდესი კაპიტალი — ხალხის ნდობა! მან ბევრი უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ ეს იმედი 100%-ით თუ არა, 80%-ით მაინც გაამართლოს.



ახალი პრეზიდენტის პირველი ნაბიჯი — ჯილდო თითოეულ ახალშობილზე...

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ჯერ ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ უკვე ცხადია, რომ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი ევოლუბა და ის მიხილ სააკაშვილი იქნება. ასე რომ, „ხავერდოვანი რეგოლუცია“ „ხავერდოვანი არჩევნებით“ დასრულდა. შიში არჩევნების ჩაშლის შესახებ არ გამართლდა. სამაგიეროდ, გაჩნდა ახალი შიში — რას მოგვითქვამს ახალი პრეზიდენტი? შეძლებს კი დაპირებების შესრულებას? არადა, ყოფილ ოპოზიციას და იმ ადამიანებს, ვინც ნოემბრის მოვლენების დროს, სააკაშვილს მხარში ამოუდგა, უამრავი სურვილი და მოთხოვნა აქვთ. რას ურჩევდით ახალ პრეზიდენტს? როგორი უნდა იყოს მისი პირველი ნაბიჯები? ამ კითხვებზე ჩვენმა რესპონდენტებმა მეტისმეტად კონკრეტული პასუხებიც კი გაგვცეს.

ლელა ჭანკობაძე

ზურაბ ტყემალაძე, ფრაქცია „მრეწველები“:

— ახალმა პრეზიდენტმა სოციალური პრობლემების მოგვარებაზე უფრო მეტი უნდა იფიქროს და არა სიმდიდრის გარეგნული ნიშნით გადასახადის დაწესებაზე. აშენებული სახლისთვის მეპატრონე დღესაც იხდის გადასახადს, რაც ფემინებელურ სახლზე გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი, იაფფასიანი ბინის გადასახადი. ცხადია, ძვირად ღირებული მანქანის განააგებაც უფრო ძვირი ღირს, ვიდრე იაფფასიანის. ეს თანხები ბიუჯეტში რომ შედიოდეს, ნამდვილად აღარ იქნებოდა საჭირო, დამატებითი გადასახადების შემოღება. სილატაკესთან ბრძოლა ახალმა პრეზიდენტმა ამით უნდა დაიწყოს და არა იმით, რომ მდიდრებს გამოუცხადოს ომი. მომავალმა პრეზიდენტმა პირველ დღესვე უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები და ისეთი სტრატეგიული მოქმედების გეგმა შეიმუშაოს, რომლის მეშვეობითაც საქართველო ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზას დაადგება და ცივილიზებული ევროპული სტანდარტების სახელმწიფოდ იქცევა. თუ პრეზიდენტს ქვეყნის რეალური წინსვლის სურვილი არ ექნება, რადიკალურად არაფერი შეიძლება. არადა, მე ასეთ ცვლილებებს ველი.

ზაპარია ძუცნაშვილი, სოციალისტური პარტია:

— რამდენიმე თვის წინ, პარლამენტმა მიიღო კანონი — „მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის“ შესახებ. ამ კანონით მეცნიერებისა და პედაგოგების ხელფასები 2004 წლის პირველი იანვრიდან უნდა გაზრდილიყო. კანონის თანახმად,

წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს, რომელიც ამჟამად 61-ლარიან ჯამაგირს იღებს, ხელფასი 265 ლარი გაუხდება, დოცენტს, რომელიც 53 ლარს იღებს — 236 ლარი. საქართველოში სულ 57 სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, რომელშიც 44.000 მეცნიერია დასაქმებული, აქედან 28.000-ს სამეცნიერო ხარისხი აქვს. ამ კანონის სისრულეში მოყვანა ახალი ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს.

ნოდარ გრიგალაშვილი, „ნაციონალური მოძრაობა“:

— ჩვენს ქვეყანაში პროსტიტუცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. მართალია, ახალ პრეზიდენტს უამრავი, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა აქვს მოსაგვარებელი, მაგრამ ამ საკითხისთვისაც უნდა მოიცალოს. ჩვენი წინაპრები თავს იკლავდნენ, ქალს რომ სახელი და სიწმინდე არ შეჰბღალავოდა. დღეს კი, ქართველი ქალები საკუთარი ნებით ყიდნიან სხეულს. პროსტიტუცია ყველა ქვეყანაშია, საქართველოშიც ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ის არ უნდა იქცეს ერის ღირსების შეურაცხმყოფლად. ამიტომ ჯობს, პროსტიტუციის ლეგალიზაცია მოხდეს.

ჯემალ შკუასელი, „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:

— ქართული ხალხური სიმღერა იუნესკომ აღიარა, როგორც შედეგური. ის დაიღუპება, თუ სოფლად არ იმღერებენ. საქვეყნო მნიშვნელობის საქმე იქნება, თუ სოფლად ხალხს სიმღერით დაასაქმებენ, სიმღერა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი უნდა გახდეს!.. ჩვენს სახელმწიფოს ქართული კულტურა წინ დროშასავით უნდა მიუძღოდეს. ნომერ პირველი პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას, ის არის,

რომ ფოლკლორში დასაქმებული ხალხი არ უნდა იბერებოდეს ჩვეულებრივი რეჟიმით. უეჭველად უნდა გატარდეს რეფორმა.

ბოდარძი ჩონელი, მწერალი, კინორეჟისორი:

— მინდა, რომ მომავალმა პრეზიდენტმა სოციალური პრობლემები მოაგვაროს. ვურჩევ, ხალხის გვერდით დადგეს. როგორი პრობლემებიც არ უნდა წარმოიქმნას, ხალხთან კონტაქტი მაინც არ დაკარგოს და ხალხის ცხოვრებით იცხოვროს. ხალხი ახლის მოლოდინშია. ყველა დაიღალა. უმეტესობა სიღუფშია და გაუსაძლის ყოფით პრობლემებს ვეღარ უმკლავდება. ამიტომ, პრეზიდენტის პირველი ნაბიჯი სწორედ ხალხის გულის მოგება უნდა იყოს; შემდეგი კი, საშინაო და საგარეო პრობლემების მოგვარება და ერის გაერთიანება.

ალექო ცაიციშვილი, სტუდენტი:

— მიხილ სააკაშვილს ვურჩევ, ოფიციალურ მოსკოვთან ურთიერთობის მოწესრიგებას. რუსეთში გარკვეული ძალები უკან არ დაიხევენ და ყველა ღონეს იხმარენ საქართველოს ხელში ჩასაგდებად. შეიძლება ამისთვის ბრმა იარაღად იგორ გიორგაძე გამოიყენონ. ამიტომ, მისგან მტრის ხატი კი არ უნდა შექმნან, ის უნდა შემოირიგონ. მას უნდა მისცენ უსაფრთხოების გარანტიები. ჩვენ თავად არ უნდა მივცეთ რუსეთს იარაღი ხელში. ჩემი აზრით, ეს იარაღი იგორ გიორგაძეა.

ბარბა გვილაიაძე, სტუდენტი:

— ახალი პრეზიდენტის პირველი ნაბიჯი უნდა იყოს დედაქალაქის მოვლად-დასუფთავება. მართალია, ეს ქალაქის მერის მოვალეობაა, მაგრამ პრეზიდენტმაც უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ბოლო მიუღოს ჩაბნელებულ ქუჩებსა და სიბინძურეს. ევროპის ბევრ ქალაქში ვარ ნამყოფი და გული მწყდება, რომ ყველაზე დაბინძურებული მათ შორის, ჩვენი დედაქალაქია. თბილისის სახეს უწინ, ფარნები, ფაეტონები და მიკიტნები ქმნიდნენ, ახლა — ნაგავსაყრელები, მაწანწალა ძაღლები და მათხოვრები.

ციცინო ბეროშვილი, ექიმ-პედიატრი:

— ახალი პრეზიდენტის ყველაზე კეთილშობილური ნაბიჯი ის იქნება, თუ დააწესებს ჯილდოს ყოველ ახალშობილზე. სამშობიარო სახლები უფასო უნდა გახდეს. ახალშობილის მშობლებს ბავშვის საკვები უფასოდ უნდა ურიგდებოდეთ. უნდა აიკრძალოს აბორტი პირველი ორსულობის დროს. ყოველ ქალს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მის ახალშობილზე სახელმწიფო იზრუნებს.

ცნობილ ადამიანებსა და ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ერთი კითხვით მივმართეთ: რომელ პოლიტიკურ მოღვაწეს ისურვებდით შეგვლედე? რატომღაც გვეგონა, რომ უმეტესობა იმ პოლიტიკოსებს აირჩევდა შეგვლედე, რომლებსაც მაღალი რეიტინგი აქვთ, მაგრამ ხმაურიანი პოლიტიკოსები სასურველი შეგვლედეები არ აღმოჩნდნენ...

ლელა ჭანკოტაძე

ბივი ბერიკაშვილი:

— სამწუხაროდ, მეკვლე არასდროს ვყოფილვარ. შეიძლება, ეს იმის გამო მოხდა, რომ ამ რიტუალის ძალიან მჯერა და არ მინდა, ვინმეს ჩემი ფეხის გამოისობით, არეულობა ან ტკივილი მიუტანო... ჩვენს ოჯახში მეკვლე ჩემი შვილიშვილია. აქამდე, ხან მეზობლები შემოდიდოდნენ მეკვლედ, ხან ნაცნობ-მეგობრები. კარგი წლები არ გვქონდა და ამიტომ, რაც გივი წამოიზარდა, მეკვლის ფუნქცია მას დავაკისრეთ. თუ ჩვენთან მეკვლედ პოლიტიკოსი მოვიდოდა, ვისურვებდი, ისეთი მოსულიყო, რომელსაც გინება არ ეცოდინებოდა. ასეთი პოლიტიკოსი ქალბატონი ნინო ბურჯანაძეა.

ოთარ რამიშვილი:

— ჩემს ოჯახში მეკვლედ თითქმის ყველა ცნობილი ადამიანია ნამყოფი. ბევრჯერ, მინისტრის მოადგილეც მიმიყვანია, რამდენჯერმე, პირველ იანვარს, შინ კულტურის მინისტრთან ერთად მოვედი. წარმოიდგენთ ალბათ, მინისტრის მეკვლეობა რა საამაყოა!.. ასეთი წესი მაქვს: 12 საათს შევეგებები და შემდეგ ვიძინებ. ახალ წელს ყოველთვის ფხიზელი ვხვდები, პირველი იანვრიდან ვიწყებ ქეიფს და მერე, მთელი წელი ჩემია!.. წელს დიდი სურვილი გვაქვს მე და ჩემს მეუღლეს, რომ ჩვენი მეკვლე ელუარდ შევარდნაძე იყოს. გვინდა, ამ სიტყვამ როგორმე მასთან მიადწიოს — იქნებ, სურვილი აგვისრულოს და გვესტუმროს.

თათია ბიორგოპიანი:

— მე არასდროს ვყოფილვარ მეკვლე. განა იმიტომ, რომ არ მჯერა, თითქოს მეკვლე რამეს შეცვლის რომელიმე ოჯახის ცხოვრებაში — უბრალოდ, მეშინია, ვინმესთვის უნებურად უსიამოვნების მომტანი არ აღმოვჩნდე. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უთქვამთ მეგობრებს — რა



„ეპილოგა ჩემთვის ახლა ყველაზე მეტად ფასობს“

კარგია, რომ შეგხვდით, შენი შეხვედრა კარგად გვაქვს დაცდილიო, — ჩვენს ოჯახში მეკვლე ყოველთვის დედაჩემის და, ეკა გოდერძიშვილია. მას კარგი ფეხი აქვს. ამიტომ ყოველთვის წინასწარ ვიჭერთ ხოლმე თადარიგს, რომ პირველად ჩვენთან მოვიდეს. ბოლო ორი წელია, რაც ძალდი შეიძინა და ახლა, თავის ინგლისურ სპანიელთან ერთად მოდის ხოლმე. როგორც კი ფეხს შემოდგამს, მაშინვე ვუყრით კანფეტებს და მხიარული შეძახილებით ვეგებებით. რაც თავი მახსოვს, სხვა მეკვლე არც გვეყოლია... პოლიტიკოსებიდან კი, მეკვლედ მიხეილ სააკაშვილს ვისურვებდი. კარგი იქნებოდა, თუ ახალი იდეები, სიახლეებისკენ ლტოლვა და მისი მსგავსი ბრძოლისუნარიანობა დაგვებლებოდა მე და ჩემს ოჯახს.

თამარიკო ჭონონელიძე:

— რაც თავი მახსოვს, მეკვლე ვარ დედაჩემის და მამაჩემის ოჯახში. ასე იყო ყოველთვის. ეს ტრადიცია გათხოვების შემდეგაც არ დავარღვეე და ყოველ წელს, მათთან მეკვლედ მივდივარ. ჩემს ოჯახში კი, მეკვლე ვაი არის ხოლმე. სანამ თორმეტი საათი გახდება, შინიდან გადის. როგორც კი ახალი წელი დადგება,

კანფეტებით ხელდამშვენებული, კარზე აკაკუნებს; ჩვენ მას გოზინაყს ვახვედრებთ. პოლიტიკური მოღვაწეებიდან, მეკვლედ ნინო ბურჯანაძეს ვისურვებდი. დარბაისელი, გონიერი, გაწონასწორებული, მისაბაძი ქალბატონია. მის მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განმსჭვალული. თუ ჩემი ოჯახის მეკვლე იქნებოდა, დარწმუნებული ვარ, უკეთესი ცხოვრების იმედს მოგვიტანდა.

ნეკა სეზისკვირაძე:

— ყოველ ახალ წელს, ოჯახის მიღმა ვხვდები — ხან მეგობრებთან, ხან კონცერტებზე, ამიტომ ოჯახში მეკვლე ყოველთვის მე ვარ. შინ კანფეტი შემაქვს, მშობლები კი გოზინაყს მახვედრებენ. პოლიტიკოსი მეკვლედ ნამდვილად არ მინდა. სიამოვნებით მივიღებდი მეკვლედ ზაზა შენგელიას — ძალიან მიყვარს და დარწმუნებული ვარ, ჩემს ოჯახში ბედნიერებასა და უღვე სიხარულს შემოიტანდა.

ეკა სტაფანიშვილი, ხაშურის მკვიდრი:

— მეკვლედ, შალვა ნათელაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის გარდა, ნებისმიერ პოლიტიკოსს ვისურვებდი: მეამბოხე ადამიანი თავისი ფეხით ოჯახში ხმაურსა და აყალმაყალს შემოიტანს. რევოლუციონერი, მეკვლედ ნამდვილად არ მინდა. ასლან აბაშიძე მირჩენია — კარგი დიპლომატია, იცის, შეტევაზე როდის გადავიდეს და უკან როდის დაიხიოს. გაწონასწორებულია, მდიდარიც... დარწმუნებული ვარ, კარგი ფეხი ექნება.

ნიკო ჯიჯაშვილი, სამტრედიის რ-ნის სოფ ლანირის მკვიდრი:

— მეკვლედ ბადრი პატარკაციშვილს ვისურვებდი. ალბათ, ოქროს ფეხი აქვს. ხვარეილი წელი დამებედებოდა. რაც შეეხება პოლიტიკოსებს — კარგი ფეხი ვახსენებ რჩეულიშვილს ექნება: იუმორი აქვს, ფულიც, უზრუნველი ცხოვრებაც. თეთრი თმაც ხელს უწყობს. ბედნიერი კაცია, ამიტომ ჩემს ოჯახშიც ბედნიერებას მოიტანდა.

პაატა კაციტაძე, გორის მკვიდრი:

— თუ ჩემს ოჯახში მეკვლედ ავთო იოსელიანი ან ვალერი ხაბურძანია მოვიდოდნენ, მთელი წელი მშვიდი და სტაბილური მექნებოდა, ჩემს ოჯახს საფრთხე არ დაემუქრებოდა, ეზოდან ქათამსაც კი ვერავინ მოიპარავდა. მშვიდობა ჩემთვის ახლა ყველაზე მეტად ფასობს!..

რომელმაც ხვალინდელი საქართველო უნდა ააშენოს... სადამოს კი, როცა რუსთაველზე გავიარეთ და ხალხი მადლობას გვიხდოდა, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ვიზრდებოდი. ამას მართლაც არაფერი შეედრება!..

— დღეს რითი ხართ დაკავებული? თქვენს სახელთან დაკავშირებულ რა სიახლეს შეიძლება ველოდეთ უახლოეს მომავალში?

— პროექტი, რომელიც უკვე განხორციელდა, ჩემთვის უკვე განვლილი ეტაპია. უბრალოდ, მთხოვეს და მეც გავაკეთე ის საქმე, რომელიც კარგად ვიცი. ამჟამად ვისვენებ, ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ 2-3 თვე ნამდვილად მჭირდება „რეაბილიტაციისათვის“. მაქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც ტელევიზიაში მიღებული სტრესების შედეგია — იქ ბევრი დამცირება და შეურაცხყოფა გადავიტანე... საახალწლოდ, ჩემი ქალიშვილი ჩამოვიდა ინგლისიდან და იმის შეგრძნებამ, რომ შეილი ახლოს მყავდა, ძალიან დიდი სტიმული მომცა.

— ალბათ, დიდხანს არ აპირებთ უმუშევრად ყოფნას...

— მაქვს საინტერესო შემოთავაზებები, რომელიც ისევ ტელემედიას უკავშირდება. მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობ.

— რის მიხედვით შეარჩევთ სამსახურს? სადაც მეტ ანაზღაურებას შემოგთავაზებენ, იქ ნახვალთ?

— ვიმუშავებ იქ, სადაც შემეძლება ყველაფერი გავაკეთო ისე, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ, სადაც შემოქმედებითი და პროფესიული თვისებების გამოვლენის შესაძლებლობა მექნება. სახელმწიფო ტელევიზიაში, იმის გამო, რომ ამ ტელევიზიის განახლებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ჩვენი შესაძლებლობების მხოლოდ 10% გამოვავლინეთ. აი, ამის გამო მწყდება გული. თუკი ახლანდელი ხელმძღვანელობა რეფორმატორულ კურსს განაგრძობს, მე ჩემს ცოდნას, გამოცდილებასა და ინფორმაციას, რომელიც საზოგადოებრივი ტელევიზიის თითქმის ყველა მოდელის შესახებ მაქვს, სიამოვნებით გავუზიარებ. ნოსტალგია „პირველი არხის“ მიმართ ნამდვილად არა მაქვს, რადგან ჯერ არ დამეწივებია, სულ პატარა ცვლილებებიც კი, რამხელა ნერვიულობის ფასად მიჯდებოდა. თუმცა, ახალი ხელმძღვანელობის გულშემატკივრად ვრჩები.

— ახლა ხომ არ ფიქრობთ, რომ ჯობდა, თქვენც და თქვენს

მეუღლესაც პროტესტი სხვა ფორმით გამოგხატათ? ბევრმა ადამიანმა, ვინც შევარდნადის პრეზიდენტობის დროს თანამდებობაზე იყო, შეინარჩუნა თავისი პოსტი. და დღეს ისევ მოვლენების ეპიცენტრშია...

— ჩემ მიერ გადადგმულ ნაბიჯს ნამდვილად არ ვნანობ, იმიტომ, რომ ეს იყო პროფესიული პრინციპების შენარჩუნების დასაცავად გამოთქმული პროტესტი. თანამდებობა ჩემი იდეფიქსი არასოდეს ყოფილა. გადაწყვეტილება, რომ მე ტელევიზია უნდა დამეტოვებინა, პრეზიდენტის შინაშენამდე 4 დღით ადრე მივიღე. „პირველი არხისადმი“ ეღუარდ შევარდნადის დამოკიდებულებაში ბევრი დადებითი მომენტიც იყო. მაგალითად, პრეზიდენტის დახმარებით შევქმელით ახალი აპარატურით ტელევიზიის უზრუნველყოფა. მაგრამ ბოლო პერიოდში, პრეზიდენტზე ძალზე დიდ გავლენას ახდენდა გარემოცვა, რომლისთვისაც ტელევიზიის მართვის ჩემული მოდელი მიუღებელი იყო. გადადგომის შესახებ მიღებული ჩემი გადაწყვეტილების შესახებ იცოდნენ რეზო ამაშუკელმა, პაატა შევარდნაძემ, რომელიც ჩემი მეგობარია, სულხან პაპაშვილმა და ვალერი ხაბურდანიამ. მათ იცოდნენ, არჩევნების პერიოდში თუ როგორ გაიზარდა პრეზიდენტის გარემოცვის ზეწოლა ჩემზე; მოგვიანებით გავიგე, რომ შევარდნაძემაც ჩემი თანამდებობიდან წასვლის გამო გულისტკივილი რამდენიმე პიროვნებას გაუზიარა.

— შეიძლება ითქვას, რომ თქვენმა გადაწყვეტილებამ მეუღლის კარიერაც იმსხვერპლა...

— მე არანაირი გავლენა არ მომიხდე-

ნია სესილიზე, მან დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება; მიაჩნდა, რომ უხერხული იქნებოდა თანამდებობაზე მისი დარჩენა, რადგან იგი ჩემი თანამოაზრეც გახლდათ. თუმცა, იყო აზრთა სხვადასხვაობაც: სესილის მიაჩნდა, რომ მე ყოველგვარი პრესკონფერენციის გარეშე უნდა წავსულიყავი ტელევიზიიდან, მე კი ვთვლიდი — რომ გაქრუმებულიყავი, ჩემს კოლეგებთან მართალი არ ვიქნებოდი. მართალი არ ვიქნებოდი, თუ საჯაროდ არ შევაფასებდი მოვლენებს და არ ვუპასუხებდი პრეზიდენტის განცხადებას.

— კი უპასუხებთ, მაგრამ პოსტები დატოვეთ... თუმცა, როგორც წინდახედულ ადამიანებს სჩვევიათ, თქვენ ალბათ წინასწარ იზრუნებდით იმისათვის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მატერიალურ გაჭირებაში არ ჩავარდნილიყავით...

— ჩვენ გვქონდა დანაზოგი, რომელიც დეკლარირებულიც გვაქვს და სამსახურსაც მალე ვიმოვიოთ. ასე რომ, ვფიქრობ არ გავვიჭირდება. სესილისაც აქვს შემოთავაზებები, მათ შორის, ძალიან საინტერესოც. ალბათ შეარჩევს მისთვის მისაღებ წინადადებას. პარალელურად ის სადოქტორო დისერტაციის დაცვას აპირებს და ჩემი აზრით, უკვე მუშაობს ძალზე საინტერესო თემაზე. საერთოდ მე მეცოდება ის ადამიანი; ვინც სავარძელზეა მიჯაჭვული და მისი დაკარგვისთანავე, კარგავს საზოგადოებაში მდგომარეობას. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩვენ და ჩვენი მეგობრების ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა. ჩემი აზრით, თანამდებობაზე ისეთი ხალხი უნდა დაინიშნოს, ვისთვისაც ამ თანამდებობის დაკარგვა ტრაგედია არ

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ტენზიკი
ბთააზრობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:
 საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
 პროგრამირება და ვებ-დინამიკი.
 შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
 საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაიფიქრან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
 დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
 15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
 დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
 33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

იქნება. სანამ „პირველ არხზე“ მივიდოდი, ჩამოვაყალიბე „იბერიზია“, „თი-ბი-სი თივისტუდო“, — გავაკეთე ტელეფესტივალი „მანა“ და მონაწილეობა მივიღე ტელეკომპანია „მზის“ დაფუძნებაში. არ ვიცი, როგორ წარმართება ჩემი შემდგომი საქმიანობა, მაგრამ ვიცი, რომ ის ყოველთვის ტელევიზიასთან იქნება დაკავშირებული.

— არადა, ამბობენ, ზაზა შენგელია უკვე დიდმა ბიზნესმა გაიტაცაო...

— კი, იყო ამაზე საუბარი, მაგრამ ეს ისევ მედია-ბიზნესთან იყო დაკავშირებული. პირაკომპანიასა და იმიჯმეიკინგის სფეროდან მართლაც მქონდა შემოთავაზებები. ამ საკითხზე ჩემთან მოლაპარაკებებს ახლაც აწარმოებენ, მაგრამ ჯერ არანაირი გადაწყვეტილება არ მიმიღია.

— საინტერესოა, თქვენს ოჯახში ყველაზე ხშირად რომელ არხზეა ტელევიზორი გადართული?

— ჩვენ „ბი-ბი-სის“ ვუყურებთ — ეს ჩემი იდეალია!.. რაც შეეხება ქართულ არხებს — ყველას ვუყურებ, თუმცა დღეს არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ „რუსთავი 2“ ლიდერია. ჩემი თავმჯდომარეობის დროს „პირველი არხი“ და „რუსთავი 2“ იყო დომინანტი ტელეკომპანიები და სარეკლამო ბაზარი მათ შორის იყო განაწილებული. საერთოდ ასეა — ტელეკომპანიის რეიტინგი მასში რეკლამის რაოდენობით განისაზღვრება. მაყურებლისთვის ბრძოლაში ვითარდება ტელევიზიები და ეს პროცესი საქართველოში ძალზე სწრაფად მიმდინარეობს. ტელევიზია მთელ მსოფლიოში ფუფუნების სა-

ნად ითვლება და მისი მფლობელებიც ძალიან მდიდრები არიან. მე არა მაქვს იმდენი ფული, რომ ისეთი ტელევიზია შევქმნა, როგორც ჩემი იდეალია, მაგრამ მაქვს ინტელექტუალური შესაძლებლობები, გამოცდილება, ორგანიზატორული თვისებები და თუ ეს სხვის ფულს შეერწყმება, ვფიქრობ, ცუდი ტელევიზია არ გამოვა.

— მერე ვის ფულთან უნდა „შეაჯვაროთ“ თქვენი ცოდნა?

— ტელევიზიის ისე უნდა შეხედო, როგორც მომგებიან საქმეს. შეიძლება, გქონდეს იმის ფუფუნების საშუალება, რომ ტელევიზია დოტაციით კვებო და იქით იხდიდე ფულს სიგნალის გავრცელებისა და სხვა რალაცებისთვის, მაგრამ ეს არასწორი მენეჯმენტია... მე ვფიქრობ რალაც ახალზე, ახალ ტელევიზიაზე.

— მოქმედი კანონის თანახმად, სახელმწიფო არხის ხელმძღვანელს ისევ პრეზიდენტი ნიშნავს, დამოუკიდებელი მასმედიის გაკონტროლებას კი, ხშირ შემთხვევაში, საგადასახადო სისტემის მეშვეობით ცდილობენ. თქვენ გაქვთ ყოფილი ხელისუფლებისგან ზენოლის პირობებში მუშაობის გამოცდილება და ახალი ხელისუფლების არჩევის შემდეგაც ისევ მასმედიაში აპირებთ მუშაობას. საინტერესოა, რას ურჩევდით ხელისუფლებისა და მასმედიის წარმომადგენლებს?

— როცა 1997-98 წლებში, სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ ვმუშაობდი, ერთ-ერთი იმათგანი ვიყავი, ვინც გადასახადებისგან ბეჭდვითი სიტყვის გათავისუფლებაში შეიტანა წვლილი. იმ

დროიდან მოყოლებული, აღარ იბეგრება საბუჯტი ქალაქის ქვეყანაში შემოტანა. ხელისუფლებამ ისეთი კანონი უნდა მიიღოს, რომ გარკვეული დროით 3-5 წლით მაინც გაათავისუფლოს მასმედია გადასახადებისგან. ეს ხელს შეუწყობს მედიასპექტრის „დალაგებას“.

— მაგრამ შესაძლოა, ხელისუფლებამ გაძლიერებული მასმედიის სახით, საკუთარი სახრჩობელა შექმნას...

— არანაირი სახრჩობელა არ შეიქმნება — ეს უბრალოდ იმის საშუალებას მისცემს საინფორმაციო საშუალებებსა და ცალკეულ ჟურნალისტებს, რომ პატიოსნად ემსახურონ თავიანთ საქმეს. შემდეგ მედიის თვითრეგულირების მექანიზმები შეიქმნება და პრესის ომბუდსმენის მსგავსი ინსტიტუტიც ჩამოყალიბდება. საზოგადოებრივი ტელევიზია არ წარმოადგენს უნაკლო მოდელს, მაგრამ როგორც უინსტონ ჩერჩილმა თქვა დემოკრატიაზე — ის არ არის საუკეთესო რამ, მაგრამ კაცობრიობას ჯერ ამაზე უკეთესი მმართველობის ფორმა ვერ გამოუგონიაო... იგივე შეიძლება ითქვას საზოგადოებრივ ტელევიზიაზეც, ეს იქნება რეალურად ხალხის ტელევიზია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტისა და ფინანსთა მინისტრის ნაცვლად, თავის ტელევიზიას თვითონ ხალხი შეინახავს. ეს ნიშნავს იმას, რომ მის ხელმძღვანელს, პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტიდან არჩეული 9-კაციანი საბჭო დანიშნავს. „პირველ არხს“ ეს მოდელი რომ ჰქონოდა, მე გადადგომა არ მომიწევდა. ვეროპულ ქვეყნებში არსად აღარ არის სახელმწიფო ტელევიზია. სხვათა შორის, როცა მიშა სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი იყო, მან დაიწყო ჩემთან ერთად ტელევიზიის საზოგადოებრივად გარდაქმნის საკითხზე მუშაობა. ამ მიმართულებით მას, ირაკლი ოქრუაშვილსა და ზურაბ ჟვანიას მართლაც, ბევრი რამ აქვთ გაკეთებული და ამ ხელისუფლებას ყველაზე კარგად ესმის მასმედიის როლი და მის წინაშე მდგარი პრობლემები. თავისუფალი სიტყვის დასაცავად სააკაშვილმა ბევრჯერ იომა და ვფიქრობ, მთელი მისი მოღვაწეობა მასმედიასთან თანამშრომლობის რეჟიმში წარმართება. პრესას კი მოუწოდებ, რომ მეტი ადგილი დაუთმოს პოზიტიურ მასალებს. ხალხი უნდა გათავისუფლდეს იმ აზრისაგან, რომ ის ცხოვრობს იმპოტენტ სახელმწიფოში, იმ იმპოტენტი მოსახლეობის გვერდით, რომელსაც ჯანმრთელი სახელმწიფოს შექმნა არ შეუძლია...



საახალწლოდ, ჩემი ქალიშვილი ჩამოვიდა ინგლისიდან და იმის შეგრძნებამ, რომ შეიღი ახლოს მყავდა, ძალიან დიდი სტიმული მომცა

მერაბ სეფაშვილს თურმე ხშირად უნევს დალევა, რაც მისი ოჯახის წევრებს მაინცდამაინც დიდ სიხარულს არ ანიჭებს. სანდროს არ ჰყვარებია, მამა შინ ნასვამი რომ ბრუნდება: კოცნის, ევერება და სანდრო წუხდებაო, — გაგვიმხილა მომღერლის მეუღლემ, ქალბატონმა ნინომ. სანდროს პირობაც კი მიუცია დედისთვის — დიდი კაცი რომ ვიქნები, სასმელს არ გავეკარებო, — და ნინოსაც იმედი აქვს, რომ მისი შვილი პირობას არ დაივიწყებს...

ნინო ჯავახიშვილი

— ნინო, მერაბს როგორი დამოკიდებულება აქვს სასმელთან?

— (იცინის) ძალიან კარგი... ჩემდა სამწუხაროდ, ამ მხრივ საყვედურს ნამდვილად არ იმსახურებს... ხშირად უწევს დალევა. სულ რომ არ ჰქონდეს გეგმაში დალევა, ვილაც შეხვდება, დაპატიუებს და მერაბიც უარს არ ეუბნება. ხშირად თავსაც იკავებს და არ სვამს — უამრავი საქმე აქვს და როცა დალევს უხდება, მისთვის ის დღეც დაკარგულია და მეორეც... ახალგაზრდობაში უფრო ხშირად სვამდა ხოლმე.

— რომელ სასმელს ამჯობინებს?

— ალბათ უფრო არაყსა და კონიაკს, თუმცა ლვინოზეც არ ამბობს უარს — გააჩნია, როგორ ხასიათზეა. დალევას მუტად, მოლხენა უყვარს. ნასვამი უფრო თავისუფალია აქტიურობს, ხვეწნა არ სჭირდება, რომ იმღეროს, ბეგრს ლაპარაკობს, ხუმრობს. როცა არ სვამს, სუფრასთან ჩუმად, მოკრძალებულად ზის.

— შარიანი ხომ არ არის? სიმთვრალეში როგორი ხასიათი აქვს?

— არ მახსოვს, ნასვამს ჩხუბი აუტეხოს. საერთოდ, ნასვამ კაცს ყურადღების მიქცევა სჭირდება. ვერ წარმომიდგენია, ცოლი არხეინად როგორ უნდა იყოს, როცა მისი ქმარი მთვრალია? ასეთებიც არიან, მაგრამ არ შემიძლია, როცა მერაბი შინ ნასვამი ბრუნდება, უყურადღებოდ დავტოვო. შეიძლება, ზედმეტად მოძის, მაგრამ სხვანაირად ვერ ვიქცევი. ადვილი შესადლებელია, რომ ლოკინამდე ვეღარ მიაღწიოს და ჩაეძინოს, ვინმემ ხომ უნდა მიიყვანოს თავის საწოლამდე!..

— ასეთი შემთხვევა ხშირად ყოფილა?

— არ მახსოვს, დივანზე ან სკამზე ჩასიხებოდეს, რადგან როგორც უკვე გითხარით, უყურადღებოდ არასდროს ვტოვებ.

— როდესაც მერაბი შინ მთვრალი ბრუნდება, თქვენ როგორი რეაქცია



„ნასვამს რამდენჯერმე ავარია მოუხდა და გვარისად დაიმბვრა“

გაქვთ?

— საკმაოდ მძაფრი, შეიძლება ითქვას — გაათმაგებული და გაასმაგებული. იქნებ, ვაჭარბებ ხოლმე, მაგრამ რა ვქნა?! არ შემიძლია ნასვამი კაცის ატანა. გათხოვების შემდეგ, ეს ამბავი ჩემთვის ყველაზე ძნელი შესავსებელი აღმოჩნდა. თვითონ მერაბი მეტყვის ხოლმე — ნუ გაქვს ასეთი მძაფრი რეაქციაო. ფიზიკურ კაცს ნებისმიერ სიტუაციაში შეუწყობ ხასიათს და რა მიმიხსნის ხასიათიც არ უნდა ჰქონდეს, მაინც მოახერხებ მასთან საერთო ენის გამოხატვას, ნასვამს კი ვერაფერს გააგებინებ — ეს კი ჩემთვის ძალზე ნერვების მოშლელია. ყველაზე ცუდი ის არის, რომ დალევის მეორე დღეს აბსოლუტურად უუნაროა და საქმეს, რომელიც დაგეგმილი აქვს, ვეღარ აკეთებს. მერაბს დასაღვად არ სცალია. თან, საკმაოდ ცუდი „პასხელია“ იცის.


„პასხელიაზე“ ხინკლითა და ლუდით გამოდის ხოლმე.

— რაიმე კუროზო გაიხსენეთ სიმთვრალესთან დაკავშირებით.

— უფრო ხშირად, სამწუხარო კუროზოთან გვაქვს საქმე, თუ შეიძლება ასე ითქვას... ნასვამი საჭესთან ვდებ. ფიზიკურ კი აქვს სიფრთხილის გრძობა, მაგრამ მთვრალს უკვე აღარაფერი ახსოვს. ამის „წყალობით“, რამდენჯერმე ავარია მოუხდა და გვარისად დაიმბვრა. ყოფილა შემთხვევები, რომ რაღაც-რაღაცები დაევიწყებია, მაგალითად ის, რომ კონცერტზე იყო გამოსასვლელი, საქმიანი შეხვედრა ჰქონდა და ა.შ. მერე ნანობს ხოლმე და პირობას დებს — ეს ბოლო იყო, აღარ დავლევო, მაგრამ როგორც მამაკაცთა უმეტესობას, მერაბსაც მალე ავიწყდება თავისი სიტყვები...

☆★☆☆

არსებობს ადამიანების ორი კატეგორია: უცოდველნი, რომელთაც ცოდვილებად მიაჩნიათ თავი და ცოდვილები, რომელთაც უცოდველად მიაჩნიათ თავი.



ბლემ პასკალი ბენიალური



დაამყაროს დარბაზთან კონტაქტი. ჩვენც ხშირად გვაოცებდა და ბევრი სიურპრიზიც შემოგვთავაზა. ერთ-ერთ რაიონში ამომრჩევლებთან შეხვედრა მუსიკის ფონზე წარიმართა. ვილინოს ხმა დარბაზში სულ სხვა გარემოს ქმნიდა. შეხვედრის ბოლოს, სანდრა მივიდა მუსიკოსებთან და სთხოვა: „საბუღარულ ჭაბუკში“ მუსიკა რომ არის, ის დაუკარითო. მერე კი, თვითონაც ამღერდა. ამის შემდეგ, თითქმის ყველა შეხვედრისას სთხოვდნენ, ემღერა.

— არასამუშაო გარემოში როგორია ახალი პრეზიდენტის მეუღლე?

— ვეროპული სტილის ადამიანია. სულ იღიმიება. მსუბუქი მგრძნობიარობა არ ასასიათებს, უფრო — პრამატეიკოსია... სამუშაო გარემოში ძალზე უპრეტენზიოა. არანაირი სასმელი არ უყვარს, ტარხუნის ლიმონათის გარდა. ლიმონთან ჩაის სვამს, უყვარს ბულიონი, ყავას საერთოდ არ სვამს. ძალიან დაკვირვებული თვალი აქვს. საპრეზიდენტო არჩევნების წინ, მაშინ, როცა საოცრად გადატვირთული გრაფიკი ჰქონდა, ერთი ისეთი საქმის მოგვარება მთხოვა... — ბესო, იმ გოგოს ის ბიჭი მოსწონს, ბიჭი იმ გოგოს ვერ ამჩნევს და იქნებ, რამენაირად დაეხმაროთ ასალგაზრდებსო... ბიჭი და გოგონა, რომლებზეც მიმითითა, ჩვენი ჯგუფის წევრები არიან. ასეთ ამბებს მამაკაცები ძნელად ვამჩნევთ, ქალის კარნახი გვჭირდება ხოლმე, თორემ, ცუდი მაჭანკლები რომ არა ვართ, ამაში საკუთარი გამოცდილებითაც დავრწმუნდი... მოკლედ, მე მგონი, იმ ბიჭის და იმ გოგოს საქმეც „დაიდრა“ და ჩემი და სანდრას ერთობლივი პროექტი სახელწოდებით — „დავაქორწინეთ“ წარმატებით დაგვირგვინდება.

— ხშირად, ცოლ-ქმარი ერთმანეთს ემსგავსება; სანდრა რომ ჰგავს თავის მეუღლეს?

— იმით, რომ არც ის ემორჩილება დაცვის მოთხოვნებს. მიშაც დაადებს ხოლმე თავს და მიდის, მიდის ყველასთან, ვისკენაც გული უწევს. ამით ძალიან

— ახლა სად არის ის გედი?
— სანდრამ აღნიშნა — ფრინველები და ცხოველები მიყვარს, მაგრამ ამ გელს ჩემთან ერთად მ-დღიანი მოგზაურობა გაუჭირდებაო. ოზურგეთელებს დიდი მაღლობა გადაუხადა, მაგრამ გედი თან არ წამოუყვანია.

— შეხვედრების შემდეგ, თუ გიზიარებდათ ხოლმე თავის შთაბეჭდილებებს?

— შეხვედრების დროს, სანდრა უამრავ წერილს ღებულობდა, საღამოს კი, მეგობართან ერთად ახარისხებდა და ყურადღების მიღმა, ქაღალდის პატარა ნაგლეჯსაც კი არ ტოვებდა. შეხვედრისას ის ამბობდა — მე ვიქნები პრეზიდენტის თვალი და ყურიო... ვუყურებდი, როგორ მუშაობდა წერილებზე და დავრწმუნდი, რომ პრეზიდენტის თვალისა და ყურის როლში ხალხს მართლაც, საიმედო ადამიანი ეყოლება.

— ისტორიამ იცის მაგალითები, როცა თვალისა და ყურის როლში ყოფნა ქალს ზოგჯერ ისე გაიტაცებს, რომ პოლიტიკაშიც ერევა, საკადრო საკითხებშიც და ისტორიული მნიშვნელობის აქტებსაც აწერს ხელს...

— დახ, ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება, თუ რა ხდება მაშინ, როცა უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელის მეუღლე ქმრის საქმიანობაში ერევა. ამ წყვილის შემთხვევაში, ასეთი სახის შეცდომა გამორ-

იცხულია. სანდრა არც შეხვედრების დროს საუბრობდა პოლიტიკაზე, ეკონომიკასა და მიშას მოწინააღმდეგეებზე. მისგან სულ სხვა რამ აინტერესებდა. დარბაზი განსხვავებული ხასიათის შეკითხვებს სვამდა და ისიც ხალხისა და პასუხობდა იმაზე, თუ როგორია მისი მეუღლე შვილთან ურთიერთობისას, როგორ სძინავს, რით იკვებება. ეკითხებოდნენ, როგორ ვაიცნო მიშა, სად და როდის იქორწინეს... ამ შეკითხვაზე სანდრა პასუხის გაცემას ასე იწყებდა: „მე მიშიკო ქმრად შევირთე...“ ამ კურორტულ ხარვეზს დარბაზი ღიმილითა და ტაშით ხვდებოდა. იყო ასეთი კურორტიც: სანდრას უნდოდა, ეთქვა — ჰოლანდიაში დავიბადეო, — მაგრამ თქვა — „მე ჰოლანდიაში ვარ წარმოებულ“... ხშირად ეკითხებოდნენ — რატომ გყავთ მხოლოდ ერთი შვილი? — რაზეც სანდრა პასუხობდა: „აბა, როგორ? — მიშიკო ჯერ ძალიან მოუცლელია; მოიცლის თუ არა, მაშინვე ვიფიქრებთ მეორე შვილზე“. იმითიც კი დაინტერესდნენ, თუ რას დაარქმევდა მეორე შვილს. „ვარდიკო, ალბათ ვარდიკო უნდა დავარქვა, არა?“ — იკითხა სანდრამ... ამ ყველაფრით იმის თქმა მინდა, რომ მან ძალიან კარგად იცის, როგორ

ქართული და უცხოური შურნალ-გაზეთების გამოცემა

თბილისის მასშობრეპალთათვის და ორბანიზაციებისათვის

სასლიდან გაუსვლელად

მპს „ელვასერვისი“

www.elvaservice.com

მედი: 33-26-73

დიდ პრობლემებს უქმნის პირადი დაცვის ბიჭებს. სანდრას დაცვაში ორი გოგონა და ორი მამაკაცია... მოკლედ, ამ წყვილთან ურთიერთობისას ყველა კარგად გრძნობს თავს – რთული სამუშაო მხოლოდ პირადი დაცვის წევრებს აქვთ. არადა, პირადი უსაფრთხოების წესები ყველამ მაქსიმალურად უნდა დაიცვას.

— როგორც ვიცი, სანდრას შვილი თან არ წამოუყვანია...

— ამ 8-დღიანი მოგზაურობის დროს, ყველაზე მეტად შვილისგან შორს ყოფნა უჭირდა. დასავლეთიდან რომ წამოვედით და გეზი რუსთავისკენ ავიღეთ, გამომიტყა — ყველაზე მეტად ახლა მიჭირს, ნეტავ, თბილისი არ გვქონდეს გამოსავლელი: ჩემი შვილი აქ არის, მე კი მის ნახვას ვერ მოვახერხებო. ვფიქრობდი, სული მაინც წასძლევა და ბავშვს მოინახულებდა, მაგრამ შეეცდი. — რომ ვნახო, მერე უფრო გამიჭირდება წამოსვლა, შეიძლება, ადვილად ვეღარ მოვცილდეო, — მითხრა.

— ბატონი მიშას ნახვაზეც ამ მიზეზით ხომ არ თქვა უარი?

— არა. მიშასთან კრწანისის რეზიდენციაში შევიარეთ. ძალიან გემრიელი „სალაიანკითაც“ გაგვიმასპინძლდა.

— დაბოლოს — რა მოგცათ იმ 7-ნახევარმა დღემ, რომელიც სანდრა რულოვსის გვერდით გაატარეთ?

— ნათლად დავინახე, თუ რა მონატრები ხალხს. ისინი მონობილები არიან პირველ რიგში, პრეზიდენტის მეუღლის ნიჭიერებით, უბრეტუნობით და გულწრფელობით. დავინახე ის, რომ ქართველები — ყველაზე ჰუმანური ხალხი მსოფლიოში — ისე დაღლილან ხელისუფლებაში თაღლითებისა და ბანდიტების თარეშით, რომ სურთ, ოცხოჯონ ისეთ სახელმწიფოში, სადაც თუნდაც ერთი ადამიანი აგებს პასუხს მოპარული მილიონებისთვის... შევხვდი ერთ ახალგაზრდა გოგონას, რომელიც ერთ-ერთ სასტუმროში მოსამსახურედ მუშაობს და ცდილობდა, იტალიური ენის შესწავლას, რათა იქ ბავშვის მომვლელად წასულიყო; დამშვიდობებისას, იმ გოგონამ მითხრა, რომ იტალიაში წასვლას აღარ აპირებს — იმედი გამიჩნდა, რომ აქაც შევძლებ ცხოვრებას, — მითხრა მან. იმ გოგონას იმედიან თვალებს რომ ვიხსენებ, ცრემლის შეკავება მიჭირს. უამრავი ადამიანი შემოგვეცქერის ახლა ასეთი თვალებით და მათი ნდობის გასამართლებლად მართლაც, ყველამ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გვაკეთოთ.

შეყვახებურ იჩაკრი იმნაი შეირს იხი კეიხით გაცაკახგვა სჩეევია



ამ ბოლო დროს, ბევრმა მკითხველმა „დამიმესიჯა“: „მარო, მაქანკლები სხვა ჟურნალებშიც გამოჩნდნენ და კონკურენტის გეშინოდესო...“ როდის იყო, „ხანუმა“ „ქაბატოების“ კონკურენტის ეშინოდა?!. ჩემი დიდი „ოჯღვის“, ხანუმას თქმისა არ იყოს, „ისეთ დღეში ჩავაგდო, კამეჩები სულ ანგელოზებად ეჩვენებოდეთ...“ სულ დარჩეული „სასიძო-საპატარძლოები“ მყავს და აბა, ვინლა შეძლებს კონკურენტის განევას? აგერ, ბატონო, დღევანდელი „სასიძო“ — ჟურნალისტი, ტელეკომპანია „მზის“ საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, მშვენიერი ვაჟკაცი, ირაკლი იმნაიშვილი გახლავთ. აბა, ვინ შემოგთავაზებთ უკეთეს ვარიანტს? თუმცა, ჩემი ქება მას არ სჭირდება, რადგან ამას თავადაც კარგად ახერხებს და არც მისი მეგობარი, ანდრო ხარატიშვილი ჩამოუვარდება, რომელმაც „სასიძოს“ შესახებ ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოგვანოდა და თუმცა, მას ცოტა მოგვიანებით მივცემთ სიტყვას...

მარი ჯაშარიძე

— ირაკლი, ვფიქრობ, ახალი წლის ღამეს ჩაუთქვი სურვილი — ნეტავ, საიდანმე „ხანუმა“ გამოჩნდებოდეს და ოჯახის შექმნაში დამეხმარებოდესო... ჰოდა, აგინდა...

— არა, ასეთი სურვილი არ ჩამითქვამს და საერთოდ, ვერ მოვახერხე ვერაფრის ნატვრა ერთი მიზეზის გამო: ამ დროს ეთერში ვიყავი და უბრალოდ, ამის საშუალება არ მქონდა. ისე, ამ სურვილის ჩაფიქრებას ძველით ახალ წელს ვაპირებდი, მაგრამ არ მაცალეთ... (იცინის).

— ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნები?

— რაც შეეხება ზოდიაქოს — დაბადებული ვარ 23 ივნისს. ეს დღე ტყუპისა და კირჩხიბის მიჯნაზეა. ჰოდა, როცა

მინდა, ტყუპი ვარ, როცა მინდა — კირჩხიბი — გაანჩია, რომელი ნიშნის ჰოროსკოპი მიქადის უკეთეს მომავალს...

— რამდენი წლის ხარ?
— 24-ის.

— ოჯახში ვინ გყავს?

— ბიძა, ბებია, დედა... ბიძაჩემი ჩემზე 18 წლით უფროსია და ისიც უცოლოა... რომ დავიბადე, თურმე სულ თან დავყავდი. უკვე მოზრდილი ბიჭი იყო და ყოფილა შემთხვევა, როდესაც ძმაკაცებთან ერთად საჩხუბრად წასულა, მე კი ამ დროს საბავშვო ეტლით, თან ვყავდი. დაუკანუნებია რომელიმე კორპუსის პირველი სართულის მცხოვრებთან, დაუტოვე ბივარ ცოტა ხნით, უჩხუბია, მერე მოსულა და შინ წავუყვანივარ.

— ირაკლი, შენი კარგი თვისებები გაგვიმხილე.

— მათ, ვინც მიცნობს, მიაჩნიათ, — ჩემი კარგი თვისება ის არის, რომ სულ კარგ

ხასიათზე ვარ და ვილიძეები, მაგრამ ვინც კარგად მიცნობს...

— მოდი, ვინც კარგად გიცნობს, მან თავად გვითხრას შენ შესახებ.

ანდრო:

— ნუ-უ, ირაკლი მთლიანობაში, კარგია... ყოველთვის ცდილობს, მის გვერდით მყოფი ადამიანები თავს კარგად გრძნობდნენ. ძალიან კარგი მეგობარია და მარტო ზედაპირულად არ უდგება მათთან ურთიერთობას. აქვს შესანიშნავი იუმორის გრძნობა, არის ინტელექტუალი. მეგობრები ხშირად ვეკითხებით ხოლმე აზრს ამა თუ იმ საკითხზე...

ირაკლი:

— მე დავამატებ, რომ ანდრო საკმაოდ ღრმად არის ჩახედული ჩემს ტვინში და ამიტომ შეგიძლიათ, მის ნათქვამს ენდოთ: როცა ტვინის შერყევა მქონდა, მთელი მისი ოჯახი იყო ჩართული ჩემი გამოჯანმრთელების პროცესში და ყველას ნანახი აქვს ჩემი ენცეფალოგრამა...

— ტვინის შერყევა რა ვითარებაში მიიღე?

— „ინტერნუსში“ ვიყავი სტაჟირებაზე და დაგვაგაღეს, სახალისო „სთენდ-აფი“ ჩაგვეწერა. ვიფიქრე — „დაცემა“ „სთენდ-აფს“ ჩავწერ-მეთქი და წაველი საბავშვო ქალაქ „მზიურში“. იქ იყო პატარა მანქანების ატრაქციონი. დავჯექი

მანქანაზე, წრე დავარტყი, ოპერატორის წინ გაჩერდი და ტექსტი წარმოვთქვი. „მზიურში“ პატარ-პატარა ხიდებია, რომელიც მოზრდილ ადამიანს წელამდე ძლივს სწვდება. სწორედ ამ ხიდის ქვეშ გახლდით გაჩერებული. ტექსტი რომ წარმოვთქვი, წამოვდექი და ... მერე აღარაფერი მახსოვს...

— მოკლედ, очнулся — гипс — ხომ?

— კი, კი, სწორედ ასე იყო... ძალზე სერიოზული პრობლემები შემექმნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით...

— „სთენდ-აფი“ მოგიწონეს?

— თავგამოდება დაძვირეს და მითხრეს, რომ კარგი იყო...

— თავგამოდება თუ „თავმირტყმულობა“?..

— თქვენ იცინით და ეს საბედისწერო დარტყმა იყო ჩემს ცხოვრებაში... ამის შემდეგ, უკეთესად მიმუშავებს თავი და ყველა მეუბნება, რომ მაგარ „სთენდ-აფებს“ ვწერ.

— ირაკლი, შეფვარებული როგორ ხარ?

— მე მგონი, ჩვეულებრივი. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვგრძნობ, რომ განსხვავებული ვხდები.

— მაშინ იქნებ, ანდრომ გვითხრას...

ანდრო:

— როცა ირაკლი შეფვარებულია, სულ სხვანაირი ხდება. ყოველ შემთხვევაში, შესამჩნევი ხდება ის, რომ მეტისმეტად დიდ ყურადღებას უთმობს იმ გოგოს, ვინც უყვარს. სხვათა შორის, ეს მისი მეგობრების ხარჯზე მაინც არ ხდება, თუმცა, შესაძლოა, დიდი ხნით დაგვეკარგოს ხოლმე...

ირაკლი:

— კი, დაკარგვა მჩვევია, თანაც — „მამაპაპური“. ერთი-ორი კვირით ვიკარგები ხოლმე. მერე მეჩხუბებიან — გვენატრები, სადა ხარო?! მე კილევ, ვპასუხობ — „ბრელოკივით“ ცხვირი მაქვს და რა დამკარგავს-მეთქი?!

— ანდრო, როგორია ჩვენი „სასიძო“, როცა ნას-

ვამია?

— მთვრალი ირაკლი არის „ბულკი“. ამას ვამბობ პირდაპირი გაგებით, რადგან სულ ხელით უნდა ატარო... ადრე, 78 კილოს იწონიდა და ცოტა გვიჭირდა ზურგით მისი თრევა. ახლა ათი კილო დაიკლო და შრომა შეგვიმსუბუქდა...

ირაკლი:

— ისე, ამ „ახალ წლებზე“ მგონი, დიდი მსმელის ნიჭმა გაიღვიძა ჩემში და ისე კარგად შევირგე სასმელი, რომ „პანქელიაც“ არ მქონია...

— ირაკლი, ბუზღუნი თუ გიყვარს?

— კი, კი, ბუზღუნი ძალიან მიყვარს... უხასიათობის ფაშს უკმაყოფილებას ყოველთვის ბუზღუნით გამოვხატავ ხოლმე...

— გაბრაზების დროს, გინება თუ გჩვევია?

— კი, ვივინები და ვბილწსიტყვაობ, მაგრამ მხოლოდ გუნებაში. გულით არასოდეს ვბრაზდები, წყენა დიდხანს არასოდეს მრჩება. როდესაც ახლობლისგან მწყინს რაიმე, მაშინ დავლუმდები და ხმას არ ვიღებ.

ანდრო:

— ირაკლის გაბრაზება მაინცდამაინც არ ეტყობა. უბრალოდ, თუ ხმას არ იღებს, ე.ი. ხასიათზე ვერ არის.

ირაკლი:

— მერე მეკითხებიან ხოლმე: ჩირივით რატომ ხარო?

— ირაკლის საყვარელი ფრაზა რა არის?

ანდრო:


— ერთ დროს აკვიატებული ჰქონდა და ყველას „მგელი ნადიროვიჩის“ ეძახდა... ძალიან უყვარს ფრაზა — შენ გაიხარე!.. და ტაშიი!..

— ირაკლი, მონესრიგებული ადამიანი ხარ?

— არა, ტანისამოსს არასოდეს ვალაგებ — შარვალს, პერანგს უმისამართოდ აქეთ-იქით ვყრი ხოლმე. მერე ოჯახის წევრები დადიან და ალაგებენ. ჩემს მაგიდაზე ხომ, საერთოდ ვერაფერს იპოვის ადამიანი. ძლივს მივჩვევი იმას, რომ კალამი ჯიბეში ჩავიღო და ახლა აღარ მეკარგება...

— რამდენად თბილი ადამიანი ხარ?

— ჩემი სხეულის ტემპერატურა 36,6 გრადუსია... შინაგანადაც ძალიან თბილი ვარ. მიყვარს, როცა მეფერებიან, მაგრამ თავზე ხელის გადასმა არ მიყვარს.



ამის შემდეგ, უკეთესად მიმუშავებს თავი და ყველა მეუბნება, რომ მაგარ „სთენდ-აფებს“ ვწერ

**— ანდრო, როგორი მანდილო-
სნები მოსწონს შენს მეგობარს?**

— ყველანაირი — განურჩევლად ფერ-
ისა და ეროვნებისა. სუსტი სქესის წარ-
მომადგენლებთან ურთიერთობა არ უჭირს.
ფიზიკური მონაცემების გარდა, ყოველთვის
ინტერესდება მათი შინაგანი ბუნებით...
საერთოდ, ქალების მიმართ ძალზე სერი-
ოზულადაა განწყობილი. არ არის ისეთი
ტიპი, რომ დღეს ერთი ქალი ჰყავდეს,
ხვალ — მეორე, ჭამის წინ — სხვა და
ჭამის მერე — სხვა...

ირაკლი:

— კარგი, კარგი, ცოლო ვარ!... დღეში
ხანდახან ოთხჯერ მიწევს ჭამა...

ანდრო:

— შეიძლება, ერთი რამ ვთქვა? ირაკ-
ლი არის „სასიძო“ „მიშენების პერსპექ-
ტივით“... ეს იმას ნიშნავს, რომ მაგარი
ტიპია!

**— პატარა რომ იყავი,
თოვლის ბაბუნს არსებობის თუ
გჯეროდა?**

ირაკლი:

— კი, მჯეროდა, მაგრამ ერთხელ, კარ-
გად შეზარხოშებული თოვლის ბაბუნა
მოვიდა, წვერი მოიძრო და სიგარეტი
მოსწია. იმის შემდეგ აღარ მჯეროდა...

**— მეგობრები ქორაობთ
ხოლმე?**


— იცი, მე ამას ქორაობას ვერ დავარ-
ქმევ, მაგრამ ძალზე ხშირად განვიხილავთ
სხვადასხვა საკითხს, გამოვკაქვს დასკვნე-
ბი...

— ჯიუტი ხარ?

— კი, ძალიან ჯიუტი ვარ, უჯიუტე-
სი...

**— შენი შურნალისტური
პრაქტიკიდან საინტერესო ამ-
ბეზსაც ხომ არ გაიხსენებ?**

— სიამოვნებით. ერთი პერიოდი, „მოამბ-
ეში“ ვმუშაობდი. მივლინებით გამაგზა-
ვნეს ზუგდიდში... პარტიზანებით ჩავდივით:
არავინ იცოდა, იქ რომ ვიყავით, იქაური
კორესპონდენტის გარდა... არსებობს დაუ-
წერელი კანონი: სრული ინფორმაციის
მისაღებად, „დისლოკაციის“ ადგილი უნდა
შეარჩიო იქ, სადაც მოვლენების ეპიცენ-
ტრია. ვიქირავებ ბინა ერთ-ერთ კრიმი-
ნალური ავტორიტეტის სახლის პირდა-
პირ და ფანჯრიდან ვადევნებთ თვალყ-
ურს, თუ რა ხდება მის ოჯახში... ერთხ-
ელ, აღრიან დილას, მანქანების ხმამ გამ-
აღვიძა. ფანჯრიდან დავინახე, რომ რამ-
დენიმე ჯიპია გაჩერებული და იქიდან
სურსათ-სანოვაგე გადმოაქვთ. ვიფიქრე —



ირაკლი არის
„სასიძო“ „მიშენებ-
ის პერსპექტივით“...

სადაც გადადიან და სურსათის მარაგი
ამისთვის სჭირდებათ-მეთქი. დავრეკე
„მოამბეში“. ვუამბე ის, რაც ჩემი თვალით
ვნახე. სიუჟეტის ტექსტიც გამზადებუ-
ლი მაქვს: „დილის 8 საათზე, ამდენი და
ამდენი ჯიპით გადაიან ადგილიდან, სა-
ვარაუდოა, რომ იარაღიც აქვთ, პარტიზა-
ნებმა უნდა გაუკვალონ გზა...“ — და ა.შ.
„მოამბეში“ გულის ფანცქალით ელოდე-
ბიან „ბომბა“ სიუჟეტს. მე ჩავდივით ქვემოთ,
რომ უფრო სრული ინფორმაცია მომე-
გროვებინა. გავიარე „მიზანში ამოღებულ“
სახლთან... მეგრულად ლაპარაკობენ, ვე-
რაფერი გავიგე. იქვე ერთი ბებო ზის.
იმას მივმართე: გამარჯობათ! — გაგიმარ-
ჯოს (მეგრული კილოთი)! — რა მოხ-
და? — რა არ ხდება აქ?! — მპასუხობს.
— ხომ მშვიდობაა? — ასეთი მშვიდობა
მტერს ჰქონდეს!.. — მოკლედ, ვერაფერი
ვათქმევინე. თან „მოამბიდან“ მირეკავენ:
რას შვრები? „გადმოვაგორე“ სიუჟეტიო!
ბოლოს, იქაურ კორესპონდენტს ვთხოვე
დახმარება. მოვიდა და მითხრა: ბიჭო, გავიგე
ყველაფერი. ამათ რომ აუფეთქეს ოჯახი,
ხომ გახსოვს? — კი-მეთქი, — ვპასუხობ.
— აფხაზები რომ გადმოვიდნენ და დი-
ვერსია რომ „ქნეს“, ისიც ხომ გახსოვს?...
ჰოდა, ორმოცი აქვთ დღეს... — ვრეკავ
თბილისში: ორმოცი ჰქონიათ-მეთქი!.. არა
უშავს, იყოს ორმოცი კაცი — სიუჟეტი
მოგვაწოდეთ... — ორმოცი კაცი კი არა
— მიცვალებულის ორმოცი აქვთ-მეთქი!..
მოკლედ, სიუჟეტი ჩამივარდა... ერთხელ,
კოდორის ხეობაში ვიყავი წასული. იქაც
ასევე, პარტიზანებით შევიპარე. რამდენ-
იმე დღის შემდეგ გავრცელდა ხმა —
დაჭრილები მოჰყავთო. — აბა, ირაკლი,

„ექსკლუზივი“ გაქვს და შენ იცი-მეთქი,
— შევეუბნე თავს. მოვიდა მანქანა. ოპერ-
ატორს ვანიშნე, ჩუმად გადაელო, მე კი
მივედი დაჭრილთან, რომელიც მანქანიდან
გადმოჰყავთ და რას ვხედავ? — ქალია!
— რა მოხდა? — ვეკითხები. — არ ვიცი,
შვილო, რაღაც აფეთქდა, არაფერი მახს-
ოვსო... დავულოდე მეორე დაჭრილს. ისიც
ქალი აღმოჩნდა. იგივე შეკითხვა დავუს-
ვი. იმანაც — არ ვიცი, შვილო, გრუხუნი
იყო და მერე გადაყირავდაო... მესამე
დაჭრილიც ქალი იყო... აღმოჩნდა, რომ
ჯარისკაცების მშობლები ყოფილან,
შვილების სანახავად მიდიოდნენ და გზად
მანქანა ამოყირავებულა... ეს სიუჟეტიც
ასე ჩამივარდა.

— „მზეს“ როგორ შენწყვე?

— მშვენივრად, მაგრამ ვე არის, რომ
ყველა თანამშრომელი ნელ-ნელა ორსულ-
დება... ამას წინათ, ეთერში გასასვლე-
ლად ვემზადებოდი და ოპერატორმა სკა-
მზე დაჯდომის საშუალება არ მომცა.
გამაჩერა, შემდეგ სკამი ამოაყირავა, ქვე-
მოდან შეხედა, შეათვალა... — რას
აკეთებ-მეთქი? — ვკითხე. — რა ვიცი,
ბიჭო, ვინც ამ სკამზე დაჯდა, ყველა დაორ-
სულდა და რამე ხომ არ არის დატოვე-
ბული, უნდა ვნახო...

აი, ასეთია 2004 წლის ჩვენი პირვე-
ლი „სასიძო“. ვნახოთ, ამ რუბრიკისთვის
როგორი „მეკვლე“ იქნება. ვისაც მასთან
დაკავშირება სურს, „ლამბიქსიკოს“ ან
ლამბიქსიკოს ტელეფონის ნომერზე: 8(77)
45.68.61. ირაკლი და ანდრო შემპირდნენ,
რომ „საპატარძლოს“ აუცილებლად შეხ-
ვლებიან, თანაც — ისევ ერთად!..

საახლწლო პერიოდის კრიმინალური ქრონიკა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მონოდეზუმი ინფორმაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართველ კრიმინალთათვის ჩვეულ საქმიანობაში ახალი წლის დღესასწაულს

სულაც არ შეუშლია ხელი. როგორც წინასახლწლო დღეების, ასევე ახალი წლის პირველი კვირის კრიმინალური ქრონიკა, სამწუხაროდ, ფრიად მრავალფეროვანია.

ყველაზე საშიშელი დანაშაული, რომელიც ამ პერიოდში დაფიქსირდა, თბილისში, დიუმას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა გახლავთ. პირველ იანვარს, სისხლის სამართლის სამსახურსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქვეგანყოფილებების თანამშრომლებმა 27 წლის არტურ ავეტისოვი დააკავეს. როგორც გაირკვა, ავეტისოვი საკუთარი დედა მოკლა. გარდაცვლილი – 52 წლის ვენერა ავეტისოვა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, თავის არეში ბლავვი საგნის ჩართვის გზით გახლდათ მოკლული. აღსანიშნავია, რომ არტურ ავეტისოვი წარსულში ორჯერ იყო ნასამართლელი.

შემზარავი ფაქტი მოხდა ქუთაისშიც. 4 იანვარს დღის 2 საათზე, სამართალდამცავებმა 10 წლის ვლადიმერ იშაევის გვაში იპოვეს. გარდაცვლილის სხეული, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ე.წ. ბალახვანის ხიდის ქვეშ, მდინარე რიონში აღმოაჩინეს. ბავშვი უკვე 19 დღის მკვდარი გახლდათ. გაირკვა, რომ ქუთაისში სულხან-საბას ქუჩაზე ცხოვრობდა და დროდადრო, ამხანაგებთან ერთად ჯართს აგროვებდა, შესაბამის პუნქტებში ჩაბარების მიზნით.

სამართალდამცავთა ინფორმაციით, მკვლელობა 2003 წლის 17 დეკემბერს მოხდა. იმ დღეს, ვლადიმერ იშაევი, 15 წლის ალექსანდრე ბუთბერიძესთან ერთად, ჩვეულებისამებრ, ჯართს აგროვებდა. დღის ბოლოს, მათ 10 ლარის გამო, შელაპარაკება მოუხდათ. თუთბერიძემ იშაევს თავში

ქვა ჩაართვა, შემდეგ კი მდინარე რიონში გადაავლო იგი. სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილი იმავე დღეს დააკავეს, გვამის სატენელად მშველეს მიმართეს, რომლებიც მას 17 დეკემბრიდან ეძებდნენ. საამისოდ, მდინარე რიონის კალაპოტიც კი გადაკეტეს, რათა წყლის დონე დაეწიათ.

მკვლელობის მცდელობას ჰქონდა ადგილი თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში. 3 იანვარს, მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა გუმთქვისს ქუჩაზე მცხოვრები, წარსულში ნასამართლელი, 1974 წელს დაბადებული ანდრო ტარიელის ძე ბაქრაძის ვინაობა დაადგინეს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, მან საღამოს 9 საათზე, დანით დაჭრა სამი ადამიანი. შემთხვევა ცისკარიშვილის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. როგორც ამბობენ, ბაქრაძესთან ერთად იმ დროს, ვინმე დიმიტრი იმყოფებოდა, თუმცა მისი ვინაობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის. სავარაუდოდ, დანაშაულში ისიც მონაწილეობდა. გულმკერდსა და ბარდაყში დაიჭრა 17 წლის ზელიმხან გაბაშვილი, მუცელში – 18 წლის ვასილ ღუბნიჩენკო, ხოლო გულმკერდის არეში – 18 წლის ბესიკ სიგუნავა. მომხდართან დაკავშირებით, გამოძიებას ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა აწარმოებს.

რაც შეეხება ყჩაღურ თავდასხმებს – ახალი წლის დღეებში, ეს დანაშაული არაერთხელ დაფიქსირდა. 4 იანვარს, დილის 11 საათზე, ორი ნიღბიანი ბოროტმოქმედი, ბახტრიონის ქუჩაზე მცხოვრებ როლანდ ზარაფიშვილის ოჯახს დაესხა თავს. თავდასხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღიც გამოიყენეს და ოჯახის უფროსი ბარდაყში დაჭრეს; მუქარისა და ჩადენილი ძალადობის შედეგად, ბოროტმოქმედებმა

2.000 ლარი გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.


3 იანვარს, სამტრედიის რაიონში, საღამოს 8 საათზე, სოფელ იანეთში მცხოვრებ ვაშაკიძეების ოჯახს ექვსი შეიარაღებული და ნიღბიანი ყჩაღი დაესხა თავს. ოჯახიდან მათ 120 ლოლარი, 280 ლარი და ოქროს სამკაულები გაიტაცეს.

იმავე დღეს, სამართალდამცავებმა ხაშურელი, ქუდობაში ეჭვმიტანილი პირები დააკავეს. 1964 წელს დაბადებული გიორგი ბაიდაური და 1956 წელს დაბადებული გურამ მიქელაშვილი საქართველოს სათბობო-ენერგეტიკის სამინისტროს შპს „საქართველოს სახელმწიფო ელსისტემის“ სოფელ ხცისის ქვესადგურის გაქურდვაში იმხილებიან.

ქურდობა მოხდა ბოლნისის რაიონშიც. პირველ იანვარს, ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, დაბა კაზრეთის მკვიდრი, 24 წლის თემურ თეთრაძე დააკავეს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, მან თავისი უბნელის – ავთანდილ ნასყიდაშვილის მალაზია გაქურდა.

მალაზიის გაქურდვას თურმე რუსთავშიც შეეცადნენ. 29 დეკემბერს, წარსულში ნასამართლელი, 22 წლის ზურაბ კუპრაძე და 30 წლის ალექსანდრე ჯიშკარიანი დააკავეს. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, მათ დილის 5 საათზე, ფანჯრის მინა ჩამტვრიეს, ამგვარად შეაღწიეს შპს „ბადრი კიკაბიძის“ მალაზიაში და თავს დაესხნენ დარაჯს – 72 წლის აბელ კობახიძეს. მოხუცი მათ სცემეს, რის შემდეგაც მალაზიიდან ნივთებისა და სურსათის გატანას შეეცადნენ, თუმცა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლეს.

მსგავსი დანაშაულისთვის 30 დეკემბერს, თბილისში სამი პირი დააკავეს. თბილისელებმა – როლანდ კობალაძემ, როლანდ ჭელიძემ და არტემ პეტროსიანმა, შს სამინისტროს ინფორმაციით,



თბილისის ზღვასთან მდებარე სასაფლაოდან ალუმიინის ფიგურები მოიპარეს.

ახალი წლის წინა დღეებში, სამართალდამცავებმა მოქალაქე ტვირთის უკანონო გადაზიდვისთვის დააკავეს. კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ქარელის რაიონის სოფელ ღირბში, საავტომობილო გზაზე „ზილის“ მარკის სატვირთო მანქანა გააჩერეს. აღმოჩნდა, რომ მძღოლს, ოზურგეთელ სერგო ირემაძეს, საბაჟოს გვერდის ავლით, ერგნეთიდან ოზურგეთში, 1.200 ლარის ღირებულების 40 ტომარა ფქვილი გადაჰქონდა. ავტომანქანა ტვირთიანად გორის ტერმინალში შეიყვანეს.


ქუთაისში კი, 3 იანვარს, 1967 წელს დაბადებული მალხაზ გაბუნია, პოლიციელებმა ხულიგნობის გამო დააპატიმრეს. 3 იანვარს ღამით, დაახლოებით 4 საათზე, გაბუნია გელათის ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარ „ნეფერტიტიში“ იმყოფებოდა. 32 წლის ბარმენს მან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

31 დეკემბერს, კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარმა სამმართველომ, შპს „საქართველოს რკინიგზის“ შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მიიღო. დადგინდა, რომ 2002-2003 წლებში, აღნიშნულ დაწესებულებას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული ფირმა „ალგრატრანს ლიმიტედსა“ და შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ“-სთან. ხელშეკრულება ვაგონების მიწოდებასა და ამასთან დაკავშირებულ სხვა სახის მომსახურებას ეხებოდა. კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო, დამკვეთებს რკინიგზის სასარგებლოდ გადასახადები დაეკისრათ.

გაირკვა, რომ „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელმა პირებმა „ალგრატრანს ლიმიტედისა“ და „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ“-ზე დაკისრებული გადასახადები შემოსავალში ოფიციალურად არ აღრიცხა. ამის შედეგად, როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ბიუჯეტმა, ძირითადი გადასახადის სახით, 2.909.599 ლარის ზარალი ნახა.

მათივე ინფორმაციით, ამავე პერიოდში, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობამ უკანონო ჩათვლები განხორციელა, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტს, ძირითადი გადასახადის სახით, 867.927 ლარი დააკლდა.

აღნიშნულ ფაქტებზე, დღეს (დამატებითი ღირებულების გადასახადი) და მოგების გადასახადებისთვის თავის არიდებისთვის, შპს „საქართველოს რკინიგზის“ 6.113.382 ლარი დაერიცხა, მათ შორის ძირითადი გადასახადის სახით – 3.777.526 ლარი. 31 დეკემბერს, არაერთგზის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდების გამო, „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელი პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქმე გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა, ქვემდებარეობისა და შემდგომი გამოძიების საკითხის გადასაწყვეტად.



ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლისა და მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი პირი დააკავეს. ცოტნე დადიანის გამზირზე, სვირის 30-ში მცხოვრებ, ადრე ნასამართლევ, 1953 წელს დაბადებულ ანდრეი ოსიპოვს სარეალიზაციოდ გამზადებული 54 გრამი მარიხუანა უპოვეს. შავ ბაზარზე ამ რაოდენობის მარიხუანის ღირებულება 400 ლარს შეადგენს. ოსიპოვს ნარკოტიკები 16 ცალ ასანთის კოლოფში ჰქონდა დაფასოებული. ამჟამად, სამართალდამცავები ნარკოტიკის პირველად წყაროს ადგენენ.

საახალწლო პერიოდში დაფიქსირებული დანაშაულების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტმაც. მისი ცნობით, ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად, 27 დეკემბრიდან მოყოლებული, 200-მდე მართლსაწინააღმდეგო ქმედება დაფიქსირდა: წვრილმანი ხულიგნობის – 2, სანიტარულ-ჰიგიენური წესების დარღვევის – 23, ლიცენზირებული წესების დარღვევის – 1, ფასგადაუხდელი ბარგის გადაზიდვის – 28, სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევის – 1, სასაზღვრო ზონაში შესვლის წესების დარღვევის – 3 და სხვა სახის 70 დარღვევა. გამოვლინდა 3 უზედამხედველო არასრულწლოვანი, 32 ნასვამი და 40 უბილეთო მგზავრი. აღმინისტრაციუ-

ლი სამართალდარღვევებისთვის სულ რეგისტრირებულია 223 პირი, მათგან 19 დაჯარიმდა, ჯარიმის თანხა კი 100 ლარს შეადგენს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ამ დღეებში დაფიქსირდა რამდენიმე უბედური შემთხვევა, ასევე ადგილი ჰქონდა ავტოავარიებს, რომლიდანაც ზოგიერთს აღამიანის სიკვდილი მოჰყვა. 2 იანვარს ელექტრომატარებელმა „ქუთაისი-სამტრედია“ 60 წლის მამაკაცი გაიტანა; დაზარალებული – გივი თოდუა მაშინვე საავადმყოფოში მოათავსეს, მატარებლის მემანქანეები – დავით ახვლედიანი და გრიგოლ ჭანტურიძე კი, დააკავეს.

ფოთში, პირველ იანვარს, საღამოს 8 საათზე, აკაკის ქუჩაზე მოძრავი „მერსედესი“ 22 წლის ონერ ვასაშვილს დაეჯახა; დაზარალებული საავადმყოფოში გარდაიცვალა; „მერსედესს“ 30 წლის თეიმურაზ ჯაკობია მართავდა.

სამწუხაროდ, ამ დღეებში თვითმკვლელობის ფაქტიც დაფიქსირდა. 4 იანვარს, 27 წლის ზესტაფონელმა დავით ქათამაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. საშინელი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან მეზობლის კუთვნილი, ოფიციალურად რეგისტრირებული სანადირო თოფი გამოიყენა და საკუთარ თავს გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ რამდენიმე წუთში, იგი გარდაიცვალა. თვითმკვლელობის მიზეზის დასადგენად გამოძიება მიმდინარეობს.

საქართველოს
პარლამენტის
მინისტრები
ბიზნისთემა

ნათელმხილველ ნატაშა სკოროხოვას სამუშაო მაგიდაზე ლალი ტოტიკაშვილის, დათო გოგიჩაიშვილისა და თემო ხვიზლიანის ფოტოსურათები რომ დავუწყვეთ, დაუფიქრებლად თქვა: გასათხოვარ გოგონებს ვურჩევ, არჩევანი თემო ხვიზლიანზე შეაჩერონ — იდეალური ქმარი იქნებაო... როგორ შეაფასა მან დანარჩენები, ქალბატონ ნატაშასთან ჩანერილი საუბრიდან შეიტყობთ. „გზის“ მომდევნო ნომრებში კი გაცნობებთ, თუ რა ელოდებოდათ 2004 წელს ცნობილ მომღერლებს: მერაბ სეფაშვილს, ლელა წურწუმიას, ეკა კვალიაშვილს, ნინო ბადურაშვილს, თამუნა ამონაშვილს, დათო ხუჯაძეს, მათა ჯაბუას და კახა ცისკარიძეს.



„სიყვარული გამარჯვება განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას უნიჭებს“

ლელა ჭანკოტაძე

„ტალთი ტოტიკაშვილი ნინა ცხოვრებაში ნათელმხილველი იყო“

— ლალი კეთილი, ხალასი ბუნებისა და მტოცნებე გოგონაა. მას ამოუცნობი ხასიათი და საუცხოო ინტუიცია აქვს. მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, ხშირად ნაღვლიანი, მშფოთვარე და საშინლად დებრესიულია. ფაქიზი სულის ადამიანია. ვხვდავ, რომ წინა ცხოვრებაში ის ნათელმხილველი იყო და ინკვიზიციის წლებში, ცეცხლზე დაწვეს, ამიტომაც შორსმჭვრეტელია და ქვეცნობიერად გრძნობს, თუ რა ელის და როგორ განვითარდება მოვლენები. მას ძალიან უყვარს მყუდროება და კომფორტი, უზრუნველი ცხოვრებისთვისაა



დაბადებული. ლალი გულუხვი და მოწყვალე, სამართლიანი და გულითადი ადამიანია. კარგი მეხსიერებით გამოირჩევა. დიდ წარმატებას მიაღწევდა მეცნიერებაში. მისგან ასევე არაჩვეულებრივი მოქანდაკე ან მხატვარი გამოვიდოდა, რადგან ძალიან დახვეწილი გემოვნება აქვს. ხელოვნის ბუნებით მისი ხასიათისა და ჯანმრთელობის ცვალებადობა აიხსნება. სავსე მთვარის დროს, ქერებითა და სასიცოცხლო ძალებით აღსავსეა. ახალ მთვარეზე შედარებით დაღლილია, აპათია იპყრობს...

— შეგიძლიათ, მისი ხასიათის უარყოფითი მხარე დაასახელოთ?

— ძალიან მგრძობიარეა. ამიტომ ხშირად, თავის გამოგონილ სამყაროში ცხოვრება ურჩევნია, ვიდრე ის, რომ პირისპირ შეეჯახოს სიმინელებს. მას არ შეუძლია დღევანდელი დღით ცხოვრება, ამიტომ ბევრი პრობლემა ექმნება. ძალზე იოლად და არცთუ ისე იშვიათად ისევე უკან დასაკუთარ სამყაროში იკეტება. მშიშარაცაა, ცხოვრებისეული სიანსლევებიც კი აფრთხობს.

— შეგიძლიათ, თქვათ, როგორ იქნება 2004 წელი ლალისთვის?

— წინსვლა ელის. ეს წელი მისთვის ნაყოფიერი იქნება. მატერიალურ პრობლემებს მოაგვარებს, შეუძლია, რისკზე წაიფიქროს, თავისუფლად იმოქმედოს — ყველაფერში გაუმართლებს. ლალი შრომისმოყვარეა. შეიძლება, ამას არ აღიარებს, მაგრამ ვგრძნობ რომ მას ბრძოლა შეუძლია. ღამეების გათენებაც არ არის მისთვის უცხო... ის უყვართ, რადგან კარგი მეგობარია. შეგიძლია ენდო.

მან იცის, როგორ დახარჯოს ფული ისე, რომ მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს. მისგან კარგი ფინანსისტიც გამოვიდოდა, მაგრამ ბუნებით ისეთია, რომ მსუბუქ სამუშაოზე ოცნებობს. მომავალში ბიზნესში დიდ წარმატებებს მიაღწევს.

— როგორია მისი ინტიმური სამყარო?

— ყურადღებიანი და ერთგული პარტნიორია. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ძალიან სექსუალურია, შინაგანად ფრიადიულია, რასაც ოსტატურად მალავს და ფიქრობს, რომ ეს მისი ყველაზე დიდი ნაკლია. სასიყვარულო ურთიერთობებში ეჭვიანია. მამაკაცი, რომელიც მისი გულისკენ გზას გაიკვლევს, არაერთი გამოცდის წინაშე დადგება. მას გამჭულმებით უნდა უმტკიცო, რომ გიყვარს.

„დათო გოგიჩაიშვილი სიყვარულში იმედგაცრუებას ძნელად ეგუება“

— როგორი ხასიათი აქვს დათოს?

— გარეგნულად რბილი და უწყინარი ჩანს, მაგრამ მისი გარეგნობა მხოლოდ ნიღაბია, რომლის მიღმა მოლუშული, აგრესიული და სევდიანი ადამიანი იმალება. ის ხშირად აღწევს წარმატებას, მაგრამ რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, წარმატებას მისთვის კმაყოფილება არასდროს მოაქვს. ამაყია, ხელმომჭირნე, მომთმენი, პასუხისმგებლობის დიდი გრძობა აქვს. მასთან დაახლოება ძნელია, ადამიანებს ახლოს არასდროს უშვებს. არავის შეუძლია

აქვს. მასთან დაახლოება ძნელია, ადამიანებს ახლოს არასდროს უშვებს. არავის შეუძლია თქვას: დათოს კარგად ვიცნობო. დიდი სულიერი ტკივილის ტარების უნარი აქვს. მგრძობიარეა, მაგრამ ცდილობს, რომ ეს თვისება დაფაროს. მიუხედავად გარეგნული ექსტრავაგანტურობისა, ტრადიციების მიმდევარია. დაუფიქრებლად იშვიათად მოქმედებს. გოგონებს, რომლებსაც მისი გულის დაპყრობა უნდათ, უურჩევ, გემრიელი კერძების მომზადება ისწავლონ, ქალწულობა შეინარჩუნონ და პაემანზე სიმორცხვე გამოიჩინონ.

— შეგიძლიათ ჩამოთვალოთ მისი ხასიათის უარყოფითი მხარეები?

— პესიმისტია. გულში წყენის ჩახვევა იცის. თუ რაიმე აწყენინეს, ძნელად ივიწყებს. პატივმოყვარეა, ცოტა გულცივიც. მისი ყველაზე სერიოზული ნაკლი მელანქოლიისკენ მიდრეკილებაა. ცხოვრებაში დებრესიის პერიოდები ექნება... მის თვალში ძირითადად, დადებითი თვისებები ჩანს. შეიძლება, ეს იმის შედეგია, რომ ცდილობს, საკუთარი თავი კარგად წარმოაჩინოს. ეს არასდროს ავიწყდება. ის ერთგული ადამიანი და არაჩვეულებრივი მეგობარია. კარგი მეუღლე და საუკეთესო მეოჯახე იქნება.

— როგორია მისი ინტიმური სამყარო?

— მისთვის სიყვარული გულწრფელი და ჯანსაღი გრძნობა არ არის. მას ურჩევნია, ცოლი ანგარებით შეირთოს. უპასუხო, გაუზიარებელი სიყვარულისგან მიღებული სიმწარე უკვე გადატანილი აქვს. საერთოდ, უამრავი ეროტიკული თავგადასავალი ჰქონდა და უფრო მეტი წინ ელოდება. სიყვარულში იმედგაცრუებას ძნელად ეგუება, ცდილობს, მეხსიერებიდან ამოშალოს. მასზე დაყრდნობა არ შეიძლება. ის სიყვარულს და სასიყვარულო თავგადასავლებს ხშირად თავმოსაწონებლად იყენებს, ამიტომ შეიძლება საიდუმლოც გაამჟღავნოს.

— რა ელოდება?

— მისი ცხოვრება წარმატებული იქნება. პოპულარულ ადამიანებს შორის მომავალშიც დარჩება. ბოლომდე ტელევიზიაში იმუშავებს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენი სერიოზული კონფლიქტიც ექნება, სამსახურს იმდენჯერვე მიატოვებს. ასაკში შესულ დათოს თანამდებობაზე ვხედავ. უფრო თავდაჯერებულია და მბრძანებლობს.

— რამდენი შვილი ეყოლება?

— მას ორი ქორწინება ელის და ორი შვილი ეყოლება. სხვათა შორის, კარგი მამა იქნება. მასზე ბევრად უფროს ქალთან სასიყვარულო ურთიერთობასაც არ



გამოვრიცხავ. მათი რომანი წლების მანძილზე გაგრძელდება. ბოლოს, დათო თვითონ გაერიდება. ეს პერიოდი მისი ცხოვრების ერთ-ერთი აქტიური და საუკეთესო იქნება.

— რა ელის 2004 წელს?

— მისი პროექტი დიდ წარმატებას მოუტანს. წელს ის პოპულარობის ზენიტში იქნება, მაგრამ ცოტა უსიამოვნებაც ელის. ეს წელი მისთვის სარფიანი აღმოჩნდება. შეუძლია, თამამად გამოიცივლოს სამსახური, თუ ამის საჭიროება ექნება და რისკიანი გადაწყვეტილებებიც მიიღოს.

„თემო ხვიბლიანი ჟურნალისტ გოგონაზე შეაჩერებს არჩევანს“

— მოუსვენარი, ჯიუტი და ცინიკოსი — ასე შეიძლება დახასიათდეს თემო ხვიბლიანი. უსაზღვროდ ერთგულია და მასთან მეგობრობა სასიამოვნოა. სხვისი გასაჭირი ყოველთვის გულთან ახლოს მიაქვს, სხვისი დარდის გაზიარებაც შეუძლია. მეგობრისთვის თავგანწირვა მისი ჩვეულებრივი თვისებაა. კარგი ცხოვრებისთვისაა გაჩენილი, მაგრამ კომფორტის გარეშეც გაძლებს. თუმცა, თუ ფული დასჭირდა, მას სხვაზე ადვილად იშოვის. კონტაქტურია. ადამიანებთან ურთიერთობას იოლად ამყარებს. სიამოვნებას რაც შეიძლება მეტი ხალხის გაცნობაში ნახულობს. კეთილი, რბილი ხასიათის ადამიანია. დახმარების გასაწევად მუდამ მზად არის. თავმდაბალია და იშვიათად ცდილობს ახლობლებზე უპირატესობის მოპოვებას. თავშეკავებულია და გრძნობების გამოშვებულება არ უყვარს. მის ერთგულებას საზღვარი არა აქვს.

— მისი ხასიათის უარყოფითი მხარეებიც ჩამოთვალოთ.

— არაროგანიზებულია. ბევრს ლაპარაკობს გველებზე, მაგრამ მისი იდეები ხშირად განუხორციელებელი რჩება. მცირედით

კმაყოფილდება. ორიგინალურად მოაზროვნეა — მისგან გაცილებით უკეთესი ფსიქოლოგი დადგებოდა, ვიდრე ხელოვანი.

— როგორი იქნება მისთვის 2004 წელი?

— ისეთივე, როგორც წინა წელი იყო. დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. თუმცა შეიძლება, მარცხი მარცხზე განიცადოს, მაგრამ მზად იქნება, ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ეს განსაკუთრებით გოგონებთან ურთიერთობას შეეხება. თემოს უურჩევ, თვალი გადაავლოს თავის გარემოცვას, მეგობრებს, ნაცნობებს და აღმოაჩინოს გოგონა, რომელიც მასზე უზომოდაა შეყვარებული.

— როგორია მისი ინტიმური სამყარო?


— სიცოცხლის მანძილზე ბევრი გატაცება ექნება, მაგრამ სიყვარული მას მხოლოდ მოწიფულობის ასაკში ეწვევა. მასზე უამრავი გოგონაა შეყვარებული, თემო არც ერთ მათგანში არ ეძებს თავის იდეალს, თუმცა ცოლად ერთ-ერთ მათგანს მაინც შეირთავს. ეს ქორწინება უიღბლო აღმოჩნდება. სხვათა შორის, მასზე ორი ჟურნალისტიც არის შეყვარებული. თემო სწორედ ერთ-ერთ მათგანზე შეაჩერებს არჩევანს... მისგან ნამდვილი მამაკაცი დადგება. სექსუალურ პარტნიორობა მრავალფეროვნება მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდება. მისთვის სექსი აუცილებლობად იქცევა და ბევრ ქალს გაუყვოს სარეცელს...

— რა ელოდება?

— ბედნიერი იქნება. ძალზე ჯანმრთელია. მხოლოდ კუჭ-ნაწლავის სისტემამ შეიძლება შეუქმნას პრობლემები. გულ-კეთილი და უწყინარი ბიჭი, ცხოვრებას შესანიშნავად მოიწყობს.



კასი, რეჟისორი ყველაფერი ღვთის სახლის შესახებ



წლების მიჯნაზე, დროის ცნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ბუნებრივია, საათი ამ დროს, ღრმავაროვან სიმბოლოდ წარმოგვიდგება, მისი „მესაიდუმლე“ კი — ე.ი. ამ ხელსაწყოს მექანიზმის მცოდნე — თითქოს მართლაც ფლობს რაღაც ინფორმაციას, რომელიც დანარჩენების სთვის ხელმეორედ მოელოდა... დღეს ერთ-ერთ ასეთ „მესაიდუმლე-თავანს“ წარმოგიდგინო, თუმცა მანამდე, საათის ისტორიაში მოკლე ექსკურსს გთავაზობთ.

ანუ გადაიხადეთ მეტი და იყიდეთ ხარისხიანი საათი!

ნანა ჰიბიშაური

რა ვიცით ზოგადად საათის შესახებ? ზოგადად ვიცით ის, რომ ის არის დროის საზომი ხელსაწყო, რომლის მეშვეობით მუდმივ პერიოდულ პროცესებს ემყარება (დღეადმინის ბრუნვას, ელექტრულ რხევებს, ქანქარას, კვარცის ფირფიტას და მოლეკულაში ატომების რხევებს). არსებობს მაჯის, მავის, კედლის და კოსმოსური საათები, ასევე — სპეციალური დანიშნულების, მაგალითად: რადიოშუქურის, სასიგნალო, საპროცესული, ასტრონომიული, საჭადრაკო, სატაბლო და სხვა. საათებს შორის ყველაზე დიდი სიზუსტით გამოირჩევა კამერტონიანი საათები, რომელშიც გამოყენებულია კამერტონის სტაბილური რხევები (ცდომილება დღე-ღამეში +/- 0,1 წმ).

პირველი მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ადამიანმა დროის გაზომვა შეძლო, მზის სხივის ემყარებოდა. ძვ. წ. აღ.-ის II და I ათასწლეულებში ინდოეთში, ეგვიპტეში, ჩინეთსა და საბერძნეთში აგებდნენ წყლის საათებს. ისინი როგორც დღისით, ასევე ღამით უჩვენებდნენ დროს. მექანიკური საათის შესახებ პირველი ცნობები გვხვდება ბიზანტიურ ანთოლოგიაში. 1335 წელს მილანში ააგეს მარტივი კონსტრუქციის პირველი კოსმოსური საათი. 1348-64 წლებში, იტალიაში დონდომ შექმნა საათი, რომელიც დროსთან ერთად უჩვენებდა მზის, მთვარისა და ხუთი ცდომილის მოძრაობას. 1354 წელს სტრასბურგის ტაძარზე დაიდგა საათი, რომელსაც ჰქონდა კურანტები, კალენდარი და მოძრავი ფიგურები.

თანამედროვე მექანიკური საათის გამოგონებელია კ. ჰიუგენსი, რომელმაც 1657 წელს, პირველად გამოიყენა ქანქარა, როგორც საათის რეგულატორი. XVII საუკუნის ბოლოს, ჯიბის საათებს დაუმჯობესეს წითების მარქენგელი, ხოლო 1760-იან წლებში — წამების მარქენგელი ისრები. ზუსტი დროის გაზომვად პრაქტიკული ასტრონომიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა და მას დროის სამსახურის ლაბორატორიები ემსახურება...

სამედიკო ოგანეზიანი უკვე 12 წელია, რაც საათებს „მედიკალურებს“. ამ პროფესიაზე ბავშვობიდან არ უოცნებია. საათების შეკეთება დაიწყო მას შემდეგ, რაც თბილისის ომის დროს, თავის არეში მიყვებული ჯრილობის შედეგად, II ჯგუფის ინვალიდი გახდა. ხელობა ცოლისძმამ ასწავლა, თავისი ჯიხურიც დაუთმო და შეუძახა: აბა, შენ იცი... მას ახლა ნებისმიერი ტიპისა და ფორმის საათის შეკეთება ძალუძს და არა მხოლოდ შეკეთება — შეუძლია ისეთი რჩევებიც მოგვცეს, რომელიც საათის შერჩევაში დაგვეხმარება.

— რომელი საათის შერჩევას გვირჩევთ, რომ ერთი კვირის შემდეგ, თქვენი ხელობის ადამიანთან მისვლა არ დაგვჭირდეს?

— რა თქმა უნდა, შვეიცარიული საათის შექმნას გირჩევთ. თუმცა, იმ ქვეყანაში წარმოებული საათი — „როლექსი“ 20.000 დოლარი და მეტიც ღირს. მას ოქროს კორპუსი და სამაჯური აქვს. შიდამექანიზმიც ისეთი მეტალისგანაა დამზადებული, რომ 25-30 წელი შეკეთება არ დასჭირდება. საათი დამზადებულია ლალის ქვებით, რომელ-

იც არ იცვითება. შვეიცარიული საათების შემდეგ მოდის იაპონური წარმოების საათები: „სიკო“, „ორიენტი“, „კასიო“, „სიტიზენი“. გამძლე და მუშა საათებია. საერთოდ, საათის ღირებულება და ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ როგორ იტანს ის წნევას, რამდენად წყალგაუმტარია და დავარდნისას რამდენად მყარია. შვეიცარიული და იაპონური საათები აბსოლუტურად აკმაყოფილებს დღევანდელი მომხმარებლის მოთხოვნებს.

— დღეს ალბათ აღარავინ კითხულობს ძველებურ საბჭოთა „ჩაიკას“, რომელიც ერთ დროს ძალზე პოპულარული იყო...

— სხვათა შორის, მექანიკურ საათებს შორის, „ჩაიკა“ ცუდი რეპუტაციით არც ახლა სარგებლობს. ის დღესაც წარმოებაშია. მას რუსეთიც აწარმოებს და სომხეთიც. განსაკუთრებით კარგი ხარისხი აქვს ოქროს მაჯის საათებს; მათი ნაკლი ისაა, რომ არ არის გამძლე დავარდნისას და ძალიან „ემინია“ წყლის: ერთი წვეთიც რომ მოხვდეს მექანიზმს, ის მაშინვე ჟანგდება და ფუჭდება, მაგრამ თუ მოუფერთხილდებით, წყალს მოვარიდებთ და კორპუსს არ გაგტყნით, საათი უპრობლემოდ 25-30 წელი იმუშავებს.

— საქართველო საათს არ უშვებს?

— როგორც ვიცი, არა. ჩვენში წინათ უშვებდნენ „ელექტრონიკას“, ახლა ესეც შეჩერებულია.

— რატომ? ისე ძნელია საათის გამოშვება, რომ ისიც სხვა ქვეყნიდან უნდა შემოვიტანოთ?

— ძნელი არ არის, მაგრამ ეტყობა, ვიღაცას სწორედ იმ უხარისხო საათების შემოტანა აძლევს ხელს, რომლითაც საესეა ჩვენი ბაზარი. ჩინეთიდან შემოაქვთ უამრავი ერთჯერადი საათი, რომელიც არაფრად ვარგა. ბაზრობაზე იყიდება საათები, რომელიც მოპარული ციფერბლატითაა აწყობილი; ციფერბლატზე აწერია „სეიკო“, საათი კი კვირაზე მეტხანს არ მუშაობს... ჩემთან ასეთნაირად მოტყუებული უამრავი ადამიანი მოდის.

— როგორ უნდა გააჩიროს მყიდველმა ნამდვილი „სეიკო“ ყალბისგან?

— ეს ძალიან ძნელია. ჯობს, მესაათესთან იყიდოს ან ფულის გადახდამდე იკითხოს რჩევა, თუ რომელი ფირმის, რომელი მოდელის შექმნის დროს მართებს განსაკუთრებული სიფრთხილე. თურქეთიდანაც ძალიან ბევრი საათი შემოდის, რომელიც მოპარული ციფერბლატითაა აწყობილი; ელემენტი დაჯდება თუ არა, ის საათი უნდა გადაადგო. მისი მუშაობის ხანგრძლივობა 1 თვეა.

— მექანიკური საათებიდან რომელს გამოარჩევთ?

— მე ძალიან მომწონს მექანიკური საათები. მექანიკურ საათსა და მის მეპატრონეს შორის, ურთიერთმომსახურების პრინციპიდან გამომდინარე, უფრო კარგი კონტაქტი მყარდება. ძალიან მომწონს ჯიბის საათიც, რომელიც ადრე ჩვენი მამების თაობაში იყო გავრცელებული. ახალგაზრდები ახლა ასეთ საათებს აღარ ატარებენ, მაგრამ ხომ იცით, რა ცვალებადია მოდა?! შეიძლება, მოვიდეს დრო და ჯიბის საათი, რომელიც დიზაინის თვალსაზრისით, მის შემქმნელებს ფანტაზიის დიდ გასაქანს აძლევს, კვლავ მოდური გახდეს. კორპუსის მრავალფეროვნებით სხვა უცხოურ ფირმებს არ ჩამოუვარდება „ჩაიკაც“, შედარებით იაფი ღირს. კარგი ხარისხის საათი-ბეჭდებია შექმნილი მანდილოსნებისთვის. თუმცა, ადრე გამოშვებული საათი-ბეჭდები გაცილებით ლამაზი და ორიგინალური იყო, ვიდრე ახლანდელი სტანდარტული ნიმუშები.

— როგორც ვიცი, თქვენი ხელო-

ბის ადამიანებს გაცილებით უჭირთ ძველი, ბებიების დროინდელი რელიკვიად ქცეული საათების შეკეთება. ასეა?

— კი. იმიტომ, რომ ისინი განსაკუთრებული წესით გამოჩარხული ნაწილებისგან შედგება, ამ ნაწილების რუსეთიდან შემოტანა კი, ვეღარ ხერხდება. იცით, როგორ მტკიცე გული, როდესაც ჩემთან მოაქვთ მართლაც კარგი საათი, რომლის აშუშავებას მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი სჭირდება, მაგრამ მე არ შემიძლია მისი შეკეთება სწორედ იმ პატარა ნაწილის არქონის გამო?! იმიტომ მინდა ვთხოვო ყველას: თუკი ოჯახში აქვთ გაფუჭებული საათი, ნუ გადაადგებენ და მოუტანონ ხელოსანს. შეიძლება, სწორედ იმ საათში არის ის პატარა ნაწილი, რომელიც ჩემი ხელობის ხალხს სჭირდება.

— საათის ნიკნიკი ზოგს ამშვიდებს, ზოგს — ნერვებს, ზოგს კი — მუზის საღერღელს უშლის... თქვენ როგორ გრძნობთ თავს ამდენი საათის გარემოცვაში?

— როგორ ვითხრათ... იმ საათებიდან, რომელსაც ჩემს ჯიბურში ხედავთ, ზოგი ავადმყოფს მაგონებს, ზოგი უკვე „გარდაცვლილია“, ზოგი „გახალისებული“ და „გამოჯანმრთელებული“; ზოგი პატრონს ჰგავს, იმ სახლის სუნი აქვს, რომლის „ბინადარიც“ წლების განმავლობაში იყო... მიყვარს საათის წიკწიკი. ზოგჯერ მოდიან და მწუქნიან გაფუჭებულ საათს: მე აღარ მჭირდება და იქნებ, თქვენ გამოიყენოთ რამემიო? შევაკეთებ და მერე რა უყუო? — სახლში მიმაქვს!.. უამრავი საათი მაქვს შინ და ჩემი ოჯახის წევრები ამის გამო ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას. რას გვერჩიან ან მე, ან ჩემს საათებს, ვერ გამოვიყვანო...

— რომელი ტიპის საათებია ყველაზე ძნელად შესაკეთებელი?

— რა თქმა უნდა, კედლის საათი. არადა, მე რომ ვინმემ კითხოს, ყველა ოჯახში უნდა იყოს კედლის საათი: მას თავისებური სილამაზე და სიმეყდროვე შემოაქვს სახლში. ასეთ საათებს მთელ თბილისში მხოლოდ 1-2 მესაათე თუ აკეთებს.



— მაგიდის საათებიდან რომლის შექმნას გვირჩევთ?

— „იანტარი“, „მაიაკი“. „იანტარი“ ყოველ 15 წუთში მელილიას უკრავს და მათ, ვისაც ოჯახში ბავშვები ჰყავთ, ასეთი მაგიდის საათი ძალიან გაახალისებს. ჩემი ყველაზე დიდი გულისტკივილია ის, რომ ქალაქში ძალიან ცოტაა ქუჩის საათი. უწინ საბურთალოზეც იდგა დიდი საათი. დიდი სურვილი მაქვს, გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც ამ საკითხით დაინტერესდება. თბილისში დღეს მხოლოდ ერთი კაცია, რომელიც თვითონ ჩარხავს საათებს. მხოლოდ იმ კაცს შეუძლია ქალაქში საათის დადგმა. 80 წელსაა მიტანებული, მაშინკონა ჰქვია.

— თქვენი ხელობა შემოსავლიანია?

— როგორ ვითხრათ... დღეში ხან 20 ლარი გამოდის, ხან — 40.

— თავად რომელი ფირმის საათს ატარებთ?

— „ორიენტ კარლევსკი“ — იაპონური საათია. ოდნავ ამაზე დიდია „ორიენტ კოლეჯი“. ორივე ძალიან მომწონს. მამაკაცს ოთხკუთხედის ფორმის საათი უხდება. ქალზე კი, მრგვალი საათი მომწონს. ქალებს ვურჩევ, ატარონ შევიცარიული „ომაქსი“ — ის მათთვის ძალზე მოსახლენია.

— ქალების უმრავლესობას რომელი ფირმის საათი მოსწონს, არ ვიცი, მაგრამ ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული, სიბერის შიშით, ყველა საათს გავაჩერებდით...

— სიბერე არც მამაკაცებს მოგვწონს, მაგრამ ამ საქმეს საათების გაჩერებით არაფერი ეშველება. ისევ ჯობს, ვიცოდეთ ზუსტი დრო და დროის ფასი...

— დაბოლოს, კიდევ ერთი რჩევა...

— მოკლედ გეტყვით: გადაიხადეთ ზედმეტი და იყიდეთ ხარისხიანი საათი!



ნებისმიერ ადამიანს ემანსიფიკაცია ისეთი შემთხვევა, როცა დაუფიქრებლად ნათქვამმა ფრაზამ სერიოზული უსიამოვნება მოუტანა. ალბათ, ბევრს უნანია მწარე სიტყვების გამო, მაგრამ ზოგჯერ ენამწარე ადამიანი სხვის ცხოვრებას სულ რამდენიმე სიტყვით ანგრევს, გამოუსწორებელ შეცდომას სჩადის და ვერც კი აცნობიერებს, რამდენი ტკივილი მოაქვს ახლობლებისთვის. ჩემი რესპონდენტები სწორედ ასეთ შემთხვევებს იხსენებენ.



მწარე ენა

მანონი, 35 წლის:

— ჩემი ამბავი ძალიან სევდიანია. არც კი ვიცი, თხრობა საიდან დავიწყო — იქიდან, მე და კოკა ერთ სკოლაში რომ შეგვიყვანეს და ერთ მერხთან დაგვსვეს თუ იქიდან, საკონტროლო წერის რვეულში რომ დაწერა: „მანონი ჩემი ცოლი გახდება. ჩვენ უთვალავი შეილი გვეყოლება“... ბედნიერი მოსწავლეობის ხანა რომ დამთავრდა, შეუღლება გადავწყვიტეთ. ორივემ სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრეთ; მე ერთი გამოცდით სამედიცინო ფაკულტეტზე ჩავირიცხე, კოკა კი — ფიზიკის ფაკულტეტზე. თბილისში ბინა არც ერთს არ გვქონდა, ამიტომ ვიფიქრეთ: დაქორწინდებით და ბინას ერთობლივად დაგროვილი თანხით შევიძინოთ. მშობლებიც არ იყვნენ წინააღმდეგნი, მაგრამ მოულოდნელად საშინელი რამ მოხდა: მამაჩემი დააპატიმრეს.

— რატომ?

— ფულის გაფლანგვაში, საკმოდ დიდი თანხის მითვისებაში აღნაშაულებდნენ. ეს ოჯახისთვის ნამდვილი ტრაგედია იყო. ქონების კონფისკაციის შემდეგ, სახლიდან ავეჯიც კი გაიტანეს. მამას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასამართლო პროცესზე კოკა ყოველთვის დადიოდა, მხარში მედგა და ცდილობდა, ნაკლები მჩერეოილა. ცხადია, თავს ცუდად ვგრძობდი, დეპრესიაში ჩავვარდი, სწავლასაც კი დროებით დავანებე თავი — აკადემიური ავიდე და რაიონში, შინ დავბრუნდი. რამდენიმე თვის შემდეგ, ვიღაც თავზეხელაღებულ ყმაწვილს ჩავუვარდი გულში, რომელმაც თქვა — მანონი უნდა მოვიტაცო, სხვანაირად მის გულს ვერ

დავიპყრობო. შევშინდი. ამიტომ კიდე უფრო მივეჯავჯვე სახლს, მთელ დღეებს ოთახში ჩაკეტილი ვატარებდი. კოკამაც იცოდა ამის შესახებ და მეუბნებოდა: როგორც კი გამოჯანმრთლდები, დაქორწინდეთ, არ მინდა, ჩვენს ბედნიერებას ვინმემ ბზარი გაუჩინოსო. კოკას დაბადების დღეს, დილით ადრე მის სახლში წავიდი, რომ დედამისს დავხმარებოდი, კოკა თავის თანაჯგუფელებთან ერთად თბილისიდან უნდა ჩამოსულიყო. ფატი დეიდამ ჩვეულებიანამებრ თბილად მიმიღო. ბოლოს კი მკითხა: რატომ აღარ მოდიხარ ჩვენთან? ხომ არ მოგვიძულეო? გულწრფელად ვუთხარი: მეშინია, იმ თავზედმა ბიჭმა არაფერს გადამყაროს-მეთქი. გადაიკისკისა და მიპასუხა: რას ამბობ, გენაცვალე? შენზე ბიჭები მაშინ ირეოდნენ, მამაშენი ფულებს როცა „აფრიადლებდა“, ახლა პატიმრის შვილი, ჩემი უჭკუო ბიჭის გარდა, ვიღას სჭირდებაო?! ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ თავი ვერ შევიკავე და ტირილი ამივარდა. ის შემფოთდა, ჩემი დამშვიდება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ქურთუკი ჩავიცვი და აცრემლებული შინ დავბრუნდი. ენამწარე ქალმა ჩემი გეგმები თავდაყირა დააყენა. კვლავ ვაწყვდები, არ ვიცი, რა მექნა... რამდენიმე საათში, კოკა მოვიდა. კითხვები დამყარა: რატომ არ მოხვედი? რაზე ხომ არ გიჭირსო? ისეთი განერვიულებული ვიყავი, რომ მისი მოტყუება ვეღარ შევძელი და სიმართლე ვუთხარი... — ასეთი მწარე ენა დედაჩემს არა აქვს, ნეტავ, რა დაემართათ?! — გაოცდა. თუმცა, რას წარმოიდგენდა, რომ სწორედ ეს მწარე ენა გახდებოდა ჩვენი დაშორების მიზეზი.

ერთ თვეში, როგორც კი ჩვენს კარს მამაკალი მოადგა, ფატი დეიდას სამაგიერო გადაუხადა და გაეთხოვდა. ეს ყველასთვის ნამდვილი შოკი აღმოჩნდა.

— ასე იოლად დათმე საყვარელი ადამიანი?

— კოკასთან გულწრფელი ვიყავი, ვუთხარი — ალბათ, ერთმანეთს უნდა დავმორღეთ, დედაშენს რძლად აღარ ვუნდივარ და ეს ძალიან დიდი მიზეზია-მეთქი; მაგრამ მას არაფრის გავიგება არ უნდოდა. ეგონა, დრო რომ გავილოდა, წყენა გამოვიღებოდა. ასე არ მოხდა... ცოლად იმ კაცს გავყვები, ვისზეც ბევრი გოგონა ოცნებობდა. როგორც სოფელში ამბობენ ზოლმე, სარფიანად და „ვაჭრულად“ გავთხოვდი. მეგონა, ამით დამთავრდებოდა ჩემი და კოკას ურთიერთობა. ქორწილის წინა დღეს, დამის ოთხ საათზე, კოკა მეორე საბურთულზე ფანჯრიდან გადმოძვრა, ჩემს საძინებელში ქურდევით შემოიპარა და ჩემი მოტაცება სცადა. მისი გეგმა ჩაიშალა. ჩემ გვერდით საწოლში დედაჩემი იწვა. მან ისეთი კვილი მორთო, რომ კვლავი შეაზანზარა... გავიდა დრო. მე ხუთი თვის ფეხშიძე ვიყავი. ლექციებიდან შინ ვბრუნდებოდი. სამედიცინო ინსტიტუტთან კოკა დავინახე. მივხვდი, რომ საკუთარ თავზე მეტად მიყვარდა. მომიახლოვდა; ისე, რომ ჩემთვის არც შემოუხედავს, ჩაილაპარაკა: მანქანით ვარ, წამოდი, სახლამდე მიგიყვანო. მორჩილად გავყვები. მთელი გზა ჩუმად ვისხედით. სანამ საბურთალოდან ფალიაშვილზე მივიდოდით, ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. მერე თავი ვეღარ შევიკავე და მოზღვავებული ბოლმისა თუ ემოციებისგან ტირილი დავიწყე. მან კი მითხრა: გავიქცეთ, ლენინგრადში ჩემს დასთან ჩავიდე, მე, შენ და ეგ ბავშვი, დროა, ბედნიერები გავხდეთო... პასუხი ვერ გავეცი, შეიძლება იმიტომ, რომ ასეთი ნაბიჯისთვის მზად არ ვიყავი. შეიძლება, მისგან ძალის დატანებაც კი მჭირდებოდა... მეორე დღესაც შემხვდა. მიატოვე ოჯახი და გავიქცეთო, — გამიმეორა. — თუ არ შემემკვები, თავს მოვიკლავ-მეთქი, — ვუთხარი. — თავს მე მოვიკლავ, შენ თუ გამწირავო, — მიპასუხა. არ შემიძლო, მისთვის თვალი გამესწორებინა, თორემ მივხვდებოდი, რომ არ მატყუებდა... რამდენიმე საათში კოკას ბიძაშვილმა დამირეკა და საშინელი ამბავი შემატყობინა: გორთან ახლოს, კოკას ავტოავარია მოსვლია და დაღუპულია, ადგილზევე გარდაცვლილია... დედამისმა უფლები არ მომცა, მიცვალებულს გამოვთხოვებოდი. ჩემი სიყვარული თვალის დახამხამებაში განადგურდა. რის გამო? — რამდენიმე მწარე სიტყვისთვის... ბავშვიც

დავკარგე. ნერვიულობისგან ისევ დებრე-სიაში ჩავკარდი. ქმარსაც ვაკეფყარე. ახლა ექიმად ვმუშაობ და სხვის ტკივილებს ვაყურებ. ჩემი ტკივილის დაამება არავის ძალუძს. ჩემთვის დროც ვერ აღმოჩნდა მკურნალი. გამუდმებით ჩვენი ბავშვობა მახსენდება. ხელიხელჩაკიდებულები სკოლაში რომ მივდიოდით, დარწმუნებულები ვიყავით — ჩვენი გზები არასდროს გაიყრებოდა, მუდამ ასე ვივლიდით და ყველა ცხოვრებისეულ სიძნელეს ერთობლივად შევებებოდით...

ზაზა, 39 წლის:

— თუ ჩემს სიდედრზე აუგს ვიტყვი, ეს ალბათ, არავის გაუკვირდება: სიდედრებზე ხომ ბევრი ანეკდოტი და მათი ენამწარობაც საქვეყნოდ ცნობილია?! მაგრამ რაც ჩემმა სიდედრმა ჩაიდინა, შეიძლება, დაუჯერებლადაც კი მოგეჩვენოს... ცოლი რომ შევირთე, მეგონა, ბედნიერი ვიქნებოდი და ოჯახური იდილია ჩვენი თანმდევი იქნებოდა მუდამ. მაგრამ ჩემი აღმაფრენა ჩანასახშივე ჩაკლა სიდედრმა: ქორწილის შემდეგ გამოგვიცხადა — მარტონელა ქალი ვარ, ან ჩემთან იცხოვრებთ, ან არა და, ჩემს ქალიშვილს მთორედაც უპრობლემოდ გაათხოვებო... ახალშერთულ ცოლს ვერ ვაწყენინე და დაუთმე. დედასთან ერთად ცხოვრება მასაც გულით ეწადა. აღარ მოვეყვები დაწვრილებით იმის მოყვალას, თუ როგორ მესმოდა ყოველ დილას ომანის შეძახილი: „აღე, მუშავ, გაიღვიძე!“ — საღამოს კი, გაუთავებელი წუწუნები: კაცი რომ 10 საათზე დაიძინებს, იმან ოჯახი ფეხზე როგორ უნდა დააყენოსო?! ერთ დღეს, სიდედრი უბოდიშოდ შემომივარდა საძინებელში და მითხრა: რამდენი ხანი უნდა გეძინოს? ადექი, აშენდა ქვეყანაო!.. ისედაც ცუდ ხასიათზე ვიყავი, მისმა უტაქტობამ სულ მთლად გადამრია და დაუყვირე: ქალბატონო ნატო, კიტრი წოლით იზრდება, მეც ვკვდილობ, დიდხანს ვიწვე — იქნებ, ენა გამეზარდოს, რომ პასუხი დაგიბრუნო მაგ შხამიანი ენით ნათქვამზე-მეთქი... აყალმაყალი ჩემი დის მოულოდნელი სტუმრობის წყალობით დასრულდა: ნათია სკოლის დირექტორი იყო და ქალბატონი ნატო მას ანგარიშს უწევდა... მაგრამ სიდედრი ვერა და ვერ ისვენებდა. ჯერ თავის შვილს უჩიჩინა: გაცილდი, უსაქმური კაცი ქმრად რად გინდაო?! შემდეგ კი, არაფერი რომ არ გამოუვიდა, მახე ღამივო.

— რა ჩაიფიქრა? მახეში როგორ გაებით?

— ჩემი პროვოცირება გადაწყვიტა. იფიქრა: ქალების მოყვარული კაცია, ხელს თუ შეუწუწობ, მახეში იოლად გავაბამო

და ერთ „ბედნიერ“ დღეს გამოაცხადა: შინამოსამსახურე მჭირდებაო. მე და ჩემი ცოლი შევწუხდით — ზედმეტი ხარჯის გაღება არ გვინდოდა, მაგრამ დავუთმეთ. ორი კვირის შემდეგ, სამსახურიდან რომ დაგებრუნდი, ქერა, მაღალი და ცოტა ჩასუქებული გოგო დამხვდა, ჩემს საძინებელში ხელებს უბოდიშოდ აფათურებდა. — ეს ლიაა, ჩემი დამხმარეო, — ღიმილით მაუწყა სიდედრმა. იმ გოგოს რომ შევხვედი, სისხლი ამიღულდა, მაგრამ ხომ არ შევიმჩნევდი?! მეც გავიციენე და სიდედრს ვუთხარი: ოჯახში უფროსობა ხომ გინდა? — შეგიძლია, ამ გოგოს ეუფროსო-მეთქი... მერე დიდი ხნის მანძილზე ვფიქრობდი, რით მოეწონა ჩემს ცოლს ლია? როგორც წესი, სექსუალური და მიმზიდველი მოსამსახურეები ქალებს არ მოსწონთ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქმრებზე ეჭვიანობენ... პასუხი რომ ვერ მოვხაზე, ვიფიქრე — ალბათ, დედა-შვილი მენდობა ან უბრალოდ, კაცად არ მთვლის-მეთქი... მივეჩვიე ბედს, რომელმაც მიმუხთია. ლია ისე სწრაფად გამიზარდა, რომ სულ ძალით მას ვეკითხებოდი — ჩემი ცოლი სად არის? — ან — ჩემი საცვალი სად შეინახე-მეთქი? ერთმანეთს იოლად დაუჯახლოვდით და რამდენჯერმე შეზარხოშებულმა მასთან ნარდიც ვითამაშე. ამის შემდეგ სიდედრმა გადაწყვიტა, ჩვენთვის მეტი თავისუფლება მოეცა და ნათესავებთან და მღაზიებში სიარულს მოუხშირა. ჩემი ცოლი ისედაც სულ სამსახურში იყო, ამიტომ სექსუალურ შინამოსამსახურესთან ერთად ხშირად ვრჩებოდი მარტო. რას წარმოვიდგენდი, თუ სიდედრსაც ეს უნდოდა?! მოგესხნებათ ქალების ამბავი. იმ გოგომ იმდენი მიტრიალა, რომ კინაღამ ლოგინში ჩავიწვინე, მაგრამ არ დამხვდა, თუმცა, ჩემი სიდედრისთვის ენა არ მოუტანია. იმ საღამოს, როცა სავანში მივუსხედით სუფრას, ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი მომხდარა. რამდენიმე დღის შემდეგ კი, სიდედრმა მკითხა: ლიას თვალი ხომ არ დაადგო?... პასუხი რომ არ გავეცი, თავადვე დაამატა: თუმცა

რა? კაცი რომ იყო, აქამდე შენს ცოლს დააფენხმდიმდლო!.. სიბრაზისგან სახე ამელეწა, მაგრამ თავის შეკაება შევძელი.

— იქნებ ჯობდა, ლიასგან შორს დაგეჭირათ თავი?

— ის თანამიგრძნობდა. ჩემი მეგობარი და მესაიდუმლე გახდა. უსიტყვოდ მიგებდა. სიდედრსა და ჩემ შორის ატეხილ უსისხლო ბრძოლაში, მე მემხრობოდა. იმ კაცისთვის, რომელსაც ოჯახში პრობლემები აქვს, თანადგომა ბევრს ნიშნავს. საერთო ენა იოლად გამოუნახე. მასხოვს, ერთხელ სადილი უმარილო გამოუვიდა. ვუსაყვედურე: არც მარილი აქვს, არც პილპილი-მეთქი. — შენს სიდედრს ენა ჩაყოფინე და გაცხარდებაო, — მიპასუხა. რამდენიმე დღის შემდეგ, მისით აღფრთოვანებულმა, ვიფიქრე: ოჯახს თუ დავანგრევე — მხოლოდ ასეთი გოგოს გულისთვის-მეთქი... მერე რაღაცა ძალამ მაგრძნობინა, რომ ლიასნაირი გოგონები იშვიათად იბადებიან და ბედნიერია ის, ვისაც ცხოვრების თანამგზავრად ამოირჩევენ... აფფორიაქდი. საკუთარ გრძობებში გარკვევა გამიჭირდა. სიდედრი მიხვდა, რომ ყველაფერი მისი გეგმით მიდიოდა და მითხრა: ერთი კვირით ჩემს ძმასთან აჭარაში მივლივარ, აბა, შენ იცი, როგორ დამახვედრებ ოჯახსო. საღამო ხანს კი, ცოლმა დამირეკა და ბოდიშები მიხადა: დედაჩემმა კინაღამ დამიჩიქა — ბათუმში წამომეყვიო, — მეც უარი ვერ ვუთხარი და...

— ე.ი. მკაცრი გამოცდის ნინაშე დადექით?

— იმ ღამეს მე და ლია ერთ საწოლში აღმოვჩნდით. გამთენიისას კი, მაშინ, როცა წყალიც იძინებს, კვილის ხმამ გამაღვიძა: თურმე, თავზე სიდედრი და ცოლი წამოდგომიან. მე და ლია მახეში გაბმულე-ბი აღმოვჩნდით... ბარგი რომ ჩავალაგე და იქიდან წამოსასვლელად მოვემზადე, სიდედრმა მრავალმნიშვნელოვნად გადმოხმე-და და მითხრა: რა გეგონა — სახლში ისეთ მამალს შემოვუშვებდი, ომანიანად ყვილიც რომ არ შეუძლიაო?! გამამწარა — ფაქტობრივად, დედალი ხარო, — მითხრა.

☆☆☆☆☆

99 შემთხვევაში ქალი ნამდვილი ბრყვივით იქცევა, მაგრამ მეთხვად, მამაკაცზე გაცილებით ეშმაკი აღმოჩნდება ხოლმე.

აგატა კრისტი



გენიალური

ვინატრე, მისი ენა მკლავზე დამეხვია, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ მქონდა. რაც მალე გავეცლებოდი იქაურობას, მით უკეთესი იქნებოდა. თანაც, აცრემლებული ლია მულოდა... ზოგჯერ მგონია, რომ სიდედრის მადლიერი უნდა ვიყო, ასეთი გოგო რომ გამაცნო...

ბარიბა, 31 წლის:

— ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. მე და ნანის ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა, ვმეგობრობდით და დროის უმეტეს ნაწილს ერთად ვატარებდით. ჩემს დად მიმაჩნდა, რომელიც არასდროს მყოფია. წლები გავიდა. სკოლა დავამთავრეთ. ის სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. მე კი არ გამიმართლა — ჩავიჭერი. სულ ვტიროდი, ვერაფრით ვეუბნებოდი იმ აზრს, რომ შევცდხვი და პირველივე გამოცდაში „ორიანი“ მივიღე. იმის მაგივრად, რომ ვენუგეშებინე, ნანიმ მომახალა: აბა, რა გეგონა? სკოლა ხომ არ იყო, „ზუბრიჩკისთვის“ „სუთიანი“ რომ დაეწერათო?! ამ ფრაზამ გული მომიკლა და ყოველთვის, როცა მეცადინეობას ვიწყებდი, მახსენდებოდა; შიშით ვეკითხებოდი საკუთარ თავს — მართლა ხომ არ ვიზეპირებ-მეთქი?... მეორე წელსაც რომ ჩავიჭერი, საკუთარი თავის რწმენა დაკარგე. დავიჯერე, რომ ნანიმ სიმართლე მითხრა, თუმცა ყველა, საპირისპიროს მეუბნებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ქიმიის ფაკულტეტზე ჩავრიცხე. კარგადაც ვსწავლობდი. ლექტორები ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მე კი სულ ნანის სიტყვები მახსენდებოდა და საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი მეპარებოდა... მერე ჩემს ცხოვრებაში ზურიკო გამოჩნდა. მაღალი, ახოვანი, სიმპათიური ყმაწვილი იყო, მღეროდა, ცეკვავდა და ყველა გოგოს მასზე ეჭირა თვალი, მან კი რატომღაც მე ამომირჩია. ეს ამბავი ნანის

რომ ვუთხარი, აღმაცერად გადმოხვდა და მითხრა: ალბათ, ზურიკოსთან ერთად სარკეში არ ჩაგიხედავს და განსხვავებას ამიტომ ვერ ხედავ; ტყუილად ოცნების კომპებს ნუ ააგებო... — შენი მეგობარი ხომ ვარ? ასეთ მწარე სიტყვებს რატომ მეუბნები, გულს რად მიკლავ-მეთქი? — ვკითხე და ტირილი დავიწყე. — სიმართლე ყოველთვის მწარეაო, — მიპასუხა. ფარ-ხმალი დავყარე. ზურიკო ცოლად მაინც არ მომიყვანს და ჯობს, მე თვითონ დავანებო თავი-მეთქი, — გადავწყვიტე. ეს მტკივნეული გადაწყვეტილება აღმოჩნდა — როგორც ჩემთვის, ასევე ზურიკოსთვის. ვერ გაიგო, რას ვერჩოდი, რატომ უარვეფიდი. ერთ დღეს, ნანისთან ინსტიტუტში მივედი. ვიკითხე — რომელ აუდიტორიაშია-მეთქი? — „მწარეს“ ეძებო? — მკითხეს. გავოცდი: თურმე მეტსახელად „მწარე“ დაურქმევიათ... ძალიან შეწუხდა, რომ დამინახა: მიხვდა, რომ მის მეტსახელს მეტყოდნენ... იმ დღეს ბევრი ვიფიქრე, ნუთუ მე ვერ ვხვდებოდი, მწარე ენა რომ ჰქონდა-მეთქი? — ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

— ამის შემდეგ არ სცადე ზურიკოსთან ურთიერთობა აღგედგინა?

— არა. ის უკვე სხვა გოგოს ხვდებოდა და ვფიქრობდი, რომ უფლება არ მქონდა მათთვის ხელი შეშეშალა. მაგრამ ზურიკომ თითქოს ჩემს გამოუმეტყველებაში ამოიკითხა მისდამი ჩემი სიყვარული, მოვიდა და მითხრა: იქნებ ჯობს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთო... მეოთხე კურსს ვამთავრებდით, შეუღლება რომ გადავწყვიტეთ. ჩემი ხელისშემოკიდე, რა თქმა უნდა, ნანი უნდა ყოფილიყო. ის იმ დროს უკვე ძალზე აქტიურობდა, რომ ჩვენი ქორწილი შემდგარიყო. ექიმად მუშაობდა და მატერიალურადაც კი გვეხმარებოდა: ოღონდ შეუღლდით, ჩიტის რძეს არ მოგაკლებოთ, — გვაიმედებდა. მას მხოლოდ ენა ჰქონდა მწარე, თორემ, საოცრად გულკეთილი იყო... ბოლოს, ქორწილის დღევ დაწინამეთ. ნანი უთენია მოვიდა ჩემთან, ჩაცმაში დამეხმარა და იმდენი მკოცნა, რომ ლოყები სულ დამიწითლა. ბედნიერი იყო ჩემ გამო. მოულოდნელად, ოთახში ზურიკოს და შემოვიდა. საშინლად

აღელვებული ჩანდა. თურმე დედამის მიკრონიფარქტი მოსვლია და მთხოვა: ხელმოწერა სამი საათისთვის გადავწიოთ, ცოტა დაგმწვიდლებით და მოვწესრიგდებით, თორემ, მთელი დამე საავადმყოფოში გავატარებთ და საშინლად დაღლილები ვართო. მაშინვე დავთანხმდი. სხვა გზა არც მქონდა. ნანიმ ის გოგო გააცილა. უკან რომ დაბრუნდა, ავად შემომხედა. მივხვდი, ჩემსავით ისიც გაღიზიანდა და განერვიულდა. — ნეტავ, რატომ დამართა-მეთქი? — ვიკითხე უმისამართოდ, — სულ რომ არ მოკვდა, არ გიკვიროს? — წამოიყვირა ნანიმ. — ზურიკოსნაირი შვილი რომ მყავდეს და შენნაირი გასაცოდავებული მომიყვანოს რძლად, მერვე სართულიდან გადავხტებიო!.. ამ სიტყვებმა კინაღამ გული გამიხეთქა. ისე გავნერვიულდი, კაბა ერთიანად შემოვიხიე. შარვალი ჩავიცვი, ქურთუკს ვტაცე ხელი და სახლიდან გიფიფით გავვარდი. ნუთუ, სადღეამთილოს იმდენად არ მოვწონვარ, რომ ინფარქტი მიიღო-მეთქი? — ვეკითხებოდი საკუთარ თავს და გავრბოდი.

— არავის უცდია, შეეჩერებინე?

— სანამ ნანი დარწმუნდა, რომ საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნოდი და რაღაც სიგიჟეს ჩავიდენდი, მანამდე უკვე ბათუმის მატარებელს შევასხტი. ბათუმში კოკისპირულად წვიმდა. ღია ცის ქვეშ, თავსხმა წვიმაში რომ აღმოვჩნდი, მაშინდა მოვედი გონზე. მივხვდი, რაც ჩავიდინე. უკვე საღამოს თერთმეტი საათი იყო... იმის მოყოლას არ დავიწყებ, თუ რა გადავიტანე იქ, კინაღამ გამაუპატიურეს. შემინებულ პოლიციის შენობაში შევეკარდი და დახმარება ვითხოვე... მეორე დღესვე გამომიშვეს თბილისში, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს აღარ ეშველა: ზურიკომ ჩემი მოსმენაც არ მოისურვა — მხოლოდ ფილმებში მქონდა ნანახი, პატარძალი ქორწილდან რომ გარბოდა და ისიც ფანტაზიის ნაყოფი მეგონაო, — უთქვამს. არ მაპატია, თუმცა დღემდე ვერ ვხვდები, რა დავამავე: მეგობრად ენამწარე გოგო რომ ავირჩიე, ალბათ, ამან დამლუპა...

— მერვც არ სცადე ზურიკოსთვის აგეხსნა შენი საქციელის მიზეზი?

— არანაირმა სვეწნა-მუდარამ არ გაჭრა. — თავი მომჭერი, ქორწილი ჩამალე, უამრავ სტუმართან შემარცხვინეო! — მსაყველურობდა. ორი კვირის შემდეგ კი, ცოლი შეერთო და ამით ჩემთან ყველანაირი კავშირი გაწყვიტა. მე კი ენამწარე დაქალის მსხვერპლად დავრჩი...



ნაწილი სასაზოგადოებრივი რესურსების, ერთი კაცისა და ხალხის სახსრების სწორად გამოყენების სუფრა „თამაღები“

მამია კახიძე

ჩვენი ქვეყანა ცნობილი თამაღებით ოდით-განვე რომ განთქმულია, ამის მტკიცებებს არ შევუდგები, მაგრამ ამ შობა-ახალი წლის დღეებში, ჩვენს ქალებზე ფიქრი მომეძალა: ნეტავ, ქალებში თუ გვყავს ამ საქმეში დახელოვნებულები-მეთქი და თბილისში ცნობილი

ქალი-თამაღების ვინაობაც დაგადგინე. გივი ბერიკაშვილი, ნუგზარ ჯუღელი და გივი სიხარულიძემ ერთხმად გამომიცხადეს — თამაღობით ცნობილ ქალბატონებს შორის, ნაწილი სარაჯიშვილი, სოფიკო ჭიაურელი და ვთერ კაკულია გამოირჩევიანო. მეც სამივეს ვესტუმრე და მათთან ერთად კარგად ვისაუბრე.

ნაწილი სარაჯიშვილთან არავინ „ბუნიობს“...

— ნაწილი, არ მეგონა, ჩვენი მამაკაცები ასე თუ აფასებდნენ შენს თამაღობას...


— ქართული სუფრა ნამდვილი აკადემიაა. მამაჩემი საუცხოო თამაღი იყო. მისი მეგობრები — ჯანო კახიძის მამა — ივანე, ჯანო ბაგრატიონი, გიგლა ფორცხალავა (რომელი ერთი ჩამოვთვალე) ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენთან. მათი ერთად ხილვა ნამდვილი ზეიმი გახლდათ. ის კი არა, სიმონიკა სხირტლაძის თამაღობა მინახავს, მეზობელი იყო და განთქმული თამაღი. ირაკლი აბაშიძის თამაღობაც მახსოვს. უი, თემიკო ჩირგაძე — ღმერთმა აცხონოს! — ისიც ჩემი უბნელი იყო და ზღაპარი თამაღი, გენიოსი!.. აი, ქალებში კი, სალომე ყანჩელი გახლდათ განუმეორებელი. უმცროსი ვიყავი, მაგრამ ძალიან ვმეგობრობდი, ყოველ კვირას ვიკრიბებოდით სალომესთან სახლში და ისეთი საოცარი თამაღობა იცოდა, მთელი ცხოვრება მემახსოვრება. მეც თანდათან დავეუფლე ამ ხელოვნებას. დიან, თამაღობა ხელოვნებაა და ამაში ნურავინ შემეღაცება. თამაღობის სკოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველისთვის. ბოლო დროს კი ვამჩნევ, რომ ქართულმა სუფრამ პეწი დაკარგა. ეს ალბათ, დღევანდლობამ მოიტანა, ათასმა პრობლემამ, ნაღველმა და ფიქრმა, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ჩვენი ცხოვრება და ჩვენი ცხოვრების მშვენიერება — „მისი აღმატებულება ქართული სუფრა“ ისევ შეიძენს თავის ნამდვილ ფერებს.

— მამაკაცებთან გითამაღია?

— რა თქმა უნდა. მე ჩემსას ვცდილობ, რომ თითოეულმა სუფრის წევრმა კარგად იგრძნოს თავი. იცი, სმაში არ

არის საქმე, საქმე — ქეიფშია! ქეიფს აქვს სწორედ ეშხი და სილამაზე. როცა ფეხზე ვდგები, წინასწარ არასოდეს ვგეგმავ სადღეგრძელოს — თვალს. მოვავლებ ხოლმე საზოგადოებას და ე, მაშინ მომდის თავში სათქმელი!.. არც ბევრი ლაპარაკი მიყვარს, ხალხი არ უნდა შეაწუხო ზედმეტი სიტყვებით. ძირითადად, მხიარულებას „ვაწვები“ (ნეტავ, სულ სამხიარულო სუფრასთან მოგვახვედრა). სხვათა შორის, სადაც მე ვარ თამაღი, იქ არასდროს „ბუნიობენ“, ჩემთან ყოფნა ადამიანებს უხარიათ და მეც ეს მახარებს. რადგან თამაღად მიჩვენენ, ე.ი. უხარიათ, არა?!

— საინტერესოა, დიდხანს ხომ



არ ახვეწინებ ხოლმე თამაღად შენი დანიშნვის მსურველებს?

— ერთ საიდუმლოს გაგიმხელ: სასმელს ვერ ვიტან, მაგრამ ისე ვიქცევი, ვითომ მაგრად ვსვამ, რათა სხვა შევიდეს სმის ეშხში... კი, მართალია, რომ მაქსიმალურად ვცდილობ, თავი დავიძვინო და თამაღად მე არ დამნიშნონ, იმიტომ, რომ თამაღს საკმარის ბევრი ენერჯია ეხარჯება. არ მიჭირს კონტაქტი, სასაცილო იქნებოდა მე, მსახიობს, ადამიანებთან ურთიერთობა რომ გამჭირვებოდა, მაგრამ მერწმუნეთ, თამაღობა სერიოზული პასუხისმგებლობაა, ნიჭია. ნიჭი კი ყოველთვის იხარჯება. სუფრის წევრად ყოფნა და ამგვარად მხიარულება მიჩვენია, მაგრამ როცა არ მეშვეებიან, — რა ვქნა, ვთანხმდები!

— წინასწარ არ ვგეგმავ სადღეგრძელოსო, — თქვი და ამდენი ექსპრომტი ალბათ, რთულია, არა?

— კი, მთელი შენი ნიჭი უნდა ჩააქსოვო. არ მინდა თავის ქება, მაგრამ კარგი თამაღი ვარ და ექსპრომტითაც ბევრჯერ გამოიცილება სუფრის წევრები.

— მაგალითად?

— მაგალითად, რესტორან „არაგვის“ პირველ სართულზე რუსული რესტორანი „სოვეტსკაია“ როცა გაიხსნა (მგონი, გრიშა ონიანმა გახსნა), იქ ვიქეიფეთ. თამაღი გახლდათ და სადღეგრძელოები ნიაღვარივით მოდიოდა. ჯერ ერთი, ყველა ოფიციალტს პიონერის წითელი ყელსახვევი ეკეთა, სუფრაზეც სულ რუსული კერძები იყო. მეც ვთქვი და ვთქვი ლენინის, სტალინის, კომკავშირის, პიონერული ორგანიზაციის, კომუნისტური პარტიის სადღეგრძელოები; ვიმღერეთ რუსული „ჩასტუშკები“, Широка ст-

ძირითადად, მხიარულებას „ვაწვები“

рана моя родная, Катюша, მაგრამ რუსული ეროვნული ცეკვებით მართლაც გადავრჩეთ მთელი რესტორანი... რუსულად სხვა დროსაც მითამადა. „ბერიკონში“, პირველ სართულზე, რესტორანი „კუზმა“ რომ არის, იქ და ძალიან მაგრად ვინახისეთ პელმენით, „სელიოდკითა“ და მოხარშული კარტოფილით ქეიფისას. ერთხელ კი გერმანულადაც ვითამადე.

— კარგად იცი გერმანული?

— არაფერიც არ ვიცი, მაგრამ მაინც მშვენივრად გავართვი თავი... ერთ სუფრასთან ვთამადავდი, მეგობარმა გოგონამ დამირეკა და მითხრა — ვერ მოვალ, გერმანიიდან სტუმარი ჩამომივიდა, თქვენ გერმანული არ იცით, ამან — ქართული და სტუმარს ვერ მოვაწყენო. მე ვუთხარი — შენ მოიყვანე და ჩემი გერმანულიდან მეცხრე ცაზე იფრენს სიხარულით-მეთქი... ერთი სიტყვით, რამდენიმე წუთში შემოგვიერთდნენ. რომ დავიწყებებელსის, გერინგის გახსენება, ვაგიუდა ის გერმანელი; არც ოტო სკორცენი დამვიწყნია. ჰიტლერის სადღეგრძელო ბოლომდე რომ დავალევი გერმანელ სტუმარს, გაოგნებული მიყურებდა — სიზმარში იყო თუ ცხადში, ვერ მიმხვდარიყო. რომ სვამდა, თან — აინ, ცვაი, დრაინ-მეთქი, — ვითვლიდი... მეზობელი მაგიდების წევრებიც აღფრთოვანდნენ ჩემი ტალანტით და მთელი საღამო აპლოდისმენტები არ მომკლებია (იციინის).

— ჩვენს პოლიტიკოსებთან თუ ვითამადა?

— არა, ჯერჯერობით არა, მაგრამ სიმოვნებით ვითამადე. თუ გინდა, შენც დაგიძახებ და ნახე, როგორ გადავრეკ!.. საერთოდ, მსახიობები ყველას უყვარს და სადაც ვქეიფობთ, ყველგან გვაქცევენ ყურადღებას, შამპანურს, ყვავილებს გვიზახნიან...

— ნახვამი თუ მართავ ხოლმე ავტომანქანას?

— არა, სხვასაც ვუფრთხილდები და ჩემს თავსაც.

— ამდენ სუფრანანახ ქალს, გამორჩეულად რომელი კერძი გიყვარს?

— ე.წ. „რთული კერძები“: ტოლმა, ხინკალი, მწვადი, კატლეტი... არ მიყვარს ტკბილეული და ამიტომ არ ვსუქდები. ხანდახან კარგ კანფეტს ვჭამ მხოლოდ.

— ერთადერთი მეგულები მსახიობებს შორის, ვინც ქართული თეატრის დღეს — 14 იანვარსაა დაბადებული. ნელს აპირებ აღნიშვნას?

— საოცარი დღეა — ძველით ახალი წელი, ნინოობა, მაგრამ მართალი ვითხრა, არ მიყვარს ჩემი დაბადების დღე იმიტომ, რომ საშუალება არა მაქვს, ყველა დავპატიყო — იმდენი ახლობელი და მეგობარი მყავს — და ამის გამო ძალიან ვნერვიულობ ხოლმე. ერთი

ოცნება მაქვს: ბევრი ფული მქონდეს და დიდი დაბადების დღე გადავიხადო „მეტენში“, სადაც ჩემი ბავშვობის, პიონერთა სასახლის, სკოლის მეგობრებს, მეზობლებს, ნათესაებს, კოლეგებს დავპატიუებ...

ეთერ კაკულია ძველით ახალ წელს დათო გოგიჩაიშვილთან ვიზიტს გეგმავს

— უამრავ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ქართველი თამაღისნაირი არსად მინახავს. რაღაცა, ნაღდი თამაღები ბოლო დროს დაიკარგნენ, საღ არიან?! იცი, როგორი თამაღა მიყვარს? — რომ შეხედავ და დაღევა მოგინდება. მახსოვს, ნინა ჟვანია იყო კარგი თამაღა. მამაჩემის მეგობარი იყო და ფანტასტიკური მოღხენა იცოღა.

— ქალბატონი ნინას ვაჟთან, ვანო ზოდელავასთან ერთად თუ გიქეიფია?

— ძალიან მიკვირს, მაგრამ ვანოსთან ერთად არასოდეს ვყოფიღვარ სუფრასთან. მაღ საკითხს აუციღეღბღად მივხეღვავ!

— რომ შეხეღვავ, დაღევა უნდა მოგინდღვსო, — აღნიშნღ და როცა შენ თამაღობ, მაშინ როგორაა საქმე?!

— ვაიმე, ვგიღლები თამაღობაზე, შესანიშნავი როღია! სერიოზული თამაღობა და თამაღები არ მიყვარს — იუმორის გარეშე საშინღეღბაა მათი მოსმენა. როცა მე ვარ თამაღა, ვცდიღობ, ენამოსწრღებული ვიყო (რაც ნამღვიღღად არ მაკღია), ვიმღერო, გავამზიარული ყვეღა. დიდი მსმელი არ განღღავარ, მაგრამ სამაღვიროღ, გადასარეღ დროს ატარღებენ ჩემთან ერთად.

— ბოღოს, როღის იყავი თამაღა?

— 2 იანვარს, ნანა ფაჩუაშვიღის დაბადების დღეზე... ორი ჭიქის მერე სუპერხასიათზე ვღღები ხოღმე. მე ვფიქრობ, კარგი ხასიათი მაქვს, არა?! განწყობისთვის, დიდი მნიშვნეღობა აქვს „სერვიროკას“, დღეს ჩემს მეგობართან, ნანა ჩხეიღესთან განღღღით და ისე ლამაზად ჰქონღა სუფრა განწყობიღი, ეგრევე „დაბიპერო“! ასეთ შემთხვევაში, „აღეტიღზე“ მოღღიხარ, სიმღერაც გინღა და ცეკვაც; მაგრამ მაინცღამაინც ხშირად არ ვცეკვავ. საყვარელი „ტოსტებიც“ მაქვს. რომ დაინახავ აღამიანს და რომ გინღა, მოეფ-



ორი ჭიქის მერე სუპერხასიათზე ვღღები ხოღმე. მე ვფიქრობ, კარგი ხასიათი მაქვს, არა?!



იმან იფიქრა - რადგან მილიმის, ე.ი. თანახმააო, - და იმანაც ყურებამდე გამიღიმა. ვაი, ნეტავ არ გაელო პირი!

ერო, თავისით მოდის სიტყვები. საერთოდ, ადამიანები ძალიან მიყვარს. საკუთარ დაბადების დღეზეც კი მითამადა. ვგიჟდები ქართულ სუფრაზე. დედაჩემი მარტო აწყობდა 100-კაციან სუფრას. მამა საოცრად პურექსპრომტით მარილიანი კაცი გახლდათ და ჩვენს ოჯახში, სუფრა პრაქტიკულად, სულ გამიღილი იყო...

ქეიფის დროს ფლირტისთვისაც თუ იცლი ხოლმე?

- ვა-ა, აზერბაიჯანში ისეთი რაღაც შემემთხვა!.. საქართველოს დელეგაცია-სთან ერთად ვიყავი ჩასული. არაჩვეულებრივი ბანკეტი გაგვიმართეს. ერთი სიმპათიური ბაქოელი მამაკაცი დანიშნეს თამადად, მაგრამ არ მიმიტყვევია ყურადღება, რადგან ჩემი ყურადღება „მენიუში“ მიიპყრო: ისეთი სუფრა გაგვიშალეს, შეიძლებოდა ზუთხზე დაქორწინებულიყავი... მაშინ მაგარი შუშპარა გოგო ვიყავი (ახლაც რა მჩქეფარე ვარ, არა?!). ვიმღერე - ქართული, რუსული სიმღერები და ბოლოს, აზერბაიჯანული „ჯუჯალარიც“ მივაყოლე. ბაქოელები თავზე დამფოფინებდნენ. ვხედავ, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ორმა ბაქოელმა გაიხზო. თურმე, მამულები არიან - დამიძახეს და მეუბნებიან: გვინდა, ეთერ-ხანუმი, ჩვენი თამადის მეოთხე ცოლი გახდეო... ვა-ა, ისეთი მოულოდნელი „პრედლოჟენი“ იყო, ზუთხიც დამავიწყდა, შამაიაც და ხიზილაღაც. მე ვუთხარი, ეგრევე ვერ მოგცემთ პასუხს, მოვიფიქრებ, ხვალ-ინდელი დღე გათენდეს-მეთქი. წესიერად არც მინახავს თამადა, შორიდან სიმპათიური ჩანდა, ის სუფრის ერთ თავში იჯდა, მე - მეორე თავში... მოკლედ, დილა გათენდა და კარზე მიკაკუნებს ვიღაც. გაგიჟდები - ის თამადა - „სა-

სიძო“ უღამაზესი თაიგულით არ მომადგა?! მივესალმე და გავეუღიმე. იმან იფიქრა - რადგან მილიმის, ე.ი. თანახმააო, - და იმანაც ყურებამდე გამიღიმა. ვაი, ნეტავ არ გაელო პირი! 32 კბილი ოქროსფრად უბრჭყვიალებდა და ლამის გული შემიწუხდა. უღვაში ჰქონდა და სუფრასთან შორიდან კბილები ვერ დაკუნახე. აი, ეგრე დავრჩი უქმროდ (იცინის)... ახლა ეს ჩვენი დათო გოგიჩაიშვილი გადამეკიდა...

როგორ - სიყვარული აგიხსნათ?

- დამიძახოს „ლამის შოუში“ და ვაჩვენებ სიყვარულს!.. ჩემი ყველა ინტერვიუდან ამოღებული ფრაზებით „ჰელ-ლაინებში“ „გულაობს“. ესეც არ იკმარა - „კა-ვე-ენზე“ სულ ჩემზე ილაღავეს. ვა-ა, ორი დღე ვიყავი ლეიბორისტებთან, თან - ფხიზელი და რას მერჩის გოგიჩაიშვილი?! არა, უნდა დავუმეგობრდე. ველოდები, მაინტერესებს, როდის დამირეკავს. შეიძლება, თავად დაეურეკო, ვეტყვი: დათიკო, გინდა, რამე?! ალბათ, ძალიან სერიოზული ვგონივარ. ისე, ჯობს, პურმარილი გაშალოს და თამადად დამიძახოს, მაგას მოადგილედ დავნიშნავ. ძველით ახალ წელს ვაპირებ მასთან ვიზიტს. სხვათა შორის, შეიძლება, ქალი-თამადების კონკურსიც ჩავატარო და ჟიურიში თბილისის საუკეთესო თამადები მოვიწვიო. რა მაგარი

გრადიციული კერძების და თამადის გარდა, სუფრის წევრებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს

იქნება, არა?! უი, მართლა - კიდევ ვახტანგურად დაღვევა მიყვარს ძალიან. რაღაც, ამ ბოლო დროს მივიწყეს და მინდა, აღვადგინო. ვახტანგურის პირველი ნაწილიც კარგია და მეორე - კიდევ უკეთესი, ღვინიან ტუჩებს სხვა გემო აქვს!.. როცა თამადა ვარ, ერთი განსაკუთრებული სიმღერით ვამთავრებ სუფრას: „ისე, როგორც არასოდეს, ახლა უფრო მწაღია-ა, ქართველებმა ერთმანეთი შევიყვაროთ ძალიან-ან, ერთიანი საქართველო ჩვენი სალოცავია-ა“... ხომ მაგარია, არა?! იმედის თვალთ ვუყურებ მომავალს და საერთოდ, იმედია გოგო ვარ (იცინის)!..

ქალს მართლაც კარგი თამაღობა შეუძლია

ქალბატონი სოფიკო, გაცივების გამო, თავს შეუძლოდ გრძნობდა და სულ რამდენიმე წუთი დამითმო.

ქალბატონო სოფიკო, რას ნიშნავს თქვენთვის ქართული სუფრა?

- ქართული სუფრა განსაკუთრებულია თავისი ელფერით, სურნელითა და წვერებით. ტრადიციული კერძების და თამადის გარდა, სუფრის წვერებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ნამდვილი ზეიმი შედგეს, მაგრამ უმთავრესი - თამადა. ძალიან ბევრი კარგი და ღირსეული თამადა მინახავს.

ამბობენ, სოფიკო ჭიაურელი თავადაც შესანიშნავი თამადააო...

- ქალს მართლაც, კარგი თამაღობა შეუძლია, განსხვავებული - უფრო გულიანი და ეშხით დამშვენებული!.. კი, მეც ბევრჯერ ვყოფილვარ სუფრის „თავქალი“.


ქალების გარემოცვაში უფრო გსიამოვნებთ თამაღობა თუ შერეული საზოგადოება გირჩევნიათ?

- შერეული. უფრო საინტერესოა.

საყვარელი სადღეგრძელო?

- ბევრი გამორჩეული სადღეგრძელოს თქმა შეიძლება, მაგრამ ჯანმრთელობის ფასი, არაფერია, ამიტომ, პირველ რიგში, ყველას ჯანმრთელობას გისურვებთ!..





საქართველო

ის, რასაც ახლა გაცნობებთ, ახალ წელთან დაკავშირებული არაა, მაგრამ შესაძლოა, ჩვენი ერთ-ერთი მკითხველისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყოს: გასულ კვირას, დილით, უცნობმა ქალბატონმა დამირეკა, ჩემი ვინაობა იკითხა და მითხრა: იცით, მარი, ჩემს კართან თქვენი ახლობელი გოგონას ჩანთა ვიპოვე, როგორც ჩანს, ის დაყაჩაღების მსხვერპლი გახდა და ჩანთა წაართვეს; შიგ დევს ბლოკნოტი, რომლის პირველ გვერდზე თქვენი სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი წერია; იქნებ, სმა მიაწვდინოთ და უთხრათ, რომ მისი ჩანთა ჩემთანაა... საუბრისას გაირკვა, რომ გოგონას, სავარაუდოდ, მთვარისა უნდა ერქვას. ის ჩემი ნაცნობი არ გახლავთ, მაგრამ როგორც ჩანს, „გზის“ მკითხველია და ჩემი ტელეფონის ნომერიც სწორედ ამიტომ ჰქონდა ჩანთაში. თუ თავს ამოიცნობს, დამირეკოს და იმ ქალბატონთან დაეკავშირებ, რომელმაც გულისხმიერება გამოიჩინა...

მარი ჯაფარიძე

საჩუქარი ჩემთვის ნაგები აქვს

ახლა კი, ჩვენს „გზაგანილებს“ მივხედოთ. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ დღევანდელი თემა, „ახალი წელი“ და „შობა“ ვახლავთ და ბუნებრივია, ამჯერად, მხოლოდ მხიარულ გზაგანილებს ველოდით, მაგრამ როგორც „მესიჯებიდან“ ჩანს, ეს საოცარი დღესასწაული მხოლოდ სასაძოვნო მოვლენებთან არ ასოცირდება...

„პირველ ეტაპში რომ მიმიყვანა, ყველას მამაჩემი ეგონა...“

„ახალი წელი რომ ახლოვდება, ყველაზე ცუდად მაშინ ვგრძნობ თავს. ეს დღესასწაული ჩემთვის დიდ ტრაგედია-სთანაა გაიგივებული. ახლა 25 წლის ვარ, ხოლო ის, რაც მინდა გაიპოო, 19 წლის წინ მოხდა... მე რომ დავიბადე, დედაჩემი 52 წლის იყო და მძიმე მშობიარობის გამო გარდაიცვალა. ჩემს მშობლებს ჩემამდე ერთი შვილი ჰყავდათ. ჩემი ძმა მაშინ 28 წლის იყო. ასეთ ასაკში რატომ გადაწყვიტეს კიდევ ერთი შვილის გაჩენა, არ ვიცი. მოკლედ, უდელი დავრჩით. გოგიტა უკვე დიდი იყო და გადაუწყვეტია, რომ ჩემი გაზრდა თვითონ ეთავა. მამა მთელი დღე მუშაობდა, გოგიტა კი თურმე, აკვანასაც მირწევდა, „ბილიონკებსაც“ მირეცხავდა და საჭმელსაც მიკეთებდა. ხანდახან მეზობელი ქალებიც ეხმარებოდნენ თურმე. ყველა, მისი ცოდვით იწვოდა. ავად რომ ვნდებოდი, დამეხმარებოდა... დედის დაღუპვის შემდეგ, მამას სმა დაუწყია და ერთ დღეს (მე მაშინ წლი-ნახევრის ვიყავი), საჭესთან მჯდომს ავარ-

ია მოუხდა და დაიღუპა. მე და გოგიტა სულ მარტონი დავრჩით. ის იძულებული გახდა, მუშაობა დაეწყო. მამაჩემის ადგილზე მიიღეს. ბავაში მიმიყვანა. მახსოვს, როგორი დაღლილი მოდიოდა ხოლმე, შინ ჩემს წასაყვანად. მერე, ძილის წინ, ზღაპარსაც მიამბობდა და ჩემზე ადრე ეძინებოდა... აი, ასე, წვალებ-წვალებით გამზარდა 6 წლამდე. პირველ კლასში რომ მიმიყვანა, მახსოვს, ყველას მამაჩემი ეგონა. ცოლი რატომ არ მოიყვანა, არ ვიცი... იმ წელს, პირველი სემესტრი რომ დავხურე, მშობელთა კრებიდან მოსულმა მითხრა: ახალი წლის ზეიმზე წაგიყვან, რადგან ასეთი კარგი გოგო ხარო. ახალი წლის ღამეს, შინ ორნი შევხვდით. შემდეგ მისი მეგობრის ოჯახში ვიყავით დაპატიჟებული და იქ წავიდით. კარგა მანძილი ფეხით ვიარეთ, რადგან ტაქსი არსად ჩანდა. შემდეგ სამი ნასვამი მამაკაცი შემოგვხვდა. ისინი ჩემს ძმასთან წაკამათდნენ, მაგრამ მე მიზეზი არ მახსოვს. ერთ-ერთმა დანა ამოიღო და ჩემი ძმის მიმართულებით რამდენჯერმე მოიქნია. მე თვალები დავხუჭე, ჩავჯექი და ყურებზე ხელები მივიფარე, თან ხმამაღლა ვბლაღდი. თვალები რომ გავახილე, დავინახე პარქე დამსობილი ჩემი გოგიტა და სისხლისგან წითლად შეღებილი თოვლი. მერე მახსოვს, შემინებული ადამიანების სახეები, პოლიციელები, ყვავილები, გასვენება... და ბავშვთა სახლი... ასე გავიზარდე. დღეს მყავს ჩემი ოჯახი, მეუღლე და ორი შვილი, მაგრამ ახალი წელი ჩემთვის ტრაგედია-

სთანაა დაკავშირებული... ბავშვებისთვის ნაძვის ხეს ვრთავ, საახალწლო სამზადისიც მაქვს ხოლმე, მაგრამ გუნება-განწყობილება საზეიმო არასოდეს მაქვს. თანაც, ყოველ ბედობის ღამეს, 2 იანვარი რომ თენდება, სიზმარში ჩემს გოგიტას ვნახულობ...“

მორიგი „მესიჯის“ ავტორს კი, შარშანდელი ბედობის ღამეზე ბედნიერება მოუტანა.

„ეს ჩემთვის პირველი ეტაპი იყო“

„2002 წლის ბედობის ღამემ ჩემი ცხოვრება შეცვალა. მე და ჩემი და ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. ბედობის ღამეს მეგობრები გვეწვივნენ. მათ შორის ერთ-ერთი, ჩემი ძმაცაი გახლდათ, ის თავის გელფრენდთან ერთად მოვიდა. მინდა გითხრა, რომ მის გარდა, სხვა ძმაცაი არც მყოლია, რადგან ბიჭები ყოველთვის, როგორც ქალს, ისე აღმიქამდნენ და არა როგორც მეგობარს. ამის გამო მამაკაცებისგან თავი ყოველთვის შორს მეჭირა. მხოლოდ იმ ერთს დავუახლოვდი, რადგან ვიცოდი, რომ მეგობარი გოგონა ჰყავდა... ბედობის ღამეს, ყველამ კარგად მოვილხინეთ. საკმაოდ შევთვერი. ჩემმა დაიკომ და იმ ბიჭმა საწოლზე დამაწვინეს. ჩემი და ერთი წუთით გავიდა, რომ ჩემთვის წყალი მოეტანა, მან კი ამით ისარგებლა და მოულოდნელად ტუჩებზე დამაცხრა. ეს ჩემთვის პირველი კოცნა იყო და გაოგნებული დავრჩი. გაცუბისგან ერთბაშად გამოვფხიზლდი, ირგვლივ მიმოვიხედე. ყველა ოთახის კარი ღია იყო, სტუმრები აქეთ-იქით მიმოდიოდნენ, მათ შორის – მისი გელფრენდიც; იმ კოცნის „მოპარვა“ როგორ მოახერხა, არ ვიცი... მერე დიდხ-

ანს ვფიქრობდი – დამესიზმრა-მეთქი, – მაგრამ დილით, უკვე თავდავიწყებით მიყვარდა. ერთი ნახვით შეყვარება გამივია, მაგრამ ადამიანს სამი წელი იცნობდე და ერთი კოცნით შეგიყვარდეს – ასეთი არაფერი მსმენია... მერე ბევრი დაბრკოლება გადავლახეთ, მისი მეგობარი გოგონასა თუ ჩვენი ოჯახების მხრიდან, მაგრამ ბედობის ღამეს დაწყებულმა სიყვარულმა თავისი გაიტანა: უკვე ორი თვეა, დაქორწინდით, ბედობას ერთად ვხვდებით და თავს ძალზე ბედნიერად ვგრძნობთ“.

ნათქვამია – ახალი წლის ღამეს, ვიდრე საათი თორმეტჯერ ჩამოკრავს, სურვილის ჩაფიქრება უნდა მოასწორო... ვისთვის ეს მხოლოდ დაუჯერებელი ცრურწმენაა, ვისთვის კი – ჭეშმარიტება, მაგრამ თუ ჩვენს მომდევნო რესპონდენტს დაუჯერებთ, ახალწლის ღამის ჯადოს-ნურობაშიც აღარ შეგვეპარება ეჭვი...

„ახალ წელს გილოცავ, სიხარულოო – მითხრა, წვერი მოიძრო და...“

„შარშან, ახალი წლის ღამეს, საათმა თორმეტის მოსვლა რომ გვაუწყა, სურვილი ჩაუთქვი: მინდა, ახალ წელს მასთან ერთად შევხვდე, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს-მეთქი. მერე ვინაწე: ნეტავ, ისეთი სურვილი ჩამეთქვა, რომელიც ამისრულდებოდა, ასეთი სისულელე რამ ჩამაფიქრებინა-მეთქი?! სისულელე კი იმიტომ იყო, რომ ის ადამიანი სხვა კონტინენტზე – ამერიკაში იმყოფებოდა და ახალი წლის ღამით ჩემთან როგორ მოვიდოდა?! სულ ათი წუთის დამდგარი იყო 2003 წელი, რომ კარზე დააკაკუნეს. გავაღე და იქ დიდწვერა „სანტა-კლაუსი“ დამხვდა. გაოცებისგან პირი დავაღე. ის კი, მიპატიუებასაც არ დაელოდა, ისე შემოვიდა შინ. – ახალ წელს გილოცავ, სიხარულოო! – მითხრა, წვერი მოიძრო და... ღმერთო ჩემო – ის იყო!.. საახალწლო სურვილი სულ რამდენიმე წამში ამიხდა. ბედნიერებისგან სახე მიბრწყინავდა. თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელბულა – ჩემივე ხელით დავანგრე, რადგან თავმოყვარობამ მძლია, უფლება არ მომცა, მისთვის მეთქვა, რომ ასე ძლიერ მიყვარდა... თუ ჩემს „მესიჯს“ დაბეჭდავთ, უფლება მომეცით, ჩემი ოცნების პრინცს მადლობა გადავუხადო და ბედნიერება ვუსურვო...“

ახლა კი „მესიჯი“, რომელშიც ჩვენი ერთგული მკითხველი თავისი მეგობრის შესახებ მოგვითხრობს:

„ვერ უშველა ზღვასავით უძირო თვალებმა...“

„თქვენი ერთგული მკითხველი გილო-

ცავთ ახალ წელს! მინდა, ჩემი დაქალის შესახებ გიამბოთ. ის ერთ ბიჭს უყვარს. მაგარი ტიპია, გოგონებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა, გარეგნული ბრწყინვალეობისა და ზღაპრული, ლურჯი თვალების მიღმა, სულიერ სიმანინჯეს ფარავს... ისე, მგონი, სიყვარულმა შეცვალა... ნემსის ყუნწში ძვრება, ოღონდ ნელიკას ასიამოვნოს. ჩემი დაქალი ბექქემის ფანია. შარშან ახალ წელს, იმ ბიჭმა იმდენი იჩალიჩა, რომ სადღაც ბექქემის ავტოგრაფი იშოვა (რა თქმა უნდა, ნამდვილი!) და აჩუქა. ნელიკამ უთხრა: თუ მაგარი ხარ, ახალი წლის ღამეს, თვითონ ამ ავტოგრაფის ავტორი მომიყვანე... ეჰ, ვერ უშველა ზღვასავით უძირო თვალებმა... შარშანდელმა საჩუქარმა კი, საერთოდ დაღუპა...“

კარგია, როცა უჩვეულო, კოლორიტულ ადამიანთან გაქვს საქმე, მაგრამ როცა ის თქვენი ოცნების ასრულებისას, შუა გზაზე ჩერდება... თუმცა, მომდევნო „მესიჯის“ ავტორი ამას მაინც ოცნების ასრულებას უწოდებს...

„ოცნებას მისრულებს და მერე ქრება...“

„მარი, ყველას გილოცავთ ახალ წელს და ერთი ბედობის დღის შესახებ მინდა გიამბოთ. ერთმა ნაცნობმა დამირეკა და მკითხა – რაზე ფიქრობ? – ვუპასუხე – თოვლზე, მთებსა და ულურჯეს ცაზე-მეთქი. ამ დროს, თბილისში ჩვეულებრივი, ნაცრისფერი დღე იდგა. ცოტა ხნის შემდეგ, მანქანით გამოძიარა, მითხრა – სადმე კაფეში დავსხდეთ და ყავა დავლიოთო. ვიარეთ, გავცდით თბილისს და ვიდრე თოვლიან ადგილს არ მივადექით, არ გაჩერებულვართ, არც ხმა ამოუღია. მერე გააჩერა, მყინვარწვერი დამანახვა და მითხრა: სულ ცოტათი მაინც თუ აგისრულე სურვილიო?... რაღაც, ძალიან ლამაზად გამოუვიდა... ახლა ისევ ველოდები. ის ძალზე უცნაური ვინმეა. მხოლოდ ასეთ ოცნებას მისრულებს ხოლმე და მერე ქრება...“

მკითხველთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ საახალწლო ღამეს ჩაფიქრებული სურვილი აუცილებლად ასრულდება, მაგრამ როგორც ჩანს, ყოველთვის ასე როდი ხდება...

„ჩემს თავს ვეითხები – ბედნიერი ვარ?...“

„არ ვიცი, ვინ მოიგონა ის ამბავი, რომ ახალი წელი სურვილების ასრულებაში გვეხმარება... ახლა ჩემს ამბავს მოგიყვებით და დარწმუნდებით, რომ ასე სულაც არ არის. 2000 წელი რომ დგებოდა,

საგანგებოდ მოვეშხადე, ვიფიქრე – საუკუნეების მიჯნაზე ჩაფიქრებული სურვილი აუცილებლად ამისრულდება-მეთქი. შეყვარებული მყავდა, რომელსაც სამი წელი ვხვდებოდი და ვერა და ვერ დავაყენეთ საშველი დაქორწინებას – ხან მას გამოუჩნდებოდა რაიმე ხელის შემშლელი მიზეზი, ხან მე. მოკლედ, ვიწვოდით ასე და ერთმანეთის ნატვრაში ამოგვდიოდა სული. ჰოდა, ვიფიქრე – ახლა რომ ჩაფიქრებ ამ სურვილს, აუცილებლად ამიხდება-მეთქი. დაიწყო საათმა თორმეტი გონგის ჩამოკრა, ვტაცე ხელი ფურცელსა და კალამს, სურვილი დავწერე (ასე ვიყავი დარიგებული), ქაღალდი მოვჭმუჭნე და სასწრაფოდ გადავყლაპე... მეთორმეტე გონგამდე მოვასწარი. შემდეგ შამპანურის ჭიქა ავწიე და ჩემი სურვილის ასრულების სადღეგრძელო ხმამაღლა წარმოვთქვი. იმ ღამით მშვიდად დავიძინე. მერე დღეს კი, ველოდი, რომ შეყვარებული მომაკითხავდა და სასიერნოდ ან მეგობრებთან წავიდოდი. თვალეზი მეტკინა ფანჯარაში ყურებით, მაგრამ არ ჩანდა. ტელეფონზეც არ მპასუხობდა. საღამო ხანს, მის მეგობართან დაერეკე და საშინელი ამბავი მამცნო – გუჯამ ცოლი მოიყვანა... ყურებს არ დაუჯერე, მაგრამ ფაქტს სად გავეცქეოდი?! როდესაც დავრწმუნდი, რომ გუჯამ მე აღარ მეკუთვნიოდა, გადავწყვიტე, თავი მომეკლა. შინიდან იმ აზრით გავედი, რომ მტკვარში უნდა გადავმსტარიყავი და თავი დამეხრჩო, მაგრამ (არ გაგვიცინოთ!) წყალი ცივი იქნებოდა და ამან დამახვეინა უკან... მოკლედ, ჩემი სურვილი არ ახდა. სულ ტყუილი ყოფილა ეს ყველაფერი. ახლა ორი კვირაა, რაც ოჯახი შევქმენი და ჩემს თავს ვეკითხები – ბედნიერი ვარ? არ ვიცი... ნამდვილად არ ვიცი...“

და მაინც – ჩაფიქრეთ სურვილები ახალი წლის ღამეს... თუ იმ ფურცლის „მირთმევა“ არ ამართლებს, რომელსაც სურვილი „განდეთ“, ერთ „რეკეპტს“ მე შემოვთავაზებთ: ფეხსაცმელში მონეტა უნდა ჩააგდოთ; როცა თორმეტი გონგის ჩამოკრა დაიწყება, თვალები დახუჭოთ, ხელები წინ ერთმანეთს გადააჭლოთ და სურვილი წარმოთქვათ – ოღონდ ამ დროს, თეთრ დათვზე არ უნდა იფიქროთ... ეს რას ნიშნავს – „გზის“ მომდევნო ნომერში აგიხსნით... კვლავ ველით თქვენს „მესიჯებს“ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. შემდეგი „გზაჯინილების“ თემა კი, კვლავ „საახალწლო“ იქნება: „როგორ ვსვამთ და როგორ ვინელებთ?“ გილოცავთ!

„კრძალ დაღვ და“



მთელი სსრკ-ის ინტელექტი...

მარი ჯაფარიძე

„როგორ ვსვამთ და როგორ ვინელებთ?“ – ასე განესაზღვრეთ „გზის“ 2004 წლის №1-ში დღევანდელი „გზავნილების“ თემა. ჰოდა, როგორც ჩვენი მკითხველების, მათი მეუღლეებისა და სიდედრ-დედაპოეზების „მესიჯებიდან“ ჩანს, მამაკაცთა უძრავლესობა სამ ჭიქას ხარივით სვამს, მერე კი... მერე ზოგი – აქაოდა, მაიმუნის წელიაო, – ოთხზე დამდგარი მიდის „თბილ კერამდე“, ზოგი სულ ვერ აგნებს სახლის კარს, ზოგიც სხვისი დახმარების იმედად რჩება და ქალაქის ცენტრში მდგარი საახალწლო ნაძვის ხის ქვეშ ათევეს დამეს...

„ტუალეტში აღარასოდეს დავიძინებ...“

„ყველას გილოცავთ ახალ წელს! როგორ ვსვამ? გმადლობთ, კარგად... როგორ ვინელებ? ამას ახლავე ვიამბობთ... 34 წლის კაცი ვარ, ორი შვილის მამა. ახალი წლის დადგომას ოჯახში შევხვდი, შემდეგ კი მეგობართან წავედი. უნდა გავამხილო, რომ ერთი სამარცხვინო ჩვევა მაქვს: როდესაც ნასვამი ვარ, თუ ტუალეტში შევედი, მერე მორჩა: იქვე გამოვიძინებ ხოლმე და საწოლს გამთენიისას ვუბრუნდები... ჰოდა, კარგად მოვილხინე ამ ჩემს

მეგობართან და ისიც მახსოვს, „ყველაზე საჭირო“ ოთახში რომ შევედი... საკუთარმა ხვრინვამ გამომაღვიძა. შუქი არ იყო, ბნელოდა. სირცხვილისგან კინაღამ მოვკვდი: სხვის ოჯახში ტუალეტში მძინავს და ვხვრინავ... სასწრაფოდ ავიწიე შარვალი, ძალზე უხმაუროდ გავაღე კარი, შემდეგ – სადარბაზოს კარი და გარეთ გამოვიპარე. კიბეზე ჩამოსვლისას შევებით ამოვისუნთქე. ვიფიქრე – შინაც ასე ჩუმად შევიპარები და ცოლი ვერ გაიგებს, როდის მოვედი-მეთქი... სადარბაზოდან გამოვედი და რას ვხედავ? – საკუთარ ეზოში ვარ!.. თურმე, ჩემს ოჯახში, ჩემს ტუალეტში მძინებია. როგორ მოვხვდი იქ, ახლაც ვერ ვისხენებ... უკან მიბრუნებულს, ცოლი შინ აღარ მიშვებდა. სად მიდიოდი? რატომ იპარებოდი სახლიდანო? ვერ დავაჯერე, რომ ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც თქვენ ვიამბობთ... იქნებ, ახლა მაინც დაიჯეროს და შემირიდეს?! ნუცა, პირობას ვდებ – ტუალეტში აღარასოდეს დავიძინებ...“

როგორც წესი, ის ჩვეულება, რომელიც რჯულზე უმტკიცესია, სწორედ სიმთვრალეში იჩენს ხოლმე თავს. ზოგს ჩვევად აქვს: დალევს და შარს ეძებს; ზოგი, შეზარხოშდება თუ არა, საჩვენებელთითს ჰაერში შეათამაშებს და – აქედან ყველა მივდივართ ჩემთანო! – გამოაცხადებს და არც იფიქროთ, რომ გადაათქმევი-

ნოთ: ზოგიც, შინ მშვიდობით მისული, საკუთარ ოჯახში ნივთებს იპარავს...

„საკუთარ ოჯახს ეძარცვავდი...“

„გამარჯობა! მინდა, ახალი წელი მოგილოცოთ და ჩემი სიმთვრალის შესახებ მოგიტხროთ. წლების წინ ავეჯის ქარხანაში ვმუშაობდი. ჰოდა, ვინაიდან ხელფასი ოჯახს ვერაფრით ვამყოფინე, იძულებული ვიყავი, სახელმწიფო ქონება დამეტაცებინა – ანუ, უფრო გასაგები ენით რომ ვთქვა, ავეჯი მომეპარა და შემდეგ გამეყიდა. ავეჯს ნაწილ-ნაწილ ვშლიდი და ლამაზობით ასე, ნაწილებად გამომქონდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად – დამეს, შინ მთვრალი დავბრუნდი. მეუღლემ დამაწვინა, შუქი ჩამიქრო და თვითონ დასაძინებლად ბავშვების ოთახში გავიდა. შუალამისას რაღაც ხმაურს გაუღვიძებია, ჩემს ოთახში დაფეთებული შემოვარდნილა და რას ხედავს? – ავმდგარვარ, ტრილიაჟისთვის ხელი ჩამივლია და ასე, საცვლებისამარა, ხვნეშა-ხვნეშით კარისკენ მივათრევე. – რას აკეთებო? – უკითხავს გაკვირვებულს. – ს-სუ, დარაჯმა არ გაიგოს, მოდი, მომეხმარე-მეთქი, – მითქვამს... ის მაშინვე მიხვდა, რომ თავი სამსახურში მეგონა და ვფიქრობდი, რომ ავეჯს იქიდან ვიპარავდი, სინამდვილეში, საკუთარ ოჯახს ეძარცვავდი... როგორც იქნა, ჯიკავ-ჯიკავით მიუყვანივარ საწოლამდე, დილით კი, შუა ოთახში დადგმული ტრილიაჟი რომ დავინახე და გინება ავტეხე, მერე მიაბხეს, რაც მოხდა და სიმართლე გითხრათ, შემრცხვა“.

„ჩემს ცოლს დასანახად ვერ ვიგანდი...“

„გამარჯობა! მივესალმები „გზის“ კოლექტივს. მინდა, ერთი ამბავი გაგიზიაროთ. მაშინ ოცი წლის ვიყავი. მეგობრის მამის გასვენებაში გახლდით. ცოტა შევთვერი. შემდეგ, ორ მეგობართან ერთად, გასართობად წავედით. რესტორანში წავიქეიფეთ. მერე ორი გოგონა გავიცანით. მე ერთ-ერთი მათგანი „დავითრიე“ და დამე ცარიელ ბინაში გავატარეთ, სადაც თვითონვე მიმიყვანა. დილით კარზე კაკუნმა გამაღვიძა. რამდენიმე წუთის შემდეგ, თავზე სამი „მოხეული“ კაცი წამომადგა, თავი მაიას ძმებად გამაცნეს და დამემუქრნენ: ცოლად თუ არ მოგიყვანია, ღორივით დაგკლავთო!.. ხმა არ ამომიღ-

ია. რა უნდა მექნა? შინ დავრეკე და ჩემებს ვუწყე — ცოლი მოვიყვანე-მეთქი. ქორწილიც გადავიხადეთ და შევუდექით ერთობლივ ცხოვრებას... გულზე ვიყავი გახეთქილი. ცალ-ცალკე გვეძინა. გადავწვიტე, ისე მოვქცეულიყავი, რომ თავისით გაქცეულიყო შინიდან... ისევ ძმები ჩაერივნენ საქმეში... მალე მათა დაორსულდა და ტყუბი გოგო შეგვეძინა. ბავშვები ისეთ დროს დაიბადნენ, რომ დღემდე შეპარება ეჭვი, ნამდვილად ჩემი შვილები არიან თუ არა, მაგრამ ისეთი კარგები არიან, ისეთი საყვარლები, რომ მთელი არსებით მიყვარს. გოგონები ახლა უკვე 18 წლისანები არიან. საოცრად ჰგვანან ერთმანეთს და ორივეს ძალიან ვუყვარვარ. მათა კი დღემდე ჩემი ცოლია, დღემდე ვერ ვიტან და ხმასაც ვერ ვიღებ. ის კი კისერზე მაზის და როგორც უნდა, ისე „დამაჭუნებს“. აი, ასეთი ამბავი დამემართა სიმთვრალეში. ხომ წარმოგიდგინათ? ერთხელ დღევ და მთელი ცხოვრება ინელბს...”

„კასო, შენ ნაგავი ხო არა ხარ?“

„ეს ამბავი რამდენიმე წლის წინ შემემთხვა. ახალი წლის ღამეს სხვაგან შევხვდი, შინ საკმაოდ გვიან ვბრუნდებოდი, მაგრამ ქალაქში არანაირი ტრანსპორტი არ მოძრაობდა, ამიტომ კარგა მანძილი ფეხით გამოვიარე და გმირთა მოედანზე მოვხვდი (იმ წელს, ნაძვის ხე იქაც იყო დიდებული). არ ვიცო, რატომ მომხსენასათა, მაგრამ გზა გადავჭყერი, ნაძვის ხესთან მივედი და ჩავეხუტე; მერე მის ძირში ჩამოვჯექი და როგორც ჩანს, ძილი მომერია... დილით ვიღაცამ ხელი წამკრა. თვალის რომ გავახილე, ქურთი ქალი შემრჩა ხელში — თავისი ცოცხი ჰქონია იქ დამალული და ამიტომ მომადგა... — აღეკი, კასო, მე ნაგავი დაგაო, შენ ნაგავი ხო არა ხარ?! აღეკი, აღეკი, გინდა, გინმარო (დაგეხმარო)?.. მაშინვე წამოვხტი ზეზე და შერცხვნილი გამოვიტურწე... ამის შემდეგ, ახალ წელს ყოველთვის შინ ვხვდები და აღარსად მივდივარ ხოლმე. ზაზა. 40 წლის“.

ახლა ქალებსაც მოვუსმინოთ. როგორი სიმთვრალე აქვთ მათ?

„აბაზანაში ბონდო ყოფილა...“

„შარშან, 8 მარტს თანამშრომელი ქალები შევიკრიბეთ და კარგად მოვ-

ილხინეთ. ბლომად სასმელი მივირთვი და შინ კარგ ხასიათზე ვბრუნდებოდი. მთელი გზა ვფიქრობდი — ნეტავ, ქმარი შინ დამხვდეს-მეთქი, — თან გონებაში ათასგვარ ეროტიკულ სცენას ვხატავდი და სახეზე ღიმილი მეფინებოდა... მოკლედ, ასე ღიმილ-ღიმილით, ფეხჩქარებული მივადექი კარს, გავაღე და დერეფანშივე შემომესმა ჩემი მეუღლის ღიღინი და წყლის ჩხრიალის ხმა. მივხვდი, სააბაზანოში იყო და შხაპს იღებდა. გამიხარდა. ჩანთა იქვე, შესასვლელში დავდე (შიგ გზად ნაყიდი შამპანური და სანთლები მეწყო, რომანტიკული ატმოსფეროს შესაქმნელად), სააბაზანოს კარი ჩუმად გავაღე და რადგან ფარდა ბოლომდე ჩამოფარებული დამხვდა, ვიფიქრე — სასიამოვნო სიურპრიზს მოვუწყობ-მეთქი. ფარდის ქვემოდან ხელი შევყავი. ღიღინი შეწყდა... ხელი მოვაფათურე და ყველაზე ინტიმურ ადგილას მოვუცაცუნე, მერე საჯლომზე წამოვარტყი და სააბაზანოდან კმაყოფილი გამოვედი იმ აზრით, რომ ვიდრე ის ბანაობას მორჩებოდა, მე სუფრას გავაწყობდი... სამზარეულო ოთახის კარი რომ შევალე, ხმამაღლა ვიკივლე: ჩემი ძვირფასი მეუღლე, მკლავებდაკაპიწებული, კარტოფილს თლიდა. სკამზე მივესვენე — ი-იქ... იქ ვინ არის-მეთქი? — ვკითხე. აღმოჩნდა, რომ აბაზანაში ბონდო ყოფილა — ჩემი მეუღლის გორელი ძმაცაი, რომელიც ჩვენთან სტუმრად ჩამოსულა... იქ რაღა გამაჩერებდა? — თავის ტკივილი მოვიმიზეზე, ლოგინში ჩავწექი და მეორე დღეს, სანამ ბონდო არ წავიდა, მანამდე აღარ ავმდგარვარ. ის კი მიხვდებოდა, რატომ გამოვიჩინე ასეთი „სტუმართმოყვარეობა“, მაგრამ ჩემმა მეუღლემ დღესაც არ იცის, რა მოხდა მაშინ...“

სიდედრის გულს ხომ ვერაფრით მოიგებს კაცი. როგორც არ უნდა ეცადოს ადამიანი, სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყოს, ის მაინც მხოლოდ ცუდს ხედავს. ეს თავად სიდედრის მონათხრობიდან ჩანს, რომელიც თავისი სიძის სიმთვრალის შესახებ გვიამბობს.


„მონანიე სიძე და „მმრუნველი“ სიდედრი

„გამარჯობა! გილოცავთ ახალ წელს! ჩემი სიძის სიმთვრალის შესახებ უნდა გიამბოთ (ცეცხლი დალიოს

მაგისმა პირმა!). ამ რამდენიმე თვის წინ, ვიკამათეთ მე და სოსომ (სიძემ). ჰოდა, მას მერე, აღარ ველაპარაკებოდი, გაბუტული ვიყავი. ახალი წლის ღამეს, მთვრალი მომადგა. ფეხზე ძლივს იდგა. კარზე რომ დააკაკუნა, ზედ მიყრდნობოდა. რომ გავუღე, დერეფანში გაიშხლართა. ხელში ყვავილები და ცელოფანის პარკით ტკბილეული ეჭირა. ძლივს ავაყენე ფეხზე. ცხვირიდან სისხლი წასკდა. შევათრე ოთახში. — სიდედრო, შემირიგდიო, — ლულულუღბდა. დივანზე დავსვი და მაშინვე გული აერია... ისეთ დღეში ჩავვარდი, ენა ვერ აღწერს. აივანზე ძველი სავარძელი მიდგას. გავიყვანე ყინვაში, იმ სავარძელში „ჩაგავდე“ — გამოფხიზლდება-მეთქი, — მე კი შინ შემოვბრუნდი და იატაკის წმენდა დავიწყე, თან, დაბადების დღეს ვიწყევლიდი: ეს რა ახალი წელი გამითენდა-მეთქი?! მერე ახლობელმა ტელეფონზე დამირეკა, დღესასწაული მომილოცა. მასთან საუბარში გავერთე და ჩემი სიძე სულ გადამავიწყდა. მერე ტელევიზორის ყურებას შევყევი და... ბევრი რომ არ გავაგრძელო, სოსო 5 საათის განმავლობაში აივანზე, კოსტიუმში გამოწყობილი იჯდა და ხვრინავდა. შინ გაყინული, ზურგზე მოკიდებული შემოვართრე, ლოგინში ჩავაწვინე და დილით სიცხისგან აბოდებდა. ისევ ჩემი მოსავლელი გახდა, რადგან ჩემი შვილი რაიონში, დედამთილთან იყო წასული ბავშვებიანად. თან ძმრიან წინდებს ვაცმევდი, თან ვწყევლიდი — შენ დაგადე გულზე შენი მოტანილი ყვავილები-მეთქი! იმას რა მათქმევინებდა, აივანზე რომ გავყინე და ავად ამის გამო გახდა?! საში დღე ვუარე, ბოლოს ჩემი შვილიც დაბრუნდა და თავის ქმარს თავად მიხედა. მე კი ისევ არ ველაპარაკები, მაგრამ მეშინია, ერთ დღესაც ისევ შესარიგებლად არ მოვიდეს და ჭირი არ გამიხდეს...“

დღევანდელი „გზაჯინები“ ამით დავასრულოთ. შემდეგი ნომრის თემა კი ასეთი იქნება: დანაშაული, რომლის გამხელა საკუთარი თავისთვისაც მრცხვენია...

გამოგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. მე კი მომავალ ხუთშაბათამდე გემშვიდობებით.



მოდელი თაპო ჩხეიძე უკვე ორი კვირაა, თბილისშია და შვეიცარიაში ძველით ახალი წლის შემდეგ აპირებს გამგზავრებას. მართალია, თავომ თბილისში ისწავლა მანქანის მართვა, მაგრამ ამჟამად აქ საკუთარი მანქანა აღარ ჰყავს, რადგან ის მეუღლესთან და შვილთან ერთად უკვე ერთი წელია, შვეიცარიაში ცხოვრობს (ამის გამო, ვერ მოვახერხეთ მოდელი საკუთარ მანქანასთან ერთად აღგვებეჭდა ფოტოზე). ფენევაში კი თავო ვერცხლისფერი „ფოლკსვაგენ ბორათი“ დადის. თუმცა, საუბარი, ბუნებრივია, საახალწლო ზემის თემით დავინწყეთ.

ბი მისხნიდნენ – საჩუქრები სხვა ბავშვებისთვისაც ჰქონდა დასარიგებელი და ეჩქარებოდაო. უკვე დიდი გოგო ვიყავი, როდესაც ერთხელ, შემთხვევით წაასწარი ბებიას და ბიცოლას, ჩემთვის და ჩემი ბიძაშვილისთვის საჩუქარს რომ ფუთავდნენ. მაშინ ვერ გაავაცნობიერე, თუ რა ხდებოდა, მაგრამ 12 საათზე იგივე ყუთი კართან რომ დავინახე, მაშინ მივხვდი, ვინ იყო ეს „თოვლის პაპა“... ის წლები ჩემთვის საუკეთესო იყო, ზღაპრული. ახლა ჩემს შვილს ვუმზადებ საჩუქარს. შარშან, სერგი (მაშინ 2 წლის იყო) ოცნებობდა – დიდი ჯიპი მიყიდეთო. ახალი წლის ღამეს ნაძვის ხესთან დავახვედრეთ მანქანა, მაგრამ ვერ მოვატყუეთ. მანქანა რომ ნახა, მამამისს მიუბრუნდა და უთხრა: ეს თოვლის პაპამ კი არა, ნუნამ მიყიდაო (ნუნას რუსლანს ეძახის). წელსაც სჯეროდა და მთელი ამბით ელოდებოდა, რა საჩუქარს მიუტანდა თოვლის პაპა.

— თავო, ახლა საუბრის თემა შევცვალეთ. რამდენი წელია, რაც საქტან ზინარ? გამოცდილი მძღოლი ხარ?

— სულ 2 წელიც არ იქნება, რაც მანქანის მართვა ვისწავლე. ერთი წელია, რაც შვეიცარიაში ვცხოვრობთ და ვიდრე იქ წავიდოდი, მანამდე ვისწავლე მართვა. კარგა ხანს დადიოდი მასწავლებელთან, რომ კარგად ამეთვისებინა მძღოლობა. რუსლანს ძალიან ეშინოდა საჭესთან ჩემი დასმა. როდესაც მასწავლიდა, ვერაფერს ვიგებდი, რადგან სულ ყვიროდა – წინ იყურე, ფრთხილად იარე, რას აკეთებო!?

ახალი წელი საქართველოში ჰუმუს, მანქანით მოძრაობა – შვეიცარიაში

ნიკო ჯაფარიძე

— შვეიცარიაში შარშან შევხვდი ახალ წელს და არ მომეწონა. თბილისში უფრო მხიარულად და კარგად გაატარებ დროს. შვეიცარიაში შობა უფრო დიდი დღესასწაულია. ღამაზად რთავენ ქალაქს, დეკორების დასაწყისში დგამენ ნაძვის ხეს და ყველა სახლის კარზე ამკრებენ ღამაზ საახალწლო სთამამოებს, ყველა სავაჭრო ობიექტში ცხადდება საშობაო ფასდაკლება. ახალი წლის დღეებში კი ქალაქი ცარიელდება, რადგან თითქმის ყველა ოჯახს აქვს აგარაკი მთაში და ოჯახის წევრები იქ ერთად იყრიან თავს. ქართველები უფრო სტუმართმოყვარეები და მხიარულები ვართ და ერთად მოლხენა გვიყვარს. შარშან ვთქვი, მომავალ ახალ წელს თბილისში რომ არ შევხვდე, გავგიჟდები-მეთქი. ძველით

ახალ წელსაც აქ შევხვდები და მერე დაგებრუნდები შვეიცარიაში. ბავშვობიდან ძალიან მიყვარს ეს დღესასწაული და ყოველთვის მოუთმენლად ველოდი ახალი წლის დადგომას. პატარაობაში, 31 დეკემბერს მამაჩემის შშობლებთან ვატარებდი. მამიდა და ბებია საჩუქრებს მიმზადებდნენ, ყუთში აწყობდნენ, ღამაზად ფუთავდნენ, „წვიმებით“ რთავდნენ და ზუსტად 12 საათზე მეტყობდნენ – ჩქარა, კარზე კაკუნია და გარეთ გაიხვედო. გავვარდებოდი, კარს გვაღებდი და იქ საჩუქრიანი ყუთი მხვდებოდა. სულ მიკვირდა – ნეტავ, ასე უცებ სად წავიდა თოვლის პაპა-მეთქი?! უფროს-



მაშინ ვერ გაავაცნობიერე, თუ რა ხდებოდა, მაგრამ 12 საათზე იგივე ყუთი კართან რომ დავინახე, მაშინ მივხვდი, ვინ იყო ეს „თოვლის პაპა“...

მოწმობა თანამედროვე გერმინოლოგიით		სხვა ქვეყანაში მცხოვრებ თანამემამულეთა გაერთიანება		გამის ნოტი	ქვეყნიდან გასვლის ნებართვა	მინის ან თიხის ჭურჭელი	თევზის ჯიშები
მიმართვა ინფლაციისადმი	ინფექციური დაავადება	რაც ... ვეფხვია, ის თავისთავის კაგაა	ტუთლ-სური მძირთვა	ადგილი მდინარეზე, სადაც წყალი ბრუნავს	კამეჩის ნაშიერი	განსაცემლზე დაჩნული ცხიმი	ხე... გა... (ქარ)

— და ა.შ. მანქანიდან გადმოვდიოდი ხოლმე და ვეუბნებოდი — აღარ მინდა სწავლა-მეთქი. საღამოობით, როცა შინ ვბრუნდებოდი, ისევ მსვამდა საჭესთან, მაგრამ თვითონ სულ დაძაბული იყო, ეშინოდა. შენევაში რომ უნდა წასულიყო, მითხრა — მანქანის გასაღებს დაგიტოვებ და რაც გინდა, ის ქენიო. მაშინ „მერსედესის“ ჯიპი გვყავდა.

— ქალაქში პირველი დამოუკიდებელი გასვლა თუ გახსოვს?

— ვენაში მაკა ასათიანის ჩვენება იყო. რუსლანიც თან მახლდა, იქიდან ის პირდაპირ შენევაში გაფრინდა, მე — თბილისში დავბრუნდი. შემოვედი თუ არა სახლში, გასაღები ავიღე და ქალაქში გავედი. უკვე მიჩვეული ვიყავი და აღარ ვნერვიულობდი. მინდოდა, საკუთარი მანქანა მყოლოდა, რადგან ბევრი საქმე მქონდა და სულ აქეთ-იქით დავბრუნდი.

— ახალბედა მძღოლი რომ იყავი, ალბათ ხშირად არღვევდი მოძრაობის წესებს და პოლიციელებიც ხშირად გაჩერებდნენ, არა?

— მოძრაობის წესებს იშვიათად ვარღვევ, წესიერი მძღოლი ვარ. პოლიციელები მანიშნებდნენ — გააჩერეო, — მაგრამ ზოგჯერ ვუჩერებდი და ზოგჯერ — არა. თუ რამეს ვაშავე კი, ბატონო, გამაჩერონ, მაგრამ როცა უსამართლოდ იქცევინან, რატომ უნდა დავემორჩილო მათ ბრძანებას?! ერთხელ პოლიციელი გამოძევიდა. ბოლოს და ბოლოს, გავაჩერე მანქანა. — რატომ არ მიჩერებდიო? — თან ეცინებოდა და ისე მეკითხებოდა. არც ვიცოდი — აღმოჩნდა, რომ მანქანას „ტეხასმოტრის“ ვადა ჰქონდა გასული და პოლიციელმა ამის გამო ჯარიმა გადამანხდევინა... ერთხელ მე და რუსლანი საღამო ხანს ბავშვთან ერთად ვბრუნდებოდით შინ. სანაპიროზე რეიდი იყო და გავაჩერეს. მგონი, მაშინაც „ტეხასმოტრის“ პრობლემა გვქონდა. ჯარიმა უნდა გადაიხადოთო, — უთხრა პოლიციელმა რუსლანს. ამ დროს სერგის სათამაშო ძირს ჩაუვარდა. შუქი ავანთე, სათამაშო რომ მომეძებნა და მალევე ჩავაქრე. პოლიციელი ახალგაზრდა კაცი იყო. ვხედავ, საბუთებს უკან აძლევს ჩემს ქმარს და ეუბნება — ადრე აგენტოთ შუქი ან გეთქვათ, ვინ გეჯდათ მანქანაშიო: ჩემდა გასაოცრად, მიცნო. წარმოიდგინეთ, თურმე პოლიციელებიც დადიან ჩვენებებზე და

მოდლებს გვეცნობენ. ამის შემდეგ რუსლანს ვეხუმრებოდი — ხომ იცი, ჩემი მოვალე ხარ, მე გადაგაჩინეთქი.

— სად უფრო ადვილია მანქანის მართვა — თბილისში თუ შენევაში?


— ახლა აქ რომ დავჯდე საჭესთან, ალბათ ძალიან გამიჭირდება: შუქნიშნები არ მუშაობს, გზები დანგრეულია, ვინ საიდან და როდის გადმოვიჭრის გზას, არ იცი და ა.შ. შენევაში მოძრაობის წესები ზედმიწევნით მაკაცრად უნდა დაიცვა, თორემ დაგეჯახება ვინმე, დამნაშავე კი, რა თქმა უნდა, შენ იქნები... დიდი ჯარიმებია გადასანდელი. ამიტომაც არის, რომ მოძრაობა წყნარად, მშვიდად, იცი, რომ ხიფათი არ გელის.

— იქაურ პოლიციაზე რას იტყვით?

— იქ ტრასებზე პოლიციელებს თვალს ვერ მოჰკრავთ. გზაზე არის სპეციალური ყუთები, რომელსაც შეიძლება, ყურადღება არც კი მიაქციო, მაგრამ ამ ყუთებში მოთავსებულია ფოტოკამერები, რომელიც დააფიქსირებს, დადგენილ სიჩქარეს ოდნავ მაინც რომ გადააჭარბო. მერე ეს სურათი მოგდის შინ — ან ჯარიმას გადაგახდევინებენ, ან მართვის მოწმობას ჩამოგართმევენ. მე მსგავსი რამ არასდროს მომსვლია.

— მანქანა მეუღლის ნაჩუქარი ია?

— მისში ქორწინების 5 წლისთავი გვქონდა და რუსლანმა ამის აღსანიშნავად მიყიდა ახალთახალი მანქანა. ძალიან მიყვარს, როცა მანქანა მოვლილი და გაკრიალებულია. ხოლო თუ დასვრილია, ეს დისკომფორტს მიქმნის. კვირაში ერთხელ, მეუღლეს მაჰყავს და გარედანაც არეცხვინებს და სალონსაც აწესრიგებინებს. ერთი ამბავი გამახსენდა: მანქანა ახალი ნაყიდი გვქონდა. მეგობართან წავედი და სერგიც თან წავიყვანე. მანქანის დაყენების დროს, რაღაცას ვავეხახუნე და გვარიანად გაუკაწრე წინა ფრთა. ვიფიქრე — რაღა ვქნა ახლა? რუსლანი რომ გაიგებს, რას მეტყვის,



...პირი ღია დაგვრჩა. რამდენი ოპერაცია ჩავატარეთ, რომ არ გაეგო და თურმე, უთხარი — რას წვალობ?!.

დაიწყებს — არ იცი მანქანის მართვა, აი, ხომ ხედავ, ამ გაწიკვიკვირებულ მანქანას რა უყავით?! — და ა.შ. მოკლედ, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. ჩემმა მეგობარმა მითხრა — ხელოსანთან წავიდეთო. — ორი დღით უნდა დაგვიტოვოთ, რომ გავასწოროთ და შევლებოთ, — გვითხრეს. ამ გაწამაწამაში მეზობელი ქალი შემხვდა. მოუყვავი, რა გაჭირვებაც მადგა. იმ ქალმა ერთ მაღაზიაში წაგვიყვანა, ვერცხლისფერი საღებავი გვაყიდვინა და მანქანა ჩვენ თვითონ შევლებეთ. მაღაზიაში გამაფრთხილეს — სამი საათის შემდეგ მეორედ უნდა შევლებოთო. ასეც მოვიქეცი. ერთი სიტყვით, გვარიანად გავწვალდით. რუსლანს რამდენიმე დღის შემდეგ გაუშხილვე ჩემი მარცხის ამბავი და ორივე — მეც და ჩემი მეგობარიც საცინოდ აგვიგლო — ასეთი რამ ვის არ მოსვლია? რა სულელები ხართ — რატომ იკლავდით თავს ამდენი ნერვიულობითო?!. რომ იტყვიან, პირი ღია დაგვრჩა. რამდენი ოპერაცია ჩავატარეთ, რომ არ გაეგო და თურმე, უთხარი — რას წვალობ?!.

— სერგის თუ უყვარს მანქანით სეირნობა?

— გიყვება მანქანისთვის და სხვათა შორის, მანქანების მარკის ამოცნობაში არასდროს ცდებ. სადაც „ბორას“ დაინახავს, ყვირის ხოლმე — აი, თაკოს მანქანაო!..

ირანის ფულის ერთეული	სომეხი საბჭოთა კომპოზიტორი არნო ...	„ძნელი ყოფილა თურმე ... გულო გაუძელ ტკივილს“	ალბანეთის დედაქალაქი	ნიანგის სახეობა			
...			
ბა, შება (უღალ)	... და ორმოცი ყაჩაღი	ლონე, ძალა	სომხეთის უძველესი დედაქალაქი	მრგვალი ქული	ეგვიპტელთა ღმერთი	საყოფაცხოვრებო ნარჩენი	ცეცხლის ენა

7 იანვარს წმინდა ეკლესიამ შობის ბრწყინვალე დღესასწაული აღნიშნა. მოდით, კიდევ ერთხელ გავისვენოთ, თუ როგორ აღინიშნებოდა ეს დღესასწაული საუკუნეების მანძილზე და რა გარემოებები სდევდა თან მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებას.

„ეს იყო ღვთიური და ანგელოზებრივი ძალა, რომელიც ვარსკვლავის სახით გამოჩნდა...“


შორენა მერკვილაძე

იქ, სადაც ქრისტე იშვა...

შობის დღესასწაული მოციქულთა დროიდან აღინიშნება. მოციქულთა კანონებში ვკითხულობთ: „შობის დღესასწაულს უნდა უქმობდნენ, რადგან იგი ადამიანებს აძლევს სიხარულს, მარიამ ქალწულისაგან ამ სოფლის გადასარჩენად ღვთის სიტყვის შობით...“

შობის დღესასწაულს, განსაკუთრებული საღმრთო განწყობით, ბეთლემში – ქრისტეს შობის ადგილას ეგებებიან, სადაც ამ დღეს, სხვადასხვა ქვეყნიდან უამრავი მორწმუნე ჩადის... 6 იანვარს, დღის 12 საათზე, იერუსალიმის პატრიარქი ზარ-ზეიმით გამოდის საპატრიარქოდან და ბეთლემისკენ მიემართება. გზად ილია წინასწარმეტყველის სახელობის მონასტერი მღებარეობს, სადაც იერუსალიმის პატრიარქი და მისი თანმხლები პირები ჩერდებიან და ტაძართან შეკრებილ მრევლს ხვდებიან. შეხვედრა დაახლოებით საათ-ნახევარს გრძელდება (ძველად, როდესაც იერუსალიმის პატრიარქი ბეთლემისკენ ფეხით ან ურმით მიემართებოდა, გზად შესვენება სჭირდებოდა, რაც ტრადიციად იქცა). ბეთლემისკენ მიმავალ პატრიარქს, წინ საყვირითა და დოლით მიუძღვიან. ძველი ბეთლემის ქუჩები ხალხითაა სავსე, ისინი ოვაციებით ეგებებიან პატრიარქს და მის კორტეჟს. ბეთლემის შობის ტაძრის წინ მღებარე მოედანზე, პატრიარქი შობის მცირე პარაკლისს იხდის, მრევლს ლოცავს და ტაძარში შედის. სამ საათზე, უფლის შობის ადგილას ჩადის, თავყანს სცემს და შემდეგ იწყება საშობაო წირვა.

ქრისტეშობის დღესასწაულზე ბეთლემში ჩასული მორწმუნეები უშუალოდ იმ თავლის კარში შედიან, სადაც იშვა და ბავშვზე მიაწვინა წმინდა მარიამმა ახალშობილი მაცხოვარი... ერთ მეტრზე ოდნავ მაღალ დიობში მომლოცველები თავდახრილნი შედიან... მარმარილოს ოვალური ფილა, მოვერცხლილი



ოთხმეტქიმიანი ვარსკვლავით, იმ ადგილის მიმანიშნებელია, სადაც იშვა ღვთაებრივი ყრმა. ვარსკვლავის თავში 15 მოვერცხლილი კანდელი ჰკიდა, იქვეა საკურთხეველი მოგვთა – ე.ი. მონიშნულია ის ადგილიც, სადაც მოგვებმა თავყანი სცეს ახალდაბებულ ქრისტეს... სწორედ იქ და სწორედ იმ 25 დეკემბერს იშვა მაცხოვარი სოფლისა, რომლის შობაც უფლის ანგელოზებმა ახარეს ქვეყნიერებას: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“.

შობა უფლისა

უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მაცხოვარი ქვეყნისა, იშვა ყოვლად უბიწო ქალწულ მარიამისგან. ეს მოხდა იუდეის ბეთლემში, რომის იმპერატორ ავგუსტუს ოქტავიანეს დროს. როდესაც იესო ქრისტეს შობის დრო მოახლოვდა, იმპერატორმა ოქტავიანემ გამოსცა ბრძანება,

რომ აღწერათ რომის მთელი იმპერიის მოსახლეობა. ამის გამო, ყველა ადამიანი წინაპართა ქალაქში უნდა წასულიყო და იქ ჩაწერილიყო, რადგან ებრაელებს ჩვეულებად ჰქონდათ, საყოველთაო აღწერა ტომებისა და გვარების მიხედვით ჩატარებინათ. თითოეულ ტომსა და გვარს თავისი ქალაქი და მამამთავართა სახელებთან დაკავშირებული ადგილი ჰქონდა. იოსებს და მარიამს, რომლებიც წამოშობით დავით მეფის შტოდან იყვნენ, აღწერისთვის დავითის ქალაქში – იუდეის ბეთლემში მოუხდათ ჩასვლა. მათთვის ქალაქის სასტუმროში ადგილი არ აღმოჩნდა, ამიტომ იძულებულები გახდნენ, იმ გამოქვაბულისთვის შეეფარებინათ თავი, სადაც მწყემსები ავდარში საქონელს აბინავებდნენ. სწორედ ამ გამოქვაბულში იშვა ღმერთკაცი, რომელსაც მარადიული სიკვდილისგან ადამიანთა გამოხსნა უნდა ეტვირთა და შეემუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი. ამიტომაც არის მაცხოვრის შობა მნიშვნელოვანი და სწორედ ამიტომ უნდა მიეგებოს მორწმუნე, ჩვენთვის ჯვარცმულის – იესო ქრისტეს შობას სიხარულით და საღმრთო განწყობით.

მეოთხე საუკუნის საეკლესიო მოღვაწე – წმინდა ეფრემ ასურის უფლის შობის დღესასწაულთან დაკავშირებით წერს: „ეს არის დღე, როცა უფალმა თავი დაიმდაბლა და განკაცდა ჩვენივე ხსნისთვის. დაე, ნუ ეთაკილება ამიერიდან მართალს ცოდვითან საუბარი, მდიდარს – ღარიბთან ერთად ტრაპეზის გაყოფა“. უფლის განკაცება, ღვთის განხორციელება – ეს არის საკვირველი, კაცის გონებისთვის მიუწვდომელი საიდუმლო, რომლის სრული გააზრება შეუძლებელია, რადგან ამქვეყნად მოხდა ის, რაც ამქვეყნიურზე გამოუთქმელად მაღლა ღვას.

თუკი ადამიანთა ერთი ნაწილისთვის, მაცხოვრის შობა შეუმჩნეველი დარჩა, ზეციური სამყარო, ძე ღვთისას ხორციელად შობამ შეძრა. ანგელოზთა დიდძალი მხედრობა მწყემსებს გამოეცხადა და ახარა შობა უფლისა. მწყემსების გარდა, უფლის შობა აღმოსავლელ მოგვებსაც ეუწყათ – უჩვეულოდ კაშკაშა ვარსკვლავის გამოცხადებით. ეს ვარსკვლავი უძლოდა მოგვებს ბეთლემისკენ. მოგვები ეახლნენ ღვთაებრივ ყრმას და შესწირეს ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური: ოქრო, როგორც მეფეს; გუნდრუკი – როგორც ღმერთს; მური – როგორც ადამიანს და

შუამდგომელს, რომელსაც თავისი სიკვდილით უნდა დაერღვია სიკვდილის ძალაუფლება — აღნიშნავს იოანე ოქროპირი.

შობის ვარსკვლავი

„სახარება“ გვაუწყებს, რომ მოგვები ბეთლემში მათ წინ მიმავალმა, უჩვეულოდ კაშკაშა ვარსკვლავმა მიიყვანა. იოანე ოქროპირი და ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი მას ვარსკვლავის სახით მოვლინებულ ანგელოზად მიიჩნევენ. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი წერს: „როცა ვარსკვლავზე მოისმენ, ნუ იფიქრებ, რომ ეს ერთი იმ ვარსკვლავთაგანია, რომელთაც ჩვენ ვხედავთ. არა, ეს იყო ღვთიური და ანგელოზური ძალა, რომელიც ვარსკვლავის სახით გამოჩნდა, რადგანაც მოგვები ვარსკვლავთმრიცხველები იყვნენ, უფალმა მოიყვანა ისინი მათთვის გასაგები ნიშნით, კერძოდ, ვარსკვლავით... ის ვარსკვლავი რომ ანგელოზური ძალა იყო, იქიდანაც ჩანს, რომ დღისით ანათებდა, მიდიოდა მაშინ, როცა მოგვებიც მიდიოდნენ და მოძრაობდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ — სადაც იეროსალიმი.“

ჩვეულებრივი ვარსკვლავი კი არასოდეს მოძრაობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ... ისიც გასაოცარია, რომ ვარსკვლავი მდლიდან დაეშვა, ღვთაობისთან ახლოს გაჩერდა და ზუსტად უჩვენა ის ადგილი, სადაც იშვა ჩვილი იესო“.

რატომ იშვა მაცხოვარი სილარიბეში?

ეკლესიის მამათა განმარტებით — ბუნებრივია, სამყაროს მბრძანებელს შეეძლო, საკუთარი თავისთვის უკეთესი თავშესაფარი გამოეძებნა, მაგრამ მან ეს არ ინება, რადგან ის, რასაც ადამიანები დიდებულად მიიჩნევენ, უფლის ღვთაებრივი ბუნებისთვის ღირსეული არაა; ის, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავი ეძებენ, უფლის თვალში არაააზრება, მისთვის მთავარი, გარეგნული ბრწყინვალეობა, მიწიერი საუნჯის დაუფლება კი არაა, არამედ სულის მორჩილება, გულის სიწმინდე და ზეციური, მარადიულისაკენ სწრაფვა. გარდა ამისა, მაცხოვარი იშვა სილარიბეში, რათა მოთმინებისა და მცირედელ კმაყოფილების მაგალითი გვიჩვენოს. ხოლო ბავის სიღატაკე, რომელშიც ახალშობილი ყრმა

მაჩვენა ღვთისმშობელმა, ცოფით დაცემული კაცობრიობის სულის სიღატაკეს გამოხატავდა, რომლის განსაწმენდაც ჩააწვინეს იქ ქრისტე. ასევე სჭირდება ჩვენს სულსა და გულს განწმენდა და გასუფთავება, რაც თითოეული ადამიანის გულში უფლის შობით უნდა მოხდეს, ე.ი. თითოეული ჩვენგანის გულში უნდა იშვას უფალი — მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ, მთელი არსებით მივიღოთ მაცხოვარი და მისი წყალობით სრულყოფილად განვიწმინდოთ.

ალილო

საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული იყო ქრისტეს შობის მახარებლების სიარული ალილოზე: ალილოს მონაწილენი მიდიოდნენ ოჯახებში და ულოცავდნენ მათ ქრისტესშობას. ალილოს მონაწილენებს ყოველთვის საჩუქრებს შეაგებებდნენ და ეს საჩუქრები მუდამ აღიქმებოდა, როგორც უფლისადმი მირთმეული ძღვენი — ანუ სიმბოლურად განსახიერებდა და დღესაც განსახიერებს იმ ძღვენს, რომელიც ახალშობილ ქრისტეს მიართვეს მოგვებმა.

საუკუნის ტოლი

100 წლამდე რომ იცოცხლო, შრომა, კაი ქაშა-სმა და ცხენი ყოფილა საქირი

— **ბაბილინა ბებია, როგორ ბრძანდებით? მე ყურნალისტი ვარ და თქვენთან გასაუბრება მინდა, თანახმა ხართ?**
— კი, ბებია, მარა, რომ არ გიცნობ?!.
— **სამაგიეროდ, მე გიცნობთ, ბევრი რამ მითხრეს თქვენ შესახებ. მართალი გითხრათ,**

მაია კახიძე
ბაბილინა ჩხეტიანი ბოლნისის 70 ათას მოსახლეს შორის, საუკუნის ტოლი ერთადერთი უზუცესია — წლეულს მას 101 წელი შეუსრულდება. ეამაყება კიდევ, ოღონდ გული იმ ადამიანებზე სწყდება, რომლებიც მის გვერდით აღარ არიან. ძალიან ნუსს საქართველოს ბედზე, არჩევნების შედეგებზე, ქვეყნის მომავალზე... შვილები და შვილიშვილები მზრუნველობას არ აკლებენ, თუმცა ყველაზე მეტად, ოთხი წლის შვილთაშვილის შვილი — პატარა ანა უხარებს გულს.



სურათის მინაწერი

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკვანძო

- 1. გულის კუნთს მიოკარდი ჰქვია.
- 2. ამპლოგრავია ვაზის კულტურას შეისწავლის.
- 3. მწვადლ ასაგებ ხორცის ნაჭერს ქულამა ჰქვია.



- 4. კათედრა ბერძნული სიტყვაა და სკამს ნიშნავს.
- 5. ზოგიერთი ობობის ქსელს ტყვიის შექერება შეუძლია.

6. ბუზი ცეცე ზებრებს არ ეკარება. არავინ იცის, რატომ.

7. აფროდიტე მჭვლოდობის ღმერთის ჰეფესტოს ცოლი იყო.

8. ორმოცდახუთკალიბრიანი პისტოლეტით გასროლილი ტყვიის სიჩქარე წამში 24 მეტრია.

9. ანდრონიკაშვილი, ნატო ვაჩნაძის ქალიშვილობის გვარია. იგი პირველი ქმრის გვარს ატარებდა.

10. ეგვიპტეში მართვის მოწმობის მისაღებად საკმარისია, მძღოლმა 8 მეტრზე წინსვლით და ამდენივე მანძილი უკუსვლით გაატაროს მანქანა.

11. დღვლი სპილო შესაჯვარებლად ოთხ წელიწადში ერთხელ და ისიც მხოლოდ სამი დღის განმავლობაში არის მზად.

12. პლუტარქე ამბობდა: „მე არ მჭირდება ისეთი მეგობარი, რომელიც ყველა ჩემს მოძრაობას გაიმეორებს. ამას მასზე უკეთ ჩემი ჩრდილი გააკეთებს.“

13. „მე არ ვაპირებ რაიმე ცუდი ვთქვა თქვენს დაწესებულებაზე, მაგრამ, მე მგონი, ამ პუდინგის გაცხელება დაგაფიწყდათ.“ – თქვა აბრაამ ლინკოლნმა, როდესაც ნაყინი გასინჯა.

14. ერთხელ ერთმა თავგანისმცემელმა ჰკითხა პაგანინის: „რა გავაკეთო იმისათვის, რომ თქვენი მუსიკა მუდამ ჩემთან იყოს?“ – „სტრადივარიუსის ვიოლინოდ იქცეით,“ – უპასუხა პაგანინიმ.

15. ბუნებაში ზებრები და ანტილოპები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ და ხშირ შემთხვევაში ყურადღებას არ აქცევენ ერთმანეთს, მაგრამ თუ გნუს ნუკრი დაიკარგა, მას აუცილებლად დაწინებლავენ ზებრები, რადგან მისი ბლავილი მტაცებლების ყურადღებას იქცევს.

16. ყველა „კულტურული“ მცენარე თავის დროზე ველური იყო. ვაშლი და ალუბალი ყველაზე ადრე, ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში გამოიყვანა ადამიანმა. ერთ-ერთი გვიანდელია ქლიავი, თამბაქო და ჭვავი. ამ საში ბოლო ადგილი ყავის ხეს უკავია.

არასოდეს შეგხვედრივარ 100 წლის ადამიანს...

– ჰო, ასაკით ყველას ვავლობე. ჩემი ძმა – ალექსანდრე 95 წლისა გარდაიცვალა. მეორე ძმა – ათანასე, ძალიან ლამაზი და ვაჟკაცი ქართველი, ჯერ რაცხა კომისარი იყო, მერე იუსტიციის მინისტრი გახდა, 87 წლის გარდაიცვალა. იმიტომ ვითხარი, ყველას ვავლობე-მეთქი.

წარმოშობით სადაური ჩნეტიანი ბრძანდებით?

– ცაგერის რაიონის სოფელ ღვირიშში დავიბადე. მერე ლეჩხუმიდან ქუთაისში გადავსახლდი, ქუთაისიდან – აფხაზეთში და შემდეგ, ბოლნისში დავმკვიდრდი.

აფხაზეთში სად ცხოვრობდი?

– ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ახალდაბაში. ქუთაისში ყოფნას ჩემი ქმარი ვერ შეეგუა, თუმცა, უკეთესი ცხოვრების საძებნელად მიაშურა ქუთაისს. მაშინ უკვე სამი შვილი გვყავდა. 1946 წელს, ბოლნისში ჩამოვედით. ჩემი მული იყო ბოლნისში გათხოვილი და მისი თხოვნითა და რჩევით გადმოვედით აქ. ნელ-ნელა სახლიც ავაშენეთ, მოვლანიერდით... მერე რა გვიქნა მთავრობამ, ყველამ იცის. სამი ძროხა გავყიდე და ჩემი დასამარხი ფული – 15 ათასი მანეთი სალაროში მქონდა შეტანილი. ჰოდა, ვინც ჩემი გაზრდილი ძროხების ფული შეჭამა, ისაა ადამიანი!..

კარგით, ცუდს ნუ გაიხსენებთ. თქვენი გათხოვების შესახებ არაფერს მიაბზობთ?

– 18 წლისა გავთხოვიდი – 1921 წლის 18 ოქტომბერს.

შესანიშნავია, ასე ზუსტად რომ გახსოვთ ყველაფერი...

– მასწავრობა კარგი მაქვს. ნაკურალეში, ცაგერის რაიონში გავთხოვიდი, რაჟდენ გოლეთიანს გავყვევი ცოლად.

თქვენს ყმანვილქალობაში, როგორ უხსნიდნენ ვაჟები სიყვარულს?

– ჩემი ქმარი 11 წლით იყო ჩემზე უფროსი, მაჭანკლობით მოხდა ჩვენი საქმე.

მაჭანკალს რამდენი ერგობოდა გასამრჯელო?

– მთლად მასე არ ყოფილა: მაჭანკლებში ნათესავებს ვგულისხმობდი. ჩემი ქმარი 1892 წელს იყო დაბადებული. გოლეთიანები ცნობილი სასულიერო პირები იყვნენ. ჩემი მამამთილი გიგო, მღვდელი იყო, დედამთილს ძმებიც მღვდლები გახლდნენ. იცო, ჩვენ ზედა უბანში ვცხოვრობდით, ყანები ქვევით გვქონდა. საჭმელს რომ გამატანდნენ, ეკლესიასთან ვერდებოდი და ღმერთს შევთხოვდი – ლამაზი ქმარი შემახვედრე, მდიდარი, ცხენები გვყავდეს, რომ ვიჯირითოთ-მეთქი... რაჟდენის ძმას – ლონგინოზს მოვწონდი, მაგრამ 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დროს დაიღუპა. ომში წასვლის წინ დაუბარებია: თუ არ დავბრუნდი ფრონტიდან, ლამაზი გოგო იზრდება და ხელ-იდან არ გაუშვათო...

ვის დაუბარა?

– თავის ძმებს. ომიდან რომ აღარ დაბრუნდა, ამასობაში მე 18 წელი შემისრულდა და რაჟდენზე ჩემი გათხოვება გადაწყდა. თუმცა მე კაი ხანს უარზე ვიდექი.

რატომ? რაჟდენი დაი-



წუნეთ?

— ჯერ არ მინდოდა გათხოვება, უფრო ლამაზ კაცს ვეძებდი... არა, რაჟღერინც მშვენიერი ლამაზი კაცი იყო, მაღალი, 9-ჭიქიან ყანწს ღღეში სამჯერ სვამდა, ცნობილი თამადა იყო, კაი სიტყვა-პასუხის კაცი...

— ჯვარი დაინერეთ, აღბათ...

— დიდი ქორწილი გადაგვისადეს, ჯვარიც დაგვწერეს... უი, მღვდელი გვარად გოლეთიანი იყო. ჰო, ცხენებიანი ქორწილი გვქონდა, თეთრ ცხენზე დამსვენს, საუკეთესო მომღერლებმა და რჩეულმა მაყრიონმა მიმაცილა ქმრისას... ჩემი ქმარი დიდი ხნის წინ გარდაიცვალა — 1953 წლის 12 მარტს. ჯერ სტალინი მოკვდა, ჰოდა, ეს რომ გაიგო რაჟღერინც, ბევრი იტირა... ჩემს ქმარს გული აწუხებდა, ღვიძლი, თორემ, ადრე იყო ჯერ მისი სიკვდილი...

— ბაბილინა ბებია, შვილიშვილების და შვილთაშვილების სახელები გახსოვთ?

— ჯერ ჩემი შვილები სახელებს ვეძებდი. სამი გოგო შეგვეძინა მე და რაჟღერინც: რუსუდანი, დუმა, ნანუი. ჩემი შვილები მივლიან. შვილიშვილები კი, რამდენი მყავს, დავთვალე? გურამი, ზურაბი, მზიური, მზევინარი; შვილთაშვილები: ბელა, ლელა, ქეთევანი, ლონგინოზი, ნინო, თამარი, გიორგი, თეა, ალექო. ჩემი შვილთაშვილი თეა გათხოვდა და 4 წლის შვილი ჰყავს — ანა. ასე რომ, შვილთაშვილის შვილს მოვეწვარი!.. ძალიან მტკივა გული — ჩემი შვილიშვილი ზურა 45 წლისა გარდაიცვალა. ეს საშინელებაა. მე 100 წლისა შარშან 6 მაისს შევსრულდი, ჩემი შვილიშვილი კი, ცოცხალი აღარ არის — უსამართლობა... ისე, აღარც მინდა სიცოცხლე; ჩემი თაობაც აღარ არის, წლები გადის და ჭიშკართან აღარავინ იძახის — ბაბილინაო... არ ვიცი, გითხრა თუ არა, მაგრამ ყოველთვის სიმართლის მთქმელი ვიყავი და რა მაქვს დასამალი?

— რაც გნებათ, მითხარით, ყურადღებით გისმენთ.

— ყველა შვილიშვილი მიყვარს, ოღონდ — ბიჭები უფრო.

— საამისო მიზეზი გექნებათ...

— მე მგონია, თავად რომ არ მყავდა ბიჭები, ამის ბრალია. რა ვქნა, ასეა და ტყუილს ზომ ვერ ვიტყვი?!

— ნატვრა თუ გაქვთ ისეთი, რომლის შესრულება შეუძლებელია?

— ჩემი ლეჩხუმი სულ მენატრება, იმდენი მიწები ჩამოგვართვეს... არადა,

საზღვრები მისხალ-მისხალ მახსოვს. ახლა ზომ ამბობენ, დაგიბრუნებთო!.. რა ვიცი, იქნება, ჩემმა ბავშვებმა მაინც დაიბრუნონ, მაგრამ, თან იმასაც ვფიქრობ — რომ დაიბრუნონ, როგორ უნდა იმუშაონ? გაძნელება — შორია... ჩვენ კარგად ვცხოვრობდით, ცხენები, ძროხები, ღორები და იმდენი ქათამი გვყავდა, ვერ ვითვლიდით. მამაჩემს ცხენი თუ გაექცეოდა ათასში ერთხელ, იმ ცხენს კლავდა — ჩემი ცხენი არ უნდა გაქცესო, — იძახდა, იმიტომ, რომ სულ დარჩეული, საუკეთესო ჯიშის ცხენები დაუდიოდა ეზო-კარში. სიმინდის შესანახად კი, ორი ნალაა გვქონდა, რადგან დიდძალი სიმინდის მოსავალი მოგვყავდა... კაი ცხოვრება იყო, კაი, მაგრამ უშრომლად ერთი დღე არ გვიცხოვრია.

— ბაბილინა ბებია, მშვენივრად გამოიყურებით. ასეთი სახის კანი ბევრს შეშურდება. აღბათ, სილამაზის და ჯანმრთელობის რამე განსაკუთრებული რეცეპტი იცით, არა?

— ჯანმრთელობისთვის — შრომა, წესიერი ჭამა-სმა და ცხენია უმთავრესი. ახლა ძან მეცოდებიან ჩემიც და სხვისი შვილიშვილებიც, რადგან სადაა კაი ჭამა-სმა?! მერე — სუფთა ჰაერი?! კაი, ვთქვათ, რამე ფრად იყიდა ადამიანმა ერთი ცხენი — ქალაქში სად ივირიტებ, რომ საქმეც აკეთო და ჯანმრთელობაც გაიკაუო?! სოფელი კიდე აღარავის უნდა. გარბიან ქალაქში და სამსახური რო აღარაა, მიწები რო აღარაა, რაცხა პარტიებში შედიან...

— მაინც არ მითხარით თქვენი თაობის კანის მოვლის რეცეპტი...

— რავა არ გითხარი, ბებია? მარა შენ, აღბათ, ფერ-უმარილზე მეკითხები, მე კიდევ, პარტიებზე გადამივარდა ჭკუა... კი, სულ ვიცხებდი ფერ-უმარილს... სხვათა შორის, თუ გაინტერესებთ, კაი კერვაც ვიცოდი. ახლა აღარ მივარგა თვალის ჩინი, თორემ, ჩემთვისაც მშვენიერ კაბებს ვკერავდი და ჩემი შვილებისთვისაც.

— ბაბილინა ბებია, ღმერთი გნამთ?

— აბა?! მთელი ღამე ღმერთს ვეხვეწები: ღმერთო, ჩემს ქვეყანას უშველე-მეთქი... იცი, შვილო, რას ენატრობ? ქუჩაში გასვლაც კი მინდა ყოველდღე, მარა მუხლები აღარ მიშვებენ. ისე, აღარაფერიც აღარ მინდა — თქვენ იყავით, ბებია, კარგად, თორემ, მე ბევრს ვაჯობე და ნამეტანიც აღარაფერი ვარგა. მაღლობელი ვარ, რო მესტუმრე, შენს უფროსსაც მაღლობა უთხარი. ზოგვავს უფროსი? ის ცხოვრება რო იყოს, ცხენებს გაჩუქებდით, ბებია...

ინფორმაციულ-შეფხენებითი კოლაჟი

ეორი დვალის უბის წიგნაკდან:

17. იაპონიაში, იმპერიალიზმის ციტადელაში დვალს ოქროს უნიტაზი, რომლის შესახებაც ტურისტებს სიამაყით ამცნობენ, რომ იგი 45 ათასი დოლარი ღირს.

18. „ოცი წლის განმავლობაში კლავდა ადამიანი თავის თავში პოეტს და, ბოლოს და ბოლოს, პოეტმა მოკლა საკუთარ თავში ადამიანი.“ — წერდა მარინა ცვეტაევა მაიაკოვსკის შესახებ.

19. როსინის თაყვანისმცემლებმა გამოაცხადეს ხელმოწერა, რათა კომპოზიტორისთვის ძველი დაეღვათ. „მომეცით ეს ფული და მე თვითონ დავღვები პიედესტალზე.“ — იხვეწებოდა როსინი.

20. „იგი ბევრითი მოხელეა, მაგრამ ცუდად წერს.“ — ასეთი გახლდათ მოპასუნის დახასიათება, რომელიც პარიზის ერთ-ერთი სამინისტროს არქივში იპოვეს.


21. ერთხელ ორი ბერძენი ფერმწერი ზეკასისი და პარასიუსი დანადგვდნენ, ვინ უფრო ნატურალისტურ სურათს დახატავდა. დათქმულ დღეს ზეკასისმა მოაშორა ფარდა თავის ნახატს. მასზე გამოხატული ყურძნის მტევანი იმდენად რეალური იყო, რომ ფრინველები მიესივნენ ასაკენკად. შემდეგ ზეკასისმა პარასიუსს სთხოვა, ფარდა მოეხსნა თავისი ნახატისთვის. „არ შემიძლია, ეს ფარდა დახატული მაქვს.“ — უპასუხა პარასიუსმა.

22. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში შეიძლება დღესაც ნახოთ ქვის სტელები რომელზეც ასეთი ლოცვაა ამოკვეთილი: „ღმერთო დავგიფარე ჭეჭა-ქუხილისგან, ღმერთო დავგიფარე მიწისძვრისგან, ღმერთო გვიხსენი მტანჯველი სიკვდილისგან, ღმერთო გვიხსენი ტერმიტებისგან“.

23. ერთხელ პუშკინმა გრაფ ზავალოვსკის უთხრა: „მე თქვენზე მდიდარი ვარ, რადგან თქვენ მრავალი სოფლიდან გიწვეთ შემოსავლის ღირსი, მე კი მუდმივი შემოსავალი რუსული ალფაბეტის 36 ასოლან მაქვს“.

24. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე პროგრესული კაცობრიობა მოითხოვდა ტყვიამფარე ქვევ „მაქსიმის“, როგორც მასობრივი განდგურების იარაღის აკრძალვას. P.S. კიდევ კარგი ეს ხალხი ამერიკული „პერმინგების“ ხანას ვერ მოეწვრო.

25. „ღამის შოუ დამთავრდა!.. ეკას, კოკას და ინგას გაძლება მოგცეთ, ხალხნო!“ — ამ სიტყვებით დაასრულა თავისი ერთ-ერთი გადაცემა დათო გოგინიაშვილმა.



დევიდის გზა მანჩესტერიდან – მადრიდამდე

ალექსი რეხვიაშვილი

2003 წლის მიწურულს დევიდ ბექჰემი პლანეტის ყველაზე ცნობილ სპორტსმენად დაასახელეს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან „ექსმანჩესტერელმა“ პოპულარობით უკან ჩამოიტოვა არა მარტო თავისი კოლეგები, არამედ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებიც. ვერ იყო და მას ალექს ფერეიუსონმა ბუციით წარბი გაუხეთქა. ამ ინციდენტის დამადასტურებელი ფოტოები კი, მსოფლიოს თითქმის ყველა სპორტულმა (თუ არასპორტულმა) გამოცემამ გამოაქვეყნა. შემდეგ, დევიდი „მანჩესტერიდან“ „რეალში“ გადაბარდა, თუმცა ბოლო წუთებამდე საფეხბურთო სამყარო დარწმუნებული იყო, რომ ინგლისელი ვარსკვლავი მშობლიურ კლუბს ვერ შეელოდა. დაბოლოს, მადრიდში ჩასვლის შემდეგ საზოგადოებისა და მასმედიის დაინტერესება ბექჰემთან ოჯახის მიმართ კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა და ამ მხრივ „სამეფო კლუბის“ ახალწვეულმა ნამდვილად დაჩრდილა თავისი თანაგუნდელი სხვა სუპერვარსკვლავები. ჩვენს მკითხველს უკვე ვაუწყეთ, რომ „რეალის“ ჰაბეკი ახალ წელს ოჯახთან ერთად სამშობლოში შეხვდა. მანამდე კი, მან ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ესპანურ გამოცემას და გულახდილადაც ისაუბრა.

— აქ ცხოვრება მოგწონთ?
— მადრიდში ცხოვრება მართლაც მო-

მწონს. გარდა ამისა, აღფრთოვანებული ვარ იმ თამაშით, რომელსაც ჩვენი გუნდი უჩვენებს მაყურებელს. მე უკვე მაქვს საკუთარი სახლი. რა თქმა უნდა, ჩემს მეუღლეს ზან ლონდონში და ხანაც ნიუ-იორკში გადააფრენა უხდება, მაგრამ ის მაინც აქ, ჩემთან ერთად ცხოვრობს.

— რას იტყვით თქვენს ახალ სახლზე?

— შესანიშნავი სახლია. ჩინებულ ადგილზე მდებარეობს და არაჩვეულებრივ მეზობლებიც გვყავს. ასე რომ, თავს ბედნიერად ვგრძნობთ.

— თქვენი ავტობიოგრაფიული ნიგნი დიდი პოპულარობით სარგებლობს.

— მოხარული ვარ, რომ ჩვენს ნაშრომს ასეთი გამოხმაურება მოჰყვა. ადამიანი, ვისთან ერთადაც ამ წიგნზე ვმუშაობდი, ჩემი დიდი მეგობარია. მან ყველაფერი ისე აღწერა, როგორც მე მსურდა.

— მამათქვენს, რომელიც ყოველთვის „მანჩესტერის“ დიდი ფანი იყო, ალბათ სურდა, რომ ამ კლუბში დარჩენილიყავით. როგორ შეეგუა იგი თქვენს გადაწყვეტილებას?

— მამაჩემი მართლაც ყოველთვის ჭკუას კარგავდა „მანჩესტერ უნიტიტელზე“. მეც ვცდილობდი, რომ ის გამეკეთებინა, რაც მას სურდა, თუმცა მიმდინარე საფეხბურთო სეზონის წინ მადრიდის „რეალში“ აღმოვეჩნდი.



ამჟამად მამაჩემი მშვენიერ განწყობაზეა. იგი საიმოვნებით ესწრება ჩემს მატჩებს და მოგზაურობს იმ ქვეყნებში, სადაც „რეალი“ გასვლით შეხვედრებს ატარებს.

— როგორც ცნობილია, თქვენ ბოზი ჩარლტონმა აღმოგაჩინათ...

— თერთმეტი წლის ასაკში ჩარლტონის საფეხბურთო სკოლის კონკურსში გავიმარჯვე. კონკურსის მთავარი პრიზი კი ბარსელონაში სამოგზაურო საგზური გახლდათ. ორი კვირის განმავლობაში ლა მასიაში ვიყავი და ამითი ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ბარსელონაში რამდენიმე ფეხბურთელიც გავიცანი, რომელთა დიდი ქომაგიც ვიყავი.

— მაშინ არ გიოცნებიათ იმაზე, რომ „ბარსელონის“ მაისურით გეასპარეზებო?

— ალბათ ყოველი ბიჭუნა ოცნებობს დიდებულ კლუბში თამაშზე. ჩემთვის 11 წლის ასაკში ბარსელონაში ჩასვლა უკვე ერთ-ერთი ოცნების ასრულება იყო.



— „ტოტენჰემის“ მესვეურები თა-
ვიანთ გუნდში გინვედენენ...

— მართალია, მაგრამ მე ყოველთვის
„მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაში მსურ-
და. ეს გახლდათ ჩემი მიზანი.

— 13 წლის ასაკში ოცნება
აინდინეთ, როდესაც ალექს ფერგიუ-
სონმა დაგირეკათ და გაგიმხილათ,
რომ „მანჩესტერის“ რუგბში თქვენი
ხილვა სურდა.

— ჩემთვისაც და ჩემი ოჯახისთვისაც
მანჩესტერში გამგზავრება მეტის-მეტად ამ-
აღლეველები მომენტი იყო. ფერგიუსონის
სატელეფონო ზარმა კი, უდიდესი ზეგავ-
ლენა მოახდინა ჩემს შემდგომ საფეხბურ-
თო კარიერაზე.

— როგორ აღიქვა დედათქვენმა
ის, რომ ასეთ დიდ კლუბში აღ-
მოჩნდით?

— საქმე იმაშია, რომ დედაჩემი ამ ხნის
მანძილზე საერთოდ არ შეცვლილა. დედა
ტიროდა, როდესაც მე 16 წლის ასაკში
„მანჩესტერში“ დავიწყე თამაში და სახლ-
იდან დიდი ხნით წასვლა მიწვედა ხოლმე.
იგი ცრემლებს ვერ იკავებდა მაშინაც, როდე-
საც მადრიდის „რეალში“ გადავედი.
ყოველთვის, როდესაც სათამაშოდ სხვაგან
მივუძღვარებოდი, დედაჩემი ძალიან ნერვიუ-
ლობს.

— თქვენს შესახებ უამრავ ანეკ-
დოტსა და თავშესაქცევ ამბავს ჰყვე-
ბიან. თურმე ერთ-ერთი სახლის პა-
ტრონს, რომელიც შეგიბრებიათ ყოფნ-
სას თქვენი მასპინძელი ყოფილა,
გაუღასიხაროთ კიდევც, რის გამოც
მშობლებს იქიდან მაშინვე ნაუფ-
ვანიხაროთ.

— მოგზაურობის დროს სასტუმროებსა
და კერძო სახლებში ვჩერდებოდით. მაშინ-
ნაც ერთ-ერთ სახლში ვცხოვრობდით და
რადაც ისეთი გავაკეთე, რაც მის მეპა-
ტრონეს არ ესაიძვნა. თუმცა მას მე ისე
ნამდვილად არ ვუცემივარ, როგორც ჰყვე-
ბიან ხოლმე. უბრალოდ, მამაშვილურად
კეფაში წამომარტყა და მითხრა, — მეორედ
ასე აღარ მოიქცეო.

— თქვენი პირველი მეგობარი
გოგონა დიანა იყო. იგი კვლავაც
გახსოვთ?

— რა თქმა უნდა. ყოველთვის მემასხ-
ოვრება ჩემი პირველი გელფრენდი, მით
უმეტეს, რომ მას სამი წლის მანძილზე
ვხვდებოდი. დიანასა და მის ოჯახთან სა-
სიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. ეს არ-
ცაა გასაკვირი. მანჩესტერში ხშირად
ვფიქრობდი იმაზე, რომ მარტო ვიყავი და
ჩემს გვერდით მხოლოდ დიანა და მისი
ოჯახი იყვნენ. ჩვენ ძალიან კარგი დამოკ-
იდებულება გვქონდა ერთმანეთთან.

— იყო დრო როდესაც მესამე
დივიზიონშიც გადაგიყვანეს...

— მართალია. მაშინ ერთი თვით მესამე
დივიზიონში გადამიყვანეს. ალექს ფერგიუ-
სონმა კი მითხრა, რომ ეს მე სასიკეთოდ
წამადგებოდა და გამძლეობის უნარის გა-
მოუმუშავებაში დამეხმარებოდა. ვფიქრობ, მან
სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან
გამძლეობის მხრივ ნამდვილად მოვ-
იკოჭლებდი.

— რა დაგამახსოვრდათ „მანჩეს-
ტერის“ შემადგენლობაში თქვენი სადე-
ბიუტო მატჩიდან, როდესაც „ლიდსს“
ხვდებოდით?

— ძალიან ვნერვიულობდი. ეს ალბათ
ახალგაზრდული ასაკით იყო გაწვეული.
სხვათა შორის, იგივე განწყობა დამეუფლა
„სანტიაგო ბერნაბეუზე“, როდესაც პირვე-
ლად უნდა მეთამაშა „რეალის“ მაისურით.

— შემდეგ ვიქტორია ადამსი
გამოჩნდა. ეს ბრწყინვალე სასიყ-
ვარულო თავგადასავალი იყო. როგორ
გაიცანით ერთმანეთი?

— ძალიან მორცხვი ვარ. ამიტომ მას-
თან ურთიერთობისას მხოლოდ ორი სი-
ტყუით შემოვიფარგლებოდი ხოლმე. ეს იყო
— „გამარჯობა“ და „ნახვამდის“. ერთხ-
ელაც ის ჩემს მორიგ მატჩს დაესწრო და
ტელეფონის ნომრებიც გავცვალეთ. ეს
არაჩვეულებრივი პერიოდი იყო ჩემს ცხ-
ოვრებაში, რადგან ორი კვირის განმავლო-
ბაში ერთმანეთს ვხვდებოდით და შემდეგ
რესტორანში მივდიოდით, თუმცა ამის შესახ-
ებ არაფერ არაფერი იცოდა.

— ამბობენ, რომ პირველად ჩინურ
რესტორანს სწვევინხართ, საიდანაც
და უთხოვნიხართ —
არაფერს მიირთმევდნენო.

— ეს მართალია. ჩვენ იქ
იმიტომ მივედით, რათა მშვიდ
ატმოსფეროში გვესაუბრა და
ვერავის შევეჩინეთ. შემდეგ
განგვიმარტეს, რომ აუცილე-
ბლად რამე უნდა შეგვეკვითა.
მშვივები არ ვიყავით, მაგრამ
პური და ერთი ულუფა სალ-
ათა მაინც მოვითხოვეთ, თუმ-
ცა რატომღაც რესტორნის
მომსახურე პერსონალისაგან
უარი მივიღეთ.

— რამდენადაც ვიცი,
ეს ყველაფერი მანამდე
გრძელდებოდა, სანამ მისი
მშობლები არ გაიცანით.
ვიქტორიას მამის გაცნო-
ბა თქვენთვის ურთულესი
მატჩის ტოლფასი ხომ არ
აღმოჩნდა?

— მისტერ ადამსთან პირვე-

ლად შეხვედრისას ძალიან ვნერვიულობ-
დი. კიდევ უფრო ველეავდი, როდესაც მას
ვიქტორიას ხელი ვთხოვე.

— რას ნიშნავს მსოფლიოში ყვე-
ლაზე პოპულარულ წყვილად ყოფ-
ნა?

— საერთოდ, საწუწუნოდ ნამდვილად
არ გვაქვს საქმე. მივიჩნევთ, რომ ამ გარე-
მოებით უნდა ვისარგებლოთ და ცხოვრე-
ბით უნდა დავტყუებოთ. საკუთარი მდგომარ-
ეობა ისეთად უნდა აღიქვას, როგორც სი-
ნამდვილეშია, თუ არა და ცხოვრება ძალიან
გავიჭირდება. მე და ვიქტორია მივიჩნევთ,
რომ ორივეს გავვიმართლა. ჩვენ ხომ შესანი-
შნავი ოჯახი გვაქვს, როგორც ბევრი
ოცნებობს. ისე კი, ჩვენ შორისაც ხდება
ხოლმე ისეთი რამ, რაც არ მოგვწონს, თუმ-
ცა ეს უკვე დევდისა და ვიქტორიას
პირადი საქმეა...

— საფრანგეთის მსოფლიო ჩემ-
პიონატზე არგენტინის ნაკრებთან შეხ-
ვედრამდე ერთი დღით ადრე გაიგეთ,
რომ მამა გახდებოდით. სწორედ იმ
მატჩში სიმეონესთან კონფლიქტის გამო
მოედინიდან გადაიქცევს. ალბათ ის
ორი დღე არასოდეს დაგავინწყდე-
ბათ...

— ჩემს ცხოვრებაში ეს ერთ-ერთი უმ-
ნიშვნელოვანესი პერიოდი იყო. თვით საფეხ-
ბურთო თვალსაზრისითაც, რადგან დიეგო
სიმეონესა და ჩემს შორის მომხდარი ინ-
ციდენტის შემდეგ უფრო მეტი გამოცდილება
შევიძინე.

— 1999 წელს ჩემპიონთა თასი
მოიგეთ. სწორედ იმ პერიოდში პირვე-
ლად დაიძაბა ვითარება თქვენსა და





ფერგიუსონს შორის.

— ისევე როგორც ყოველ ადამიანს, მეც, ჩემი კარიერის გარკვეულ მომენტში ხელმძღვანელობასთან პრობლემები შემიქმნა. მიუხედავად იმისა, ალექსი ფერგიუსონს ყოველთვის პატივს ვცემდი — როგორც ადამიანსა და როგორც პროფესიონალს. სწორედ მან მიმიწვია „მანჩესტერში“. ამისთვის ყოველთვის მისი მაღლიერი ვიქნები.

— მაგრამ ის ხომ თქვენი და ვიქტორიას დაქორწინების წინააღმდეგი იყო. ყველა ამჩნევდა, თუ როგორ შეიცვალეთ ადამიანის ცოლად მოყვანის შემდეგ და შოტლანდიელი მწვრთნელის მოთხოვნებს აღარ ითვალისწინებდით.

— მე ასე არ ვფიქრობ. ალბათ ეს შეკითხვა თავად ფერგიუსონს უნდა დაუსვათ. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩემთვის უმთავრესი ოჯახია და არა პროფესია. მწვრთნელს ზოგიერთი ნიუანსი მართლაც არ მოსწონდა, მაგრამ ყველაზე ცუდი ის გახლდათ, რომ ამის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყო.

— „არსენალთან“ დამარცხების შემდეგ ფერგიუსონმა ბუცი გესროლათ. ამ ინციდენტიდან რა არის მართალი და რა ჭორი?

— ეს ყველაფერი ჩემს წიგნშია აღწერილი. რთული დრო იყო, რადგან ამის

შესახებ ყველამ შეიტყო და ათასგვარი ჭორი გაერცვლა.

— ფერგიუსონია დამნაშავე იმაში, რომ „რეალში“ გადახვედით?

— არდადებებზე ვიყავი, როდესაც შევიტყვე, რომ „მანჩესტერს“ ჩემი გაყიდვა სურდა, ხოლო შექმნის სურვილს „ბარსა“ გამოთქვამდა. მე მადრიდის „რეალში“ თამაში მინდოდა და „მანჩესტერიც“ სწორედ „სამეფო კლუბში“ მოხვედრის სურვილით დავტოვე. როდესაც პირველად ვესაუბრე „რეალის“ პრეზიდენტს, ფლორენტინო პერესს, მან მითხრა, რომ მადრიდში ჩემი გადასვლა გუნდის ქომაგებსაც და მოთამაშეებსაც ძალიან გაახარებდა.

— და მაინც, რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც მადრიდის „რეალი“?

— უნდა გავითვალისწინოთ, რომ „მანჩესტერში“ 15 წლის მანძილზე ვთამაშობდი. ამ გუნდში არაერთი მეგობარი მყავს, რომელთანაც დღემდე მაქვს ურთიერთობა. ხოლო ის კლუბები, რომელშიც გადავიდი, სწორედ „მანჩესტერივით“ დიდებული უნდა ყოფილიყო. ასეთად კი, მხოლოდ „რეალს“ მივიჩნევი. იგი წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისითაც არათუ ჩამოუვარდება ჩემს ძველ გუნდს, არამედ აღემატება კიდევც.

— ახლა კი ერთგვარი ტესტი უნდა ჩაგიტაროთ. მოკლე შეკითხვებზე მოკლე პასუხები უნდა გამცეთ. ვინ გაჩუქათ ეს შაკეტი?

— მე მგონი ჩემმა ცოლმა.
— პერანგი?
— თავად ვიყიდე არკს ანდ შპენცერში.

— ჯინსს ერთი ზომით დიდს ყიდულობთ?

— რაც ამჟამად მაცვია, მამაჩემმა სახლში სახმარად მაჩუქა... ოჰ არა (იცინის), ეს ხუმრობით. ჯინსს თავად ვყიდულობ ხოლმე.

— ფეხსაცმელს?

— ეს აღიდას-ია, რომელსაც თავად ფირმა მაძლევს, რადგან მე მისი სახე ვარ.

— ამ ორ საყურზე რაღას იტყვიან?

— ორივე ბრილიანტისთვლიანია. ვიქტორიამ მაჩუქა.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— თეთრი.
— საყვარელი საჭმელი?

— ლორი.
— სასამელი ალბათ ლუდი არა?

— არა. „პეპსი“.

— ფილმი?

— „სანტაკლაუსი“.

— მუსიკალური ჯგუფი?

— ადრე Spice Girls-ს ვანიჭებდი უპირატესობას, ახლა კი მომწონს ყველაფერი, რასაც ჩემი ცოლი აკეთებს.

— რამდენი მანქანა გყავთ?

— ხუთი.

— რამდენი კოსტიუმი გიკიდიათ გარდერობში?

— არ ვიცი, არ დამითვლია.

— ფეხბურთის გარდა კიდევ სპორტის რომელი სახეობები გიტაცებთ?

— ყველაფერს ვუყურებ, მაგრამ უპირატესობას გოლფს ვანიჭებ.

— ყველაზე მეტად ვინ გესიმაპთიურებათ?

— მას შემდეგ, რაც ესპანეთში ვცხოვრობ, გამოგიტყდებით, ყველაზე მეტად რობერტო კარლოსს და ვუახლოვდი. ეს იმიტომ, რომ იგი თავიდანვე როგორც საკუთარ ძმას ისე მეტყვიდა. ასევე ჩემს ყურადღებას იპყრობს ნელსონ მანდელაც.

— მაინც რითი?

— მას არაჩვეულებრივ ადამიანად მივიჩნევი. მანდელა გულისხმიერი და თბილი პიროვნებაა. იგივე შემოიძლია ვიქტორ დელოფალზეც, რომელიც ორი კვირის წინ, შესვედრაზე ძალიან მომეწონა.

— რას ნიშნავს თქვენთვის ის ტიტული, რომელიც მოგანიჭეს? შეცვალა თუ არა ამან თქვენი ცხოვრება?

— არანაირად. მას შემდეგ რაც ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად დამასახელეს, ბიჭები გასახდელში ხუმრობით მუხლებზე დგებიან და „სერიო“ ან „თქვენო უდიდებულესობით“ მომმართავენ, თუმცა, მე კვლავ ჩვეულებრივი ადამიანი ვარ — უბრალოდ დევიდი და მეტი არაფერი.

— ღამე ადრე იძინებთ?

— ვცდილობ, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოიძის.

— ესპანურ დროს მალე შეგუფეთ? იგი ხომ ინგლისურისგან საგრძნობლად განსხვავდება?

— თავიდან ამის გამო ძალიან გამიჭირდა. პირველი შეხვედრა საღამოს 21:30-ზე ჩავატარე, ინგლისში კი, მატჩები ყოველთვის 15:00-ზე იმართება. ესპანეთში უფრო გვიან სადილობენ, ვასწობენ და თამაშობენ. თუმცა ამ ყველაფერს უკვე შევეჩვიე. როდესაც ინგლისში ჩავდივარ, ვასწობა ღამის 12 საათზე მიწვევს.

— ღამით კომპარული სიზმრები ხომ არ გაწუხებთ?

— არა, ამჟამად უკვე აღარ...

ტომის პაპი „ლივერპულს“ ეძმაგტმს

სულ ცოტა ხნის წინ, „ლივერპულს“ ოფიციალურ საიტზე კლუბის საჭეველად ცნობილი ფანების სია გამოქვეყნდა. პირველ ადგილზე „მის მსოფლიოს-2003“, როსანა დევიდსონი იმყოფება, რომელიც ცნობილი ირლანდიელი მომღერლის, კრის დე ბურგის ქალიშვილია და როგორც ამბობენ, „ლივერპულსისადმი“ სიყვარული მას სწორედ მამამ ჩაუნერგა. როგორც არ უნდა გავიკვირდეს, მეორე ადგილი რომის პაპს, იოანე-პავლე მეორეს უკავია, რომელიც თურმე უკვე დიდი ხანია, წითელმაისურიანთა ქომაგია. „ენფილდზე“ პოლონელი ექი დუდეკის გამოჩენის შემდეგ კი, მას „ლივერპული“ კიდევ უფრო შეჰყვარებია. რომის პაპს ნელსონ მანდელა მოსდევს. სამხრეთაფრიკელმა ჰუმანისტმა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის უკომპრომისო მებრძოლმა ჯერ კიდევ 1994 წელს „ლივერპულს“ ყოფილი კაპიტნის ჯონ ბარსისისაგან საჩუქრად მაისური მიიღო. გარდა ამისა, მანდელას არაერთხელ განუცხადებია საჯაროდ, რომ იგი ინგლისური კლუბის ქომაგია. მეოთხე ადგილზე ალბონიელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სვენ გორან ერიქსონი იმყოფება. ერთ-ერთ ინტერვიუში ფეხბურთის შვედ სპეციალისტს

უნებურად წამოსცდენია, რომ იგი ინგლისში გადასვლამდე სწორედ „ლივერპულს“ გულშემატკივრობდა. წითელმაისურიანთა ფანების ამ უჩვეულო კამპანიაში ანჯელინა ჯოლის მეხუთე ნომრად გამოქვეყნება, ფეხბურთის მოყვარულთათვის მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ ჰოლივუდის სექსისიმბოლოს ვაჟიშვილი, მადოკსი „ლივერპულში“ თამაშზე ოცნებობს. ამიტომ, მომხიბვლელ ანჯელინასაც ისღა დარჩენია, რომ თავადაც ამ ინგლისურ გუნდს უქომაგოს. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებებისა, „ლივერპულს“ გულშემატკივრები ყოფილან ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორც მსახიობი სამუელ ელ ჯექსონი, რეპერი დოქტორ დრი, შერი ბლერი (ინგლისის პრემიერ-მინისტრის ცოლი), მელანი სი („სპაის გერლზის“ ყოფილი წევრი), მარკ ოუენი (თაკე თაქტის ყოფილი წევრი), მომღერლები კრის დე ბურგი და კორთნი ლავი, Manic Street Preachers-ის დრამერი შონ მური, ჰოლი ბერი, ბილი ბობ ტორნტონი (მსახიობი, ანჯელინა ჯოლის ყოფილი მუხლელი), ფეხბურთელები იარი ლიტმანენი, კევინ ნოლანი, რიო ფერდინანდი, ოლე-გუნარ სოლსკიაერი, ჯერმენ პენანტი, ნიკ ბარმბი, გერმანელი მწვრთნელი ბერტი ფოქსი და სუპერპილოტი მიხაელ შუმასერი



არიან. ამასთან, „ლივერპულს“ ქომაგობს ათეულობით ნაკლებად ცნობილი ჟურნალისტი, მსახიობი, პოლიტიკოსი, შოუბიზნესის წარმომადგენელი თუ ტელეკომენტატორი.

ტუნისის მაიკი მტყნდება

მაიკ ტაისონი წელს რინგზე დაბრუნებას და სამი ორთაბრძოლის გამართვას გეგმავს. მისი ერთ-ერთი საჯარაულო



მეტოქე ამერიკელი ჯო მესი (მეტსახელად „ბები“) იქნება, რომელსაც დღემდე 28 ორთაბრძოლა აქვს მოგებული, მათ შორის 25 ნოკაუტით. ამ ორთაბრძოლის გამართვა მომავალი ზაფხულისთვისაა დაგეგმილი. „გარდა ამისა, ბები ჯოსთან შეხვედრამდე და ამის შემდეგ კიდევ თითოჯერ მსურს რინგზე გასვლა“, – ამბობს „რაკინის მაიკი“, რომელმაც ბოლო 18 თვის მანძილზე მხოლოდ ერთ საკრივო მატჩში მიიღო მონაწილეობა. გასული წლის თებერვალში მან პირველსავე რაუნდში ნოკაუტში გავზავნა კლიფორდ ეტენი.


ეგვიპტეს მუნდიალის მასპინძლობა სუტს

ეგვიპტეს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურს. ამ უფლების მოპოვებისთვის ბრძოლაში ფარაონების სამშობლოს მთავარ კონკურენტებად მაროკო, ტუნისი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ითვლებიან. შეგახსენებთ, რომ ფიფას წესების თანახმად, 2010 წლის მუნდიალი სწორედ აფრიკაში უნდა ჩატარდეს. ეგვიპტის სპორტის მინისტრის, ალი ედინ ჰილიალის თქმით, მის ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი ასეთი პრესტიჟული და მასშტაბური საფეხბურთო ტურნირის უმაღლეს დონეზე ჩატარებად. ჰილიალი ხაზს უსვამს იმას, რომ ეგვიპტეში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 12 სტადიონი და უამრავი ფეხბურთელებური სასტუმროა. „ჩემპიონატის მასპინძლობა მთელი ერის ოცნებად იქცა“, – ამბობს ალი ედინ ჰილიალი.



(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1)

მეათეკლასელ გვანცა ჩოხელს ბედი ბავშვობიდანვე მიემთხვევა. უწყობს. ჯერ, ცხრა აპრილის ღამეს, დედა მოეწამლება და ფსიქიკურად დაავადდება. შემდეგ, ცოლის უბედურებით საბოლოოდ თავგზააბნეული მამაც მიატოვებს ოჯახს... გვანცა და მისი პატარა ძმა ბებია-ბაბუის — ამირან და ლამარა ანთაძეების იმედად რჩებიან. ერთადერთი ქალიშვილის უბედურებით გამწარებული ცოლ-ქმარი შვილიშვილებს ცივ ნიავს არ აკარებს, მაგრამ გვანცას სიფათს მაინც ვერ ააჩვენებს. ერთ დღეს, გოგონა მასზე ბევრად უფროს მამაკაცს, მხატვარ ირაკლი იაშვილს გაიცნობს და უმაღლესი მოიხიბლება. ირაკლი კი ამით ბოროტად ისარგებლებს და გამოუცდელ გოგონას ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიწვენს...



გვანცა მოულოდნელობისგან ჯერ გაშრა, შემდეგ ყურმილი გამეტებით დაახეთქა და ასლუკუნდა: — მატყუარა!.. საზიზღარი მატყუარა!.. — რა იყო, ბაბუ? ვინ გაწყენინა? — მოესმა უცბად ზურგს უკან ამირანის ხმა. ბაბუის მოულოდნელი გამოჩენით დაბნეულმა გვანცამ ერთი კიდეც ამოისლუკუნა და შემდეგ გულში გამეტებით ჩაეკრა. ამირანმა კი შვილიშვილს აბურღულ თმაზე ნახად აკოცა და ყურში შეთქმულივით წასჩურჩულა: — ვინ არის, ბაბუ, მატყუარა? — არის, რა, ერთი... — სლუკუნს განაგრძობდა გვანცა. — მე არ ვიცნობ? — იცნობ... — შემთხვევით ლუკა ხომ არ ჰქვია?... — ულვაშებში ეშმაკურად ჩაელიმა ამირანს. — არა, — სასწრაფოდ იუარა გვანცამ, მაგრამ შემდეგ წამით ჩაფიქრდა და დაეცოლა: — ჰო, ლუკამ მაწყენინა... — რას მეუბნები?! ძალიან? — ძალიან. — ცოტა ხომ არ აზვიადებ, ბაბუ? — გულიდან თითქმის ძალით მოიშორა ამირანმა შვილიშვილი და ცრემლიან

თავისუფალი თემა

რუსულან ბერიძე

თვალეში ჩახედა. — გინდა, დამაჯერო, რომ იმ ანგელოზივით ბიჭს შენთვის გულის ტკენა მართლა შეუძლია? — შეუძლია. ძალიან გამაბრაზა და მერე მეც ვეჩხუბე. რა, არ გჯერა? — კი მჯერა, ბაბუ, მაგრამ ხომ იცი, შეყვარებულების ჩხუბი ვისაც მართალი ჰგონია, იმას რა ჰქვია? — რეგენი... — მაშინვე ბეჯითი მოსწავლესავით უპასუხა გვანცამ. მაგრამ შემდეგ დაფიქრდა და დაუმატა: — ოღონდ, ეგ შეყვარებულებზე კი არა, ცოლ-ქმარზე ნათქვამი. — მართალი ხარ, მაგრამ თუ ერთმანეთი არ უყვართ, ქალი და კაცი ცოლ-ქმარი უნდა გახდეს? — არა, — კიდე ერთხელ ამოისლუკუნა გვანცამ. — კარგი, ბაბუ, მორჩი ახლა ტირილს და კარგი ახალ ამბავს გეტყვი.

— რა ამბავს? — უმაღლესი დანატრეხდა გვანცა. — რა და როგორც იქნა, დავიყოლიე ბებიაშენი. წუხელ, ძილის წინ მითხრა — რაც გინდათ, ის ქენით შენ და შენმა გადარეულმა შვილიშვილმაო... — ვერ გავიგე... — დაიბნა გვანცა. — მაინც, რას გულისხმობდა? — რას და თუ გვანცას ექიმობა არ უნდა, თავში ქვა უხლია, თუნდაც სამსახიობოზე ჩააბაროსო... ოღონდ, სამსახიობოს ნაცვლად, მანჭვა-გრენის ფაკულტეტზე, — ასე თქვა... — აა... — როგორც იქნა, სათქმელს მიუხვდა გვანცა. — აღარ უნდა მაგას ადა ბა... როგორც კი კონკურსი გამოცხადდება, მოვკიდოთ შენს საბუთებს ხელი და თუ გინდა, მართლა იმ მანჭვა-გრენის ფაკულტეტზე შევიტანოთ. ჰა, რას იტყვი? — თვალი ჩაუკრა შვილიშვილს ამირანმა. — ბაბუ, რეებს იგონებ?! — შეუტია უცბად გვანცამ. — ხომ იცი, რომ მე ისტორიულზე მინდა. — აგაშენებს ღმერთი! —

სახე გაუნათლა ამირანს. — მეც მანდა ვარ! შენთვის ისტორიკოსობა მართლაც ზედგამოჭრილია! — მაშინ ჩათვალე, რომ უკვე მომავალ ისტორიკოსს ელაპარაკები, — წელში ამყად გასწორდა გვანცა. — ახლა მთავარია, ამ ვირუსმა თუ რაღაც უბედურებამ ბოლომდე გამიაროს და მაშინვე მეც აღინებოს დავიწყებ. — ჰო, მართლა — მგონი, ბებიაშენმა მაგ უბედურების მოსაშორებელი უნიკალური საშუალებაც გამოიხატა. — მაინც, რა? — მითხრა, იქნებ, მიშიკო სურამში წავიყვანო და მეც ჭკუაში დამიჯდა. შენ რას იზამ, ბაბუ? იქნებ, შენც წასულიყავი, ჰა? — ფრონილად შეაპარა ამირანმა შვილიშვილს. — ვიცი, ბებიაშენის გაძლება მართლაც გაგიჭირდება, მაგრამ ჰაერს მართლა გამოიცივლი და მოლოდინიერდები... — რატომაც არა?! — მაშინვე აიტაცა გვანცამ. — წავყვები და გამოცდებისთვისაც იქ მოვემზადები. — შენ გაიხარე, ბაბუ! — სიხარულით კინაღამ ტაში შემოჰკრა ამირანმა. — მე კიდე ვფიქრობდი, სურამს რომ ვუხსენებ,

გადაირევა-მეთქი...

— ისე, ერთ დროს, სურამში ყველაზე უკეთ თავს სწორედ გადარეულები გრძნობდნენ... — სევდიანად გაელიდა გვანცას.

— კი, ვერე იყო, — დაეთანხმა ამირანი. — მაგრამ შენ გადარევისგან ღმერთმა დაგიფაროს! შენ ხომ ჩემი ჭკუის კოლოფი შეილიშვილი ხარ, ჩემი იმედი!.. პირობას გაძლევ, რომ მარტო შაბათ-კვირას კი არა, ნებისმიერ თავისუფალ დღეს თქვენთან გავეწნდები.

წასვლამდე გვანცას გულმა არ მოუთმინა და ირაკლის კიდეც ერთხელ დაურეკა. ყურმილი ისევ ქალმა აიღო...

სურამი ლამარას დედუღეთი იყო და იქ ყოველთვის მიუსაროდა, რაზეც ამირანი ირონიულად აღნიშნავდა ხოლმე: სწორედ შენზეა ნათქვამი — მშობელ მიწაში მიდგას ფესვებიო... ლამარა კი უმაღლესად იყვებოდა:

— მიდი, მიდი! შენ და შენს შვილიშვილს აბა, მეტი რა შეგიძლიათ?! მე თქვენს მოსამსახურეობაში კუზი უნდა ამომვიდეს, თქვენ კი, დრო ჩემს ქილიკში უნდა გაატაროთ...

— ლამარიკო, აბა, რას ამბობ?! — სასწრაფოდ დაუტკებოდა ხოლმე ამირანი ცოლს. — ხომ იცი, რომ უშენოდ კაპიკია ჩვენი ფასი.

— მე კი ვიცი, მაგრამ თქვენ ამას მარტო მაშინ გაიგებთ, როცა სული ამომხდება...

— აპ! აპ! — მაშინვე ხელებს გაასავსებდა ამირანი. — ეგეთები არ იყოს! რა დროს შენი სიკვდილია, ქალო?! ორ-ორ ბავშვს ვის იმედად ტოვებ?!

— რატომ ორს? — ჩვეულ დონივს შემოიფრინდა ლამარა. — შენი თავი არ მიათვალე?..

ამირანი შეილიშვილისთვის მიცემულ პირობას პირნათლად ასრულებდა და სურამში მართლაც ხშირ-ხშირად აკითხავდა. ერთხელ მას ლუკაც ჩამოჰყვა. იმ საღამოს, ამირანმა მართლა გულიანად მოიღვინა, ბოლოს სიმღერაც კი შემოსძახა და ლუკაც აიყოლია.

— სიძე, შე ძველო! სიმღერაც რა კარგი გცოდნია! — მხარზე ხელს შინაურულად უტყავუნებდა ამირანი ლუკას და თან, ფიქრებში წასულ გვანცას ეშმაკურად შეავლებდა ხოლმე თვალს...

მისაღები გამოცდები ისე მოახლოვდა, რომ გვანცას თბილისისკენ ერთხელაც არ გამოუხდევს. უნივერსიტეტში საბუთებიც ამირანს შეატანინა, თავად კი, მიში-

კოსა და ლამარასთან ერთად პირველი გამოცდის წინა საღამოს ჩამოვიდა. ამირანი ოჯახის წევრებს სიხარულით შეეგება და თან ლამარას წინაშე თავის მოწონებას მოჰყვამ:

— ხომ ხედავ, ლამარიკო, თვეზე მეტი წასული ხარ და სახლი როგორი გაპრიანებული დაგახვედრე?!

— ისევე ცხვირი გაგიპრიანდეს შენ! — ქოქოლა დააყარა ლამარამ ქმარს და სასტუმრო ოთახში მდგარ, გვარიანად დამტვერილ მაგიდას თითი გაუსვა. — ეს არის პრიალი?!

— ნუ, ახლა... — ვითომ შეწუხდა ამირანი. — ცოტა საქმე შენთვისაც ხომ უნდა დამეტოვებინა...

— აბა, შენ იცი! — მაშინვე პირში ეცა ლამარა. — რომ მოვკვდები, იქნებ, რამე საქმე იქაც გამატანო!

— თუ წაიღებ, რატომაც არა?! — თვალები მხიარულად მოჭრუტა ამირანმა და ცოლი გულში ჩაიკრა.

შემკრთალი ლამარა ჯერ გაუძალიანდა, მაგრამ შემდეგ, ქმარს ისიც აღერსით მიეხუტა. ამასობაში, მიშიკო ტელევიზორს ეცა, გვანცა კი თავის ოთახში გავიდა და იქაურობა ისეთი ინტერესით მოათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო. ცოტა ხანში ლამარამ შემოიხედა და სავაზში მოდ დაუძახა.

ვანშამმა საერთო მხიარულებაში ჩაიარა. ვანშამს შემდეგ, გვანცამ დაღლილობა მოიმიზეხა და სასწრაფოდ დაწვა. ცოტა ხანში, საძინებლის კარი ფრთხილად გაიღო და ამირანი შევიდა:

— გძინავს, ბაბუ?

— არა. შემოდი. მოხდა რამე?

— ისეთი არაფერი... ამას წინათ ის შემხვდა... შენი მუსიკის მასწავლებელი... რა ჰქვია, კაცო?... ვანსოვს, შენს სანახავად რომ იყო მოსული?

— ირაკლი? — გული კინაღამ საგულედან ამოუხუტა გვანცას.

— ჰო, ირაკლი... ასეთი კარგი სახელი რა ეშმაკმა დამავიწყა?! შენთან დიდი მოკითხვა დამაბარა. ისეთი გამხდარი იყო, ძლივს ვიცანი. მგონი, მაგასაც შენნაირი ვირუსი შესვედრია, მთელი თვე ლოგინიდან ვერ ავდექიო, — მითხრა.

— ეტყობა, ცოდვებმა უწია... — კბილებში გამოცრა უცბად გვანცამ.

— შენ იმ კაცის ცოდვებისა რა იცი? — დაეჭვებით ჰკითხა ამირანმა.

— მე ირაკლის კი არა, ჩემი ცოდვებისაც არაფერი გამეგება... ისე ვთქვი, ხუმრობით... — სასწრაფოდ გამოასწორა საკუთარი ნათქვამი დაბნეულმა გვანცამ და მაშინვე კედლისკენ გადაბრუნდა.

— კარგი, ბაბუ, დაიძინე. ხვალ ადრე ხარ ასადგომი... — ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა ამირანმა და კარი ფრთხილად გაიხურა...

გვანცამ, მართალია, ზოგი საკუთარი ცოდნის და ზოგიც ამირანის ნაცნობობის წყალობით, მაგრამ მისაღები გამოცდები მაინც საკმაოდ კარგად ჩააბარა და ბოლო გამოცდაზე გამომცდლებმა უკვე სტუდენტობაც მიულოცეს. ბავშვობიდანვე ისტორიკოსობაზე მეოცნებე ლუკას კი, ღღის განყოფილებაზე ჩასარიცხად ქულები არ ეყო და საღამოს განყოფილებაზე ამოყო თავი, მაგრამ ამირანმა გაამხნევა:

— გული არ დაგწყედეს, ჩემო ლუკა! ხომ იცი, გვანცას გამო, შენთვის ველარ მოვიცალე, მაგრამ არა უშავს — პირველ სემესტრს რომ დახურავ, მერე ერთი ჩემებურად მივდგებ-მოვდგები და შენც დღეზე! გადაგიყვან...

— რას ამბობთ, ბატონო ამირან?! ასე როგორ შეგაწუხებთ?! — იუარა ლუკამ. — მუშაობას დავიწყებ, ბებიჩემს ცოტა მაინც შევეშველები...

— მუშაობას მერეც მოასწრებ! — არ დაუთმო ამირანმა. — სტუდენტობა კაცმა თავისუფლად უნდა გაატაროს, იმიტომ, რომ ასეთი უდარდელი და ბედნიერი ხანა მის ცხოვრებაში მეტი აღარ იქნება...

ლუკას წინაშე გვანცაც დამნაშავედ გრძნობდა თავს:

— ასე მგონია, შენი ადგილი მე დავიკავე... — შესჩვილა მან ერთხელ.

— რაღაცას ნუ ივინებ! — იუარა ლუკამ. — ჩემი გაჭირვება მაშინ გენახა, პირიქით რომ მომხდარიყო და მე დღეზე, შენ კიდევ, საღამოზე ჩარიცხულიყავი: დიდიდან გვიან დამეძღე, ლექციებზე უნდა ვმჯდარიყავი — აბა, ღამით შინ მარტოს ხომ ვერ გაგიშვებდი?!

— გმადლობ, ლუკა, შენ ყოველთვის ჩემი ყველაზე დიდი მეგობარი იქნები! — ხელზე ხელი უხერხულად მოჰკიდა გვანცამ.

— მეც გმადლობ, მაგრამ... — ხმა ჩაუწყდა ლუკას, შემდეგ ერთი ნერვიულად ჩაახველა და განაგრძო: — მაგრამ მე მარტო მეგობრობა არ მყოფნის...

— რატომ? — მაშინვე მიაბიჭურა სახე მიიღო გვანცამ.

— იმიტომ, რომ... — ისევ ხმა ჩაუწყდა ლუკას. — იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ და მინდა, სულ ერთად ვიყოთ.

— სულ ერთად? — სახეზე სიწითლემ გადაჰკრა გვანცას.

— ჰო, მინდა, რომ ცოლ-ქმარი გავხ-

დეთ. შენ კი, არ გინდა?.. — ანთებული თვალები შეანათა ლუკამ გვანცას.

— რა ვიცი, აბა... — მხრები უხერხულად აიჩეჩა გვანცამ. — ჯერ რა დროს ჩვენი ცოლქმრობაა?!

— გვანცა, მომისმინე!.. — ხმა აუკანკალდა ლუკას.

— არა, ახლა არა! — უარის ნიშნად ხელები გაასავსავა გვანცამ. — ახლა მეტი აღარაფერი მითხრა! ჯერ მზად არა ვარ...

— რა გაეწყობა?! — ამოიხრა ლუკამ. — მაგრამ მე ჩემი სათქმელი უკვე ისედაც ვითხარი. ახლა შენი ჯერია. არ გაჩქარებ. როცა პასუხი მზად გექნება, მაშინ ვილაპარაკოთ. ოღონდ, იცოდე, არ მომატყო. ჩემთვის ყველაზე მწარე მოსასმენი მაინც ტყუილი იქნება.

— კარგი, — მაშინვე აიტაცა გვანცამ. — არავითარ შემთხვევაში არ მოგატყუებ. ზუსტად იმას გეტყვი, რასაც გული მიკარნახებს.

ამის შემდეგ ლუკას საკუთარ გრძობებზე სიტყვა აღარ დაუძრა.

ამასობაში, პირველი სექტემბერიც დადგა. ორ სექტემბერს კი, კინოს სახლთან ოპოზიციის პირველი მიტინგი დაარბიეს და თბილისში არეულობაც დაიწყო.

გვანცა ლექციებზე მეტ დროს, ქუჩაში ატარებდა, ყველაფერს გულმოდგინედ აკვირდებოდა, შეძლებისდაგვარად კიდევ აანალიზებდა და იმამიც სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ ეს დაპირისპირება სერიოზულ ცვლილებებს მოიტანდა, ოღონდ — კარგს თუ ცუდს, ჯერ ბოლომდე ვერ გაერკვია.

გვანცას გასაოცრად, ლუკა ამ ყველაფერს აბსოლუტურად გულგრილად უყურებდა და ალბათ, გვანცას ცხოველი ინტერესი რომ არა, ზედმეტად რუსთაველზეც კი არ გაივლიდა.

— რა გჭირს, ლუკა? — გაოცებას ვერ ფარავდა გვანცა. — ჩვენ ხომ მომავალი ისტორიკოსები ვართ?! დღეს კი, ჩვენ თვალწინ ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი იწერება...

— იმას, რაც ახლა თბილისის ქუჩებში ხდება, ისტორიასთან არანაირი კავშირი არა აქვს, — ჯიუტობდა ლუკა. — ისტორიას ხალხი ქმნის! აქ კი, ძალაუფლებას მოწყურებულ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი, ძალაუფლებით გათამამებულ პოლიტიკოსთა მეორე ჯგუფს დაუპირისპირდა და ამ ბალაგანში ორივეს, ხალხის ჩათრევაც უნდა.

— არა ხარ მართალი! — ხელებს ასავსავებდა გვანცა და ისევ ქუჩაში გარ-

ბოდა.

ლუკაც, იმის შიშით — გვანცას არაფერი დაუშავდესო — ყველგან აჩრდილივით თან დაჰყვებოდა...

ერთ დღესაც, უნივერსიტეტის წინ, მორიგი იდეური შეხლა-შემოხლის შემდეგ, გვანცამ ლუკას დემონსტრაციულად აქცია ზურგი და დამძრულ ტროლეიბუსს შეახტა. ლუკა ამას არ ელოდა, მაგრამ მაინც არ დაიბნა და ის იყო, ტროლეიბუსს თავადაც უნდა შეხტომოდა, რომ კარი ზედ მის ცხვირწინ დაიხურა, სალონში დარჩენილმა გვანცამ კი ბავშვივით ენა გამოუყო...


რამდენიმე გაჩერების შემდეგ, გვანცა ტროლეიბუსიდან ჩამოვიდა და გზა ფეხით განაგრძო. მალე ოპოზიციური პარტიების მიერ „საკუთარ ტერიტორიებად“ დაყოფილ რუსთაველის პროსპექტსაც მიუახლოვდა. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის „ტერიტორიაზე“ შეჯგუფულ ხალხში ვიღაც იდგა და ხელისუფლების განმაქიქებელ სიტყვას წარმოთქვამდა. გვანცაც ხალხს შეერია და გამოშვლელის სიტყვებს მიაყურადა, მაგრამ როცა მის გამოსვლაში ახალი ვერაფერი აღმოაჩინა, ხალხს დაუწყო თვალიერება და უცბად გული კინაღამ გაუჩერდა: მისგან სულ რამდენიმე მეტრში ირაკლი იდგა და ვიღაც მაღალ და ძალიან ლამაზ ბიჭს გაცხარებით ელაპარაკებოდა. გვანცა ჯერ თვალებად იქცა, შემდეგ კი, ინსტინქტურად დაიდრა და ხალხში გზის გაკვლევა სცადა. მალე მას და ირაკლის შორის რამდენიმე ადამიანი დადგინდა. ირაკლი ისევ გაცხარებული ლაპარაკობდა, მაგრამ უცბად, თითქოს რაღაც ძალზე მნიშვნელოვანს იხსენებო, შუბლზე ხელი მოიხსვა და მაშინვე გვანცასკენ მოიხედა. მათი თვალები წამით ერთმანეთს შეხვდა. გვანცამ სასწრაფოდ პირი იბრუნა და უკან გამოსვლა დააპირა. ის იყო, თავი საშვიდობოს დაიგულა, რომ ვიღაცამ მხრებზე ხელები მძიმედ დააწყო და ყურში ვნებიანად ჩასჩურჩულა:

— ძალიან გეჩქარება, სიცოცხლე?..

გვანცა დაფეთებული შემობრუნდა და ირაკლის ფართო მკერდს მიეხალა.

— რამდენჯერ უნდა ვითხრა — ასეთ მკვეთრ მოძრობებს ნუ აკეთებ-მეთქი?! — მაშინვე მკლავებში მოიმწყვდია ის ირაკლი.

— გამიშვი! — გაიბრძოლა გოგონამ.



— რომ არ გაგიშვა, რას იზამ? — მკლავები უფრო ძლიერად მოუჭირა ირაკლიმ.

— აქაურობას კივილით ავიკლებ.

— ვერ მოასწრებ... — კვლავ ყურში ჩასჩურჩულა ირაკლიმ.

— რატომ ვერ მოვასწრებ? — გულუბრველოდ ჰკითხა გვანცამ. — მომკლავ?

— არა. როგორც კი საკიელებად პირს გააღებ, აქვე, ყველას დასანახად, კოცნით დაგასრჩობ.

ირაკლის თავხედობით გაოგნებულმა გვანცამ ის იყო, პირი მართლაც საკიელებად დააღო, რომ უცბად, ვიღაც ფრთხილად შეეხო მხარზე და მაშინვე ლუკას ხმაც გაიგონა:

— გვანცა!

ლუკას ხმის გაგონებაზე, ირაკლიმ წამით ხელი უშვა გვანცას, მანაც ამით მაშინვე ისარგებლა, ირაკლის ხელიდან დაუსხლტა და წინ გაიჭრა.

— გვანცა, მოიცა! სად გარბიხარ? — გამოიღევენა ლუკა. — იმ ტიპს შენგან რა უნდოდა?

— რა ვიცი... ეტყობა, გიჟია!.. — სულს ძლივსლა ითქვამდა საშვიდობოს გასული გვანცა და თან, ლუკას ისევ გასაქცევად ექანებოდა. — გადამეკიდა — გინდა თუ არა, საიდანღაც გიცნობო... წამო, გეხვეწები, გავეცალთ აქაურობას, რაიმე შარს არ გადაგვყაროს...

— კარგი, წავიდეთ... — უნდოდ დაეთანხმა ლუკა, თუმცა, ერთხელ კიდევ მიიხედა და შეცბა: ირაკლი ისევ იმ ადგილზე იდგა და დამცინავად იღიმებოდა...

შინ დაბრუნებულმა გვანცამ თავის

ტკივილი მოიმიზეზა, საკუთარ ოთახში შეიკეტა და ვახშამდე აღარც გამოსულა. გვიან საღამოს, ლამარა ხმაურით შეიჭრა მასთან:

— გვიკადრებთ, ქალბატონო, სავახშამოდ მაინც გამობრძანდებით თუ აქეთ მოგართვათ ყველაფერი?..

გვანცა უხალისოდ წამოდგა და საშხარეულოში გავიდა, მაგრამ მაგიდასთან დაჯდომა და ტელეფონის აწკრივლება ერთი იყო.

— ლამარიკო, უპასუხე, რა! — შეეხვეწა საკუთარ თევზში თავჩარგული ამირანი ცოლს.

— ჩასაფრებულები ხომ არ არიან ეს ობრები?! — ხელები გაოცებით გაშალა გაზქურასთან მოფუსფუსე ლამარამ. — როგორც კი ჭამას ვიწყებთ, დაბარებულებით მაშინ იწყებენ რეკვას!.. ჰოდა, რეკონ, რამდენიც უნდათ — არ ვუპასუხებ და მორჩა!

— ხანდახან რა უშნო გაჯიუტება იცი!.. — ფეხზე უხალისოდ წამოდგა ამირანი და შემოსასვლელში მდგარი ტელეფონის ყურმილი აიღო:

— გისმენთ... ვინ ბრძანდებით, ჩემო ბატონო?... ა-ა, ირაკლი?... კი, როგორ არ მახსოვხართ?... გვანცა?... კი, შინაა... ახლავე...

ამირანმა ტელეფონის აპარატი საშხარეულოში შეიტანა და ყურმილი გვანცას გაუწოდა:

— შენი მუსიკის მასწავლებელია...

გვანცამ ჯერ, უარის ნიშნად, ხელები გაასავსავა, მაგრამ შემდეგ, ბაბუას ყურმილი მაინც ჩამოართვა და ძლივს გასავონად ჩასძახა:

— გისმენთ... დიახ... არა, ახლა ვერ დაგელაპარაკებით... იმიტომ, რომ მთელი ოჯახი ვვახშამობთ... ალბათ ერთ საათში... დროებით... — სახელანძულმა გვანცამ ყურმილი სასწრაფოდ დაკიდა და ამირანს დანაშავე თვალეტი შეანათა.

— ეს რა ქენი, ბაბუ? — გაოცებისგან ხელები გაშალა ამირანმა. — ადამიანს სიტყვა პირში როგორ შეაცივებ?

— ძალიანაც კარგი! — გამოესარჩლა შვილიშვილს ლამარა. — მეორედ უდროოდ დროს აღარ დარეკავს.

— რას ამბობ, ქალო?! — ხმას აუწია ამირანმა და თან, საათზე დაიხედა. — რა იცოდა იმ პატიოსანმა კაცმა, რომ ჩვენ მაინცდამაინც ცხრის ოც წუთზე დაიწყოებით ვახშამს?! თანაც, ვიღაც ლაწირაკი ხომ არ არის, გვანცას საღლაბუცოდ დაურეკოს?! ჭკუადამჯდარი კაცია! რადგან რეკავს, ეტყობა, მნიშვნელოვანი საქმეც აქვს!

— მოიცა, მოიცა! — კერძოდ, სანახ-

ევროდ ავსებული თევზი გვერდზე ხმაურით გადადგა ლამარამ. — გვანცას მუსიკალურში ყველა მასწავლებელს სახელითა და გვარით ვიცნობდი და რაღაც, ირაკლი არ მახსენდება!.. მითხარით, ერთი, რა გვარია ეგ თქვენი ჭკუადამჯდარი კაცი?

— იაშვილი, — ნერწყვი ძლივსლა გადაყლაპა გვანცამ.

— ირაკლი იაშვილი... სახელი და გვარი იცოცხლე, კარგი ჰქონია, მაგრამ შენ რაღას გასწავლიდა?

— ჩემთვის არ უსწავლებია... — წამოიკნავლა გვანცამ.

— კარგი, ქალო, ჩაყლაპე ბავშვს ლუკმა! — შეუტია ცოლს ამირანმა. — ეგ კაცი „სკრიპაჩია“ და შენი „პიანისტი“ შვილიშვილისთვის რა უნდა ესწავლებინა?!

— მეც არ გამოიკვირდა?! — როგორც იქნა, დაშოშმინდა ლამარა.

...მოგვიანებით, ტელეფონი ისევ აწკრივლდა. ამჯერად, გვანცამ ყურმილის აღება ყველას დაასწრო და როგორც კი ირაკლის ხმა გაიგონა, მაშინვე თავის ოთახში შეიკეტა.

— რა გინდა? — მკაცრად ჰკითხა მან შემდეგ.

— შენი კარგად ყოფნა — რა უნდა მინდოდეს?! — მხიარულად უპასუხა ირაკლიმ.

— კარგად მანამ ვიყავი, სანამ შენ გადაგეყრებოდი.

— რას იზამ, სიყვარულო?! ეტყობა, მე ვიყავი შენი ბედისწერა.

— მე ბედისწერის საერთოდ არ მჯერა.

— რაც მალე დაიჯერებ და შენს ახალ მდგომარეობას შეეგუები, მით უკეთესი შენთვის!

— მორჩა! ყურმილს ვკიდებ!

— მოიცა! — ხმას აუწია ირაკლიმ. — იცოდე, არ დაკიდო, თორემ, რეკვით აგიკლებ!

— რამდენიც გინდა, იმდენი რეკე! — ყურმილი გამეტებით დაახეთქა გვანცამ.

იმავე წამს, ტელეფონმა ისევ დაიწკრივლა. გვანცამ ყურმილი ცოფიანივით ააგლიჯა აპარატს და ჩაჰყვირა:

— კიდევ რა გინდა ჩემგან? პირდაპირ მითხარი!

— გვანცა, ლუკა ვარ! რა გაყვირებს? — მოისმა ყურმილში ლუკას შემფოთებული ხმა...


— ლუკა?! — წამით შეცბა გვანცა. — ლუკა კი არა, ვინც გინდა, ის იყავი! ყველამ თავი დამანებეთ! გასავებია? ყველამ! — კვილზე გადავიდა ის შემდეგ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პრთგული პკითხგული

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდებით პასუხის გაცემა...

1. რა ენოდება მჭადს, რომლის ცომშიც ყვილს ურევენ?



- ა) კუჭდარი;
- ბ) მუჭა-მუჭა;
- გ) ჭვიშტარი.

2. 1946 წელს სტალინს შეხვედრა ჰქონდა ქართულ მსახიობებთან, მათ შორის ერთ-ერთი მას „გატონოვით“ მიმართავდა — „გატონო“ მიმართვის ზრდილობიანი ფორმაა, და ვერ შევძლებიო, — თავი იმართლა მან სტალინის შენიშვნაზე... ვინ იყო ის მსახიობი?



- ა) სპარტაკ ბალაშვილი;
- ბ) სერგო ზაქარიაძე;
- გ) ვასო გოძიაშვილი.

3. ოპტიმისტიები დღეს ინგლისურ ენას სწავლობენ, პენიისტიები — არაბულს. რელიისტიები კი...



- ა) ჩინურს;
- ბ) ესპერანტოს;
- გ) რუსულს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ტიტლი სუტცი „ცის სამეთვლე“ მუშაობს

როგორც ჟურნალი „კინომანი“ იტყობინება, გამოჩენილი ამერიკელი რეჟისორი რიდლი სკოტი ახალი ფილმის გადაღებებითაა დაკავებული. „ცის სამეთვლე“ მოქმედება XII საუკუნეში ვითარდება. იერუსალიმელი ახალგაზრდა მკვლეელი სათავეში ჩაუდგება თვისტომთა ჯარს, რომელიც შემოსეულ ჯვაროსნებს უნდა შეებრძოლოს. მისი საქმენი საგმირონი ადგილობრივ პრინცივსთან სასიყვარულო ურთიერთობის ამსახველ ეპიზოდებს ენაცვლება... პროექტი დიდი ხნის განმავლობაში, „ჯვაროსნების“ სახელწოდებით იყო ცნობილი, მაგრამ 2003 წლის სექტემბერში, ახლით შეიცვალა. ვარაუდობდნენ, რომ მთავარ როლში რიდლი სკოტი თავის უახლოეს მეგობარს, რასელ ქროუს



გადაიღებდა, მაგრამ 2003 წლის მაისში, ასპარეზზე მოულოდნელად ახალი ფიგურა – ორლანდო ბლუმი გამოჩნდა, რომელიც სრულიად განსხვავებული ტიპისა და ასაკის მსახიობია. დეკემბერში ჯგუფს კიდევ ერთი ცნობილი მსახიობი – ლაიამ ნისონი შეემატა, რომელიც მთავარი პერსონაჟის მამის როლს შეასრულებს. პრინცივს კი, ფრანგი მსახიობი ევა გრინი ითამაშებს, რომელსაც მყურებელი მალე ფილმში – The Dreamers – იხილავს. „ცის სამეთვლე“ გადაღებები 2004 წლის იანვარში დაიწყება და მაროკოსა და ესპანეთშია დაგეგმილი. მისი ბიუჯეტი 110 მლნ დოლარია.

პინკი „პეპსის“ სახე გახდა



მომღერალი პინკი კომპანია „პეპსის“ ახალი სახე ხდება. კომპანია მხოლოდ იმ შემსრულებლებს სთავაზობს თანამშრომლობას, რომლებიც წარმატების მწვერვალზე იმყოფებიან. თავის დროზე, „პეპსისთან“ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ: ბრიტნი სპირსს, რობი უილიამსს და ბეიონს ნოულსს, უფრო ადრე კი – მაიკლ ჯექსონს.

ახალი სარეკლამო კამპანია, რომლის სახელწოდებაცაა International, ყველა ქვეყნისთვის საერთო იქნება. „ძალზე მიხარია, – აღნიშნავს მომღერალი. – ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ მსოფლიოში მნახავენ და უფრო ხშირად მომისმენენ ჩემი თავგანისმცემლები“.

„პეპსის“ წარმომადგენელთა აზრით, დღესდღეობით პინკი ყველაზე პოპულარული საერთაშორისო მომღერალი ქალია. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს კონტრაქტი ხელს შეუწყობს კომპანიას იმაში, რომ ღირსეული კონკურენცია გაუწიოს „კოკა-კოლას“, რომელმაც უკვე განაცხადა თავისი გეგმების თაობაზე – მელომანთა შორის თავისი სასმლის პოპულარიზაციის გაზრდას შეუწყოს ხელი.

ნაცალი პიტცმანი სიძულში გადაღმას აპირებს

ფილმის – „ლეონი“ გადაღების დროს, ნატალი პორტმანი სულ 12 წლის იყო. ახლა უკვე ცნობილია მსახიობმა, პორტმანმა პრესას აუწყა, რომ შესაძლოა, ლუკ ბესონის ამ ფილმს, რომელმაც მას საყოველთაო აღიარება მოუტანა, სიქველი მოჰყვეს. ჟურნალისთვის – People – მიცემულ ინტერვიუში მან თქვა: „ფილმის – „ვარსკვლავური ომები. ეპიზოდი III“ – გადაღების დასრულების შემდეგ, მზად ვარ, სიქველის გამო დასვენებაზეც კი ვთქვა უარი. სცენარი შესანიშნავია. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ სპორტდარბაზში აქტიური ვარჯიში მომიწევს, რათა როლისთვის შესაფერის ფორმაში ვიყო“, – დასძინა მსახიობმა. შეგახსენებთ, რომ ლუკ ბესონის „ლეონი“, რომელიც პროფესიონალი მკვლელისა (ჟან რენო) და მოზარდი გოგონას (პორტმანი) ურთიერთობებზე მოგვითხრობს, 1994 წელს არის გადაღებული. მას შემდეგ, ნატალი პორტმანი უამრავ ფილმში გადაიღეს. უახლოეს მომავალში, მსოფლიოს ეკრანებზე გამოვა სურათი – „ცივი მთა“, სადაც მას პარტნიორობას უწევენ: ნიკოლ კიდმანი, ჯულ ლოუ და რენე ზელვეგერი.

მთვარეებს ახალი კრები ჰყავთ

მომღერალი კრისტინა აგილერა, აშკარად სექსუალური იმიჯითა და სხეულის მრავალადგილას „მიმობნეული“ პირსინჯით, ბევრი მოზარდი გოგონასთვის მაგალითის მიმცემი ყოფილა. 23 წლის კრისტინამ თავგანისმცემლები იმით მოხიბლა, რომ მას არ ეშინია, იყოს ისეთი, როგორც სინამდვილეშია. ყველა, ვისაც კი მასთან შეხება ჰქონია, ერთხმად აღნიშნავს, რომ კრისტინა მუდამ გულახდილი და გულწრფელია, პრინციპული ხასიათით გამოირჩევა და დამოუკიდებელია ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმისას. მომღერალი იმის გამოც შეიყვარეს, რომ იგი რეალურ პრობლემებზე ღიად საუბრობს და გოგონებს უჩვენებს, თუ როგორ უნდა იარონ დასახული მიზნისაკენ.



აგილერამ, რომელმაც ამ შეფასებების თაობაზე ჟურნალიდან – Sugar magazine შეიტყო, მის ყველა მკითხველს მადლობა გადაუხადა და დასძინა: „დიდი მადლობა, ეს ძალზე დიდი პატივია ჩემთვის“.

კიმ კლიისტერსი ნიშნობას თხის ქალი უღიბა



ჩოგბურთის სამყაროში ახალი ვარსკვლავური წყვილი გამოჩნდა: მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ლეიტონ ჰიუიტი და კიმ კლიისტერსი, რომელიც ამჟამად ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგით მეორე ადგილზე იმყოფება, დაინიშნენ.

22 წლის ავსტრალიელმა შობის წინააღმდეგ, თავის 20 წლის ბელგიელ მეგობარ გოგონას გემით გასეირნებისას ოფიციალურად სთხოვა ხელი. მან გულის სწორს რომანტიკულ გარემოში – მოკაშკაშე ვარსკვლავების ფონზე საუცხოო ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი და საყურე მიართვა. ქორწილის დრო და ადგილი უცნობია, მას ჯერჯერობით, ასაიდუმლოებენ.

ჩოგბურთელებმა ერთმანეთი 4 წლის წინ გაიცნეს და მას შემდეგ, ამ წყვილის შესახებ უამრავი ჭორი დადიოდა. ჰიუიტისთვის, რომელიც მრავალი პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებულაა, 2003 წელი არცთუ ისე იღბლიანი აღმოჩნდა. რაც შეეხება კლიისტერსს, იგი კვლავინდებურად კარგად თამაშობს, თუმცა შარშან, რეიტინგში პირველობა თავის თანამემამულეს ჟუსტინ ენენ-არდენს დაუთმო, რომელიც, მისგან განსხვავებით, უკვე დიდი ხანია, გათხოვილია.

ემინემს თქაღვანიანი ძალში მუყაყაბდა

ემინემის ადვოკატებმა ყველა ღონე იხმარეს, რომ მოძღვრლის იმიჯი არ შელახულიყო და იგი „ყველა შავის მეგობრად“ მოენათლათ. კანონის დამცველთა წყალობით, ჰიპ-ჰოპ-გამოცემამ – The Source – უარი განაცხადა იმაზე, რომ თებერვლის ნომერთან ერთად გამოსაშვებ დისკში მისი ადრეული, შინაარსით საკმაოდ ორაზროვანი ნაწარმოებები შეეტანა. ჟურნალის ტირაჟი 800000 ეგზემპლარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამოცემის მიერ წინა პლანზე წამოწეულმა, რასობრივი შეუწყნარებლობის თემამ, ჰიპ-ჰოპერები ორ ბანაკად – ემინემის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად დაყო. პოლიტიკორექტულობაზე გაცხოველებული დისკუსიების ფონზე, რომელიც ესოდენ აქტუალურია ამერიკაში, ემინემიც კი იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა ზოგიერთი თავისი სიმღერის ტექსტის გამო და აღნიშნა, რომ ეს სიმღერები დიდი ხნის წინა დაწერილი და მას შემდეგ შვკანინანი ქალების მიმართ შეხედულება შეეცვალა (სწორედ მათ ეძღვნება სიმღერები, რომელმაც ასეთი რეზონანსი გამოიწვია)...



დაიან კიტონი 25-წლიანი მესუენების შემდეგ გამიმუღდა

57 წლის დაიან კიტონი ახალ ფილმში გაცილებით სექსუალურია, ვიდრე 25 წლის წინ იყო – ამას მისი ახალი ეკრანული პარტნიორები აღნიშნავენ. მაყურებელმა შიშველი კიტონი პირველად, ფილმში – „მისტერ გულბარის ძიებაში“ – 1977 წელს იხილა. „მაყურებელს ეს უკვე დაავიწყდა, იმიტომ, რომ ჩვეულებრივ, ჩაცმული ვთამაშობ ხოლმე“, – იხუმრა მსახიობმა.

„მისტერ გულბარში“ კიტონი მხოლოდ წელს ზემოთ გახდილი გამოჩნდა, ხოლო რომანტიკულ კომედიაში – „სიყვარულის მსხვერპლი“ – იგი დღეისობილად ევლინება მაყურებელს. ფილმში მისი პარტნიორები არიან ჯეკ ნიკოლსონი და კიანუ რივზი. კიტონის თქმით, ტანისამოსის გახდა აუცილებელი იყო აღნიშნული როლის შესასრულებლად და ის წუთითაც არ დაფიქრებულა იმაზე, ღირდა თუ არა ამის გაკეთება.

დაიან კიტონი იმდენად მომხიბლავად ცხოვრებაშიც და ახალ ფილმშიც, რომ მისი გულის დაპყრობას ერთნაირად ცდილობენ 66 წლის ნიკოლსონი და 39 წლის კიანუ რივზი... დაიანმა ასევე აღნიშნა, რომ კიანუ სასიყვარულო სცენებში უხერხულად გრძნობდა თავს, რაც მისი ვარაუდით, ასაკობრივი სხვაობით იყო გამოწვეული.

ღეიღ მთქიმ ციფრულგე რაბი განაცხადა

გაზეთის – The Sunday Times – ჟურნალისტური კვლევის შედეგად გაირკვა, რომ დედოფლის მიერ ნაწყალობეკ საპატიო სამეფო ტიტულებზე თურმე, არაერთი ბრიტანელი ამბობს უარს.

პოლ მაკარტინიმ, ელტონ ჯონმა და მიკ ჯაგერმა დიდი სიამოვნებით მიიღეს ელისაბედ მეორის მიერ მათთვის ბოძებული რაინდის წოდება და არც საკუთარი სახელების წინ „სერის“ წამძღვარებაზე უთქვამთ უარი. მაგრამ როგორც გაირკვა, მათგან განსხვავებით, დევიდ ბოუის უარი უთქვამს ტიტულის მიღებაზე. „საერთოდ არ მესმის, ვის სჭირდება ყოველივე ეს! – განაცხადა ბოუიმ. – რაინდის ტიტულის მიღებაზე არასოდეს დავთანხმდები“.

დიდ ბრიტანეთში სამეფო ტიტულს ყოველწლიურად, 3000 კაცს ანიჭებენ, რაც არცთუ ისე იშვიათად, სკანდალის მიზეზი ხდება: თურმე ნუ იტყვით და, საპატიო წოდებაზე წარდგენილთაგან, მის მიღებაზე საშუალოდ, 2% ამბობს უარს.



Mercedes C 320-ის ევოლუცია



დატიუნინგებული Mercedes C 320 Sportcoupe Evolution AMG მათთვისაა განკუთვნილი, ვისაც კომპაქტური C კლასი არ აკმაყოფილებს. მის კაპოტქვეშ 6-ცილინდრიანი, 3,2 ლ სამუშაო მოცულობის ძრავა ჩადგმული, რომელიც 218 ცხ.ძ-ს ავითარებს. 100 კმ/სთ სიჩქარეს 1,6-ტონიანი მანქანა სულ 7,5 წმ-ში

აღწევს; მისი მაქსიმალური სიჩქარე 248 კმ/სთ-ია, საწვავის ხარჯი კი – სულ 11 ლ-ს შეადგენს. ეს მანქანა განსაკუთრებით მოსასერხებელი იქნება შორეული მოგზაურობის მოყვარულთათვის: მისი საბარგულის მოცულობა 455 ლ-ს შეადგენს, ხოლო საწვავის ავზი 62 ლ-ს იტევს. დატიუნინგებული Mercedes C 320 6-

საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი, ავტომატურ გადაცემათა კოლოფს კი მომხმარებელს ოპციის სახით შესთავაზებენ და ამისთვის 2.030 ევროს გადაახდებენ. „მერსედესისთვის“ ტრადიციული უმაღლესი ხარისხის ყველაზე მკაფიო დადასტურებას ის გარემოება წარმოადგენს, რომ ე.წ. გამჭოლი კოროზიისგან საგარანტიო ვადად ქარხანა 30 წელს კისრულობს. Mercedes C 320 Sportcoupe-ს საბაზო ვერსიის მინიმალური ფასი 33.350 ევროა, დატიუნინგებული ვარიანტისა – 44.894. ამრიგად, ის გაცილებით იაფია, ვიდრე C კლასის სპორტული ვერსია – C 32 AMG, რომელსა 354 ცხ.ძ-იანი ძრავა აქვს და 67.000 ევრო ღირს.

მძღვნიანი Honda

წლებულს იაპონური ფირმა ონდა კონტინენტურ ევროპაში პიბრიდული ავტომობილის – Honda Civic IMA-ს ექსპორტირებას იწყებს. ეს მოდელი ორი ძრავათია აღჭურვილი – ტრადიციული, 1,3 ლ მოცულობისა და 83 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ბენზინის აგრეგატი და ელექტროძრავათი, რომელიც სულ 9 ცხ.ძ-ს ავითარებს და სტარტერის ფუნქციას ასრულებს – ე.წ. ძირითადი ძრავას ამუშავებს უზრუნველყოფს. როცა მანქანა ინერციით მოძრაობს, ელექტრონიკა ავტომატურად თიშავს ოთხიდან სამ ცილინდრს, რაც საწვავის ეკონომიას ემსახურება.

100 კმ/სთ სიჩქარეს ეს „ჰონდა“ 12 წმ-ში ავითარებს; მისი მაქსიმალური სიჩქარეა 177 კმ/სთ; ბენზინის ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე 4,9 ლ-ს შეადგენს, რაც ამ კლასის ჩვეულებრივ მანქანებთან შედარებით, 30%-ით ნაკლებია. მანქანა აღჭურვილია „პანასონიკის“ ფირმის აკუმულატორით, რომელიც დაზღვეულია სრული განმუხტვისაგან: როგორც კი ძაბვა მინიმალურ ნიშნულამდე ჩამოვა, სპეციალური რელე გამოერთავს ელექტროძრავას და მანქანა მხოლოდ ბენზინის აგრეგა-



ტის მეშვეობით იმოდრავებს. ორძრავიანი „ჰონდის“ ექსპორტირება იაპონელებმა პირველად, აშშ-ში მოახდინეს და შარშან იქ უკვე 17000 მანქანა გაყიდეს; დიდ ბრიტანეთში, რომლის ავტობაზარზეც Civic IMA ასევე 2003 წელს გამოჩნდა, ჯერჯერობით სულ 390 მანქანაა რეალიზებული. გერმანიაში ამ მოდელს მომხმარებელს 21.900 ევროდ შესთავაზებენ.

მიკროვენის ახალი ვეხსია

მიკროვენ ჩუბეის სიგრძე 3,90 მ-ს შეადგენს, რაც მისი წინამორბედისას 17 სმ-ით აღემატება. თეორიულად ახალი ვერსია მძღოლსა და 5 მგზავრს იტევს, თუმცა პრაქტიკულად, უკანა საგარბელი სამი მოზრდილისთვის ცოტა ვიწროა. მანქანა მანევრირების საუცხოო უნარით გამოირჩევა. ის აღჭურვილია 4-ცილინდრიანი, 1,3 ლ სამუშაო მოცულობის ბენზინის ძრავით, რომელიც 98 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს და ყოველ 100 კმ-ზე სულ 6,1 ლ-ს ხარჯავს. საჭიროების შემთხვევაში, ჩუბე სრულამძრავიან ავტომობილად გარდაიქმნება: უკანა ხიდი განცალკევებით ირთება, რასაც მომცრო ელექტროძრავა უზრუნველყოფს. მანქანას 4-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი აქვს. იაპონიაში Cube-ის ჩვეულებრივი ვერსია 1,2 მლნ იენი (ე.ი. 9.300 დოლარი) ღირს.



ნიჟოლ ხიღმანის წარმატება და იმედგაცრუება



„რომეო“ ვულოტა“ დამდგმელს – ბაზ ლურმანს დაუკვეთა.

ამასობაში, დასავლური პრესა იმაზეც წერს, რომ ესოდენ პოპულარულ და წარმატებულ ვარსკვლავს ბოლო დროს, ბედი არ წყალობს პირად ცხოვრებაში.

მაგრამ გაცილებით დიდი ტკივილი ვარსკვლავს მისმა შეყვარებულმა, ლენი კრავიცმა მიაყენა. ამ ცოტა ხნის წინ, რომელიღაც პაპარაცის ცნობილი მუსიკოსისა და ბრაზილიელი მხატვარი ქალის – აისის არუდას პიკანტური ფოტოსურათები გამოუქვეყნებია და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ აისი და ლენი უკვე კარგა ხანია, მეგობრობენ.



4 წუთში – 4 მლნ გირვანქა სტერლინგი – ასეთია ავსტრალიური წარმოშობის პოლიეუდელი კინოვარსკვლავის ჰონორარი, რომელიც მან ფირმა „მანულის“ სუნამოს სარეკლამო რგოლში გადაღებისთვის მიიღო. შესაძლოა, ეს ყველაზე დიდი ჰონორარია, რომელიც ოდესმე, რეკლამირებისთვის გადაუხდიათ მსახიობისთვის. აღსანიშნავია, რომ „მანულის“ არც რგოლის რეჟისორის შერჩევისას გამოიჩინა სიძუნწე და მისი გადაღება ფილმების – „მულენ რუჟი“ და

„ნუ მომაცნებთ ტკივილს“ – ასე დაასათურა ერთ-ერთმა გაზეთმა თითქოსდა, თავად ნიკოლის მიერ წარმოთქმული მოწოდება, სადაც მკითხველს ორი ფაქტის შესახებ მოუთხრობს. პირველი – საახალწლო წვეულებაზე დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეს, პრინც ჩარლზს ასე მიუმართავს მსახიობისთვის: თქვენი დიდი თავყვანისმცემელი ვარ, განსაკუთრებით აღმაფრთოვანა თქვენ მიერ... „ტიტანიკში“ შესრულებულმა როლმაო (უფლისწულს კიდმანი ქეთ უინსლეტში აერია!)...

როგორც თაჰზი წყალში...

2003 წლის დამლევს, ინგლისელმა კონსტრუქტორმა ალან გიბსმა მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ავტომობილი-ამფიბია შექმნა: წყალში ის 52,5 კმ/სთ, ხოლო ხმელეთზე – 160 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს. გიბსის მანქანა, რომელსაც Aquada დაარქვეს, აღჭურვილია 6-ცილინდრიანი, 175 ცხ.ბ-იანი ბენზინის ძრავით, რომელსაც ის ყველგანმავალ Land Rover-ის დაესესხა. კონსტრუქტორის გეგმის თანახმად, წლეულს ის 100 ამფიბიას დაამზადებს და გაყიდის. მას უკვე Aquada-ს ფასიც აქვს გამოცხადებული – 220.000 ევრო. მიუხედავად სიძვირისა, რომელიც მარკეტოლოგებში ავტორის ოპტიმიზმისადმი აშკარად სკეპტიკურ დამოკიდებულებას იწვევს, თავად გიბსი დარწმუნებულია საკუთარი გეგმის რეალურობაში.



ის ამბობს, რომ Aquada საგზაო საცობებისგან თავის დაღწევის იდეალური საშუალებაა – მას ხომ ტბის ან მდინარისკენ გახვევა და ამგვარად საცობისთვის გვერდის ავლა (თანაც – მაღალი სიჩქარით!) შეუძლია.




ფრანგები შოხოლადის ჯამაში ჰირველობას არაჰის უთმობენ

ისინი წელიწადში ტონობით ამ ნუგბარს მიირთმევენ: ამ ქვეყანაში შოკოლადის მოხმარება 403 ათას ტონას აღწევს, რაც მთელი ევროპული ბაზრის 16%-ს შეადგენს. საინტერესოა, რომ ტკბილის მოყვარულ მამაკაცებში ჭარბობს ასაკობრივი კატეგორია – 18-დან 34 წლამდე.

გამოკითხულთაგან, 94% კვირაში ერთხელ მაინც მიირთმევენ შოკოლადს, 44% – ყოველდღე. დაბოლოს: აღნიშნული პროდუქტების მოყვარულებს შორის, ინჟინრები და ტექნიკური სფეროს მუშაკები ჭარბობენ.



აკროდინარული სიტუაციები ბიკაგოში



წინამორბედი წერილი ის. „გზა“, 2003 წ. №52

აკაკი გეგენავა

ესეც შენი ოკეანისგალმელი ქალები!..

ჯესიკა შავგერემანი, მაღალი გოგონა იყო. თანაც, შხე ისე მოჰკიდებოდა, ერთხანს მულატი მეგონა. მოკლე ბრიჯი და ცისფერი, ზურგზე ერთიანად მოშიშველებული მაისური კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მის ქალურ ფორმებს. არანაკლებ სექსუალურად გამოიყურებოდა მონიკა, რომელიც შეხედვისთანავე ბილ კლინტონის სკანდალურ თანაშემწეს მივაძგავსე. ისეთი ვენებიანი გამოხედვა ჰქონდა, ქვეყნად რომ ყველაფერს დაგვიწყებს. აი, მესამე, ქეთრინი კი მათგან საგრძნობლად განსხვავდებოდა – არც მათსავით გამომწვევად ეცვა და არც რაიმე სამკაული ეკეთა. ტუჩიც კი არ ჰქონდა შეღებილი. ლუდს ბოთლიდან მიირთმევდა და სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა...

ჯესიკასა და მონიკას ყურადღება მთლიანად სცენას და მუსიკოსებს დაეპყრო...

ვიჯეტი მათ გვერდით და ამერიკელ ქალებზე ვფიქრობდი.

...ვისაც ინტერნეტში გაცნობის საიტებზე „უხეტიალია“ ან კიდევ ამერიკულ მედიაში თვალი მიუდევნებია განცხადებებისთვის, უთუოდ შეამჩნევდა, როგორი მონღოლებით ეძებენ ამერიკელი სასიძოები

ჩიკაგო მართლაც უამრავი მოულოდნელობით აღსავსე ქალაქი აღმოჩნდა ჩემთვის. ჩემ გარშემო ლამის ყოველი ფენის ნაბიჯზე რაღაც ახალი და უჩვეულო ხდებოდა. ამ ქალაქში გატარებულ სამიოდე დღეში აღარც მასსოვს რამდენჯერ აღმოვჩნდი არაორდინარულ სიტუაციაში. თანაც „საფრთხე“ მაშინ იჩენდა თავს, როცა მეგონა, რომ ყველაფერი რიგზე იყო.

თუნდაც იმ პატარა კაფეში მომხდარ ამბავზე მოგიხსრობთ, სადაც ჩემმა ახალგაჯნობილმა ამერიკელმა თანამგზავრმა, ტომმა მიმიწვია. ტომი იქ ბანჯოზე უკრავდა და იქვე ხდებოდა თავის მშვენიერ გელფრენდს.

ამჯერად ჯესიკას (ასე ერქვა ტომის გელფრენდს) ორი მომხიბვლელი დაქალიც მოეყვანა თან და მეც სწორედ მათ გარემოცვაში ვაპირებდი საღამოს გატარებას.

საცოლეს თავიანთი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ვნებავთ, რუსული პრესა აიღეთ, ხშირად წააწყდებით განცხადებას, როცა ოკეანისგალმელი მამაკაცი დსთ-ის სივრცეში ეძებს მოსიყვარულე, ერთგული ბუნების ქალს, რომელთანაც ოჯახის შექმნას აპირებს... იმასაც გეტყვით, რომ ამერიკაში ყოფნისას თავად გაეხდი მოწმე, თუ რა საოცარი სისწრაფით მოახერხა ერთმა ახალჩამოსულმა რუსმა გოგონამ მდიდარი და საკმაოდ სიმპათიური, ახალგაზრდა ამერიკელი მამაკაცის მოხიბვლა, თანაც ისე, რომ ორ კვირაში იქორწინეს კიდევც...

სხვათა შორის, ერთ ჩემს ამერიკელ ნაცნობ მამაკაცს ვკითხე, თუ რატომ „გაურბიან“ თავიანთ თანამემამულე ქალებს, რამ გაუცივათ გული მათ მიმართ და იცით, რა მიპასუხა? – მე-20 საუკუნის დასასრულს ჩვენი ქალების უმეტესობა უხეში და აუტანელი გახდა, სინაზე და მოკრძალება დაკარგა, ფემინიზმმა ფართოდ მოიკიდა ფეხი და ამიტომაც ამერიკელი მამაკაცი სიყვარულს და ოჯახურ იდილიას ქვეყნის გარეთ ეძებს...

მაგრამ ახლა, როცა ბარში ვიჯექი და მონიკას გამომწვევი მკერდისკენ ვაპარებდი თვალს, სულაც არ მედარდებოდა, რატომ იწუნებდნენ ამერიკელები თავიანთ ქალებს.

ოლონდ ეგ იყო, ლაპარაკი ვერ აეწყო. ხან მუსიკაზე დაგვიპირე გოგონების ყურადღების გადატანა, ხან კოქტილზე, ხან

ლამაზ თვალებზე და ხანაც ტომის ვირტუოზულ ოსტატობაზე... მაგრამ რად გინდა, ამოდ ჩაიარა ჩემმა მონღოლებამ. გოგონები თითქოს მისმენდნენ და არც მისმენდნენ. მეც სხვა რაღა დამრჩენოდა? იძულებული ვიყავი, სასმელში „ჩამეხრჩო“ მათი უყურადღებობა. თუმცა სასმელზე არც ისინი ამბობდნენ უარს და შემოჰქონდა და შემოჰქონდა ოფიციალტს ლუდის კათხები. თუმცა, კათხა არც ეთქმოდა მაღალ, თხელ ჭიქებს, რომელიც თვალსა და ხელს შუა იცლებოდა...

ბარში წყვილები ცეკვავდნენ. ტომი თავის მეგობრებთან ერთად რომელიღაც სვედიან მელოდიას უკრავდა. მულატი გოგონა დაკარგულ სიყვარულს მისტიროდა სვედიანი, ცრემლნარევი ხმით.

ძალიან მინდოდა ახლა მონიკასთან მეცეკვა. წამოვდექი და საცეკვაოდ გავიწვიე. ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერც მაძინებდა, ქეთრინს რაღაცას უხსნიდა... წყენა არ შევიძინე და ჯესიკას ჩავჭიდე ხელი. წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ შევატყვე, დიდად არ სიამოვნებდა ჩემთან ცეკვა. თუმცა, მე მაინც მოვახერხე მისი გამხიარულება. ცეკვა-ცეკვით სცენასთან ახლოს მივიყვანე და მორიგი მუსიკალური პაუზისას ტომის გვერდით აღმოვჩნდი...

ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაგვდე და მონიკას ვთხოვე, ჩემთან ეცეკვა.

– არ გეწყინოთ, მაგრამ მამაკაცებთან არ ცეკვავ (!)... – ცივად მომიშორა და ქეთრინს მიუბრუნდა, რომელიც რაღაცას ისეთი გაცხარებით უხსნიდა, რომ სიტყვების ნახევარი ვერც გავარჩიე. ისევ ჯესიკასკენ მივბრიალდი, საკმაოდ კარგად ცეკვავდა და ვიფიქრე, სანამ ტომი უკრავს, მანამდე ვიცეკვებთ-მეთქი, მაგრამ ამასობაში თურმე თავად ტომი გვიახლოვდებოდა და უცერემონიოდ ამაცალა ხელიდან თავისი გელფრენდი.

შევეცადე, წყენა არ შემეძინა და ისევ ლუდს მივუბრუნდი. თან საკუთარ თავზე ვბრაზობდი, – სიმართლე გითხრათ, მიკვირდა, მონიკას გული რით ვერ მოვიგე-მეთქი.

ოფიციალტს ახლა ნაყინის მოტანა ვთხოვე. და ის-ის იყო, უკარება ამერიკელი გოგონასთვის ბანანითა და კივით მორთული ნაყინიანი ფინჯანი უნდა მიმერთმია, რომ ქეთრინის ცივმა ხმამ ადგილზე გამაქვავა:

– მოგწონს მონიკა?

ასეთ მოულოდნელ შეკითხვას ნამდვილად არ მოველოდი და დამნაშავესავით გამეცინა. ისიც კი გავიფიქრე, როგორც იქნა, ამ ნაყინით ყინულის გაღობა შეუძელი-მეთქი და ორიგინალურ პასუხს

დაეუწყე ძებნა, თუმცა არაფერი გამოძივი-
და და ისევ ბანალური პასუხი ვარჩიე,
ძალიან მომწონს-შეთქი.

— მართლა ძალიან მოგწონს?! — ახლა
უკვე გესლი გაურია ხმაში ქეთრინმა.

ვიფიქრე, ქალურ შურს რამდენი შეს-
ძლება-შეთქი და ვცადე, სიტუაცია განმე-
მუხტა:

— მართლა ძალიან მომწონს, მაგრამ
თქვენც მშვენიერი გოგონა ხართ...

ბოლო სიტყვები, ცოტა არ იყოს, გაუბე-
დავად ნათქვამი გამოძივიდა.

— მონიკა მე მიყვარს და გირჩევნია,
შენთვის წყნარად იჯდე!.. — უკვე აღარ
მალავდა წყენას ქეთრინი.

ვერაფრით მივხვდი, რა ხდებოდა, ის
კი თავისას განაგრძობდა:

— ვიცი, რომ ტომის მეგობარი ხარ,
მაგრამ ყველაფერს სახლვარი აქვს. გთხოვ,
თავი შეიკავო!..

გთხოვო, კი მითხრა, მაგრამ ეს ისეთი
ტონით იყო ნათქვამი, რომ ამკარად მუ-
ქარას ჰგავდა.

მოულოდნელად გონება გამინათდა.
მივხვდი, ვისთანაც მქონდა საქმე. ვიგრძენი,
როგორ დატრიალდა ირგვლივ ყველაფერი.
საოცარი სურვილი გამიჩნდა, ეს ლამაზი
მონიკა და მისი ეჭვიანი „საყვარელი“
ერთმანეთისთვის შემეწებებინა...

ამასობაში, საცეკვაო მოედნიდან ჯესი-
კა და ტომიც დაბრუნდნენ.

— კაკო, რა ფერი გადევს? ცუდად
ხომ არა ხარ? — მკითხა ტომმა.

— ტომ! ეს ვისთან მომიყვანე?! —
უკმაყოფილოდ ვიკითხე.

— რა იყო, რა მოხდა?!

— ესენი ვინ არიან, გამაგებინე!..

— კაკო, მაპატიე, სულ დამაიწყდა, მეთქვა,
რომ მონიკა და ქეთრინი... იცი, ესენი
ლესბოსელები არიან... — მათ მაგივრად
ტომი მიხვდიდა ბოდიშს.

— შენი ჯესიკაც ამათნაირია?

— ახლა უკვე აღარ, მაგრამ ძველ მე-
გობრებს ვერ დალატობს... — ისევ დამნა-
შავესავით მბარებდა ანგარიშს ტომი.

ვიდექი გაშტერებული და არ ვიცოდი,
რა მექნა. ტომიც ადგილს ვეღარ პოუ-
ლობდა. არ იცოდა, გოგონებთან მისულიყო
თუ მე გამომყოლოდა. სანამ ის ყოყმანებ-
და, დრო ვიხელთე და ბარიდან ტყვი-
ანაკრავით გამოვვარდი.

ტაქსი გავაჩერე და იმ ავტოსადგომის
მისამართი ვუთხარი, სადაც ჩემი ტრაილე-
რი ეყენა.

კიდევ ერთი მოხუცი ჯო

კარგად (უფრო სწორად, მწარედ) მახ-
სოვდა წინა ტაქსის მძღოლთან მომხ-
დარი ინციდენტი, რომელმაც 20-დოლარ-
იანი გამომტყუა და ხმას არ ვიღებდი.

— რა მოხდა? კარგი დრო ვერ გაა-
ტარე? — ლაპარაკის ხასიათზე იყო მძღო-
ლი.

— ჰო, რა, უინტერესო ბარია... — გულ-
გრილად ვუპასუხე.

— არა უშავს, ჩიკაგო ისეთი ქალაქია,
აქ ნამდვილად არ მოიწყენ. თუ გინდა,
კარგ ადგილას წაგიყვან... — გამიღიმა
მძღოლმა.

— მაინც რას მთავაზობ? — დავინტერ-
ესდი.

— რასაც ისურვებ: ქალები, მოსაწვეი,
დასალევი... შენ მთავარია, ფული გადა-
მიხადო.

— ფული რომ მქონდეს, უშენოლად
ვიპოვი მაგ ყველაფერს! შენ გირჩევნია,
სადაც გითხარი, იქ მიმიყვანო! — მთელი
ჯავრი ლამის ამ ტაქსისტზე ვიყარე.

— შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ თუ
ლაგჭირდებ, დამიკავშირდი... — იხტბარი არ
გაიტეხა მძღოლმა და თავისი სავიზიტო
ბარათი შემომაჩინა.

ავტოსადგომიც გამოჩნდა. მრიცხველი
4 დოლარს უჩვენებდა. 10-დოლარიანი
მივაწოდე და მანქანიდან გადმოვედი.

— დიდი მადლობა, სერ, კარგი კაცი
ხარ... დამიკავშირდი, ისეთ ადგილებში
წაგიყვან, მთელი ცხოვრება გემასსოვრე-
ბა!.. — ტაქსის მძღოლი ამკარად კმაყ-
ოფილი ჩანდა. მისმა ჭკუამხიარულებამ
მეც ხასიათზე მომიყვანა. ავტოსადგომის
მახლობლად მდებარე მაღაზიაში შევედი,
ვისკი, ლუდი, „კოკა-კოლა“, ძეხვისა და
შვეიცარიული ყველის ბუტერბროდები
ავიღე და ავტოსადგომის მეთვალყურის
ჯიხურს მივადექი.

— რა გინდა, ამ შუალამისას რამ შეგ-
აწუხა? — გაოცებით მკითხა მოხუცმა

ზანგმა.

— რა უნდა მინდოდეს?... მოდი, ერთ-
მანეთი გავიცნოთ!.. — ვუთხარი და ვისკის
ბოთლი დავანახე.

მოხუცმა ბოთლს შეხვდა, მერე მე გად-
მომხვდა, მერე ისევ ბოთლს დააკვირდა და
გულიანად გამიღიმა. ჯიხურის კარი გაა-
ლო და შემიპატიჟა. უცერემონიოდ ჩამო-
მართვა ბოთლი, მაგიდაზე დადგა და თვალთ
სკამზე მანიშნა — დაჯექით. მომცრო კარადა
გამოალო, თეფშები და ჭიქები გადმოიღო
და ჩემ პირდაპირ დივანზე მოხერხებუ-
ლად მოკალათდა.

— რა გქვია, ძია კაცო? — ვკითხე.

— ჯო!

— აუ, ეს რა მითხარი?! შენ ისეთი
კაცის სახელი გქვია, რაც არ უნდა მაწ-
ყენებო, მაინც მოგეფერები... — ბიძია ჯო
გამახსენდა და მასთან ციხეში გატარებუ-
ლი ორი გრძელი თვე... სადღეგრძელოე-
ბის ხასიათზე მოვედი, ვისკით სავსე ჭიქა
ავიღე და დავიწყე:

— ბიძია ჯო, ეს შენ გაგიმარჯოს, ამ
შუალამისას რომ არ გძინავს და ჩემს
ტრაილერს ყარაულობ.

— მარტო შენსას კი არა — ვერ ხედავ,
რამდენი მანქანა მბარია?! — ამყად მი-
პასუხა.

— ჰოდა, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!
— დავლოცე მოხუცი.

— გმადლობ, შეილო... — მიპასუხა,
ვისკი ერთბაშად გადაჭკრა, მერე კი მკითხა
— რა გქვია და სადაური ხარო?


მეც ვუპასუხე და ისიც ვკითხე,
საქართველოზე რაიმე თუ გაგიგია-შეთქი?
მოხუცი ერთხანს ჩაფიქრდა, მაგრამ
რაც არ იცოდა, რას გაიხსენებდა?!
ბოლოს, მაინც იპოვა გამოსავალი და გა-
ბადრული სახით მიპასუხა:

— მართალი გითხრა, არ ვიცი, სად
არის საქართველო, მაგრამ ეტყობა, ძალიან
კარგი ქვეყანაა, რადგან შენისთანა კარგი
ადამიანის სამშობლოა...

— მერე, ბიძია ჯო, შენ რა იცი, მე
კარგი ვარ თუ ცუდი? წესიერად არც
მიცნობ! — გაოცებულმა ვუთხარი.

— ათი წელია, ამ სადგომზე ვმუშაობ
და ამ ხნის განმავლობაში, ამ ჯიხურში,
ჩემი ერთი-ორი მეგობრის გარდა, არავინ
შემოსულა. აქ ხალხი ისე მიღის და
მოდის, შეიძლება, გამარჯობაც არ გითხ-
რან. შენ კი მოხვედი და მე მადლეგრ-
ძელებ... ამაზე კარგი რა უნდა მოხდეს?!
— აღტაცებას ვერ ფარავდა მოხუცი ზან-
გი.

P.S. აკაკი გვერთავას მოგონებების ამ-
სახველ მორიგ წერილს „ზის“ №4-ში
შემოვთავაზებთ.



ღაბაღაბით ჯაშუში ჯენიფერ ბარნერი



ჩვეულებრივ ადამიანისთვის ორმაგი ცხოვრება საკმაოდ მიძიმე ტვირთია. სამაგიეროდ, ეკრანზე იმისთვის თვალის მიდევნება, თუ როგორ ცხოვრობს ამ ორმაგი ცხოვრებით ლამაზმანი სინდი ბრისტოლუ — მწვავესიუჟეტოანი ტელესერიალის — „ჯაშუში ქალის“ აგენტი — იმთავითვე საინტერესო აღმოჩნდა ჯერ ამერიკელი, შემდგომ კი, სხვა ქვეყნების ტელემედიურ-ბელთათვის. ამ სერიალმა დიდი პოპულარობა მოიპოვა სხვადასხვა ასაკისა და კატეგორიის ადამიანებში, მასში მთავარი როლის შემსრულებელი, ჯენიფერ ბარნერი კი, უმაღლეს ნამდვილ კინოვარსკვლავად იქცა.

„ჯაშუში ქალის“ შემქმნელი, ჯეფრი აბრამსი მუდამ გამოირჩეოდა მრავალფეროვანი გემოვნებით: ჯეი-ჯეის — როგორც აბრამსს ახლობლები ეძახიან — როგორც თრილერი, ისე ფანტასტიკა და საშინელებათა ფილმებიც იზიდავდა, თუმცა, არც მელოდრამის, რომანტიკისა თუ კომედიისთვის შეუქცევია ზურგი. და კიდევ — აბრამსი ოცნებობდა ისეთი ფილმის გადაღებას, რომელშიც თავს მოიყრიდა ყველაფერი ის, რაც მას უყვარს. და აი, 35 წლის ასაკში, ჯეი-ჯეიმ მოიფიქრა სერიალი „ჯაშუში ქალი“, სადაც ყველა ჟანრის გაერთიანება მოახერხა. თავის საყვარელ ნაწარმოებს აბრამსმა სახელად ხუმრობით შეურჩია რომანტიკული სიტყვა „ამალგამა“ და ყველა ღონეს ხმარობს, რომ მისი „საფირმო შენაღობი“ მუდამ მოსწონდეს მაყურებელს. აბრამსი ამ ფილმის აღმასრულებელი პროდიუსე-

რიცაა, სცენარისტიც, რეჟისორიცა და წარმოდგინეთ — კომპოზიტორიც: მან სერიალის მთავარი მუსიკალური მელოდია დაწერა. ბუნებრივია, მთავარი როლის შემსრულებელი — ახალი ვარსკვლავიც თავადვე აღმოაჩინა. ის გარნერს აკვირდებოდა, როცა თავის წინა სერიალს — „ფელისიტის“ — იღება და მტკიცედ გადაწყვიტა, რომ „ჯაშუში ქალის“ მთავარი გმირი სწორედ ჯენიფერს უნდა ეთამაშა.

თავიდან არავის ესმოდა, თუ რატომ გადაწყვიტა აბრამსმა ესოდენ მოკრძალებული ბიოგრაფიის მქონე მსახიობის აყვანა — მას ხომ, „ფელისიტის“ გარდა, მხოლოდ ორ საკმაოდ უფერულ სერიალში მიეღო მონაწილეობა და მომცრო როლებში გამოჩნდა ფილმებში — „პირლ-ჰარბოსი“ და „ჯელო, სად არის ჩემი მანქანა?“ მაგრამ ჯეი-ჯეი დარწმუნებული იყო, ჯენიფერ გარ-

ნერი იდეალურად მოერგებოდა ქალი-გამოცანის როლს. „ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ჯენიფერი უშრეტეი პოტენციალის მქონე მსახიობი იყო და ნებისმიერი ამოცანის შესრულებას შეძლებდა“. ტელეკომპანია „ეი-ბი-სის“ ხელმძღვანელობა გაჭირვებით დაეთანხმა რეჟისორს, რომელსაც საამისოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ჯენიფერი ბედნიერი იყო: „ჩემი საყვარელი წიგნი ბავშვობაში „ჯაშუში ჰარეტი“ იყო, რომელიც ბევრჯერ წამიკითხავს. მაშინ დედას ვთხოვე, ისეთივე ბლოკნოტი ეყიდა ჩემთვის, როგორც ჰარეტს ჰქონდა და მასში მეზობლების ცხოვრების ამსახველ რაღაც ამბებს ვინიშნავდი, — იმდენად ვესწრაფოდი ჯაშუშის როლს... აბრამსისგან შემოთავაზების მიღებამდე ცოტა ხნით ადრე კი, „ჩარლის ანგელოზები“ ვნახე და ვიფიქრე, რომ მეც შევძლებდი იმის კეთებას, რასაც ამ სურათის გმირი სჩადიოდა. ძალიან მომიხდა, დაუყოვნებლივ გავმხდარიყავი კამერონ დიასი და მსგავსი როლები მეთამაშა. ცოტა ხანიც გავიდა და — აბრამსმა ჯაშუში ქალის როლზე მიმიწვია!“

პიგმალიონმა თავისი გალათეა იპოვა და მას თავის გამოჩენის საშუალება მისცა — ჯენიფერ ბარნერმა ეს შანსი 100%-ით გამოიყენა. მან იმდენად კარგად გამოიჩინა თავი სინდი ბრისტოლუს როლში, რომ „ეი-ბი-სის“ მანამდე ეჭვის თვლით მომზირალმა შეფებმა ის თავიანთი არხის ნამდვილ ვარსკვლავად აღიარეს. შემდეგ მსახიობმა პრესტიჟული „ოქროს გლობუსი“ და ბევრი სხვა ჯილდოც მიიღო. ჟურნალმა — ეოპლე — მას „2001 წლის აღმოჩენა“ უწოდა, მომდევნო წელს კი, მსოფლიოს 50 ულამაზესი ადამი-



ანის ტრადიციულ ნუსხაში შეიყვანა, მა- მაკაცების ჟურნალმა – Maxim-მა კი, ყვე- ლაზე სექსუალურ ქალაღაც დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამის მიუხე- დავად, ჯენი სრული- ად არ ამჟღავნებს ზედმეტ ამპარტავნობას, ის ჩვეულებისამებრ, უშუალო, ყველასადმი




კეთილგანწყობილი რჩება და ამის გამო, გარშემომყოფთა დიდი სიყვარულით სარგებლობს. რაც შეეხება გადასაღებ მოედანზე მის მიერ გამჟღავნებულ თვისე- ბებს – ყველას აოცებს, რომ ჯენიფერი თავად ასრულებს პრაქტიკულად ნები- სმიერ ტრიუქს, რომელსაც მისი გმირი – სინდი ბრისტოუ ეკრანზე სჩადის. ამით მხოლოდ მისი დუბლიორი ქალია უკმაყოფილო, რომელსაც გადასაღები მოედნის სიახლოეს უსაქმოდ ჯდომა უწევს. რეჟისორი აბრამსი კი მიიჩნევს, რომ რაც უფრო მეტად რისკავს ჯენი გადაღებისას, მით უფრო ღრმად სწვდე- ბა თავისი პერსონაჟის სულიერ არსს და ეს სერიალსაც მატებს ხარისხს, რადგან მასში ყველაფერი რეალურად

ხდება... ჯენიფერ გარნერს სამსახიობო ტრადილერში, ჭრილობებისა და ნაკაწრე- ბის მოსაშუშებელი უამრავი მალამო და გაუტკივარების საშუალება აქვს მო- მარაგებული; მას ბევრი აუდიოჩანაწერიც ჰქონია დაგროვილი, სადაც გერმანულ, იტალიურ, პორტუგალიურ, რუსულ, რუ- მინულ და სხვა ენებზე წარმოთქმული ფრაზებია აღბეჭდილი, რომლის წარ- მოთქმაც სინდი ბრისტოუს უწევს.

„ჯაშუში ქალის“ წყალობით ჯენი- ფერ გარნერმა უამრავი შემოთავაზება მიიღო და ახლა სისტემატურად მონაწი- ლეობს გადაღებებში ისეთ ვარსკე- ლავებთან ერთად, როგორებიც არიან: ლეონარდო დი კაპრიო, ბენ აფლეკი, კოლინ ფარელი. მისი სამუშაო გან- რიგის თითოეულ წუთს, რომ იტყვიან, ფასი ადევს, მაგრამ ჯენიფერი მაინც, მუდამ სიამოვნებით ბრუნდება „ჯაშუში ქალის“ გადასაღებ მოედანზე და კვლავ დიდი ენერჯით ას- რულებს სარისკო ტრიუქებს.

ბუნებრივია, ხალი- სიანი და მომხიბლავი გარნერი ყველა იმ მა- მაკაცის სიმპათიით სარგებლობს, ვისაც მისი პარტნიორობა უწევს. მათ შორის ერთ-ერთმა – მაიკლ ვარტანმა (ის „ჯაშუ- ში ქალში“ აგენტ მაიკლ ვონს განა- სახიერებს) თანდათან გამორჩეული ადგილი დაიკავა. შარშან, როცა „ოსკარის“ დაჯილ- დოების ცერემონიაზე



ჯენიფერ გარნერი უქმროდ მივიდა (მსახ- ლობ სკოტ ფოლისა და გარნერს შორის ურთიერთობა სერიალ „ფელისიტის“ გა- დაღებისას დაიწყო და ქორწინებით დაგვირგვინდა), ყველა გაკვირვებული დარჩა, მაგრამ თვე-ნახევრის შემდეგ ჯენი- ფერმა სკოტთან გაყრის პროცესი წამ- იოწყო. იმ დროიდან მოყოლებული, მის გვერდით ყველა წვეულებაზე მაიკლ ვარტანია. ცხადია, ამ კავშირის გა- მომზეიერების შემდეგ, ჟურნალისტებმა უმაღლესი გაიხსენეს ვარტანის მიერ ადრე ნათქვამი: „როცა ჯენისთან ერთად გა- დაღებაში მონაწილეობ, მისთვის თვა- ლის მოწვევება გიჭირს, უყურებ და თითქოს დნობას იწყებ... ის იმდენად ლამაზი და ისეთი ნაზია, რომ შეუძლე- ბელია, არ შევიყვარდეს...“

თავად ჯენიფერი თავს იკავებს მისი და მაიკლის ურთიერთობის აფიშირებ- ისგან და გამუდმებით გაიძახის – ნახ- ევრად ფრანგი ვარტანი ფრანგული ენის დაუფლებაში მეხმარებო: ენის შესწავ- ლა ჯენის, „ჯაშუში ქალის“ კო- მპიუტერული თამაშის ფრანგული ვარიანტის გასახმოვანებლად დასჭირ- და. კიდევ ამბობენ, რომ ახალგაზრდები მუსიკის სიყვარულმა დაამეგობრა: ჯენიფერი ერთხანს, კარგად უკრავდა საქსოფონზე, მაიკლი კი, საუცხოოდ ფლობს გიტარაზე დაკვრის ხელოვნებას...



საქიბნაჲის ქალბინათჲის



„შენ ჩემი არ გესმის?“

ზოგჯერ ადამიანებს მართლაც ძალიან უჭირთ, გაიგონ, თუ რას მოითხოვენ მათგან ოჯახის წევრები. ვთქვათ, ბავშვს რაღაცას უუნებთ, ის კი არ გისმენთ ან თქვენს სრულიად უწყინარ სიტყვებზე ქმარმა კარი გაიჯახუნა და წავიდა. რა არის ამის მიზეზი? ეს მაშინ ხდება, როცა ჩვენ თითქოს ვსაუბრობთ ოჯახის წევრებთან, სინამდვილეში კი მხოლოდ საკუთარ თავს ვუსმენთ. ეს არ არის ავადმყოფობა, ეს გადაღლილობის ბრალია. მართლაც, ძნელია თავი დააღწიო იმ საზრუნავს, რომელიც გათუქვით თავში გვიტრიალებს. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენ ვჩქარობთ ვუპასუხოთ იმ შეკითხვებს, რომელსაც თანამოსაუბრე გვისვამს. აი, სწორედ ეს მდგომარეობა ქმნის იმის წინაპირობას, რომ თქვენი, ან თქვენი ოჯახის წევრის ლექსიკონში გაჩნდეს სიტყვები — „შენ ჩემი არ გესმის“ და საბოლოოდ, ეს ოჯახური სკანდალის საფუძველი გახდება. თუკი ვერ მოახერხებთ იმას, რომ თქვენთვის საყვარელ ადამიანებთან სრულფასოვანი, თბილი ურთიერთობა გქონდეთ, ისინი დასკვნაზე, რომ მათ ისე აღიქვამთ, როგორც საოჯახო ნივთებს და აქედან გამომდინარე, გაქრება ის ურთიერთობისთვისცმა, რომელიც „ჯანმრთელი“ ოჯახისთვისაა დამახასიათებელი.

როცა ქალი ქალს აქებს

როგორც ამბობენ, არც ერთი ქალი არ განიცდის თბილ გრძნობას მეორე ქალის მიმართ, რომელიც შეხვედრისას ეტყვის: „რა საშინლად გამოიყურები, თითქოს სამარიდან წამოგაყენეს“. ხოლო თუ ერთი ქალი მეორის ვარცხნილობას, ჩაცმულობას, ურთიერთობის ნიჭს ან რაღაც სხვა ღირსებას გადაჭარბებულად შეაქებს, — ეს კრიტიკაზე უარესი ყოფილა.

ფსიქოლოგებს ძიანიათ, რომ ის, ვინც ქალს აფასებს და „ნიშნს უწერს“, მას-

მოგვსენებათ, ქალი დღეს ძალიან მოუცლელია. ოჯახი, სამსახური თუ გარე სამყარო მისგან მაქსიმალურ აქტიურობას მოითხოვს და ხშირად მას დრო აღარ რჩება საიმისოდ, რომ დაკვირვებით ჩახედოს ახლობელ ადამიანს თვალბეჭდში. დაფიქრდეს იმაზე, თუ როგორ, რა სიტყვებით უთხრას მას სათქმელი და არც მისი საპასუხო რეაქცია გამოეპაროს. ეს სხვა არაფერია, თუ არა ურთიერთობის ხელოვნება, რომლის ელემენტარული ანბანის ცოდნა ყოველ ადამიანს მოეთხოვება. მაშ ასე, მზარეველები იმის შესახებ, თუ რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ ადამიანებს. დაინწყით იმით, როცა ოჯახის წევრებს ერთმანეთის არ ესმით.

წავლებლის როლშია. არადა, თურმე სუსტი სქესის წარმომადგენლებს ზრდასრულ ასაკში ძალიან უჭირთ მოსწავლის როლში ყოფნა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც შემფასებელი ქალია. ორ ქალს შორის კარგი ურთიერთობის საფუძველი თანასწორობის განცდაა. ამიტომაც არ ღირს, მეგობარ ქალს ვუთხრათ: „როგორ გიხდება ეს კაბა“. უკეთესი იქნება, სათქმელი ასე გამოვხატოთ: „მომწონს ამ კაბაში“. ამით თქვენ გამოხატავთ საკუთარ დამოკიდებულებას ისე, რომ მოსაუბრეს არ აღიზიანებთ.

„შენი ნდობა არ შეიძლება“

ქალები არასასიამოვნო საუბრისას ხშირად მიმართავენ ერთმანეთს სიტყვებით: „მე შენ გენდობოდი, თურმე შენი ნდობა არ შეიძლება“. არ არის სასურველი ასეთ შემთხვევაში თავის მართლებასზე დაკარგოთ დრო. თავის მართლება იმას ნიშნავს, რომ თქვენ გამოთქმულ საყვედურს იღებთ. უმჯობესია, მშვიდად თქვათ: „არ მეგონა, თუ ასე მიგაჩნდა“ და თავი ისე დაიჭიროთ, თითქოს მის აზრს არაფერი აქვს საერთო თქვენთან. შემდეგ კი შეეცადეთ, მშვიდ ატმოსფეროში გააანალიზოთ, რატომ გითხრეს ასეთი სიტყვები. თუკი საწყენ სიტყვებში ურევია რაციონალური მარცვალი (ეს კი ცივი გონებით უნდა განსაჯოთ) მაშინ, საკუთარ საქციელში რაღაც უნდა შეცვალოთ. ხოლო, თუკი მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ ასეთ საყვედურებს საერთოდ არ იმსახურებთ, ნუ ატეხთ სკანდალს. სიმშვიდის შენარჩუნება დაგეხმარება იმაში, რომ მდგომარეობა უფრო არ გაამწვავოთ და მალე დაივიწყოთ თქვენი მისამართით გამოთქმული დაუმსახურებელი საყვედურები.

იქნებ, არ ღირს რჩევის მიცემა?..

ხშირად გაუგებრობის საბაბად გვევლინება ერთი შეხედვით უწყინარი რამ — რჩევები, რომელსაც ასე დაუზარებლად ვარიგებთ „მარცხნივ“ თუ „მარჯვნივ“.

„შენ მომავალში უარი უნდა თქვა ასეთ წინადადებებზე“, „უკეთესი იქნება ისე მოიქცე, როგორც მე გეუბნები“, — აი, ასეთი წინადადებით შეიძლება უახლოეს ადამიანს ისე მოვაგებროთ თავი, რომ მას ჩვენს დანახვაზე აურყოლებდეს. ზოგჯერ ახლობელი ადამიანი მოგეპარათავს არა იმიტომ, რომ რჩევა მოისმინოს, არამედ იმიტომ, რომ მას უბრალოდ მსმენელი სჭირდება. ისიც ფაქტია, რომ რჩევის თხოვნა ადამიანებზე მაგიურად მოქმედებს. სცადეთ, ჩაატაროთ მარტივი ექსპერიმენტი: ვინმეს, თუნდაც თქვენ მიმართ მტრულად განწყობილ ადამიანს მიმართეთ თხოვნით: „მინდა, რაღაც გკითხოთ“ ან „იქნებ მითხრათ, როგორ ჯობს“. ასეთი ფრაზით მტერსაც კი მეგობრად გაიხდით.

და ის, რაც უნდა გახსოვდეთ...

1) თანამოსაუბრის მიერ შემოთავაზებული თემა ზოგჯერ საბაბია ჩვენთვის, ჩვენსავე პრობლემებზე გავამახვილოთ ყურადღება. მაგალითად: „ჩემი ქმარი ამ ბოლო დროს სულ წავიდა ხელიდან“... ჩვენ კი ვპასუხობთ: „ჩემი ქმარი კი...“ და ვიწყებთ საკუთარი პრობლემების დემონსტრირებას — ეს შეცდომაა.

2) სრულფასოვანი ურთიერთობა ნიშნავს იმას, რომ გულწრფელად გავიზიაროთ თანამოსაუბრის ინტერესები და პრობლემები. თუკი თანამოსაუბრის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება გვაქვს და მხოლოდ ზრდილობის გულისთვის ვუსმენთ, ის ამას აუცილებლად მიხვდება. ამიტომ ვირჩევთ — არ ითვალთმაქცოთ.

3) ნურასოდეს ჩათვლით უქმად დაკარგულად დროს, რომელიც თქვენთვის ძვირფას ადამიანს მხარდაჭერის ნიშნად დაუთმეთ. თავი შეიკავეთ გადაჭარბებული კომპლიმენტებისა და დიდი დოზით გამოთქმული კეთილი რჩევებისაგან. ზომიერების გრძნობა აუცილებელია ადამიანებს შორის კარგი ურთიერთობისთვის.

ფეხსაცმელი რომ უნდა გავარჩიოთ



კარგ, მოდურ ტანისამოსს თუ ასევე კარგი ხარისხის მოდური ფეხსაცმელი აქვს შეხამებული, ქალს შეუძლია მშვიდად იყოს. ტანსაცმელს მისადაგებული ახალი ან კარგად მოვლილი ფეხსაცმლით, განსაკუთრებით მაშინ, თუ მანდილოსანს მოკლე ქვედაბოლო აცვია, მამაკაცის ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს. მაგრამ როგორ მოუვაროთ ფეხსაცმელს ისე, რომ ყოველთვის კარგად გამოიყურებოდეს? შეგვიძლია რამდენიმე რჩევა შემოგთავაზოთ. ფერადი ფეხსაცმელი გაწმინდეთ ქსოვილით, რომელიც დასველებული იქნება სკიპიდრისა და რამდენიმე წვეთ რძის ნაზავში. შემდეგ წაუსვით დამარბილებელი კრემი. თუ ფეხსაცმელი ძალიან ჭუჭყიანი ან დალაქავებულია, გაწმინდეთ ხახვის ან ლიმონის წვენი. კარგად აცილებს ჭუჭყს ასევე ბენზინში დასველებული ჩვარი.

ფეხსაცმელს, რომელსაც წვიმიან ამინდში იცვამთ, წაუს-

ვით ქაფურის სპირტი ან მცენარეული ზეთი.

ფეხსაცმელმა რომ არ იჭრაჭუნოს, ძირები გაუჟღინთეთ გაცხელებული ნატურალური ოლიფათი. ასევე კარგი ეფექტი აქვს სელის ზეთით გაწმინდას.

თუ ფეხსაცმლის ტარებისას ტერფის არეში გინდებთ წვის შეგრძნება, ფეხსაცმელს შიგნიდან წაუსვით 3%-იანი ძმრის ხსნარი. თუ ფეხსაცმელი გიჭერთ, შიგნიდან დანამეთ ძმრით ან სპირტით, მაშინვე ჩაიცვით და სრულ გაშრობამდე არ გაიხადოთ.

ფეხსაცმელს ყოველ სამ თვეში ერთხელ სჭირდება დეზინფექცირება, რომელიც შემდეგი მეთოდით კეთდება: ფეხსაცმელში ჩადეთ ბამბის ტამპონი, რომელიც დასველებულია ძმრის ესენციაში. შემდეგ მოათავსეთ ჰერმეტიკულად დახურულ პოლიეთილენის ტომარაში. 10-12 საათის შემდეგ ამოიღეთ და ფორმალინიანი ქსოვილით გაწმინდეთ, შემდეგ კარგად გააშრეთ და რამდენიმე საათით ჰაერზე გაანიავეთ.

ფეხსაცმელს არასასიამოვნო სუნს ადვილად მოაცილებთ, თუ კალიუმის პერმანგანატის, წყალბადის პეროქსიდის ან საჭმელი სოდის წყალხსნარით დაამუშავებთ.

შესანახ ფეხსაცმელში გაწმინდის შემდეგ ჩატენეთ ჩვარი ან ვაზეთები და წაუსვით ვაზელინი ან მცენარეული ზეთი.

უკრის მუხენიანი ისტორია

დღემდე ვერაფერმა შეცვალა ვარდის თაიგული, რომლის მირთმევეითაც მამაკაცი მანდილოსნისადმი თავყვანისცემას გამოხატავს. თუმცა, ბევრმა არ იცის, რა საინტერესო ისტორია აქვს ამ მცენარეს. ადამიანმა უხსოვარი დროიდან ასკილის ყვავილისგან გამოიყვანა ვარდის უამრავი ჯიში. ამჟამად, ამ მცენარის 10 ათასზე მეტ სახეობას ითვლიან. ასკილის ყვავილს კი ბევრ ქვეყანაში დღესაც სიჭაბუკის, სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლოდ მიიჩნევენ.

ეგვიპტე ვარდს შორეული წარსულ-იდანვე იცნობდა და აღიარებდა, როგორც ბუნების ერთ-ერთ უმშვენიერეს პირმშოს. მსოფლიოს პირველად მან გააცნო ვარდის სურნელების მქონე ნელსაცხებლები და ზეთები. ეგვიპტის დედოფალმა კლეოპატრამ ერთ-ერთ ნაღიმზე ბრძანა, იატაკი ნახევარი მეტრის სისქეზე მოლიანად ვარდის ფურცლებით მოეფინათ და ზედ აბრეშუმის თხელი ბადე გადაეფარებინათ. ჭერიდან კი ვარდის ფურცლების „წვიმა“ წამოსულიყო. როცა დედოფალი ნავით მდინარეზე სეირნობდა, წყლის ზედაპირზე ვარდები იყო მიმოხეული.

ძველ რომში ვარდით აჯილდოვებდნენ ადამიანებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გამარჯვებულებს კი ვარდის გვირგვინით ამკობდნენ. ეს გვირ-

გვინი სიმამაცის ემბლემად ითვლებოდა და ორდენის რანგში იყო აყვანილი. რომაელ მეომრებს ღრმად სწამდათ, რომ ვარდი ადამიანს გამბედაობასა და ვაჟკაცობას მატებდა და ზოგიერთი მთავანი ბრძოლის დროს მუზარადის ნაცვლად, ვარდის გვირგვინს იღვამდა თავზე.

1453 წელს, როცა თურქეთის სულთანმა მუჰამედ მეორემ კონსტანტინოპოლი დაიპყრო, მანამდე, ვიდრე წმინდა სოფისის ტაძარს მენეთად გადააქცევდა, ბრძანა ტაძარი მთლიანად ვარდის წყლით ჩამოერეცხათ. ტაძრამდე ვარდის წყლის მიტანას 500 აქლემი დასჭირდა.

ძველი ინდოეთის თქმულებების მიხედვით, ყოველ მოქალაქეს უფლება ჰქონდა, რაც სურდა ის ეოხოვა მეფისთვის, თუკი მას ვარდების თაიგულს მიაართმევდა.

ძველად ტაძრებში, როდესაც იქ სადღესასწაულო წირვა აღევლინებოდა, უხვად მიჰქონდათ მლოცველებს ვარდები. ამ ყვავილებით ამშვენებდნენ გზებს, სადაც პროცესიას საზეიმო ვითარებაში უნდა გაეგლო. ვარდებით იყო შემკული მეფეთა დასასვენებელი საგანეები და საქორწინო დარბაზები.

მაქსიმ გორკი თურმე ვითონაც დიდი მოტრფიალედ ყოფილა ვარდისა და ყვავილების მოყვარულ ადამიანში სიკეთის ღრმა საწყისს ხედავდა.

ფინეთში ყველაზე საპატიო ორდენად

„ფინეთის თეთრი ვარდის ორდენი“ ითვლება. ვარდებს აქვთ არა მარტო ესთეტიკური, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც – ვარდის ფურცლისგან იღებენ ძვირფას, არომატულ ზეთს, რომელიც ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში და ფარმაცოლოგიაში. საქართველოში კი, ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, ვარდმა სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძინა. ასე რომ, ვარდის „ისტორიას“ კიდევ ერთი ფურცელი შეემატა.



გრაგიული უმთხვევა



გრაგიული უმთხვევა

სოფი ლორენი იტალიელი ბანკირის ცოლს წარუდგინეს

- თქვენი გარეგნობის პატრონს კინოში გადაღება შეეძლო.
- მე ხომ სოფი ლორენი ვარ.
- მერე რა? გვარს გამოიცვლიდით.

- რატომ მაინცდამაინც ახალი?
- აბა, ძველი ხომ თეთონაც ჰქონდა. - მიუგო ფრიდრიხმა.

ანუ არასოდეს

- ჩემს ნაწარმოებებს მაშინ წაიკითხავენ, როდესაც შილერი და გოეთე დავიწყებას მივცემიან! - დაიტრაბახა ერთმა უმნიშვნელო, მაგრამ ყოყლოვანმა მწერალმა.
- ცხადია, ოღონდ მანამდე არა, - დაუმატა სწრაფად საფირმა.

მთვარის დაბნელება

ცნობილმა ფრანგმა ასტრონომმა დომინიკე არაგომ ნაცნობ მეგობრები მიიწვია, რომ მისი ობსერვატორიიდან მთვარის დაბნელებისათვის ეყურებინათ. ერთი მანდილოსანი კი, რომელიც კოსმეტიკას ყოველთვის დიდ დროს ანდობებდა, საგანგებოდ გააფრთხილა, დროზე მისულიყო.

- დიდად მესიამოვნა თქვენი განსაკუთრებული ყურადღება, ბატონო არაგო, - უთხრა ქალმა, - მაგრამ თუნდაც დამაგვიანდეს, არა უშავს, მე რომ მოვალ, მთვარე ხელმეორედ დაბნელდება.

დიდბუნებოვანი

დიდი გერმანელი პოეტი ფრიდრიხ შილერი, პატარაობისას, ერთ სადღესასწაულო სუფრაზე მთლად ახალი ტანსაცმლით გამოცხადდა. მხოლოდ ფეხსაცმელი ეცვა ძველი. ძალიან კი ცდილიყო გაეპარიალებინა, მაგრამ დედამ მაინც მაშინვე შეაშინა და ჰკითხა:

- რატომ ფეხსაცმელიც ახალი არ ჩაიცვი?
- ახალი ფეხსაცმელი ერთ ჩემს ამხანაგს ვაჩუქე.

ანეკდოტები

- როგორაა შენი გრეიპფრუტი?
- ბებია, რამდენჯერ გითხარი, გრეიპფრუტი კი არა ბოიფრენდი!

ბაღში ორი პენსიონერი საუბრობს:


- ამ ბოლო დროს, მეონი ჰიპნოზი-ორი ვხდები: საკმარისია ტრანსპორტში ასულმა სკამზე მჯდომ ახალგაზრდას შევხელო, რომ მაშინვე ეძინება...

ტიპი ქალთა საერთო საცხოვრებელში მივიდა. კარისკაცი ეკითხება:

- ვისთან მიბრძანდებით?
- თქვენ ვის მირჩევთ?

ორი ქურდი ბი-ნას მარცვავს. უცებ სირენის ხმა გაისმა, კარზეც დააკუნეს.

- პოლიცია! გადახტი სწრაფად ფანჯრიდან! - უთხრა ერთმა მეორეს.
- რას ამბობ, მეცაბეჭე სართულიდან?!
- გადახტი, გადახტი, ახლა ცრურწმენების დრო არ არის!



- აი, რას ნიშნავს, დედას რომ არ უჯერებ. რამდენჯერ გითხარი, კვალის დასაფარავად ხელთათმანებით უნდა იმუშაო-მეთქი.

- რატომ ეჩხუბები ცოლს განუწყვეტილად, სიდედრს კი პატივისცემით ეპყრობი?
- ოდესღაც სწორედ ეგ იყო ჩვენი დაქორწინების წინააღმდეგი.

სვანი უყურებს ტელევიზორს - უჩვენებენ ხანძარს. შვილი კი მეორე ოთახში ცეცხლს უკიდებს ფარდას.

სვანი ამბობს:

- სადამდე მისულა ტექნიკა, გამოსახულებასთან ერთად სუნსაც რომ გადმოსცემენ!

- წიგნები გაქვთ?
- გვაქვს.
- ორი ცალი მომეცით.

- თუ იცით, მანქანა ვინც მოგპარათ, რატომ არ ამხელთ?
- ფერი მაინცდამაინც არ მომწონს და ველოდები, როდის შელებავს!

- დედა პატიმარი ვაჟიშვილის სანახავად მივიდა:

- ავადმყოფო, გაიღვიძეთ, ძილის წამალი მიიღეთ!

- ოფიციატო, გასულ კვირას ახალი ლუდი გქონდათ!
- გარწმუნებთ, იფივა!



13
13
13
13
13
13
13
13

სიჭრი



ცნობიერება თუ რეალობა?

„შავი პარასკევისადმი“ (როდესაც 13 რიცხვს პარასკევი დღე ემთხვევა) შიში უძველესი დროიდან მოდის. შუა სუკუნეებში ამ ციფრის წარმოთქმაც კი იკრძალებოდა. უძველესი ხალხების რწმენა-წარმოდგენებით, პარასკევი დღეს, 13 რიცხვში იკრებიებოდა 12 ავსული. ამ შეკრების მე-13 მონაწილე თვით ეშმაკი იყო. მათ უმრავლესობას, ვინც ბიბლიური ტექსტის გაშიფვრაზე მუშაობდა, მიაჩნდა, რომ ევას შეცოდებაც და აბელის მკვლელობაც სწორედ ამ რიცხვში და ამ დღეს მოხდა. პარასკევს აცვეს ჯვარს ქრისტე; პარასკევისა და 13 რიცხვისადმი შიშს მედიკოსები ტრისკაიდეკაფობიას უწოდებენ. ექიმებს ეს რწმენა თუ ცრურწმენა ბევრ თავსატეხს უჩენს. უმრავლეს შემთხვევაში, ავადმყოფები 13 რიცხვში ოპერაციის გაკეთების სასტიკი წინააღმდეგნი არიან. მაშინაც კი, თუკი სასწრაფო ქირურგიული ჩარევა აუცილებელია და სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება.

ბიბლიურ ებრაელებში ყოველი რიცხვი ასოთი აღინიშნებოდა. 13 რიცხვი M ასოთი აღინიშნებოდა. სწორედ ამ ასოთი იწყებოდა და მთავრდებოდა სიტყვა „სიკვდილი“. არც უბრალო მეკობრეები და არც მაღალჩინოსანი საზღვაო კაპიტნები 13 რიცხვში ზღვაში არ გავიდოდნენ. მეზღვაურებისთვის ცნობილი იყო რამდენიმე კატასტროფა, რომელსაც ისინი სწორედ „შავ პარასკევს“ უკავშირებდნენ. მათ შორის ყველაზე გახმაურებული იყო ტრაგედია, რომელიც შხუნას – „ტომას ლოუსონს“ შეემთხვა. ამ არასტანდარტულ აფრიან ხომალდს, რომელიც ანძით იყო აღჭურვილი, ჯერ კიდევ გემთსაშენში შეარქვეს „შვიდფრთიანი მონსტრი“. თავისი პირველი და უკანასკნელი ტრანსატლანტიკური მოგზაურობა მან 1907 წლის 19 ნოემბერს დაიწყო. ნაოსნობისას კაპიტანმა ჯორჯ დოუმ კურსის გამოთვლაში შეცდომა დაუშვა და შხუნა ინგლისის მახლობლად, წყალქვეშა კლდეზე „შესვა“. გემს იმხელა ნაპრალი გაუჩნდა, რომ მაშინვე ჩაიძირა. ეკი აჰუიდან მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა – კაპიტანი. მაგრამ სენსაციად იქცა ის, რომ შხუნა ჩაიძირა 13 დეკემბერს, პარასკევს. საინტერესოა, რომ მწერალ ტომას ლოუსონს, რომლის სახელიც გემის ბორტს ამშვენებდა, ერთადერთი წიგნი ჰქონდა დაწერილი და მას „პარასკევი, 13 რიცხვი“ ერქვა.

კიდევ ერთი საზღვაო კატასტროფა არცთუ ისე დიდი ხნის წინ – 1983 წლის 13 მაისს, პარასკევს მოხდა. ღამის 3 საათსა და 10 წუთზე, ბრიტანელ-

მა კაპიტანმა ყურად არ იღო, მისი აზრით, ცრუმორწმუნეთა რჩევა და „შავ პარასკევს“ გემი „ხუ ვენჩერი“ ლა-მანში გაიყვანა. 20 წუთის შემდეგ პორტს რადიოთი აცნობა, რომ „ხუ ვენჩერი“ შეეჯახა გემს, რომელიც სასიგნალო მოწყობილობის გარეშე მიცურავდა. გავიდა 2 საათი და მისგან უკანასკნელი შეტყობინება მოვიდა – ხომალდი მეჩრეზე შეჯდაო...

მსოფლიო ავიაკომპანიები არც ერთ თვითმფრინავს არ აწერენ საბორტო ნომრად 13-ს. ამ ნომრით ვერც კაიუტას ნახავთ რომელიმე გემზე. ამერიკულ ცათამბჯენებში მე-12 სართულს მე-14 მოსდევს (თუმცა, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპი ამ წესის დაცვამ მაინც ვერ იხსნა კატასტროფისგან). ინგლისის კინოთეატრებში, როგორც წესი, არ არსებობს მე-13 რიგი, ხოლო ქუჩებში არ არის მე-13 სახლი. არსებობს ხალხში მოარული ზეპირი გადმოცემებიც, რომელიც ეშმაკის დუჟინს უკავშირდება. მაგალითად, ლონდონში დღემდე სჯერათ, რომ თუ მიღებას ან წვეულებაზე 13 სტუმარი მოგროვდა, პირველი ან ბოლო აუცილებლად დაიღუპება... უძველეს დროში კი, მე-13 სტუმრისათვის სუფრას ცალკე შლიდნენ. მერედა ამ ყველაფერზე დღესაც – კოსმოსურ ერაშიც წერთ? – იკითხავს თანამედროვე პრაგმატიკოსი. მაგრამ რა ვუყოთ ფაქტებს? 1970 წლის აპრილში ამერიკულმა კოსმოსურმა ხომალდმა „აპოლონ 13“-მა სტარტი აიღო 13 სთ-სა და 13 წთ-ზე და სანამ მთვარემდე მიღწევდა, მისი კაბინაში ჟანგბადის ბალონი აფეთქდა. ეს მოხდა 13 აპრილს. ასტრონავტები იძულებულნი გახდნენ, შეეწყვიტათ ექსპედიცია. ბრიტანელ მეცნიერთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ „შავ პარასკევს“ 52%-ით იზრდება ავტო ან ავიაკატასტროფებში მოხვედრილ ადამიანთა რიცხვი. ბრიტანელებს გერმანელი ექსპერტებიც ეთანხმებიან და აზუსტებენ, რომ უბედურ შემთხვევათა უმეტესობა 12-დან 13 საათამდე ხდება. ფულის ყადრის მცოდნე ამერიკელებმა კი,

რიცხვი 13 კომერციის საფუძვლად აქციეს: ნიუ-იორკელ ცრუმორწმუნეთა საზოგადოება, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ვთავაზობს კალენდარს, რომელშიც რიცხვი 13 ამოღებულია, პარასკევისა და 13-ის ნაცვლად, შეტანილია ორი 12 რიცხვი და ორი ხუთშაბათი. ამ საზოგადოებაში გაწვევება შეუძლია ყველა ადამიანს, რომლის ცხოვრებაც 13-ს უკავშირდება – მაგალითად, მათ, ვინც 13 რიცხვში დაიბადა. საზოგადოების პრეზიდენტად მიიჩნევენ გამოჩენილ გერმანელ კომპოზიტორს რიჰარდ ვაგნერს, რომელიც 1813 წელს დაიბადა, 13 წლისამ დაამთავრა მუსიკალური სასწავლებელი, დაწერა 13 ოპერა; მისი სახელი და გვარი კი ლათინური ტრანსკრიპციით 13 ასოს შეიცავს...

გამოთვლილია, რომ ამერიკულ მოქალაქეთა ცრურწმენა ამერიკულ ბიზნესს 750 მლნ დოლარი უჯდება, რადგან „შავ პარასკევს“ უმრავლესობა თავს იკავებს ქუჩაში გასვლისაგან, მოგზაურობისა და გართობისაგან.

ერთ-ერთი შურნალი, რომელიც 13 რიცხვთან დაკავშირებული კატასტროფების შესახებ ამ ცოტა ხნის წინ წერდა, მკითხველს ურჩევდა, თუ როგორ უნდა დაეღწიათ თავი „შავი პარასკევის“ ზეგავლენისთვის. მაგალითად, შურნალი წერდა, რომ 13-ში არ შეიძლება სტვენა (განსაკუთრებით, თუ თქვენთან ახლოს ყოფილი მამალი), დაუშვებელია, ჭამის დროს დაღვართ სითხე, აგრეთვე ჭამის დროს აკრძალულია სიმღერაც – ეს საღამო ხანს ტირილს გამოიწვევს; უნდა ჩაიცვათ ცისფერი ტანისამოსი, რომელიც დაგიცავთ გაცივებით გამოწვეული ავადმყოფობისაგან; ამავე დროს, წითელი შალის ქსოვილი დაგიცავთ და თქვენს სიახლოვეს არ მოუშვებს ავსულებს; ამ დღეს არ შეიძლება ფრჩხილების დაჭრა, დიდხანს სარკეში ყურება, განსაკუთრებით – საღამო ხანს; მთელი დღე იწეკით ლოგინში, სანამ 14 არ გახდება, მაგრამ გახსოვდეთ – თავი აუცილებლად ჩრდილოეთით უნდა გქონდეთ; თუმცა, უსაფრთხოების დაცვაც შეიძლება, არასაკმარისი აღმოჩნდეს. ამას მოწმობს ბერლინელი ტაქსის მძღოლის ადოლფ აკერმანის ბედი, რომელიც 3 თვის მანძილზე სამჯერ და ყველა შემთხვევაში 13 რიცხვში მოხდა ავტოავარიაში. მან გადაწყვიტა, მომდევნო თვის 13-ში ლოგინიდან ცხერი არ გამოეყო. სწორედ ლოგინში კოტრიალობდა, როცა ქუჩიდან ძლიერი ვრუსუნის ხმა შემოესმა; ფანჯარასთან მიიბრინა და დაინახა თავისი ავტომობილი, რომელსაც სატიერთო მანქანამ გადაუარა...

მონათხილავ ნანა ქიბიშაშვილი

წითელი მარკალიტები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამასაშვილი

როდის გამოვიყენოთ

● ვაცივებისა და ტემპერატურის მატების დროს. კლავს წყურვილს, აქვეითებს ტემპერატურას. წყლით გაზავებული ბროწეულის წვენი შეიძლება გამოვივლოთ ყელში და ვსვათ ბრონქული ასთმისა და ანგინის დროს.

● მომატებული ნერვული აგზნებადობისას. ახალგაზრდა ბროწეულის წვენი ხელს უწყობს ნერვული სისტემის დამშვიდებას. მარცვლების გამოყოფილი ხარიხებს აქვს საძილე მოქმედება, ხსნის აგზნებას და შიშს. ამისთვის გამოვიყენოთ ხარიხები უნდა გავახმოთ და ნაყენი მოვაშადლოთ.

● იმუნიტეტის დაქვეითებისას. ბროწეული განსაკუთრებული ეფექტის მომტანია ინფექციური დაავადების ან ოპერაციის შემდეგ ორგანიზმის გამოფიტვის დროს. აძლიერებს იმუნიტეტს.

● ანემიის დროს. რეკომენდებულია 0,5-1 ჩ/ჭ ბროწეულის წვენი 3-ჯერ დღეში ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. მკურნალობის კურსი 2-4 თვეა. შესვენების შემდეგ კურსი მეორდება.

● გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს. ბროწეულს უნიშნავენ მათ, ვინც საჭიროებს არტერიული წნევის რბილად, თანდათანობით დაქვეითებას.

● კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს. ბროწეულის მწარე ქერქი ფაღარათის (კუჭის აშლის) საწინააღმ-


ბროწეულში მცირე რაოდენობის კალორიები და ბევრი სასარგებლო ნივთიერებაა: გლუკოზა, ფრუქტოზა, ორგანული მჟავები (ლიმონის, ვაშლის, მჟაუნმჟავა და სხვა) ფიტონციდები, ტანინი C ვიტამინი, უჯრედისი, მინერალური ნივთიერებები და მიკროელემენტები — კალციუმი, მაგნიუმი, კალიუმი, ნატრიუმი, მანგანუმი. ასე რომ, არაჩვეულებრივ გემოსთან ერთად, ბროწეულს სამკურნალო თვისებებიც აქვს. სამედიცინო თვალსაზრისით, ღირებულება არა მხოლოდ მისი ნაყოფის რბილობი და წვენი, არამედ ქერქი და კურკებიც კი.

დეგო საუკეთესო საშუალებაა. იგი უნდა გაახმოთ და დაამზადოთ ნაყენი: 5 გ ქერქს დაასხით ნახევარი ჭიქა მღუღარე წყალი, დააყოვნეთ 20 წთ და გაწურეთ. მიიღეთ 0,5-1 ჩ/კ 3-ჯერ დღეში.

● ჰორმონული დარღვევების დროს. ბროწეულის კურკები შეიცავს ცხიმოვან მჟავას, რომელსაც ახასიათებს ჰორმონული აქტიურობა, ხსნის თავის ტკივილს, აქვეითებს წნევას და გაღიზიანებადობას კლიმაქსის პერიოდში, ორგანიზმში აწესრიგებს ჰორმონულ ბალანსს. ამისათვის ბროწეული უნდა მიირთვათ კურკებიანად. თუმცა, ქრონიკული აპენდიციტის დროს, კურკების ჭამა არ შეიძლება.

● სტომატოლოგიური დაავადებების დროს. კბილის ტკივილისას ხალხური მედიცინა გვირჩევს, თავლში შერეული ბროწეულის მარცვლების ჭამას. სტომატიტის დროს კი — მისი ქერქის ნახარშის გამოვლებას: 20 გ გამხმარ, დანაყილ ქერქს დაასხით 1 ჩ/ჭ ცხელი წყალი, ადუღეთ 30 წთ, გაწურეთ და შემდეგ საერთო მოცულობა შეავსეთ 1 ჩ/ჭ-მდე, ანადუღარი წყლით.

● სილამაზისთვის. ბრო-



წეულის წვენი ბევრი ლიმონმჟავა, ამიტომ მას წარმატებით იყენებენ კანის გასათეთრებლად. პიგმენტური ლაქების, გამონაყარის და ჭორფლის მოსაშორებლად. ბროწეულის წვენის ნილაბი სასარგებლო ცხიმოვანი კანისთვისაც: იგი აქვეითებს ცხიმიანობას, კვებავს კანს. ჩამომკვანარი კანის გამოცოცხლებაში დაგეხმარებათ ბროწეუ-

ლის წვენისა და არაჟნის ნარევის ნილაბი ცხიმიანი თმის გამაგრებისა და უკეთ ზრდისთვის თავზე უნდა გადავივლოთ ხოლმე ბროწეულის ქერქის ნახარში: 2 ს/კ დანაყილ ქერქს დაასხით 1 ლ მღუღარე წყალი და ადუღეთ 30 წთ დაბალ ცეცხლზე; გაწურეთ, გააზავეთ ცივი წყლით.

● ჭრილობების, წყლულებისა და დამწვრობის დროს. ბროწეულის წვენი უნდა შეიზილოთ კანის დაზიანებულ უბანზე. შემდგომ კი დაიყარეთ გამხმარი ქერქის ფხვნილი.

გაითვალისწინეთ! ახალგაზრდა ბროწეულის წვენი უნდა გააზავოთ წყლით, რადგან მასში ბევრი მჟავაა, რომელიც აღიზიანებს კუჭს, შლის კბილის მინარქარს. სიფრთხილეა საჭირო აგრეთვე ქერქის გამოყენებისას, რადგან მასში 0,5%-მდე საკმაოდ შხამიანი ალკალოიდი.

რძიანი ლუდი

ჩინეთში შეუდგენენ ძროხის ახალი რძისაგან დამზადებული ლუდის სერიულ წარმოებას. რძიანი ლუდი ხასიათდება სპორტის დაბალი შემცველობით, ქაფის სიჭარბით და ნახშირბადის ორჟანგის რაციონალური შემცველობით. მას აგრეთვე აქვს ვიტამინებით მდიდარი რძემჟავა პროდუქტების თვისებები. ლუდის შემქმნელთა მტკიცებით, სასმელი გამოირჩევა სამკურნალო ეფექტით, რადგან დადებითად მოქმედებს სისხლის მიმოქცევაზე და ხსნის დაღლილობას.

სტომატოლოგიური კლინიკა
რიკი-დენტი



1. უმტკივნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტერილიზაცია;
3. დაბალი ფასები;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აშშ-სა და გერმანიიდან;
5. მაღალკვალიფიციური მედ-პერსონალი;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თავეისუფლავის მოედანი №4ა
(ახალაშენებული სასტუმრო „მერიტის“ ეზოში)
☎ 98-64-83

საზამთროდ დამზადებული კონსერვები

**საახალწლო სუფრის გასან-
ყობად ბევრი დიასახლისი
ზაფხულსა და შემოდგომაზე
დაკონსერვებულ პროდუქტებ-
საც იყენებს. სწორედ ეს
გახლავთ იმის მიზეზი, რომ
ახალი წლის დღეებში ხშირია
ბოტულიზმის შემთხვევა.**

დაავადების გამომწვევი ბაქტერია – კლოსტრიდია ბუნებაში ბევრგანაა გავრცელებული. იგი ბინადრობს მსხვილი და წვრილი რქოსანი პირუტყვის, თევზების ნაწლავებში, მათ განავალთან ერთად ხვდება ნიადაგში, სადაც მკვრივ და სქელ გარსს იკეთებს, გადაიქცევა სპორად და გარემო პირობებისადმი გამძლე ხდება. ბოტულიზმის სპორებით დაბინძურებული პროდუქტების დაკონსერვებისას, ბაქტერია იხსნის სპოროვან გარსს, უფანგბადო არეში იწყებს ცხოველქმედებას და გამოიმუშავებს ადამიანის სიცოცხლისთვის ძალზე საშიშ შხამს – ბოტულიოტოქსინს.


ბოტულიზმის გამავრცელებლად ძირითადად, იქცევა: შებოლილი თევზი და ძეხვი, შწვანე ლობიოს, ბადრიჯნის, მარწყვის, კიტრისა და იმ მცენარეთა კონსერვები, რომელიც მიწასთან ახლოს იზრდება და შესაბამისად, უფრო მეტი კონტაქტი აქვს ნიადაგთან, სადაც შეიძლება ბოტულიზმის სპორები არსებობდეს.

საკვების მიღების შემდეგ, ტოქსინი კუჭიდან და ნაწლავებიდან სისხლში ხვდება, სისხლიდან კი მთელ ორგანიზმში ვრცელდება.

დაავადების პირველი ნიშნები დაბინძურებული საკვების მიღებიდან 4-6 საათის განმავლობაში ვლინდება, განსაკუთრებით ძლიერი მოწამვლის შემთხვევაში კი

– 2 საათში.
დაავადება იწყება თავბრუსხვევითა და ძლიერი მოღუნებით. ადამიანს აწუხებს მუცლის შებერილობა, გულისრევა, პირის სიმშრალე, ძლიერი წყურვილი და ფაღარათი. ავადმყოფი საგნებს ბუნდოვნად და გაორებულიად ხედავს – ისე, თითქოს თვალებზე ბაღე აქვს აფარებული; თვალების მოძრაობა შეზღუდულია, ქუთუთოები – დამბიებული, უჭირს ყლაპვა და მეტყველება – გაურკვეველად ლუღლუღებს, ცხვირში დუღღუნებს ან საერთოდ კარგავს ხმას; სახის კუნთების დამბლის გამო, ხშირად, თხიერი საკვები ცხვირიდან ეღვრება. იწყება ქოშინი, პულსი უიშვიათდება; ულურჯდება კანი და შეიძლება, დაიღუპოს კიდევ სუნთქვის გაჩერების შედეგად.

ბოტულიზმის პირველი საეჭვო ნიშნების გამოვლენისთანავე, ავადმყოფი დაუყოვნებლივ სტაციონარში უნდა გადაიყვანო; ამოურეცხოთ კუჭი სოლიანი წყლით



მანამდე, სანამ ამონაღები მასა სუფთა და გამჭვირვალე არ გახდება. პარალელურად მიეცით საფალარათო, საგულე და დამამშვიდებელი საშუალებები. რაც შეეხება სპეციფიკურ თერაპიას, ბოტულიზმის სამკურნალო ანტიბოტულინურ შრატს პაციენტს კლინიკაში მიყვანისთანავე გაუკეთებენ.

როგორ ავიცილოთ თავიდან დაავადება

● სიფრთხილე გამოიჩინეთ შინ მოზადებული კონსერვების (განსაკუთრებით – შწვანე ლობიოს, ბადრიჯნის) მიმართ. თუ კონსერვის გახსნისას აღმოაჩნთ, რომ იგი შეცვლილია (გაშავებული ზედაპირი აქვს ან შებერილია), ნუ გარისკავთ – ნუ გამოიყენებთ საკვების მოსამზადებლად.

● სიფრთხილე გმართებთ დამარილებული, შებოლილი თევზის, ძეხვისა და ხორცის შექმნისას.

● შინ დამზადებული ბოსტნეულის კონსერვები ჭამამდე 15-20 წთ ადრე, რათა ტოქსინი (შხამი), რომელიც შესაძლოა, მასში იყოს, დუღილის დროს დაიშალოს.

● დაავადების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია, შესანახი პროდუქტები გაახმობთ, გააშროთ ან დაამწვინოთ.

● დაავადების ერთი შემთხვევის გამოვლენისას, ყველამ, ვინც საეჭვო პროდუქტი მიირთვა, მაგრამ ჯერ დაავადების პირველი ნიშნები არ გამოვლინდა, აუცილებლად უნდა მიაკითხოს ინფექციურ კლინიკას და ანტიბოტულინური შრატის ნახევარი დოზა გაიკეთოს – ეს თავიდან ააცილებს მძიმე შედეგებს.

ქოლესტერინისაგან ნიგოზი გიხსნით

ყოველდღიური კვების რაციონში ნიგოზის შეტანით შეამცირებთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. მათი ძირითადი მიზეზი ხომ ქოლესტერინის დონის მატებაა, ნიგოზი კი მას ეფექტურად აქვეითებს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მედიკოსები იმ 160 ათასამდე ადამიანის გამოკვლევის შედეგად, რომლის ნაციონალურ მენიუში სისტემატურად შედიოდა ნიგოზი. დღეში რამდენიმე ნიგოზის ლეზნის მიღება, თქვენს ფიგურას ზიანს არ მოუტანს, ჯანმრთელობისათვის კი, ძალზე სასარგებლოა, რადგან შეიცავს მცირე რაოდენობით ნაჯერ მჟავას, ბევრ უჯრულისს, სასარგებლო ცხიმოვან მჟავებსა და ვიტამინებს. მაგრამ არ უნდა ჩაშუშოთ ნიგოზი ზეთში და არც ბევრი მარილი მოაყაროთ კერძს.

„მსუქანი“ სიმსივნე

უკვე არაერთმა მკვლევარმა დაადასტურა, რომ არსებობს კავშირი სიმსუქნესა და სიმსივნის განვითარებას შორის. ინგლისელმა მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ იმ ქალებში, რომლებიც ცხიმოვან საკვებს ამჯობინებენ, მკერდის კიბოს განვითარების რისკი ორჯერ მეტია მათთან შედარებით, ვინც სწორად იკვებება. ამერიკელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საშიშია, არა ჭარბი წონა, არამედ – ის, თუ როგორ გადანაწილდება ეს ცხიმი ორგანიზმში. განსაკუთრებით მავნებელია ცხიმი, რომელიც მუცლის ღრუში გროვდება.

კვირის (12 - 18 იანვარი)

თხის რქა - 22/XII-20/1

ქაღლი: საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა გელით, ამიტომ სასურველია, თავი მოიწესრიგოთ და პირველ რიგში, ახალ წელს ჭარბი ტკბილეულის შედეგად მომატებულ ზედმეტ კილოგრამებს მიხედვით.

მამაკაცი: პირად ცხოვრებაში წარმატება გელით, თუმცა ჯანმრთელობას ამ კვირაში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოექცოდეთ. კარგი განწყობილება დიდხანს გაგყვება.

მეჩვეულო - 21/1-19/1

ქაღლი: თვის ბოლომდე, მერწყულ ქალებს ბიზნესში დიდი წარმატება ელით. თუმცა, ამ წარმატებამ თავბრუ არ უნდა დაგახვიოთ და არ უნდა აჩქარდეთ გადაწყვეტილების მიღების დროს. ამ კვირაში წამოწყებული ახალი საქმე უდავოდ წარმატებას მოგიტანთ.

მამაკაცი: დიდი შანი გაქვთ, წარსულში დაშვებული შეცდომა გაიმეოროთ და ამის მიზეზი ის ქალი იქნება, რომელიც წარსულიდან გამოგეცხადებათ და სასიამოვნო სიურპრიზს შემოგთავაზებთ.

თეგზეგო - 20/1-20/11

ქაღლი: ამ კვირაში ჭორიკანების სამიხზე გასდებით. თქვენ გარშემო აგრესიული ფონი იზრდება და სასურველია, სიმშვიდე შეინარჩუნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უსიამოვნო საუბარს ვერ ასცდებით.

მამაკაცი: კარგი კვირაა კოლექტიური საქმიანობისათვის. მეტი დრო დაუთმეთ შვილებს, თჯახს და საოჯახო პრობლემების მოგვარებას. შეგაძლიათ, თჯახის წევრები ერთობლივ პროექტებშიც ჩართოთ.

პერკო - 21/III-20/IV

ქაღლი: მამაკაცისგან შემთავაზებული საქმიანი წინადადება წარმატებას მოგიტანთ. შეგიძლიათ ამ კვირაში თამამად გაეშუროთ სამსახურის საქმეებზე. თქვენ დაბრკოლების გარეშე მიაღწევთ წარმატებას.

მამაკაცი: თუ ახალი წელი მაინცდამაინც მხიარულად ვერ გაატარეთ, შეგიძლიათ, ამ კვირას ყველა დანაკლისი აინაზღაუროთ. მთელი კვირის განმავლობაში ხალისიანი განწყობილება და სიურპრიზებით აღსავსე კვირადღე გელით.

ასტროლოგიური პროგნოზი

გერკო - 21/IV-21/V

ქაღლი: უმჯობესია, ეს დღეები საყვარელ საქმიანობას დაუთმოთ. კარგი კვირაა ხელოვანთათვის. თავი მაქსიმალურად უნდა შეიკავოთ ალკოჰოლისგან და ხალხმრავალ ადგილებსაც უნდა მოერიდოთ.

მამაკაცი: ამ კვირაში ბუდი გიღმობით. გამოიყენეთ ეს დღეები მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად. შინ ყოფნას არ გირჩევთ. იაქტიურეთ და მიღწეული შედეგით თქვენ თვითონაც გაცხადებით.

მარგოგო - 22/V-21/VI

ქაღლი: ამ კვირაში ვარსკვლავები სამსახურში სწორი გადაწყვეტილების მიღებას გირჩევენ. სიფრთხილე გამოიჩინეთ ახალგაზრდობის ადამიანებთან საუბრის დროს. ნუ იქნებით მათთან ზედმეტად გულწრფელი.

მამაკაცი: საინტერესო ადამიანებთან ნაცნობობა გელით, მაგრამ რადგან ამ კვირაში თქვენი მოტყუება ძალიან ადვილია, სიფრთხილისკენ მოგიწოდებთ. თუ შეგიძლიათ სურთოდ შეიკავეთ თავი საქმიანი ქაღალდების წარმოებისგან.

პირნეგო - 22/VI-22/VII

ქაღლი: სიმშვიდე შეინარჩუნეთ შინ და სამსახურში ნუ ჩაერევით კონფლიქტურ სიტუაციაში, თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ თქვენი ჩარევით ძველმარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება.

მამაკაცი: პირად ცხოვრებაში იმედგაცრუება არ აცდებთ, თუ ყურადღებით არ მოუსმენთ თქვენთვის საყვარელ მანდილოსანს. თქვენი ურთიერთობა ახალ ფაზაში შევა, თუ მის შენიშვნებს გაითვალისწინებთ.

ლოგო - 23/VII-23/VIII

ქაღლი: ამ კვირაში კოლეგებთან კონფლიქტური დიალოგია მოსალოდნელი. არ აყვეთ პროვოკაციას. მოთმინება და დრო თქვენს სასარგებლოდ შეცვლის მოვლენებს და თქვენს ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები მოხდება.

მამაკაცი: არ დაგეგმოთ საქმიანი შეხვედრები. უმჯობესია, დაისვენოთ და ყურადღება თქვენს ჯანმრთელობას მიაქციოთ. დროის უმეტესი ნაწილი თჯახურ გარემოში გაატარეთ.

ქალწული - 24/VIII-23/IX

ქაღლი: ეს კვირა მრავალ სასიამოვნო მოულოდნელობას გიქადით. იბლიანი კვირაა კომერციული ოპერაციების განსახორციელებლად. პირად ცხოვრებაშიც სიახლე გელით. ჰორიზონტზე ახალი თავგანისმცემელი გამოჩნდება.

მამაკაცი: მოიქცით ისე, რომ ქალბატონები კიდევ ერთხელ გააცოთ თქვენი გალანტურობით. წინ რომანტიკული საღამოც გელით, სადაც მჭევრმეტყველების გამოვლენის საშუალებაც მოგეცემათ და შესაძლოა, მშვენიერი ქალბატონის გულიც დაიპყროთ.

ხსნოგო - 24/IX-23/X

ქაღლი: გადახედეთ თქვენს გარდერობს. განახლების კვირა იწყება. იქნებ დროა, იმიჯი შეიცვალოთ და ახალი გეგმების განხორციელებაზეც იფიქროთ. ჩართეთ თქვენს გეგმებში მამაკაცები და გაითვალისწინეთ მათი რჩევები.

მამაკაცი: ბევრი საქმიანი შეხვედრა გელით. კვირის ბოლოს თუ დაღლილობას იგრძნობთ, დრო მეგობრებთან ერთად გაატარეთ, მაგრამ თქვენს საქმეებზე ბევრს ნუ ილაპარაკებთ.

ღისანგალი - 24/X-22/XI

ქაღლი: თქვენს ცხოვრებაში ცვლილებები მოხდება, რასაც ფინანსური ძღვემარეობის გაუმჯობესებაც მოჰყვება. ნუ გაასესხებთ დიდი რაოდენობით ფულს. ამ კვირაში მხოლოდ მორალური მხარდაჭერით შემოიფარგლეთ.

მამაკაცი: ყოველი ნაბიჯის გადადგმისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. საშიშროება თქვენ ქალის სახით გამოგეცხადებათ და თუ სუსტი სქესის წარმომადგენლის წინაშე სისუსტეს გამოიჩინთ, სკანდალი არ აცდებთ.

გეგოლოგოგო - 23/XI-21/XII

ქაღლი: შრომისმოყვარეობა გამოიჩინეთ და წარმატება თვითონ მოვა თქვენთან. თუ აქტიურობას და პასუხისმგებლობას საჯაროდ გამოავლენთ, ხელმძღვანელობა ამ ღირსებებს უდავოდ დაგიფასებთ.

მამაკაცი: არავითარი მეგობრები, ფულისა და დროის ფლანგვა და ახარტული თამაშები! მხოლოდ მოწესრიგებული ცხოვრების წესი და თჯახური სიწმინდის შენარჩუნება.



ფინური საკერავე მანქანა	ობტიკური ხელსაწყო წყალქვეშა ნავზე	რადიო და ფირსაკრავი ერთად	პერუს დელაქალაქი	მდინარე რომში	საგანგებო დავალება
კილოგრამის 1/1000				ბრაზილიური ქათამი	
თბილისის ძველი უბანი		რუს კრენტოგრაფიათა შიში			
მცხოვრებას ლაგობით გაბიჭული ქუჩა			იაპონური ავტომობილი	ფოლკსვანს კლას ცხოვრების შესახებ	კრთუვორდი

ქართული სამარკო ღვინო	წყალზე გადასადგილებელი საშუალება	მსახიობის სცენური სახე	ინგლისელი მსახიობი	ფრენი მათემატიკა და ფილოსოფია	ქართული ანბანის ასო	ჯალბუტი (სწორი დასახელება)	სასიმიდე
პირველყოფილი ადამიანის იარაღი	ნოტი	ხელოვნება ბერითი მხატვრ. სახეებით	ფრანგული მღვდელი	სახელმწიფო აზიასი	ქართული ანბანის ასო	ჯალბუტი (სწორი დასახელება)	სასიმიდე

სიმღერა აკაკის ლექსზე	საჭადრაკო ფიგურა	როსტანის გმირი ... ლე ბერჟერაკი	იაპონური ჭიდაობა	ელექტრული გამტარებლობის ერთეული
ამჟვენიური სამონეტების ურჯულო	საჭადრაკო ფიგურა	ამერიკელი მოძღვრალი განთიადი	კაპონე	ქალის გრძელი ვიწრო შარფი
ფირნიში	საჭადრაკო ფიგურა	როსტანის გმირი ... ლე ბერჟერაკი	იაპონური ჭიდაობა	ელექტრული გამტარებლობის ერთეული
ეგვიპტური სიურრეალისტი	საჭადრაკო ფიგურა	ამერიკელი მოძღვრალი განთიადი	კაპონე	ქალის გრძელი ვიწრო შარფი
ლაშის ფრინველი	საჭადრაკო ფიგურა	როსტანის გმირი ... ლე ბერჟერაკი	იაპონური ჭიდაობა	ელექტრული გამტარებლობის ერთეული

შეადგინა რამაზ ალაჩია

მერაბ სეფაშვილს თურმე ხშირად უწევს დალევვა, რაც მისი ოჯახის წევრებს მაინცდამაინც დიდ სიხარულს არ ანიჭებს. სანდროს არ ჰყვარებია, მამა შინ ნასვამი რომ ბრუნდება: კოცნის, ეფერება და სანდრო წუხდებაო, — გაგვიმზილა მომღერლის მეუღლემ, ქალბატონმა ნინომ. სანდროს პირობაც კი მიუცია დედისთვის — დიდი კაცი რომ ვიქნები, სასმელს არ გავყვარებო, — და ნინოსაც იმედი აქვს, რომ მისი შვილი პირობას არ დაივიწყებს...

ნინო ჯავახიშვილი

— ნინო, მერაბს როგორი დამოკიდებულება აქვს სასმელთან?


— (იციანის) ძალიან კარგი... ჩემდა სამწუხაროდ, ამ მხრივ საყვედურს ნამდვილად არ იმსახურებს... ხშირად უწევს დალევვა. სულ რომ არ ჰქონდეს გეგმაში დალევვა, ვილაც შეხვდება, დაპატიუებს და მერაბიც უარს არ ეუბნება. ხშირად თავსაც იკავებს და არ სვამს — უამრავი საქმე აქვს და როცა დალევვა უხდება, მისთვის ის დღეც დაკარგულია და მეორეც... ახალგაზრდობაში უფრო ხშირად სვამდა ხოლმე.

— რომელ სასმელს ამჯობინებს?

— ალბათ უფრო არაყსა და კონიაკს, თუმცა ღვინოზეც არ ამბობს უარს — გააჩნია, როგორ ხასიათზეა. დალევაზე მეტად, მოღებნა უყვარს. ნასვამი უფრო თავისუფალია, აქტიურობს, ხვეწნა არ სჭირდება, რომ იძღეროს, ბევრს ლაპარაკობს, ხუმრობს. როცა არ სვამს, სუფრასთან ჩუმად, მოკრძალებულად ზის.

— შარიანი ხომ არ არის? სიმთვრალეში როგორი ხასიათი აქვს?

— არ მახსოვს, ნასვამს ჩხუბი აეტეხოს. საერთოდ, ნასვამ კაცს ყურადღების მიქცევა სჭირდება. ვერ წარმომიდგენია, ცოლი არხეინად როგორ უნდა იყოს, როცა მისი ქმარი მთვრალია? ასეთებიც არიან, მაგრამ არ შემიძლია, როცა მერაბი შინ ნასვამი ბრუნდება, უყურადღებოდ დავტოვო. შეი-



„ნასვამს რამდენჯერმე ავარია მოუხდა და გვარისანად დაიბზრა“

ძლება, ზედმეტად მოძღის, მაგრამ სხვანაირად ვერ ვიტყვი. ადვილი შესაძლებელია, რომ ლოგინამდე ვეღარ მიაღწიოს და ჩაეძინოს, ვინმემ ხომ უნდა მიიყვანოს თავის საწოლამდე!..

— ასეთი შემთხვევა ხშირად ყოფილა?

— არ მახსოვს, დივანზე ან სკამზე ჩასძინებოდა, რადგან როგორც უკვე გითხარით, უყურადღებოდ არასდროს ვტოვებ.

— როდესაც მერაბი შინ მთვრალი ბრუნდება, თქვენ როგორი რეაქცია გაქვთ?

— საკმაოდ მძაფრი, შეიძლება ითქვას — გაათმაგებული და გაასმაგებული. იქნებ, ვაჭარბებ ხოლმე, მაგრამ რა ვქნა?! არ შემიძლია ნასვამი კაცის ატანა. გათხოვების შემდეგ, ეს ამბავი ჩემთვის ყველაზე ძნელი შესაგუებელი აღმოჩნდა. თვითონ

მერაბი მეტყველის ხოლმე — ნუ გაქვს ასეთი მძაფრი რეაქციაო. ფხიზელ კაცს ნებისმიერ სიტუაციაში შეუწყობ ხასიათს და რაოდენ მძიმე ხასიათიც არ უნდა ჰქონდეს, მაინც მოახერხებ მასთან საერთო ენის გამონახვას, ნასვამს კი ვერაფერს გააგებინებ — ეს კი ჩემთვის ძალზე ნერვების მოშლელია. ყველაზე ცუდი ის არის, რომ დალევის მეორე დღეს აბსოლუტურად უუნაროა და საქმეს, რომელიც დაგეგმილი აქვს, ვეღარ აკეთებს. მერაბს დასალევად არ სცალია. თან, საკმაოდ ცუდი „პანმელია“ იცის. „პანმელიაზე“ ხინკლითა და ლუღით გამოღის ხოლმე.

— რაიმე კურიოზი გაიხსენეთ მის სიმთვრალესთან დაკავშირებით.

— უფრო ხშირად, სამწუხარო კურიოზთან გვაქვს საქმე, თუ შეიძლება ასე ითქვას... ნასვამი საჭესთან ვჯდება. ფხიზელს კი აქვს სიფრთხილის გრძობა, მაგრამ მთვრალს უკვე აღარაფერი ახსოვს. ამის „წყალობით“, რამდენჯერმე ავარია მოუხდა და გვარისანად დაიბზრა. ყოფილა შემთხვევები, რომ რაღაც-რაღაცები დავიწყებია, მაგალითად ის, რომ კონცერტზე იყო გამოსასვლელი, საქმანი შეხვედრა ჰქონდა და ა.შ. მერე ნანოს ხოლმე და პირობას დებს — ეს ბოლო იყო, აღარ დავლევო, მაგრამ როგორც მამაკაცთა უმეტესობას, მერაბსაც ძალი ავიწყდება თავისი სიტყვები...



**მ
რ
ა
ხ
ე
ბ**

არსებობს ადამიანების ორი კატეგორია: უცოდველნი, რომელთაც ცოდვილებად მიაჩნიათ თავი და ცოდვილები, რომელთაც უცოდველად მიაჩნიათ თავი.

ბლემ პასკალი

1) შეგიძლიათ თუ არა ჩადგეთ როგში?

- ა) არაერთარ შემთხვევაში - 0;
 - ბ) ჩადგებით, თუ სხვა გამოსავალი არ არის - 6;
 - გ) სხვა გამოსავალს მოძებნით - 3.
- 2) გაკრთობთ თუ არა ტელეფონის მოულოდნელი ზარი?

- ა) არა, ტელეფონს იძენად მიეჩვიეთ, რომ ვერც კი ამჩნევთ - 6;
- ბ) დიას, ტელეფონის ზარზე მუდამ ფრთხილად - 0;
- გ) არა, რეაქცია არ გაქვთ - 8.

3) ჩვეულებრივ, გამგზავრებამდე რამდენი ხნით ადრე მიდისხართ მატარებლის სადგურში?

- ა) ერთი საათით ადრე - 3;
- ბ) თხუთმეტი წუთით ადრე - 9;
- გ) ნახევარი საათით ადრე - 0.

4) როგორი განწყობა გეუფლებათ ნერვიული ადამიანის გარემოცვაში ყოფნისას?

- ა) თუ ის ახლობელია, თქვენც ნერვიულობთ - 4;
- ბ) ნერვიულობთ მაშინ, თუ მისი დახმარება არ შეგიძლიათ - 6;
- გ) ყველა შემთხვევაში თქვენც ნერვიულობთ - 1.

5) გიუარესდებათ თუ არა ჯანმრთელობის მდგომარეობა, როცა რაიმე საკითხზე ნერვიულობა გინვეთ?

- ა) არა - 8;
- ბ) გააჩნია, რაზე და როგორ ნერვიულობთ - 5.
- გ) ყოველი ნერვიულობის შემდეგ, მთელი დღე თავს ცუდად გრძნობთ - 0.

6) თქვენი აზრით, ამართლებს თუ არა გამონათქვამი: „დრო ყველაფრის მკურნალია“?

- ა) ამართლებს - 10;
- ბ) კარგია, ასე რომ ხდებოდეს, მაგრამ ამის არ გვერათ - 3;
- გ) სიტუაციის მოსაგვარებლად დრო არ კმარა, ადამიანმა თვითონ უნდა მოინდომოს - 6.

დღევანდელი დაძაბული ცხოვრების ფონზე ადამიანს ნერვების მოშლა და სტრესულ მდგომარეობაში ყოფნა თითქმის ყოველდღე უწევს. ზოგიერთს ნერვები უცებ ეშლება, ზოგის მდგომარეობიდან გამოყვანა კი საკმაოდ ძნელია. როგორი ხართ თქვენ?

როგორ ედგომარეობათ გაქვთ ნერვები

7) რას გრძნობთ, როცა დათქმულ შეხვედრაზე გაგვიანდებათ?

- ა) არაფერია, ეს ყველას შეიძლება დაემართოს - 8;
 - ბ) ვიღობ, აღარ წახვიდეთ - 0;
 - გ) მიხვალთ, თავს უხერხულად გრძნობთ და ბოდიშს მოიხდით - 6.
- 8) უმეტესად, როდის არის თქვენი

ნი საქმიანობა ნაყოფიერი?

- ა) როცა სხვადასხვაგვარი საქმე გაქვთ, ფრთაშესხმული მოქმედებთ - 6;
- ბ) ბევრი საქმე გაშინებთ, ამიტომ თქვენი საქმიანობა რომ შედეგიანი იყოს, მათგან მხოლოდ ძირითადს აკეთებთ - 0;
- გ) საქმის რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს, თქვენი შრომა მუდამ ნაყოფიერია - 10.

9) როგორ მოქმედებთ თქვენზე ხალხის გარემოცვაში ყოფნა?

- ა) ხან ცუდად, ხან კარგად - 6;
- ბ) ბევრი ხალხის გარემოცვაში ღელავთ და ნერვიულობთ - 1;
- გ) ხალხის მასა თქვენზე არანაირად არ მოქმედებს - 9.

10) შეგიძლიათ თუ არა უშფოთველად დაიძინოთ ახალ, უზრუნველ ადგილას?

- ა) თუ ადგილი კომფორტულია, მშვენივრად დაიძინებთ - 6;
- ბ) ასე თუ ისე, მოახერხებთ დაიძინებას - 1;
- გ) ნებისმიერ ადგილზე მშვიდად გძინავთ - 10.



დააჯამეთ ძულები

35 ძულა და ნაქლები — ძალიან მგრძობიარე ადამიანი ხართ და ნერვებიც სუსტი გაქვთ. ამის გამო პრობლემებს და კონფლიქტურ სიტუაციას სხვებზე მეტად განიცდით. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ზედმეტად ფრთხილი ხართ და თავდაჯერებულობაც გაკლიათ.

36-70 ძულა: მშვიდი, წინდახედული ადამიანი ხართ. ნერვები წესრიგში გაქვთ და უკიდურესობებში არასოდეს ვარდებით. ზედმეტ ემოციებს არ ამჟღავნებთ

და ცდილობთ, წინასწარ განსაზღვროთ თქვენი ქმედებები. თქვენი წონასწორობიდან გამოყვანა მხოლოდ სერიოზული მიზეზის არსებობის დროს შეიძლება.

71 ძულა და მძტი: საქმე მოსალოცად გაქვთ — თქვენ მართლაც რკინის ნერვების პატრონი ხართ. წონასწორობიდან თქვენს გამოყვანას ვერაფერს ახერხებს. ყველა ქმედება და ნაბიჯი წინასწარ გათვლილი გაქვთ და მუდამ მშვიდად, განწონასწორებულად იქცევით.

საჯახაში ყველაზე ღამაზ მავის იჩივენ



ასობით დასავლეთაფრიკელი ან-
აღვარდა მონაწილეობს სილამაზის
კონკურსში – „მისტერ საჰარა“,
რომელიც ტრადიციულად, წვიმების
სეზონის დამთავრების შემდეგ, საზე-
იმო ვითარებაში იმართება ხოლმე.
მამაკაცები ცეკვავენ და თავიანთი
ქათქათა კბილების დემონსტრირებას
ახდენენ მშვენიერი სქესის წარმო-
მადგენელთა წინაშე, რომლებმაც მათ
შორის ყველაზე ღამაზი უნდა აირ-
ჩიონ. ზეიმი ქალაქ აგადესის მახ-
ლობლად მიმდინარეობს. **Wodabe**-ს
ტომის კონკურსში მონაწილეობა ძა-
ლზე საპატიოდ ითვლება – მამაკა-
ცებს ბავშვობიდან აჩვენებენ სარკეში
ჩახედვასა და საკუთარი გარეგნობის
შეფასებას, რათა მოზრდილ ასაკში
„მისტერ საჰარის“ ტიტულის მოსა-
პოვებლად ბრძოლა შეძლონ...



სადამ ჰუსეინის უჯანასენე თავშესათუახს ატიაქციონად გადააქცევენ

ბუნაგი, რომელშიც სადამ ჰუსეინი
შეიპყრეს, ამერიკელებს ძველად უნდათ აქ-
ციონ. ამერიკელი სამხედრო ინჟინრები
დამზობილი პრეზიდენტის მიწისქვეშა თავშ-
ესაფრის მიწიანად ამოთხრასა და აშშ-ში
წაღებას გეგმავენ, რათა ტურისტებისთვის
ატრაქციონი ბოაწყონ. ამონაგები თანხა ერ-
აყში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცებ-
ის ოჯახების წევრებსა და ნათესავებს გადა-
ცემათ. ბრიტანული ტაბლოიდის **The Sun**-
ის ინფორმაციით, ყოფილი დიქტატორის თავშესაფარი სავარაუდოდ, ტენს-
ისის შტატში მდებარე სამხედრო ბაზაში – ფორტ ჰუდში დაიდგმება.



McDonald`s-ში ქაბაცონს ფულით სავსე ჰაეტი გადასცეს

ფლორიდაში, სწრაფი კვების ცნობილი ქსელის ერთ-ერთ რესტორანში კურიოზული
შემთხვევა მოხდა: ქალმა, რომელმაც საუზმე შეუკვთა, საკვების ნაცვლად, ფულით სავსე
პაკეტი მიიღო. „მაკდონალდის“ წარმომადგენელთა განმარტებით, დღიური ნავაჭრის
შესანახად, ფირმის პაკეტს უსაფრთხოების მიზნით იყენებენ. მომხდარი კი იმით ახსნეს,
რომ ერთ-ერთ თანამშრომელს კუბურებით სავსე პაკეტი თურმე, უშუალოდ იმ სარკ-
მელთან დაუდგია, საიდანაც შეკვთების გაცემა ხდებოდა. თუმცა, როგორც კი შეუტყდა
ფულის დაკარგვის შესახებ, უმაღლესი „მოჩვენებასავით“ გაფითრებულა. „გამყიდველმა ვერ
კი გააცნობიერა, რომ ფული იქ აღარ იდო. მან მხოლოდ მაღლობა გადამიხადა და მეტი
არაფერი“, – იხსენებდა მომხდარს რესტორნის თანამშრომლის დაუდევრობით აღშფოთ-
ებული ჯანის მაისნერი, რომელიც კინაღამ ერთბაშად გამდიდრდა. „მაკდონალდის
წარმომადგენლებმა კი, აღფრთოვანება გამოხატეს ჯანისის კეთილშობილური საქციელის
გამო და მაღლობის წერილთან ერთად, 50-დოლარიანი ჩეკითაც დააჯილდოეს.

ამიეხიდან, ჰაეისტანელი ქალები თავადვე აიჩივენ ქმრებს...

ჰაეისტანის უზენაესი სასამართლოს დად-
გენილებით, ზრდასრულ მუსლიმან ქალიშვილებს
ამიერიდან, თავადვე შეეძლებათ ქმრად, ვისაც
ისურვებენ, ის აირჩიონ. ამგვარად, ქვეყნის უმაღ-
ლესმა სასამართლო ინსტანციამ გააუქმა წინათ
მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვი-
თაც, მამისა და ძმის თანხმობის გარეშე ქა-
ლის ქორწინება უკანონოდ მიიჩნეოდა.




პოლემიკა ქალის უფლებათა დაცვის თაობაზე, კერძოდ – უფლებაზე, თავად
აირჩიოს ცხოვრების მეგზური – უკვე ექვსი წელია, ქვეყანაში მიმდინარეობს
და როგორც იქნა, პროგრესული გადაწყვეტილებით დაგვირგვინდა.

აღუპოლის სასიყვილო დოზის მიუხედავად, გადაიჩა


ლატვიელი ექიმები გაცივებულები დარჩნენ, როცა სისხლის
ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ერთ-ერთი პაციენტის ორგა-
ნიზმში ალკოჰოლის შემცველობა 7,22 პრომილეს შეადგენს,
რადგან ეს ორჯერ აღემატება სასიკვდილო დოზას. როგორც
გამოსაფრთხილებელში იღვლიანმა პაციენტმა განაცხ-
ადა, მას „ცოტა ზედმეტი“ მოუვიდა მას შემდეგ,
რაც ცოლმა მიატოვა. არადა, მეუღლე სწორედ
ალკოჰოლისადმი გამამეტებელი ლტოლვის გამო
გაჰქცევია... ლატვიელმა აღნიშნა, რომ არ ახსოვდა,
ზუსტად რამდენი ჰქონდა დალეული, როცა ის
ავტობუსის გაჩერებაზე იპოვეს. ერთადერთი, რაც

ახსოვდა, ეს ოჯახში გამოხდილი არყის ბოთლი იყო, რომელიც
ვიდაცისთვის გამოურთმევია...

ჯანდაცვის წარმომადგენლის თქმით, მსგავსი რამის მომსწრე
ის არასდროს ყოფილა: ალკოჰოლის ამ დოზის მიღების შემდეგ
ჯერ არავინ გადარჩენილა!.. აღმძინის თურმე, 1,2 პრომილეს
დონეზე, გულისრევა ეწყება, 3-ის შემთხვევაში – გონებას კარგავს,
ხოლო 4-დან – სუნთქვა კვდება და გული უჩერდება.
ლატვიის პოლიციის ერთ-ერთი წარმომადგენლის
განმარტებით, მამაკცმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.
უფრო სწორად კი – „ყლუბი გააკეთა“ საიმიოდ
რომ ვინესის რეკორდების წიგნში ამოყოს თავი...



ფოტოკუჩიონები



ბ7/47

F1224
2004

№1(61) 8/1-21/2004

ოჯახის

მეურნატი

სამაღიხინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ანბინა

ყველაფერი
საკეისრო
კვითის
შესახებ

ქლაშიდოვი

სანაღვლე
გზების
დისკინეზიები

მთავარი თემა:
ბედნიერი
ქორწინება



ოჯახის და
ოჯახის ფანქროთელობისთვის